ჩიპოლინოს

ოპერეტა

„ნაკადული"

თარგმნა ნათელა ჩიჩაძემ

ჯანი როდარი

ჩიპოლინოს თავგადასავალი

საქართველოს სსრ
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ნაკადული“
19 თბილისი 60

თავი პირველი

როგორ დაუქეცა ფეხი ჩიპოლინომ პრინც ლიმონს

ჩიპოლინო გახლავთ ჩიპოლონეს ვაჟი. მას შვიდი ძმა ჰყავს: ჩიპოლეტო, ჩიპოლოტო, ჩიპოლოჩა, ჩიპოლუჩა და სხვები. აი, ეს არის მეტად პატიოსანი ხახვის ოჯახის წევრების შესაფერი სახელები. არ დაგიმალავთ, პირდაპირ გეტყვით, კარგი ხალხი კია, მაგრამ ბედი არ წყალობთ.

რას იზამ: სადაც ხახვია იქ რა გამოლევს ცრემლსა და მწუხარებას.

ჩიპოლონე თავისი მეუღლითა და ვაჟიშვილებით ერთ ხის ქოხში ცხოვრობდა. იმათი ქოხი სანერგე ყუთზე ოდნავ დიდი თუ იქნებოდა. როცა დიდებულები შემთხვევით აქეთკენ გაივლიდნენ, ცხვირს უკმაყოფილოდ აიბზეკდნენ და წაიბუზღუნებდნენ: ფუუ, რა ხახვის სუნი დგასო და მეეტლეს ააჩქარებდნენ, რას უყურებ, მალე გარეკე ცხენებიო.

ერთხელ ამ ქვეყნის მთავარმა პრინცმა ლიმონომ გადაწყვიტა, განაპირა ღარიბ მხარეს სწვეოდა. კარისკაცები ძლიერ სწ ;ხდნენ: რალა ვქნათ, მის უმაღლესობას პრინც ლიმონოს ხახვის სუნი, რომ ეცესო.

— რას იტყვის პრინცი ამ სილარიბის სუნს რომ იგრძნობს?

— მოდით სუნამო ვაპკუროთ ღარიბებს!—ურჩია მათ უფროსმა კამერჰერმა.

მართლაც, მაშინვე გაეშურა თორმეტამდე სალდათი-ლიმნია განაპირა მხარისაკენ, რომ სუნამო ეპკურებინათ იმათთვის, ვისაც ხახვის სუნი ასდიოდა. სალდათებმა ყაზარმებში დატოვეს ხმლები, ზარბაზნები და ზურგზე წამოიკიდეს ოდეკოლონით, იის ესენციითა და ვარდის წყლით სავსე უშველებელი ბიდონები სასხურებლებით.

მეთაურმა უბრძანა ჩიპოლონეს, მის ვაჟიშვილებს და მთელ მათ საგვარეულოს, გარეთ გამოდითო. სალდათებმა ჩაამწკრივეს ყველანი და თავით ფეხებამდე ოდეკოლონი ასხურეს. ამ სურნელოვანმა წვიმამ ძლიერი სურდო შეჰყარა ჩიპოლინოს.—აბა, რა მოუვიდოდა, როცა შეუჩვეველი იყო. ისე ხმამაღლა აცე-

მინებდა ცხვირს, რომ ვერც კი გაიგო საყვირის გაბმული ხმა, რომელიც შორიდან მოისმოდა.

ეს მთავარი ლიმონო მობრძანდებოდა თავისი ამალით, ლიმნიებითა და ლიმონიკოებით. პრინცი ლიმონო თავით ფეხებამდე ყვითელი ტანსაცმლით იყო შემოსილი. ყვითელ ქუდს უმშვენებდა ოქროს ზანზალაკი, კარისკაც ლიმონოებს ვერცხლის ზანზალაკები ეკიდათ, ხოლო სალდათ-ლიმნიებს ბრინჯაოსი. ეს ზანზალაკები ისე გაბმით წკარუნებდნენ, გე-

გონებოდათ, საამო მუსიკას უკრავენო. მის მოსასმენად მთელი ქუჩა გამოეფინა, მოხეტიალე ორკესტრი ჩამოვიდაო.

ჩიპოლონე და ჩიპოლინო სულ წინ მოხვდნენ. ხალხი უკნიდან მუჯლუგუნებსა და წიხლებს ჰკრავდა მათ. რომ ველარ მოითმინა საცოდავმა მოხუცმა ჩიპოლონემ, ყვირილი მორთო:

— უკან დაიწიეთ! უკან დაიწიეთ!

პრინცმა ლიმონომ ყურები ცქვიტა, აბა ეს რასა ჰგავსო?

მოჩართული მოკლე ფეხები წინ წადგა, მედიდურად მიუახლოვდა ჩიპოლონეს და მკაცრად ახედ-დახედა:

— რას გაჰყვირი, უკან დაიხით, უკან დაიხითო, ჩემი ერთგული ქვეშევრდომები მონატრული არიან ჩემს ნახვას, აღარ იციან, რა ჰქნან, მორბიან, იქნებ თვალი შევავლოთო, და შენ რა, არ მოგწონს ეს ამბავი?

— თქვენო უმაღლესობავ,— წასჩურჩულა პრინცს უფროსმა კამერჰერმა,— მე მგონი, ეს კაცი საშიში მეამბოხეა.. განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ვიყოლიოთ.

ერთ ერთმა სალდათმა-ლიმნიამ ჩიპოლონესაკენ მაშინვე ჭოგრიტი მიმართა. ჩვეულებრივ ასეთი ჭოგრიტით ამრევებს ადევნებენ ხოლმე თვალყურს.

ჩიპოლონეს შიშისაგან მწვანე ფერი დაედო.

— თქვენო უმაღლესობავ,— ჩაიბურტყუნა მოხუცმა,— ისინი ხომ გამთელავენ!

— ძალიან კარგსაც იზამენ.— დაუღრიალა პრინცმა ლიმონომ.— ახია. შენზე!

— დიდად საყვარელო ჩვენო ქვეშევრდომნო! — მიმართა უფროსმა კამერჰერმა ხალხს. — მისი უმაღლესობა მადლობას გიძღვნით თავდადებისა და იმ პანჩურებისთვის, რითაც თქვენ ერთმანეთს უმასპინძლდებით. უფრო ძლიერად უბიძგეთ ერთმანეთს, მიაწექით რაც შეიძლება მეტად.

— ვაითუ იმათ თქვენც წაგაქციონ.— სცადა შეპასუხება ჩიპოლინომ.

მეორე ლიმნიამ მაშინვე ჭოგრიტი მიუშვირა ჩიპოლინოს, რომელმაც ამჯობინა ხალხს შერეოდა.

უკანა რიგები წინა რიგებს პირველად არც ისე ძლიერად აწვებოდნენ, მაგრამ უფროსი კამერჰერი ისე მძვინვარედ გადახედავდა ხოლმე აგოლგოთებულებს, რომ ხალხი გეჯაში ჩასხმული წყალივით აღელდა. მოხუცმა ჩიპოლინომ ვერარ გაუძლო ზღვა ხალხის მოწოლას, ჩიკორივით დატრიალდა და უნებურად ფეხი დაადგა პრინც ლიმონოს. მის უმაღლესობას ფეხებზე კარგა დიდი კოჟრები ჰქონდა და სიმწრისაგან თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა. ათამდე სალდათი-ლიმნია მივარდა უბედურ მოხუცს, ხელებზე ბორკილები დაადეს და წაათრიეს.

— შვილო ჩიპოლინო, ჩიპოლინო! — იძახდა მოხუცი და დაბნეული აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.

ამ დროს ჩიპოლინო ძალიან შორს იყო იმ ადგილიდან და ფიქრადაც არ მოსვლია, რა ხდებოდა იქ. მაგრამ უქნარებს, რომლებიც ირგვლივ ირეოდნენ, უკვე ყველაფერი შეეტყოთ და, როგორც ჩვეულებრივ ასეთ დროს ხდება ხოლმე, ეს ამბავი უფრო გაებერათ.

— კიდევ კარგი, დროზე შეიპყრეს, — ამბობდნენ მოცლილი ყბედები. — წარმოიდგინეთ, მისი უმაღლესობისათვის ხანჯალი უნდა ჩაეცა.

— აბა რას ლაპარაკობ, ბოროტმოქმედს ჯიბეში ტყვიამფრქვევი უპოვეს.

— ტყვიამფრქვევი ჯიბეში? შეუძლებელია!

— არ გესმით სროლის ხმა?

განა მართლა ისროდნენ, — სადღესასწაულო შუშხუნები სკდებოდა, რომლებიც პრინც ლიმონოს პატივსაცემად გაუშვეს. ხალხი კი შიშისაგან აქეთ-იქით აწყდებოდა, გაურბოდა სალდათ-ლიმნიებს.

ჩიპოლინოს უნდოდა ეყვირა, ყველასათვის გაეგებინებინა, რომ მამამისს ჯიბეში ტყვიამფრქვევი კი არა, სიგარის ნამწვი ეგდო. მაგრამ ცოტა დაფიქრდა, მიხვდა, რომ ამ ყბედებთან ვერას გააწყობდა და ისევ გაჩუმება არჩია.

საწყალი ჩიპოლინო! თვალზე კურცხალი მოადგა. ეგონა, მხედველობა დამაკლდაო.

— შესდექი, ბრიყვო! — შესძახა მან ცრემლს და რომ არ აბლავლებულიყო კბილი კბილს დააჭირა.

ცრემლი შეშინდა, უკან დაიხია და მეტად აღარც გამოჩენილა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მოხუც ჩიპოლინეს სამუდამო ციხე მიუსაჯეს, საბრალო სიკვდილის შემდეგაც დიდხანს ტუსაღად უნდა დარჩენილიყო, რადგან პრინც ლიმონის ციხესთან სასაფლაოც ჰქონდა.

ჩიპოლინომ, როგორც იქნა, მოახერხა ციხეში მამის ნახვა.

— საცოდავო მამაჩემო, თითქოს დამნაშავე იყო, ჩაგსვეს საპყრობილეში ამ ქურდებთან და ბახდიტებთან, — ეუბნებოდა იგი და თან გულში იკრავდა მოხუცს.

— რას ამბობ, შვილო, რასა! — ალერსით შეაწყვეტინა სიტყვა მამამ, — ციხე პატიოსანი ხალხითაა სავსე!

— მერედა რისთვის სხედან ციხეში, რა ჩაიდინეს ასეთი?

— სულაც არაფერი, შვილო. სწორედ ამიტომაც სხედან, რომ არაფერი ჩაუდენიათ. პრინც ლიმონის წესიერი ხალხი როდი უყვარს.

ჩიპოლინო ჩაფიქრდა.

— მაშ, ციხეში მოხვედრა დიდი პატივი ყოფილა, არა?

— ასე გამოდის. ციხეები საერთოდ აგებულია ქურდებისა და მკვლელებისათვის, მაგრამ პრინც ლიმონის ყველაფერი უკულმა აქვს. ქურდები და კაცის მკვლელები სასახლეში ჰყავს, ციხეები კი პატიოსანი ხალხით გაუვსია.

— მეც მინდა პატიოსანი მოქალაქე ვიყო, — თქვა ჩიპოლინომ, — ოღონდ ციხეში ჯდომა სულაც არა მსურს. ცოტაც მოითმინე, მამა, მოვალ და ყველას გაგათავისუფლებთ.

— დიდი იმედი გქონია შენი თავისა, შვილო, — გაეღიმა მოხუცს, — არც ისე ადვილია ეს საქმე შენ რომ გგონია!

— აი, ნახეთ თუ ჩემსას არ გავიტან!

ამასობაში რომელიღაც მცველი ლიმნია მიუახლოვდა მათ და განუცხადა: ნახვის დრო ამოიწურაო.

—ჩიპოლინო, — უთხრა გამოთხოვებისას მამამ, — ახლა უკვე დიდი ხარ და მშვენივრად შეგიძლია შენ თავს თვითონვე უპატრონო. დედაშენსა და შენს პატარა ძმებს ძია ჩიპოლა მზრუნველობას არ მოაკლებს, შენ კი წადი, ქვეყანა შემოიარე და რამე ისწავლე.

— აბა როგორ ვისწავლო, წიგნი არა მაქვს და არც ფული გამაჩნია, ვიყიდო.

— არა უშავს, თვითონ ცხოვრება გასწავლის ყველაფერს. შენ მხოლოდ ოთხი თვალი გამოიხსი და ოთხი ყური, ფლიდებისა და ბანდიტების გამოცნობა ისწავლე, განსაკუთრებით იმ ხალხს დაუკვირდი, რომლებსაც ძალაუფლება ხელთა აქვთ.

— მერე როგორ მოვიქცე?

— მოვა დრო და თვითონვე მიხვდები, როგორც უნდა მოიქცე.

— აბა გასწი, გასწი, — დაუცაცხანა ლიმნიამ, — გეყოფათ ამდენი ლაყბობა. შენ ეი, კონკიჟლარუნავ, აქაურობას მოშორდი, თუ არ გინდა ციხეში ამოგაყოფინო თავი.

ჩიპოლინოს უნდოდა დამცინავი სიმღერა წამოეწყო, მაგრამ გაიფიქრა, არ ღირს ციხეში ჩაჯდომა, სანამ საქმისათვის წესიერად ხელი არ მომიკიდიაო.

ჰოდა, ადგა, მამა მაგრად ჩაკოცნა და მოკურცხლა.

მეორე დღეს დედასა და თავის შვიდ ძმაზე მზრუნველობა კეთილ ძია ჩიპოლას მიანდო. ჩიპოლას ბედმა გაუღიმა, სადღაც მეკარედ დაიწყო მუშაობა და თავის ნათესავებზე უკეთ მოაწყო თავისი ცხოვრება.

ჩიპოლინო გამოეთხოვა ბიძას, დედას, ძმებს, თავისი ნივთები გამოკრა ფუთაში, ჯოხზე წამოაცვა, მხარზე გაიდო და გზას გაუდგა.

საითაც მოუხდა იქით წავიდა და, ალბათ, სწორი გზაც აირჩია.

იარა, იარა და რამდენიმე საათის მერე ერთ პატარა სოფელს მიადგა. სოფელი ისეთი პატარა იყო, ისეთი, რომ თავი არავის შეუწუხებია, ბოძზე ან განაპირა სახლზე მაინც წაეწერა ამ სოფლის სახელი. სახლს-თქო ვამბობთ, თორემ სახლი კი არა, ხუხულა იყო და ტაქსის სადგომად თუ გამოდგებოდა. ფანჯარასთან წვერწითური მოხუცი იჯდა და ნაღვლიანად გაჰყურებდა ქუჩას. ეტყობა, რაღაცა აწუხებდა.



თავი მეოთხე

როგორ აატირა პირველად ჩიპოლინომ კავალერი პომიდორი

— ძია კაცო,—შესძახა ჩიპოლინომ,—რამ გაფიქრებინათ ამ ყუთში ჩაძვრომა? ერთი გამაგებინეთ, როგორღა აპირებთ მანდედან ამოსვლას?

— მაგაზე ადვილი რა არის!—უპასუხა მოხუცმა.—შესვლა უფრო გამიჭირდა. სიამოვნებით დაგპატიჟებდით, ბიჭუნა, და ერთ ჭიქა ცივ ლუდსაც მოგართმევდით, მაგრამ აქ ორივე ვერ დავეტევით. თუმცა რალა დაგიმალოთ და არც ლუდი მაქვს.

— მერე რა უშავს, სულაც არა მწყურია... ესე იგი, ეს თქვენი სახლია, არა?

— დიახ,—უპასუხა ნათლიმამა გოგრამ. აი, ასე ეძახდნენ ამ მოხუცს.—სახლში ვიწროობა კია, მაგრამ წყნარ ამინდში აქ ყოფნას არაფერი სჯობია.

უნდა მოგახსენოთ, რომ ნათლიმამა გოგრამ წინა დღეს დაამთავრა ამ სახლის შენება. ბავშვობიდანვე ოცნებობდა, როდისმე იქნება მეც მოვესწრო საკუთარ კერასო და ყოველ წელიწადს თითო აგურს იძენდა მშენებლობის დასაწყებად.

სამწუხაროდ, ნათლია გოგრამ ანგარიში არ იცოდა და

დროდადრო სთხოვდა ხოლმე მეწაღე ყურძენას, დამითვალე ერთი, რამდენი ცალი აგური მაქვსო.

— აბა ვნახოთ, — ეტყოდა ყურძენა, თან კეფას სადგისით მოიფხანდა.— ექვსჯერ შვიდი ორმოცდა ორი... ცხრა გამოვაკლოთ... ერთი სიტყვით, სულ ჩვიდმეტი აგური გაქვს.

— ჰე, შენ როგორ ფიქრობ. სახლს ამიშენებს?

— მე მგონი არა.

— აბა რა ვქნა?

— ეს უკვე შენი საქმეა. სახლის ასაშენებლად თუ არ გეყოფა, ადექი და სკამძელი გაიკეთე.

— რა ჯანდაბად მინდა, პარკში სკამების მეტი რა არის. თუ დაკავებული იქნება, ფეხზედაც მშვენივრად დავდგები.

ყურძენას აღარაფერი უთქვამს, სადგისით ჯერ მარცხენა ყურის ძირი მოიქექა, მერე მარჯვენა და თავის სახელოსნოსაკენ გასწია.

ნათლიმამა გოგრამ კი იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, რაც შეიძლება მეტი იმუშაოს და ცოტა ჭამოს. ასეც მოიქცა. ახლა უკვე წელიწადში ერთი კი არა, სამი-ოთხი აგურის ყიდვას ახერხებდა.

ისე ჩამოხმა, რომ ჩხირს დაემსგავსა. სამაგიეროდ, აგურების გროვამ იმატა და იმატა.

ხალხი ლაპარაკობდა:

„ერთი ნათლიმამა გოგრას შეხედეთ, გეგონება აგურები თავისი სტომაქიდან ამოაქვსო. რამდენიც ამ აგურის გროვას ემატება, იმდენი გოგრას აკლდებაო“.

ასე გადიოდა წლები. ერთ მშვენიერ დღეს მოხუცმა იგრძნო, რომ ჯანმა უმტყუნა. მუშაობა კვლავინდებურად აღარ შეეძლო. ისიც ადგა და ისევ ყურძენას მიადგა.

— სიკეთე მიყავი და ერთი კიდევ გადამითვალე აგურებიო.

ხელოსანმა სადგისს ხელი წამოავლო, სახელოსნოდან გამოვიდა, შეხედა აგურების გროვას და თვლა დაიწყო:

— ექვსჯერ შვიდი—ორმოცდა ორი... ცხრა გამოვაკლოთ... ერთი სიტყვით, ახლა ას თვრამეტი აგური გაქვს.

— მეყოფა სახლის ასაგებად?

— არა მგონია.

— მაშ რა ვქნა.

— აბა რა გითხრა... საქათმე აიშენე.

— რა თავში ვიხლი საქათმეს. წამლად ერთი ქათამიც არა მყავს.

— ადექი და საქათმეში კატა შესვი. ხომ იცი, გამოსადეგი ცხოველია—თაგვებს იჭერს.

— მართალია, მაგრამ კატაც არა მყავს. თუმცა ი
სწორი რომ გითხრა, თაგვის ჭაჭანებაც არ არის... აბა, თ
რა გააჩენდა...

— მაინც რა გინდა ჩემთან? — აქსიტინდა ხელოსანი ყურ-
ძენა და გაგულისებულმა სადგისით მოიქექა კეფა. — ხომ
გითხარი, ას თვრამეტი აგური არის, ას თვრამეტი აგური-მე-
თქი. არც მეტი, არც ნაკლები. ხომ ასეა?

— შენ უკეთ იცი, ანგარიში გისწავლია და...

ნათლია გოგრამ ერთი-ორჯერ კიდევ ამოიოხრა. მაგრამ
მიხვდა, ოხვრით აგურებს არაფერი ემატებოდა და არჩია
ისევ მშენებლობას შედგომოდა.

„ამ აგურებისაგან ერთ პატარა სახლს ავიშენებ, — ფიქრო-
ბდა თავისთვის და თან მუშაობდა. — მე ხომ გოლიათი არა ვარ,
სასახლე წამოვიჭიმო. აგურები თუ არ მეყო, ქალალდებს მო-
ვიშველიებ და ის იქნება."

ნათლიმამა გოგრა მუშაობდა ნელა და ფრთხილად, ეშინო-
და, არ შემოლეოდა ძვირფასი აგურები. ისე ფრთხილად აწყო-
ბდა ერთიმეორეზე, გეგონებოდათ, მინისა არისო. ვინ რა იცო-
და, რა ძვირად ულირდა თითოეული აგური.

— აი ეს, — თქვა და აიღო აგური, თან ისე ელოლიავე-
ბოდა, გეგონებოდათ, კატის კნუტი უჭირავს ხელშიო, — სწო-
რედ ის აგურია, ათი წლის წინ საშობაოდ რომ ვიყიდე. უქმე
დღისთვის ვაგროვებდი ფულს, მინდოდა ქათამი მეყიდა. მა-
გრამ ქათმის ხორცით პირის ჩაგემრიელებას მაშინაც მოვასწრებ,
როცა სახლს წამოვჭიმავ. ახლა კი უიმისოდაც იოლად წავალ.

ყოველი აგურის აღებაზე ერთს ღრმად ამოიოხრებდა ხოლ-
მე, და თუმცა აგურები შემოელია, ოხვრა კიდევ ბლომად
ჰქონდა შემორჩენილი. ერთი ციცქნა გამოვიდა სახლი — სწო-
რედ სამტრედესა ჰგავდა.

„მტრედი რომ ვყოფილიყავი, — ფიქრობდა საბრალო
გოგრა, — აქ ძალზე მყუდროდ მოვეწყობოდი".

სახლს აღარაფერი აკლდა. ნათლიმამა გოგრა შესახლებას
აპირებდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, მუხლი ჭერს მიარტყა
და კინალამ არ ჩამოანგრია ამდენი ხნის ნაწვავ-ნაამაგევი.

„დავბერდი, მოუხეშავი გავხდი, ცოტა ფრთხილად უნდა ვიყო“.

შესასვლელთან დაიჩოქა და ოხვრითა და ხვნეშით შეძვრა შიგ. ახლა სხვა სიძნელეები გადაეღობა წინ, ფეხზე ვერ წამოდგებოდა, რომ თავი ჭერისთვის არ მიერტყა, იატაკი ისე პატარა იყო, კაცი ფეხს ვერ გამართავდა. გვერდზე გადაბრუნება ხომ ვერა და ვერ შეეძლო, ისეთი სივიწროვე იყო. მაგრამ, რაც მთავარია, სად წაეღო ფეხები, ხომ ვერ მოიჭრიდა, თუ როგორმე სახლში შეძვრებოდა, ფეხებიც შიგ უნდა შეეთრია, თორემ წვიმა რა ხეირს დააყრიდა.

„როგორც ვხედავ, — ფიქრობდა იგი, — ამ სახლში სულ უნდა ვიჯდე და ვიჯდე“. როგორც იყო მოთავსდა იატაკზე, ნელ-ნელა სულიც მოითქვა და თავი ფანჯარაში გაყო. სახეზე დიდი მწუხარება ეხატებოდა.

— მეზობელო, თავს როგორა გრძნობ? — ჰკითხა ცნობისმოყვარე ყურძენამ და სახელოსნოს ფანჯრიდან გახედა.

— გმადლობთ, არა მიშავს რა! — ამოიოხრა გოგრამ.

— ვითომ შიგ ვიწროდ არა ხარ?

— არა, არა. სახლი ზუსტად ჩემი ზომისაა.

ყურძენამ ძველებურად კეფა მოიქექა სადგისით და რაღაცა წაილუღლუღა. ამასობაში ცნობისმოყვარე ხალხი ყოველი მხრიდან მოიწევდა, რომ ნათლიმამა გოგრას სახლისთვის შეეხედათ. ბიჭებიც მოცვივდნენ. ყველაზე პატარა ბიჭუნა სახურავზე შეხტა, ფეხები გაუსვ-გამოუსვა და სიმღერა წამოიწყო:

ეს ბებერი ჩვენი გოგრა
საწოლს წვდება ცალი ხელით,
მეორე ხელს, თოკს რომ მოჰგავს,
მზარეულთან მისვლა ელის...
კარის ზღურბლზე ფეხს შემოდგამს
და სხვენზე აქვს ცხვირი გრძელი.

— ბიჭებო, ფრთხილად! — შეევედრა გოგრა, — სახლი არ ჩამომინგრიოთ. სულ ახალთ ახალია, ჯერ ორი დღეც არ არის რაც ავაშენე.

ბავშვები რომ მოემადლიერებინა, ნათლია გოგრამ ჯიბიდან ერთი მუჭა წითელი და მწვანე შაქარყინული ამოიღო და ბიჭებს ჩამოურიგა — ვინ იცის, როდიდან შემორჩა ჯიბეში! ბავშვები მხიარული ყიჟინით ეცნენ შაქარყინულს და გაყოფისას ჩხუბიც კი მოუვიდათ.

იმ დღიდან ნათლიმამა გოგრას გაუჩნდებოდა თუ არა ერთი-ორი სოლდო, მაშინვე იყიდდა კანფეტებს და ფანჯრის რაფაზე დაალაგებდა, გეგონებოდათ, ბელურებს საკენკს უყრისო. ჰოდა, ასე დამეგობრდნენ ბავშვები და ნათლიმამა გოგრა.

ხანდახან გოგრა ნებას აძლევდა ბიჭებს თითო-თითოდ შესულიყვნენ ხუხულაში. თვითონ კი გაფაციცებით ადევნებდა თვალს გარედან, ხიფათს არ გადამკიდონო.

* * *

სწორედ ამ ამბავს უყვებოდა ნათლიმამა გოგრა ჭაბუკ ჩიპოლინოს, რომ სოფლის ბოლოს მტვრის კორიანტელი ავარდა. იმწამსვე, თითქოსდა ვიღაცამ ბრძანება გასცაო, ფანჯრები, კარები და ჭიშკრები ერთი ჭრიალ-ჭრიალითა და ხათქახუთქით დაიხურა. ყურძენას ცოლმა სასწრაფოდ გადარაზა თავისი ჭიშკარი. ხალხი სახლებში მიიმალა, გეგონებოდათ, ქარიშხალი უნდა ამოვარდესო. ქათმები, კატები და ძაღლებიც კი გაიქცნენ საიმედო თავშესაფრის საძებნელად.

ჩიპოლინომ ვერც კი მოასწრო ეკითხა, რა მოხდაო, რომ მტვრის კორიანტელი ბრახაბრუხით შეიჭრა სოფელში და სწორედ ნათლიმამა გოგრას სახლის წინ შედგა.

მტვრის კორიანტელში გამოჩნდა კარეტა, რომელსაც ოთხი ცხენი მოაგელვებდა. ცხენი-თქო ვთქვი, მაგრამ მართალი გითხრათ, ცხენები კი არა, კიტრები უფრო იყო. ამ ქვეყანაში ხალხიცა და ცხოველებიც რომელიმე ხილს ან ბოსტნეულს წაგავდა.

კარეტიდან ქოშინით გადმობობღდა სულ მწვანით შემოსილი სქელი კაცი. წითელი, ფუნთუშა, დაბერილი ლოყები გადამწიფებული პომიდორივით დასკდომაზე ჰქონდა.

ეს გახლდათ კავალერი პომიდორი. მდიდარი მემამულეების, გრაფინია ალუბლების საქმეთა განმგებელი და ეკონომი. ჩიპოლინო მაშინვე მიხვდა, რომ მისგან არაფერს სასიკეთოს არ უნდა მოელოდეს კაცი. მისი გამოჩენისთანავე გარბოდა ხალხი და თვითონაც არჩია განზე გამდგარიყო.

კავალერი პომიდორი ჯერ არავის არაფერს უშავებდა, მხოლოდ თვალს არ აშორებდა ნათლია გოგრას. დაჟინებით უყურებდა, ბოროტად იქნევდა თავს და არაფერს ამბობდა.

საწყალ გოგრას ერჩია, მიწას პირი ეყო და თავის ხუხულასთან ერთად თან ჩაეტანა. ოფლი ღვარივით ჩამოსდიოდა შუბლიდან და პირისაკენ მიცოცავდა. ნათლია გოგრას ხელის აწევაც კი ვერ გაებედა, რომ სახე მოეწმინდა და მორჩილად ულაპავდა მლაშე, მწარე წვეთებს.

ბოლოს გოგრამ მოხუჭა თვალი და ფიქრებს მიეცა: „სინიორ პომიდორი აქ უკვე ალარ არის. ვზივარ ჩემს სახლში და როგორც მეზღვაური ნავში მივარღვევ წყნარი ოკეანის ტალღებს. ირგვლივ მხოლოდ ფირუზი წყალია, მერე როგორი მშვიდი. წყალი ელამუნება ჩემს ნავს“.

აქ ზღვას რა უნდოდა, ნათლია გოგრას სახლი კი მართლა ხან მარჯვნივ გადაიხრებოდა, ხან მარცხნივ. მაშ რა მოუვიდა, კავალერმა პომიდორმა ორივე ხელი წაავლო სახურავის კიდეს და მთელი ძალით ანჯღრევდა. სახურავი მოირყა, ფაქიზად დალაგებული კრამიტები კი აქეთ-იქით ცვიოდა.

ისე მძვინვარედ დაიღრიალა სინიორ პომიდორმა, რომ ნათლია გოგრამ უნებურად თვალები დააჭყიტა. მეზობელი სახლების კარები და ფანჯრები კიდევ უფრო მაგრად ჩარაზეს. ვისაც ერთხელ ჰქონდა ჩაკეტილი, ცდილობდა მეორეჯერ გადაეკეტა.

— აი, შე არამზადავ, შენა, — ყვიროდა სინიორ პომიდორი. — ავაზაკო! ქურდო! მეამბოხევ! შენ ააგე ეს სახლი გრაფინია ალუბლების მიწაზე და სურვილი გაქვს დარჩენილი დღეები უსაქმობაში გაატარო. შენ გინდა დაარღვიო წმიდათა

წმიდა უფლება ორი საწყალი გადაბერებული ქვრივ-ობოლი ქალბატონისა. მე შენ გიჩვენებ.

— თქვენო უმაღლესობავ, — შეევედრა გოგრა. — გარწმუნებთ, სახლის აშენების ნებართვა თვით გრაფმა ალუბალმა მომცა თავის დროზე.

— გრაფი ალუბალი გარდაიცვალა ოცდაათი წლის წინ, უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს მას. ახლა მისი მიწები ეკუთვნის ორ ჯანმრთელ გრაფინიას. ამიტომ ხმა არ ამოიღო, ახლავე გაიცალე აქაურობას. დანარჩენს კი აგიხსნის ადვოკატი... ეი, მუხუდოვ, სადა ხარ? ჩქარა აქ მოდი!

სინიორ მწვანე მუხუდო, სოფლის ადვოკატი, ეტყობა, ყურებდაცქვეტილი ელოდა, ბატონის ხმა რომ შემოესმა, საიდანღაც ისე სწრაფად გამოხტა, გეგონებოდათ, პარკიდან ამოყო თავიო. ეწვეოდა თუ არა პომიდორი სოფელს, მაშინვე მოუხმობდა თავის მარდ ადვოკატს, რომ მისი ბრძანება დაედასტურებინა კანონის შესაფერი მუხლით.

— თქვენო უმაღლესობავ, მე აქ გახლავართ და ველოდები თქვენს ბრძანებას... — აბუტბუტდა შიშისაგან მთლად გამწვანებული სინიორ მუხუდო და თავი მდაბლად დაუკრა.

მაგრამ იგი ისეთი პატარა და ცქვიტი იყო, რომ მისი სალამი ვერავინ შეამჩნია. ვაითუ უზრდელობაში ჩამომართვანო, სინიორ მუხუდო ახტა და ფეხები ჰაერში შეათამაშა.

— ეი, რა გქვია შენ... უთხარი აი იმ უსაქმურ გოგრას, რომ სახელმწიფო კანონების ძალით, იგი ვალდებულია ახლავე გაშორდეს აქაურობას. და, საერთოდ, გამოუცხადეთ ამ სოფლის ყველა მცხოვრებს, რომ გრაფინია ალუბლებს განზრახული აქვთ ამ ხუხულაში შესვან ქოფაკი ძალი, რათა საგრაფო ადგილ-მამული დაიცვან ბიჭბუჭებისაგან, რომლებიც ამ ბოლო დროს არასაკადრისად იქცევიან.

— დიახ, დიახ! ნამდვილად თავს გავიდნენ... ანუ... — ბურტყუნებდა შიშისაგან მთლად გამწვანებული მუხუდო, — ანუ... არა, ნამდვილად თავს გავიდნენ...

— რა დაგემართა, „ნამდვილად“, „არა ნამდვილად“, ადვოკატი ხარ შენ თუ არა?

— ოჰ, დიახ, თქვენო უმაღლესობავ, მე ვარ სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და აგრეთვე საეკლესიო სამართლის სპეციალისტი. დავამთავრე სალამანკის უნივერსიტეტი. დიპლომიცა მაქვს და წოდებაც.

— თუ კი დიპლომიცა გაქვთ და წოდებაც, მაშ დამიმტკიცეთ, რომ მე მართალი ვარ. მერე კი შეგიძლიათ შინ წაეთრიოთ.

— დიახ, დიახ, სინიორ კავალერ, როგორც თქვენ გენებოთ!.. — მეორეჯერ არც გაამეორებინა, სინიორ ადვოკატი სადღაც გაძვრა თაგვის კუდივით სწრაფად და შეუმჩნეველად მიიმალა.

— მაშ შენ გაიგონე, რაცა თქვა ადვოკატმა? — ჰკითხა კავალერმა ნათლიმამა გოგრას.

— არაფერი უთქვამს და რას გაიგონებდა. — მოისმა ვილაცის ხმა.

— რაო, რაო? ბედავ და მე კამათები კიდეც, შე უბედურო?

— თქვენო უმაღლესობავ, პირიც კი არ გამიცმაცუნებია, — წაილუღლუღა ნათლიმამა გოგრამ.

— აბა შენს მეტი ვინ იქნებოდა? — და პომიდორმა მუქარის თვალი მოავლო იქაურობას.

— თაღლითი! მატყუარა! — კვლავ გაისმა ნაცნობი ხმა.

— ვინ იყო, ვინ? ალბათ ის ბებერი ყურძენაა, არა? აი ის შფოთის თავი ისა, — თქვა და მიუახლოვდა სახელოსნოს, მიარტყა ჯოხი კარებს და დაიბღავლა. — მშვენივრად ვიცი, ყურძენა, რომ თქვენს სახელოსნოში ხშირად წარმოთქვამენ ხოლმე უტიფარ, მშფოთვარე სიტყვებს ჩემსა და კეთილშობილ გრაფ-ნია ალუბლების წინააღმდეგ. თქვენ არ სცემთ პატივს ამ ღრმად მოხუც, ცნობილ ქვრივ-ობოლ სინიორინებს მაგრამ მოიცადეთ, თქვენთვისაც მოვიცლი, ვნახოთ, ვინ იცინებს ბოლოს.

— უფრო ადრე შენი აღსასრულის დღე დადგება, სინიორ პომიდორო. ოჰ, გასკდები მალე, სულ მალე აუცილებლად გასკდები!

ამ სიტყვებს აბა სხვა ვინ იტყოდა თუ არა ჩიპოლინო? მან ხელები ჩაიწყო ჯიბეებში და მშვიდად და თამამად მიუახლოვდა ბოროტ კავალერ პომიდორს, რომელსაც აზრადაც არ მოსვლია, რომ მთელი სიმართლე ამ საცოდავმა პატარა მაწანწალამ მიახალა პირში.

— შენ საიდანღა გაჩნდი აქ? რატომ არ მუშაობ?

— მე ჯერ არ ვმუშაობ. — უპასუხა ჩიპოლინომ. — ვსწავლობ.

— მაინც რასა სწავლობ, ჰა? აბა სადა გაქვს წიგნები?

— მე ვსწავლობ თაღლითებს, თქვენო უმაღლესობავ. და აი სწორედ ახლა ჩემს წინ დგას ერთი მათგანი. მეც არ დავკარგავ ხელსაყრელ შემთხვევას და კარგად შევისწავლი მას.

— აჰა, შენ სწავლობ თაღლითებს? ოო, მეტად საინტერესო ამბავია. სხვათა შორის, ეს სოფელი თაღლითების ბუდეა... მანახე ერთი, ვინ აღმოაჩინე კიდევ ახალი.

— სიამოვნებით, თქვენო უმაღლესობავ, — უპასუხა ჩიპოლინომ და ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

მერე მარცხენა ჯიბეში ჩაიყო ღრმად ხელი და პატარა სარკე ამოაძვრინა. ამ სარკით სხვა დროს მზის კურდღლებს უშვებდა ხოლმე. ახლა კი სინიორ პომიდორს მიუახლოვდა, დაუტრიალა სარკე ცხვირწინ და უთხრა:

— აი ის თაღლითი, თქვენო უმაღლესობავ. თუ გსურთ დააკვირდით კარგად. განა გეცნოთ?

კავალერმა პომიდორმა ცდუნებისაგან ვერ შეიკავა თავი, სარკისკენ გააპარა ცალი თვალი. კაცმა არ იცის, ვის დანახვას ელოდა იგი, ნამდვილად კი თავისი ცეცხლივით წითელი სახე, ბოროტი პატარა თვალები და უშველებელი მოხეული პირი დაინახა, ყულაბის პირს რომ მიუგავდა.

ახლა კი მიხვდა სინიორ პომიდორი, რომ ჩიპოლინო მასხრად იგდებდა მას. მერე როგორ გამხეცდა! ალი მოედო მთელ სახეზე და ორივე ხელით ეცა ჩიპოლინოს თმაში.

— ვაი, ვაი! — დაიყვირა ჩიპოლინომ, თუმცა მაინც არ კარგავდა ხუმრობის ხალისს. — ოი, რა ძალა ჰქონია იმ ავაზაკს,

სარკეში რომ დაინახეთ, გარწმუნებთ, მარტო ეგ ერთი უდრის მთელი ავაზაკების ხროვას.

— მე შენ გაჩვენებ, ცბიერო! — აღრიალდა კავალერი პომიდორი და ისე მაგრად მოქაჩა თმები, რომ ხელში მთელი ბღუჯა შერჩა.

ჰოდა, მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო. ამოაგლიჯა თუ არა ჩიპოლინოს ხახვის თმები, მრისხანე კავალერ პომიდორს საოცრად აეწვა თვალები და ცხვირი. ერთ-ორჯერ დააცემინა კიდეც და თვალებიდან ცრემლებმა შადრევანივით გადმოხეთქა. ორივე ლოყაზე ჩამოედინა ცრემლის ღელეები, მდინარეები და ისე გაივსო მთელი ქუჩა, გეგონებოდათ, მეეზოვემ შლანგით მოუშვა წყალიო.

„არ დამმართნია ასეთი რამ ჩემ დღეში!“ — ფიქრობდა შეშინებული სინიორ პომიდორი.

და მართლაც მკაცრსა და გულქვა ადამიანს (თუ შეიძლება პომიდორს ადამიანი ვუწოდოთ), რომ ერთხელაც არ უტირია. პომიდორი ისეთი მდიდარი იყო, რომ თავის დღეში ხახვი არ გაეფცქვნა. ამ ამბით ძალზე შეშინებული სინიორ პომიდორი სწრაფად ჩახტა კარეტაში, გადაუჭირა ცხენებს მათრახი და გააქანა, თუმცა მაინც მოასწრო ერთი მოხედვა:

— ეი, გოგრავ, ხომ გესმის, მე უკვე გაგაფრთხილე... შენ კი ცბიერო, კონკიჟლარუნავ, იცოდე, ძვირად დაგიჯდება ეს ჩემი ცრემლები.

ჩიპოლინო ხარხარებდა და ხარხარებდა. ნათლიმამა გოგრა კი იწმენდდა და იწმენდდა შუბლზე ოფლს.

ნელ-ნელა გაიღო სახლების კარ-ფანჯრები. მხოლოდ სინიორ მუხუდოს სახლიდან არ მოისმოდა ჩამიჩუმი. ყურძენამ მოაფრიალა თავისი პატარა ჭიშკარი და კეფის ქექვით გამოვარდა ქუჩაში.

— გეფიცებით ამ ჩემს გასანთლულ ძაფს, — აღფრთოვანებით წამოიძახა მან, — ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდა ისეთი ჭაბუკი, რომელმაც აატირა სინიორ პომიდორი. საიდანა ხარ პატარა ბიჭო?

ჩიპოლინომ უამბო ყურძენასა და მის მეზობლებს თავისი ამბავი, რომელიც თქვენ უკვე იცით...

თავი მესამე

ამ თავში მოთხრობილია პროფესორ მსხალას, პრასას და ათასფეხას ამბავი

სწორედ ამ დღიდან დაიწყო ჩიპოლინომ ყურძენასთან სახელოსნოში მუშაობა და როგორც კარგმა ხელოსანმა მალე გაითქვა სახელი. სანთლავდა ძაფს, აკერებდა ლანჩას, აკრავდა ქუსლებს, ფეხის ზომას უღებდა შემკვეთელს. თავზესაყრელი საქმე ჰქონდა და მაინც იცლიდა ხუმრობისთვის.

ყურძენა კმაყოფილი იყო ამ მხიარული ბიჭისა და საქმეც წინ მიდიოდა. მუშაობით ხომ გულმოდგინეთ მუშაობდნენ, ძალიან ბევრიც ისე, უსაქმოდ მოდიოდა სახელოსნოში, რომ ენახათ მამაცი ბიჭი, რომელმაც აატირა თვით სინიორ პომიდორი.

სულ მოკლე ხანში გაიჩინა ჩიპოლინომ ბევრი ახალი ნაცნობი და მეგობარი.

პირველი მოვიდა მუსიკის მასწავლებელი, პროფესორი მსხალა. იღლიაში ვიოლინო ამოეჩარა. შემოადგა თუ არა ფეხი სახელოსნოში, თან შემოჰყვა ბუზებისა და კრაზანების მთელი გუნდი. პროფესორის ვიოლინო გაკეთებული იყო არომატიანი ნახევარმსხალისაგან. ბუზები, როგორც მოგეხსენებათ, ყოველნაირი ტკბილეულის დიდი მოყვარულები არიან.

ხშირად, როცა პროფესორი მსხალა უკრავდა კონცერტებზე, მსმენელები დარბაზიდან უყვიროდნენ ხოლმე მას:

— პროფესორო მსხალა, მიაქციეთ ყურადღება, თქვენს ვიოლინოზე უშველებელი ბუზი ზის. ამიტომ ვერ უკრავთ სწორად.

პროფესორი უცებ შეწყვეტდა დაკვრას და დასდევდა ბუზს, ვიდრე ხემით არ მიაჭყლეტდა სადმე.

ხან მატლი შეძვრებოდა მის ვიოლინოში და გაჭყავდა

გრძელი მიხვეულ-მოხვეული დერეფნები. ბოლოს და ბოლოს ინსტრუმენტი ფუჭდებოდა და პროფესორს ახალი ვიოლინო უნდა შეეძინა.

პროფესორ მსხალას ფეხდაფეხ მოჰყვა მებოსტნე პრასა, რომელსაც ძალიან გრძელი ულვაშები და სქელი, შუბლზე ჩამოშლილი ქოჩორი ჰქონდა.

— ამ ულვაშებისგან უსიამოვნების მეტი რა მინახავს,— შესჩივლა ჩიპოლინოს პრასამ,—როცა ჩემი ცოლი თეთრეულს აშრობს, დამსვამს აივანზე, ორ ლურსმანს შორის გაჭიმავს ჩემს ულვაშებს და აფენს ზედ ზეწრებს, პერანგებსა და წინდებს. სანამ არ გაშრება, უნდა ამოვიხრუკო მზეზე, მეტი რა გზა მაქვს. ერთი შეხედე, კვალი ზედ არ მატყვია?

მართლაც დაწიწკნოდა ულვაშები პრასას.

ერთხელ, სახელოსნოს ეწვია მრავალფეხა და მისი ორი ვაჟიშვილი—ათასფეხა და ათასთათა. ბიჭები მოუსვენრები იყვნენ — სულ ცმუკავდნენ.

— სახლშიაც ასე ცელქობენ? — იკითხა ჩიპოლინომ.

— რასა ბრძანებთ!— ამოიოხრა მამამ.—ახლა გუგულებივით არიან. ერთი უნდა ნახოთ, რა ხორხოცი შეუდგებათ, როცა ჩემი ცოლი აბანავებთ, სანამ წინა ფეხებს დაბანდეს, უკა-

ნას ისვრიან. შეუდგება უკანა ფეხების ბანვას, და რას ხედავს, წინები უკვე დათხუპნული აქვთ. ბოლო არ უჩანს მის წამებას. თანაც ყოველ დაბანვაზე ერთი ყუთი საპონი იხარჯება.

ყურძენამ სადგისით მოიქექა კეფა და მრავალფეხას ჰკითხა:

— რას მეტყვით, ავულო ზომა თუ არა თქვენს პატარებს?

— რასა ბრძანებთ, ღმერთი იყოს თქვენი შემწე, სადა მაქვს იმის წელი, რომ ამდენი ფეხსაცმელი შეგიკვეთოთ. ათასი წყვილი ფეხსაცმლის საფასურად ალბათ მთელი სიცოცხლე უნდა ვიმუშაო.

— მართალი ხარ! — დაეთანხმა ყურძენა, — თუმცა არც მე მექნება მაგათი სამყოფი ტყავი.

— ნახეთ რომელი ფეხსაცმელია უფრო გაცვეთილი. რამდენიმე წყვილი მაინც გამოცვალეთ.

სანამ ჩიპოლინო და ყურძენა ათვალიერებდნენ ბავშვების ქუსლებსა და ლანჩებს, ათასფეხა და ათასთათა ცდილობდნენ მშვიდად მდგარიყვნენ, მაგრამ რომ არ შეეძლოთ...

— მაშ ასე, — თქვა ხელოსანმა, — ამ პატარას პირველი ორი წყვილის გამოცვლა დასჭირდება, თუმცა მთელი არც მესამასეა.

— არა, ჯერ კიდევ გამოდგება მესამასე, — უცებ იუარა მამამ, — დაუკერეთ ქუსლები და ცოტა ხანს იხმარს კიდევ.

— მეორე ბიჭუნას კი მარჯვნივ, ერთმანეთზე მიყოლებით ათი წყვილი აქვს გამოსაცვლელი.

— რაც მე მაგათ ვეჩიჩინები, ნუ მიაფრატუნებთ-მეთქი ფეხებს. განა ამ ბავშვებმა წესიერი სიარული იციან? დაჭენაობენ, ცეკვავენ, ასკინკილას დახტიან. ბოლოს და ბოლოს ხომ ხედავთ, მარჯვენა მარცხენაზე ადრე გაცვითეს. აი ასე გვიჭირს მრავალფეხებს.

— ეჰ, ერთი თქვენცა, ყველა ბავშვი ბავშვია! ორფეხა

იქნება ის თუ ათასფეხა, სულ ერთი არ არის? ისინი ერთი ფეხითაც მშვენივრად ახერხებენ ათასი წყვილის დახევას.— ჩაიქნია ხელი ყურძენამ.

ბოლოს წაცუხცუხდნენ მრავალფეხები. ათასფეხა და ათასთათა ისე მიჰქროდნენ, გეგონებოდათ, ბორბლებზე შემდგარანო. მამა ოდნავ კოჭლობდა—სულ რაღაც ას თვრამეტი ფეხი სტკიოდა.

თავი მეოთხე

ამ თავში მოთხრობილია, როგორ გააკამკულა ჩიპოლინომ ძალლი მასტინო, რომელსაც წყურვილი კლავდა

ნეტა რა ბედი ეწვია ნათლიმამა გოგრას ხუხულას? ერთ დაწყევლილ დღეს კვლავ მოგრიალდა კავალერი პომიდორი თავისი კარეტით, რომელშიც ოთხი კიტრი იყო შებმული. ამჯერად კავალერ პომიდორს თორმეტი ლიმნია ახლდა. უსიტყვოდ გამოაგდეს სახლიდან ნათლიმამა გოგრა და შიგ შეასახლეს ვეება ქოფაკი მასტინო.

— ესეც თქვენ! — განაცხადა პომიდორმა და მრისხანედ მიმოავლო თვალი იქაურობას. — ახლა თქვენი ბიჭები ისწავლიან ჩემს პატივისცემას, პირველ რიგში კი, აი ის გადამთიელი კონკიჟლარუნა, ხელოსანმა ყურძენამ რომ შეიკედლა.

— მართალია! მართალი! — ყრუდ წამოიყეფა მასტინომ.

— ამ ბებერ, ჩერჩეტ გოგრას კი, — განაგრძო სინიორ პომიდორმა, — აი ეს ძალლი ასწავლის ჭკუას, გააგებინებს, როგორ უნდა ჩემი ბრძანების შესრულება. თუ მოენატრა ჭერქვეშ ყოფნა, მისთვის ყოველთვის მოიძებნება მყუდრო, მოხერხებული ადგილი ციხეში. იქ ყველა დაეტევა.

— მართალია! მართალი! — კვლავ დაუკრა კვერი მასტინომ.

ხელოსანი ყურძენა და ჩიპოლინო სახელოსნოს ზღურბ-

ლზე იდგნენ და ყველაფერს ხედავდნენ, ყველაფერი ესმოდათ. მაგრამ მოხუცს როგორ დაეხმარებოდნენ.

დაღვრემილი ნათლიმამა გოგრა ჩამომჯდარიყო ჯირკზე და წვერს იბდღვნიდა, ბალანი სულ ბღუჯა-ბღუჯა ჩამოჰქონდა. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, ერთი ბეწვიც არ შემრჩება თუ ხელი არ გავაჩერეო, და მოჰყვა ნელ-ნელა ხვნეშას.—თქვენ ხომ გახსოვთ, ნათლიმამა გოგრას ოხვრის რა დიდი მარაგი ჰქონდა.

ბოლოს შებობღდა პომიდორი თავის კარეტაში, მასტინომ ნაბული გააკეთა და პატივისცემის ნიშნად კუდი ააქიცინა.

— უდარაჯე კარგად,—უბრძანა გამომშვიდობებისას პომიდორმა, მათრახი სათითაოდ გადაუჭირა კიტრებს და კარეტა მტვრის კორიანტელში გაეხვია.

ზაფხულის ცხელი, საუცხოო დღე იდგა. პომიდორის გამგზავრების შემდეგ მასტინომ ერთ ხანს ხუხულას აუარ-ჩაუარა. ძალლს სიცხისაგან ენა გადმოეგდო და კუდსაც მარაოსავით აქნევდა, მაგრამ ეს არას შველოდა. სიცხემ და წყურვილმა სულ მოთენთა. არ მაწყენს ერთი ჭიქა ცივი ლუდიო,—გაიფიქრა მასტინომ და აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, იქნებ თვალი მოვკრა რომელიმე ბიჭს და მახლობელ ტრაქტირში გავაგზავნო ლუდისათვისო. თითქოს ჯიბრზე ქუჩაში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. მართალია, სახელოსნოს ღია კარებთან ჩიპოლინო იჯდა და საგულდაგულოდ სანთლავდა ძაფს, მაგრამ ისეთი მწარე ხახვის სუნი ასდიოდა, რომ ძასტინომ ვერ გაბედა მისი დაძახება.

ჩიპოლინო ხედავდა, რომ სიცხისაგან გული ელეოდა ძალლს.

„ბიჭი არ ვიყო თუ ოინი არ გიყოო,"—უცებ გაივლო გულში მან.

მზე სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა, ძალზე ჩამოცხა. საწყალ მასტინოს წყურვილი კლავდა.

„მაინც რა ვჭამე ამ დილით?—ცდილობდა მოეგონებინა,—

ალბათ წვენი იყო მლაშე. პირი მიხურს, ენა კი დამიმძიმდა, გეგონება, ოცი გირვანქა საგოზავი მაკრია ზედ.“

ჩიპოლინომ თავი გამოყო კარებში.

— ეი, ეი, ბიჭუნა, — სუსტი ხმით გასძახა მასტინომ.

— მე მეძახით, სინიორ?

— სწორედ თქვენ, ახალგაზრდავ! გეთაყვა, ერთი ცივ-ცივი ლიმონათი მომირბენინე.

— ოჰ, დიდი სიამოვნებით მოგირბენინებდით ცივ-ცივ ლიმონათს, სინიორ მასტინო, მაგრამ ხომ ხედავთ, ეს-ესაა ჩემმა ბატონმა შესაკეთებლად წალები მომცა. სამუშაოს ერთი წუთით ვერ დავანებებ თავს. თუმც ძალიან კი ვწუხვარ.

ჩიპოლინოს მეტი არაფერი არ უთქვამს, ადგა და სახელოსნოში შევიდა.

— ზარმაცი! ბრიყვი! — წაიბურტყუნა ძალლმა, თან იმ ჯაჭვს წყევლიდა, რომელიც ტრაქტირში შესვლის საშუალებას არ აძლევდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ გამოჩნდა ჩიპოლინო კარებში.

— სინიორინო, — აწკმუტუნდა ძალლი, — იქნებ ერთი ჭიქა უბრალო წყალი მაინც მომიტანოთ.

— დიდი სიამოვნებით მოგიტანდით უბრალო წყალს, — გამოეხმაურა ჩიპოლინო, — მაგრამ სწორედ ახლა მიბრძანა ჩემმა ბატონმა, სინიორ მღვდელს ქუსლები დავუკერო.

კაცმა რომ თქვას, ჩიპოლინოს გულით ებრალებოდა საწყალი მასტინო, რომელიც წყურვილისაგან სულს ლაფავდა, მაგრამ არ ძოსწონდა მისი ხელობა, თანაც ფიქრობდა, სინიორ პომიდორს ერთხელ და სამუდამოდ ჭკუა უნდა ვასწავლოო.

ისე ჩამოცხა შუადღის სამი საათისათვის, რომ ქუჩაში ქვასაც კი ოხშივარი ასდიოდა. სიცხემ და წყურვილმა გააცოფა მასტინო. ბოლოს წამოდგა ჩიპოლინო თავისი პატარა სკამიდან, ბოთლში ჩაასხა წყალი და ჩაყარა შიგ ძილის წამალი. ხელოსნის ცოლი ძილის წინ სვამდა ხოლმე ამ ფხვნილს.

ჩიპოლინომ თითი დაუცო ბოთლს და პირთან მიიტანა, ვითომდა ვსვამო.

— ოჰ, რა საუცხოო, ცივი, ახალი წყალია. — ამბობდა და თან ხელს ისვამდა მუცელზე.

ნერწყვი მოადგა ძაღლს პირზე, თითქოს უცებ შვებაც კი იგრძნო.

— სინიორ ჩიპოლინო, — მიმართა მან, — განა ეგ წყალი სუფთაა?

— დიახ, სუფთაა! ცრემლზე უფრო გამჭვირვალეა.

— ბაქტერიები არა აქვს?

— რასა ბრძანებთ! ეს წყალი გაწმინდა და გაწურა ორმა გამოჩენილმა პროფესორმა. ბაქტერიები თავისთვის დაიტოვეს, წყალი კი მე მომცეს, იმიტომ რომ ფეხსაცმელები დავუკერე.

ჩიპოლინომ კვლავ მოიყუდა ბოთლი, ვითომც ვსვამო.

— სინიორ ჩიპოლინო, — ჰკითხა გაოცებულმა მასტინომ, — ეს რა არის, სვამთ, სვამთ და წყალს კი სულ არ აკლდება.

— საქმეც იმაშია, რომ ეს ბოთლი ჯადოქრულია და რა დაცლის. იგი აწ გარდაცვლილი ბაბუაჩემის ნაჩუქარია.

— ნებას არ მომცემთ, რომ სულ ცოტა, თუნდ ერთი ყლუპი მოვსვა?

— ერთი ყლუპი? დალიეთ რამდენიც გინდათ! — ხომ გითხარით, ჩემი ბოთლი არ იცლება-მეთქი.

წარმოიდგინეთ როგორ გაიხარა მასტინომ! მადლობას მადლობაზე უხდიდა ამ კეთილ სინიორს, ფეხებს ულოკავდა და კუდს აქიცინებდა. ასეთი თავაზიანი თავის ბატონებთან — გრაფინია ალუბლებთანაც კი არ ყოფილა არასდროს.

ჩიპოლინომ სიამოვნებით გაუწოდა ბოთლი, მასტინო ხარბად ეცა და ერთი მოსმით დაცალა. ცარიელ ბოთლს რომ გახედა, გაკვირვებულმა წამოიძახა:

— განა უკვე გამოვცალე? თქვენ ხომ მითხარით...

ვერც კი მოასწრო სიტყვის დამთავრება, რომ მიწაზე გაიშხლართა და დაიძინა.



ჩიპოლინომ შეხსნა ჯაჭვი, ძაღლი მხარზე წამოიგდო და გრაფინია ალუბლების სასახლისაკენ გაემართა. ამ სასახლეში ცხოვრობდა სინიორ პომიდორიც. უკან რომ მოიხედა, დაინახა, ნათლია გოგრა უკვე შესახლებულიყო თავის ხუხულაში, ფანჯარაში გამოეყო მეტისმეტი სიხარულისაგან გაბადრული სახე და გაწეწილი წითური წვერი.

„საცოდავო მასტინო! — ფიქრობდა სასახლისაკენ მიმავალი ჩიპოლინო, — უნდა მაპატიო, გეთაყვა. მეტი გზა არა მქონდა. ვინ იცის, რომ გამოიღვიძებ, როგორ გადამიხდი სამაგიეროს“.

ჭიშკარი ღია დაუხვდა. ძაღლი ბალახზე დააწვინა, ალერსით ხელი მოუცაცუნა და უთხრა:

— კავალერ პომიდორს ჩემს მაგიერ მოკითხვა გადაეცი. არ დაივიწყო ორივე გრაფინიაც.

მასტინომ ნეტარებით რაღაც წაიბურტყუნა. ესიზმრა, ვითომ ბანაობს მთის ტბაში. მერედა რა სასიამოვნო გრილი წყალია. ბანაობს და სვამს, სვამს რამდენიც უნდა. თან თვითონაც ნელ-ნელა წყლად იქცევა. გამოება წყლის კუდი, ყურები, ოთხი თათი ისეთივე მსუბუქი და მოგრძო, როგორც შადრევნის ნაკადია.

— იძინე მშვიდად! — დაუმატა ჩიპოლინომ და სოფლისაკენ გაემართა.

თავი მეხუთე

ნათლია მოცვმა სახლის კარებზე ზარი დაჰკიდა ჟურდებისათვის

სოფელში, დაბრუნებულმა ჩიპოლინომ თავმოყრილი ხალხი დაინახა გოგრას ხუხულასთან. შეშფოთებულები ხმადაბლა კამათობდნენ რაღაცაზე. ეტყობოდათ, კარგადაც იყვნენ შეშინებულები.

— ვითომ რამეს კიდევ გვიხრიკებს კავალერი პომიდორი?— იკითხა დაღონებულმა და შეშფოთებულმა პროფესორმა მსხალამ.

— ასე მგონია, მშვიდობიანად არ ჩაივლის ეს ამბავი. რაც გინდა თქვი და, ისინი არიან ჩვენი ბატონ-პატრონები და თავის ნებაზეც იქცევიან, — თქვა ნათლიდედა გოგრიკომ.

მაშინვე დაეთანხმა პრასას ცოლი. მერე ქმარს მიუბრუნდა, ხელი წაავლო ულვაშებში, გეგონებოდათ, აღვირი მოქაჩაო, და შესძახა:

— ახლავე სახლში შებრუნდი, ვიდრე უფრო უარესი ამბავი არ მომხდარა.

ხელოსანი ყურძენაც კი თავს აქნევდა შეშინებული;

— კავალერი პომიდორი უკვე ორჯერ გააპამპულეს! ამ ამბავს ასე არ დატოვებს და უსათუოდ ეცდება სამაგიერო გადაგვიხადოს.

მხოლოდ ნათლიმამა გოგრა იყო მშვიდად. მას ჯიბეში ჩარჩენოდა შაქარყინული და მისთვის სასიხარულო ამბის აღსანიშნავად, მეზობლებს უმასპინძლდებოდა.

ჩიპოლინომ ერთი კამფეტი აიღო, მოწუწნა და დაფიქრებულმა თქვა:

— მეც მგონია, პომიდორი ასე ადვილად არ დაყრის ფარხმალს!

— მაშინ კი... — ამოიოხრა შეშინებულმა ნათლიმამა გოგრამ. სახე აღარ ულიმოდა, თითქოს მზე ღრუბლებს მოეფარაო.— ჩემი აზრით, მეტი გზა არა გვაქვს, სახლი უნდა გადავმალოთ!

— როგორ უნდა გადავმალოთ?

— როგორ და სულ ადვილად. ეს რომ სასახლე იყოს მაშინ, რა თქმა უნდა, გაგვიჭირდებოდა, მაგრამ ნათლიმამა გოგრას პაწაწკინტელა სახლს მეძონძის ურიკაზეც მშვენივრად დავდგამთ.

მეძონძის ვაჟიშვილი ლობიკო მაშინვე სახლში გაიქცა და ურიკა მოარახრახა.

— სახლი ზედ უნდა შედგათ? — იკითხა შეშფოთებულმა გოგრამ, — ეშინოდა, ეს სათაყვანებელი ხუხულა სულ არ დანგრეოდა.

— ნუ გეშინია, შენ სახლს არაფერი მოუვა, — გაიცინა ჩიპოლინომ.

— მაინც სად უნდა წავიღოთ? — ვერ ისვენებდა ნათლიმამა გოგრა.

— ჯერჯერობით ჩემს სარდაფში შევათრიოთ, მერე საქმეს დავხედოთ და ისე მოვიქცეთ, — შესთავაზა ყურძენამ.

— სინიორ პომიდორმა რომ გაიგოს?

ყველამ მუხუდოსკენ მიიხედა. მუხუდომ კი ისეთი გამო-

მეტყველება მიიღო, ვითომც ის კი არა, ვილაც სხვა იყო და ახლა სულ შემთხვევით მოუხდა აქეთკენ ჩამოვლა.

— ერთი პატიოსანი ადვოკატი გახლავართ, ჩემგან ვერაფერს გაიგებს პომიდორი. მაბეზღარა კი არა ვარ! — იფიცებოდა და იმტკიცებოდა ყურამდე აწითლებული ადვოკატი.

— სარდაფში სახლს ნესტი შეჭამს და შეიძლება დაიშალოს კიდეც, — მორიდებულად ჩაურთო ნათლიმამა გოგრამ. — მოდით ტყეში გადავმალოთ!

— მერედა ტყეში ვინ მიხედავს? — ჰკითხა ჩიპოლინომ.

— ჩემი ნაცნობი ნათლიმამა მოცვა ტყეში ცხოვრობს, — თქვა პროფესორმა მსხალამ. — მას მივანდოთ. მერე კი როგორც საქმე გვიჩვენებს ისე მოვიქცეთ.

ასეც გადაწყდა...

რამდენიმე წუთში ხუხულა ურიკაზე იდო. გოგრა გამოეთხოვა სახლს და ამდენი მღელვარების შემდეგ სიმშვიდე რომ ეგრძნო, გასწია თავის შვილიშვილ გოგრიკოსაკენ.

ჩიპოლინომ, ლობიკომ და მსხალამ ურიკა ტყისკენ დასძრეს. ეს ხუხულა ჩიტის გალიაზე მძიმე არც კი იქნებოდა და ზიდვა სულაც არ გასჭირვებიათ.

ნათლია მოცვა შარშანდელი წაბლის ყქელ და ეკლიან ნაჭუჭში ცხოვრობდა. თუმცა პატარა ბინა ჰქონდა, მაგრამ მთელი თავისი ქონებით შიგ მშვენივრად მოთავსებულიყო. მაკრატლის ნახევარი, დაჟანგული სამართებელი, ძაფგაყრილი ნემსები და ყველის ქერქები — აი მთელი მისი ავლადიდება.

როცა გაიგო ნათლიმამა მოცვამ რაზეც შეწუხებულიყო ეს პატიოსანი ხალხი, ჯერ ძალიან აღშფოთდა:

— მე უნდა ვიცხოვრო ამ უშველებელ სახლში?! არა და არა. არასოდეს არ დაგეთანხმებით, ეს პირდაპირ შეუძლებელია! რა უნდა გავაკეთო მარტოხელამ ამ უზარმაზარ გამოცარიელებულ სასახლეში? მშვენივრად ვგრძნობ თავს ჩემს წაბლის ნაჭუჭში. ხომ გაგიგონიათ: საკუთარ სახლში კედლებიც კი გშველიანო.

მაგრამ როცა გაიგო, რომ ამით ხელს მოუმართავდა ნათლიმამა გოგრას, მაშინვე დათანხმდა:

— მე მისი კეთილისმყოფელი ვიყავი ყოველთვის, ერთხელ გავაფრთხილე კიდეც, საყელოში მუხლუხი ჩაგიძვრა-თქო. შეიძლება კაცმა თქვას, რომ მე სიკვდილისაგან ვიხსენი ნათლიმამა გოგრა.

სახლი დადგეს ერთი უშველებელი მუხის ძირას. ჩიპოლინომ, ლობიკომ და მსხალამ ახალ ბინაში გადაატანინეს მოცვს მთელი მისი ავლადიდება და გამოთხოვებისას დაპირდნენ: სულ მალე დავბრუნდებით ახალი და სასიამოვნო ამბებითო.

მარტოდ დარჩენილი მოცვა შიშმა შეიპყრო, ერთიც ვნახოთ და თავს დამესხან ქურდებიო!

„ახლა ასეთი დიდი სახლი მაქვს და, — ფიქრობდა იგი, — რალა თქმა უნდა, შეეცდებიან ჩემს გაქურდვას. ვინ იცის, იქნებ ეგონოთ განძეული მაქვს და მძინარე მომკლან“.

იფიქრა-იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, კარზე ზარი დაკიდოს, ქვევით კი ბეჭდური ასოებით მიაწეროს:

„უმორჩილესად ვთხოვთ სინიორ ქურდებს, დარეკონ აი ეს ზარი, კარი მაშინვე გაიღება და ისინი საკუთარი თვალით ნახავენ, რომ არაფერია მოსაპარავი“.

დაწერა და თავისუფლად ამოისუნთქა. ბზის ჩასვლისას გულდამშვიდებულმა ტკბილად დაიძინა. შუალამისას ზარის ხმამ გაალვიძა.

— ვინ არის? — იკითხა მოცვამ და ფანჯარაში გაყო თავი.

— ქურდები ვართ! — შემოესმა ვილაცის უხეში ხმა.

— მოვდივარ, მოვდივარ! თუ შეიძლება, მომიცადეთ ცოტა ხანი, ხალათს მოვიხურავ, — თქვა და ჩაცმას შეუდგა. ხალათი მოიხურა, კარი გააღო და ქურდები სახლში შეიპატიჟა. კარებში გამოჩნდა ორი ტანმალალი ბრგე შავწვერა ახალგაზრდა. ჯერ ერთმა, მერე მეორემ, ფრთხილად, ოომ კოპები არ დაჯდომოდათ შუბლზე, შეოგეს თავი სახლში. ისინი

სულ მალე დარწმუნდნენ, რომ მართლაც სახეიროს აქ ვერაფერს იპოვიდნენ.

— სინიორებო, ხომ ხედავთ? თვითონვე დარწმუნდით სიმართლეში, არა? — იფშვნეტდა ხელებს გახარებული ნათლიმამა მოცვა.

— ჰმ, დიახ... — აბუზღუნდნენ იმედგაცრუებული ქურდები.

— დამერწმუნეთ, ბატონებო, სულაც არ მსიამოვნებს, რომ ხელცარიელები ბრუნდებით, — განაგრძო მოცვამ. — რით შემიძლია გემსახუროთ? იქნებ წვერი გაქვთ გასაპარსი? მემკვიდრეობით მერგო პაპაჩემის ნაქონი სამართებელი. მართალია ძველია, მაგრამ ჯერ კიდევ როგორლაც პარსავს.

ქურდები დათანხმდნენ. ამ დაჟანგული სამართებლით დიდი ვაი-ვაგლახით გაიპარსეს პირი. რამდენჯერმე მადლობაც გადაუხადეს მასპინძელს და წავიდნენ. აფერუმ მათ ვაჟკაცობას!

ვინ იცის, რამ აიძულათ, ასეთ სამარცხვინო ხელობას რომ მოჰკიდეს ხელი.

ნათლია მოცვა ისევ ლოგინში ჩაწვა და დაიძინა.

ღამის ორ საათზე ისევ ზარის წკრიალმა გააღვიძა, კვლავ ორი ქურდი ეწვია.

— თითო-თითო შემობრძანდით, რომ სახლი არ ჩამომენგრას. — უთხრა ნათლიმამა მოცვამ ქურდებს.

ორივე ქურდი პირტიტველა იყო, ერთ ქურდს ღილები აწყვეტოდა ქურთუკზე, არც ერთი ღილი არ ეკერა ზედ! მოცვამ ნემსი და ძაფი აჩუქა მას და თან რჩევაც დააყოლა, სეირნობის დროს ყურადღებით იარეო.

— ძირს იყურე და გზაზე ღილების მეტს რას იპოვნის კაცი, — აუხსნა ნათლიმამა მოცვამ ქურდს.

მალე ეს ქურდებიც გაუდგნენ თავიანთ გზას.

ერთი სიტყვით, ნათლია მოცვს ყოველ ღამე ძილს უფრთხობდნენ ქურდები, ჩამოჰკრავდნენ ზარს, შეყოფდნენ თავებს სახლში, და კვლავ უკან ბრუნდებოდნენ, თუმცა ხელმოცარ-

ულნი, მაგრამ დიდად კმაყოფილნი, იმითაც, რომ ჰქონდათ ბედნიერება გაცნობოდნენ ასეთ კეთილ, თავაზიან პატარა სახლის პატრონს.

მაშ, როგორც ხედავთ, გოგრას სახლი საიმედო კაცს ჩაუვარდა ხელში.

მოდით ჯერჯეროობით დავტოვოთ ისინი და ვნახოთ, რა ხდება სხვაგან.

თავი მეექვსე

ამ თავში მოგითხრობთ, რამდენი დავიდარაბა და უსიამოვნება მიაყენეს გრაფინია ალუბლებს ნათესავებმა — ბარონმა ფორთოხალმა და ჰერცოგმა მანდარინმა

ახლა შევიხედოთ გრაფინია ალუბლების სასახლეში. თქვენ ალბათ მიხვდით, რომ მთელ ამ სოფელს თავისი სახლებით, მიწებით, ეკლესიითა და სამრეკლოთი ფლობდნენ გრაფინია ალუბლები.

იმ დღეს, როცა ჩიპოლინომ ტყეში წაიღო ნათლიმამა გოგრას სახლი სასახლეს დაეტყო უჩვეულო გამოცოცხლება: გრაფინიებს ნათესავები ეწვივნენ.

ესენი გახლდათ: ბარონი ფორთოხალი და ჰერცოგი მანდარინი. ბარონი ფორთოხალი უფროსი გრაფინია ალუბლის აწ განსვენებული მეუღლის ბიძაშვილი იყო. ჰერცოგი მანდარინი კი უმცროს გრაფინიას აწ განსვენებულ მეუღლეს ბიძაშვილად ეკუთვნოდა. ბარონ ფორთოხალს უშველებელი მუცელი ჰქონდა. გასაკვირი არცაა, არაფერს აკეთებდა ჭამის მეტს. მის ყბებს მოსვენება არ ჰქონდათ, სულ ჭამდა და ჭამდა. ერთი-ორი საათით, ისიც ძილის დროს თუ მოკუმავდა პირს.

როცა ბარონი ფორთოხალი ახალგაზრდა იყო, საღამოს

რომ დაწვებოდა, დილამდე ეძინა—მაშ მთელი დღის ნაჭამს მონელება არ უნდოდა. მან თავის თავს უთხრა, „ძილი მხოლოდ დროს დაკარგვაა, როცა მძინაეს ვეღარა ვჭამ“.

ამიტომ გადაწყვიტა, ეჭამა ღამითაც და საჭმლის მონელებისათვის მხოლოდ ორი საათი გამოეყო დღეღამეში. რომ გაეძღოთ ბარონი ფორთოხალი, ყოველდღიურად მის მრავალრიცხოვან სამფლობელოებიდან, რომელიც მთელ ამ მხარეს მოსდებოდა, ნაირნაირ სურსათით დატვირთულ ურმებს აგზავნიდნენ.

საცოდავმა გლეხებმა აღარ იცოდნენ, კიდევ რა გაეგზავნათ მისთვის. რას არ ხეთქავდა ბარონი: კვერცხებს, ქათმებს, ღორებს, თხებს, ძროხებს, ბაჭიებს, ხილს, ბოსტნეულს, პურს, ორცხობილას, ნამცხვარს. ორი მოსამსახურე უტენიდა პირში გამოგზავნილ სურსათ-სანოვაგეს. დაიღლებოდნენ ისინი და ახლა მათ სხვა ორი შინამოსამსახურე ცვლიდა.

ბოლოს და ბოლოს გლეხებმა კაცი მიუგზავნეს ბარონს: გავპარტახდით, სულ გამოგველია საჭმელი. საქონლის ხსენება აღარ არის, ხეებსაც აღარაფერი ასხიაო.

— მა'მინ გამოგზავნეთ თვით ხეები,— ბრძანა ბარონმა.

გლეხებმა გაუგზავნეს ეს ხეებიც. ბარონი აწებდა ფოთლებსა და ფესვებს ზეითუნის ზეთში, აყრიდა ზედ მარილს და ასე ხრავდა.

ხეხილს რომ მუსრი გააკლო, მერე საკუთარი მიწების გაყიდვას მიჰყო ხელი. აღებული ფულით საჭმელს ყიდულობდა. როცა მთელი მამული მიაყიდა, უფროს გრაფინიას წერილი მისწერა, ჩამოვალო სთხოვდა.

რაღა დაგიმალოთ და უმცროს გრაფინია ალუბალს არაფრად ეჭაშნიკებოდა მისი სტუმრობა.

— ბარონი ჩანთქავს ჩვენს ქონებას. ერთ თეფშ მაკარონივით მთელ ჩვენს სასახლეს მუცელში გადაუძახებს.

ატირდა უფროსი გრაფინია:

— შენ ჩემი ნათესავების სტუმრობა არ გსიამოვნებს. ვიცი, არასდროს არ გიყვარდა საწყალი მსუქანი ბარონი.

— მაშ კარგი, — დაეთანხმა უმცროსი გრაფინია, — მოიწვიე შენი ბარონი, მე კი ჩემი განსვენებული მეუღლის ბიძაშვილს ჰერცოგ მანდარინს ვთხოვ მობრძანდეს.

— როგორმე მიყავი ეს სიკეთე, — ზიზღით უპასუხა უფროსმა გრაფინიამ. — ის ხომ წიწილაზე ნაკლებს მიირთმევს. საცოდავ შენს ქმარს, ღმერთმა აცხონოს, სულ ასეთი დალეული, კაფანდარა ნათესავები ჰყავს. მიწას არ აჩნიან. საცოდავი ჩემი ქმრის ნათესავები კი, ღმერთმა აცხონოს, სულ რჩეული გეგონება: ყველანი მაღლები, მსუქნები და წარმოსადეგები არიან.

მართლაც ძალიან ახოვანი იყო ბარონი ფორთოხალი. ერთი ვერსიდანაც კი ასე გეგონებოდათ, მთა მოგორავსო. ბარონი ფორთოხალი ეწვია თუ არა გრაფინიებს, მაშინვე დაუქირავეს მომვლელი, რომელსაც უნდა ეტარებინა ბარონის ლიპი. ბარონი უკვე ვეღარ ერეოდა თავის უშველებელ მუცელს.



პერანგების უთოობაში იყო. როცა მოუტანდა იგი გატეხილ-ნებულ თეთრეულს, ჰერცოგი უკმაყოფილოდ დაიღმიჭებოდა, აბურტყუნდებოდა, წამოიყვირებდა რაღაცას, მერე აცოცდებოდა კარადაზე და ყველას გასაგონად აღრიალდებოდა:

— მიშველეთ, ვკვდები!

კისრისმტვრევით შემოვარდებოდა უმცროსი გრაფინია:

— ჩემო ძვირფასო მანდარინო, რა მოგივიდა?

— ოჰ, ისე ცუდად დამიუთოვეს პერანგი, რომ სიცოცხლე აღარ მინდა! ეტყობა, ყველასათვის ზედმეტი ბარგი ვარ!

ოღონდაც თავი არ მოეკლა და ცოცხალი დარჩენილიყო, ჰერცოგს უმცროსი გრაფინია ასაჩუქრებდა და ასაჩუქრებდა გარდაცვლილი ქმრის ნაქონი აბრეშუმის ნაქარგი პერანგებით.

ჰერცოგიც ფრთხილად ჩამობობღდებოდა ხოლმე კარადიდან და იზომებდა ამ პერანგებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ, მისი ოთახიდან კვლავ მოისმოდა ყვირილი:

— ოო, ცაო, ვკვდები!

ისევ გარბოდა უმცროსი გრაფინია გულგახეთქილი:

— ჩემო ძვირფასო მანდარინო, რა მოხდა?

— ოო, დავკარგე პერანგის საყელოს ყველაზე კარგი საკინძი. ოჰ, რა დიდი დანაკარგია, რა დიდი! რაღად მინდა თავი ცოცხალი! — ყვიროდა სარკის თავზე შემომჯდარი ჰერცოგი.

ბოლოს და ბოლოს რომ დაეშოშმინებინა ჰერცოგი, უმცროსმა გრაფინიამ ქმრის ნაქონი ოქროს, ვერცხლისა და ძვირფასი ქვებით მოოქვილი საკინძეები აჩუქა.

ერთი სიტყვით, მზე ჯერ ჩასულიც არ იყო, უმცროს სინიორა გრაფინიას კი სულ შემოელია ძვირფასეულობა, სამაგიეროდ ჰერცოგმა ჩემოდნები გაივსო და ახლა კმაყოფილი ხელებს ისრესდა.

გრაფინიებს გულს ტკენდა და აწუხებდა ორივე ნათესავის უზომო სიხარბე და ბოლმას ობოლ ბიძაშვილზე, საწყალ

ალუბლიკოზე ანთხევდნენ, რომელსაც აღარც დედა ჰყავდა და აღარც მამა.

— უქნარა! — უყვიროდა სინიორა უფროსი გრაფინია. — ახლავე ამოცანების ამოხსნას შეუდექი.

— ყველა ამოცანა ამოვხსენი უკვე.

— მაშ, ახალ ამოცანებს ჩაუჯექი! — მკაცრად ბრძანებდა უმცროსი გრაფინია.

ალუბლიკო მორჩილად ხსნიდა და ხსნიდა ახალ ამოცანებს. ყოველ დღე იმდენს მეცადინეობდა, რომ რამდენიმე რვეულს ავსებდა და კვირის ბოლოს პირდაპირ რვეულების მთელი გროვა დგებოდა.

ნათესავების ჩამოსვლის დღეს ხომ გრაფინიები წამდაუწუმ მივარდებოდნენ ხოლმე ბავშვს:

— აქ რას ტრიალებ, ზარმაცო?

— პარკში მინდოდა გამევლო...

— პარკში ბარონი ფორთოხალი სეირნობს, იქ შენისთანა უსაქმურებს რა უნდათ, ახლავე წადი, გაკვეთილები ისწავლე!

— გაკვეთილები უკვე დავამზადე...

— მაშ ხვალინდელ გაკვეთილებს ჩაუჯექი.

მორჩილი ალუბლიკოც სწავლობდა მეორე დღის გაკვეთილებს. ყოველ დღე იმდენს მეცადინეობდა, რომ გაიზეპირა თავისი სახელმძღვანელოები და სასახლის ბიბლიოთეკაც მთლად გადაიკითხა.. მაგრამ, როცა გრაფინიები წიგნს დაუნახავდნენ ხელში, კიდევ მეტად აყვირდებოდნენ:

— ახლავე დადე თავის ადგილზე წიგნი, ურჩო. გინდა რომ დახიო, ხომ?

— უწიგნოდ როგორ ვისწავლო გაკვეთილები?

— ზეპირად ისწავლე.

ალუბლიკო შევიდოდა თავის ოთახში და სწავლობდა და სწავლობდა საბრალო უწიგნოდ. თავაუღებელი მეცადინეობისაგან ბავშვს თავის ტკივილი დასჩემდა. გრაფინიები კი მაინც დასჩხაოდნენ თავს:

— სულ ავადმყოფობ. აბა რა მოგივა ამდენი ფიქრისაგან. იცოდე. არ გაბედო ფიქრი — მაშინ წამლებზე ამდენ ფულსაც აღარ დავხარჯავთ.

ერთი სიტყვით, რაც არ უნდა გაიკეთებინა ალუბლიკოს, მაინც უკმაყოფილოები იყვნენ გრაფინიები.

აღარ იცოდა ალუბლიკომ როგორ მოქცეულიყო, რომ არ დაეტუქსათ. რა უბედური ვარო, თიქრობდა.

მხოლოდ ერთადერთი მეგობარი ჰყავდა სასახლეში მას — მოახლე მარწყვა. მარწყვას ძლიერ ეცოდებოდა ყველასაგან მოძულებული ფერმკრთალი, სათვალებიანი პატარა ბიჭი. საღამოობით, როცა ბავშვი დაწვებოდა დასაძინებლად, მოახლე ჩუმად მიურბენინებდა პირის ჩასატკბარუნებელს და თან ეალერსებოდა.

ამ საღამოსთვის აღარაფერი დარჩა სასუსნავი — ყველაფერი სადილობისას მიირთვა ბარონმა.

განა ჰერცოგ მანდარინს კი არ უნდოდა პირის ჩატკბარუნება? მან ძირს დააგდო ხელის საწმენდი, აბობღდა ბუფეტზე და აღრიალდა:

— დამიჭირეთ თორემ ძირს ჩამოვარდებიო! — ბევრი იღრიალა, მაგრამ მერე რა, ბარონს ახლა ყურიც არ შეუბერტყავს. გულდამშვიდებული მიირთმევდა ნამცხვარს.

უმცროსი გრაფინია მუხლებზე დაეცა ბუფეტის წინ და თვალცრემლიანი ეევედრებოდა თავის ძვირფას ნათესავს: ასე ახალგაზრდა თავს ნუ მოიკლავ. რომ დაპირებოდა, რამეს გაჩუქებო, იცოდა, მაშინვე ჩამოვიდოდა, მაგრამ უკვე აღარაფერი ჰქონდა გასაჩუქებელი.

ბოლოს და ბოლოს ჰერცოგი დარწმუნდა, უკვე ველარაფერს გამორჩებოდა და დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ პომიდორის დახმარებით ძირს ჩამობრძანდა. პომიდორი ოფლში გაწურულიყო ამდენი მღელვარებისა და ჭინთვისაგან.

სწორედ ამ დროს აცნობეს სინიორ პომიდორს, ნათლიმამა გოგრას სახლი სულ საიდუმლოდ გაქრაო.

კავალერს დიდხანს არ უფიქრია, მაშინვე საჩივარი აახლა პრინც ლიმონოს, სთხოვდა, ოციოდე ლიმნია — პოლიციელი მიევლინა სოფელში.

* * *

მეორე დღესვე სოფელს ლიმნიები შეესიენ და წესრიგი დაამყარეს. სახლი არ დატოვეს, შიგ რომ არ შეეხედათ და ვინც ხელში მოხვდათ, ყველა დააპატიმრეს.

ყველაზე პირველად ყურძენას წაავლეს ხელი. იგი ბურტყუნით აედევნა პოლიციელებს. მეწაღეს სადგისი არ დავიწყებია. გულზე ბოლმა რომ შემოაწვებოდა, მოიფხანდა კეფას. მაგრამ ეს სიამოვნებაც მაშინვე რომ წაართვეს.

— ციხეში იარაღის შეტანის უფლება არა გაქვსო! — უთხრეს ყურძენას.

— მაშ კეფა რითლა მოვიფხანო?

— როცა ფხანა აგიტყდეს, უთხარი ვინმე უფროსს და ჩვენ თვითონ როგორმე მოგფხანთ თავს! — თქვა ლიმნიამ და ხელოსანს კეფაზე მოუღიტინა თავისი ბასრი ხმლით.

არც პროფესორი მსხალა დაინდეს. მან ვიოლინოსა და სანთლის წაღება ითხოვა.

— სანთელი რაღად გინდა? — ჰკითხეს.

— ცოლმა მითხრა, სასახლის ქვეშ ისე ბნელა, თვალში თითს ვერ მიიტანო. მე კი ახალი ნოტები მაქვს დასასწავლი.

ერთი სიტყვით, სოფლის მთელი მოსახლეობა დააპატიმრეს. ხელი არ ახლეს მხოლოდ სინიორ მუხუდოს, რადგან იგი სოფლის ადვოკატი გახლდათ, და პრასას, რომელიც ვერსად იპოვეს.

პრასას არც უფიქრია დამალვა. გულმშვიდად იჯდა თავის აივანზე, თოკის მაგიერ ულვაშები გაეჭიმა და თეთრეულს აშრობდა. ლიმნიებმა გვერდზე ჩაუარეს პრასას, მაგრამ იგი ისე დაეფარა ზეწრებს, პერანგებსა და წინდებს, რომ ვერც კი შეამჩნიეს.

ნათლიმამა გოგრა უკან მისდევდა პოლიციელებს და ოხრავდა.

— ასე ხშირად რას ოხრავ? — მკაცრად ჰკითხა ოფიცერმა.

— განა არა მაქვს სახვნეში? მთელი ჩემი სიცოცხლე სულ ვმუშაობდი და მხოლოდ ოხვრა-ხვნეშა დავაგროვე. ყოველ დღე თითო ხვნეშა... და აჰა, ახლა ათასობით დამიგროვდა. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გამოვიყენო საქმეში!

ქალებიდან მხოლოდ ნათლიდედა გოგრიკო დააპატიმრეს. და რაკი განაცხადა, ციხეში ჩემი ფეხით ვერ წამიყვანთო, ეცნენ, ეს მსუქანი ქალი წამოაქციეს და სასახლის კარებამდე ასე მიაგორეს.

მოხერხებულები იყვნენ ლიმონიკოები, მაგრამ ჩიპოლინო მაინც ვერ დააპატიმრეს. ისა და ერთი გოგონა ბოლოკა,

ღობეზე შემომჯდარიყვნენ და გამომწვევად გადასცქეროდნენ პოლიციელებს.

პოლიციელებმა გვერდზე ჩაუარეს, გამოესაუბრნენ კიდეც ორივეს, ამ ახლომახლოს თვალი ხომ არ მოგიკრავთ საშიშ მეამბოხე ჩიპოლინოსათვისო, ჰკითხეს.

— დავინახეთ, დავინახეთ! — ერთხმად შესძახა ორივემ. — აი, ეს-ესაა ახლა ჩაუძვრა თქვენს ოფიცერს სამკუთხა ქუდში.—

და სიცილ-ხარხარით იქაურობას გასცილდნენ.

იმ დღესვე ჩიპოლინო და ბოლოკა სასახლისაკენ გაემართნენ დასაზვერად. ჩიპოლინომ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა პატიმრები გაეთავისუფლებინა. რაღა თქმა უნდა, ბოლოკამაც დახმარება აღუთქვა.



თავი მეშვიდე

ალუბლიკო უყურადღებოდ სტოვებს სინიორ ოხრახუშას განცხადებებს

ბორცვის თავზე წამოჭიმულ გრაფინიების სასახლეს გარს ერტყა უშველებელი პარკი. ჭიშკარზე კი ეკიდა განცხადება. განცხადების ერთ მხარეზე ეწერა: „შესვლა აკრძალულია“, მეორეზე—„გამოსვლა აკრძალულია“.

განცხადების წინა გვერდი სოფლის ბიჭებს აფრთხილებდა, რკინის ღობის იქით გადასვლა არ იფიქროთო. ხოლო მეორე გვერდი ალუბლიკოს: არ იფიქრო პარკიდან გასვლა და სოფლის ბავშვებთან თამაშიო.

სულ მარტოდ მარტო დასეირნობდა ალუბლიკო პარკში, ფრთხილად აბიჯებდა ლარივით გაჭიმულ გზაზე, აქაო და შემთხვევით ფეხი არ დავადგა ყვავილნარს და კვალი არ გადავთელოო. მისმა დამრიგებელმა სინიორ ოხრახუშამ მთელი პარკი მოფინა განცხადებებით, რომელშიც მითითებული იყო, რის გაკეთება შეეძლო და რა ეკრძალებოდა ალუბლიკოს.

ასე მაგალითად, ოქროს თევზებიან აუზთან ეწერა:

„ალუბლიკოს ეკრძალება ხელების ჩაყოფა წყალში“.

აქვე იყო სხვა წარწერაც:

„აკრძალულია თევზებთან ლაპარაკი“.

შუაგულ ყვავილნარში აი რა წარწერა მოჩანდა: „ყვავილებს ხელს ნუ ახლებთ, თორემ ტკბილეულს არ მიიღებთ“.

იყო სხვა ასეთი გამაფრთხილებელი წარწერაც:

„ვინც ბალახს გათელავს, იძულებულს გავხდით ორიათასჯერ დაწეროს შემდეგი წინადადება:“ მე უზრდელი ბიჭი ვარ“. ეს განცხადება მოიგონა შინამასწავლებელმა და ალუბლიკოს ალმზრდელმა სინიორ ოხრახუშამ. ერთხელ ბიჭუნამ თავის დიდგვაროვან მამიდებს სთხოვა: ნება მომეცით სოფლის სკოლაში იმ ბავშვებთან ერთად ვისწავლო, რომლებიც ასე მხიარულად ჩაურბენენ ხოლმე სასახლეს და სასწავლო აბგასაც დროშასავით მიაფრიალებენო. უფროსი გრაფინია აღშფოთდა:

— ვის გაუგია, რომ გრაფი ალუბალი და ვიღაც გლეხუჭა ერთ მერხზე ისხდნენ. სისულელეა, მეტი არაფერი!

უმცროსი გრაფინია მაშინვე დაემოწმა:

— ალუბლებს ჯერ არ მოსწრებიათ ხმელ სასკოლო მერხზე ჯდომა. ეს არ მომხდარა და არც მოხდება!

აიღეს და ბოლოს ალუბლიკოს დაუქირავეს შინამასწავლებელი. სწორედ რომ საოცარი ადამიანი იყო ეს სინიორ ოხრახუშა: კაცმა არ იცის საიდან გამოძვრებოდა და იქ ამოყოფდა თავს, სადაც საჭირო არ იყო. ვთქვათ, ალუბლიკო ამზადებს გაკვეთილებს, უცებ მან მიაპყრო ყურადღება სამელნეში ჩამძვრალ ბუზს — უთუოდ იმასაც წერა უნდა ისწავლოს. სად არის და სად არა, აგერ ოხრახუშა გამოტყვრა. მაშინვე გაშალა უჯრედებიანი უშველებელი ლურჯ-წითელი ცხვირსახოცი, ერთი მაგრად მოიწმინდა ცხვირი და მოჰყვა საცოდავი ალუბლიკოს ტუქსვას:

— შავი დღე დაადგებათ იმ ბიჭებს, რომელნიც თავს ანებებენ მეცადინეობას და ბუზებს შესცქერიან. უბედურებაც აქედან იწყება: ერთ ბუზს მოჰყვება მეორე, მეორეს მესამე, მეოთხე, მეხუთე... მერე ობობას ქსელს, კატას და სხვა ცხოვე-

ლებსაც მიაცეცებ თვალებს და ვილას მოაგონდება გაკვეთილები. ვინც გაკვეთილებს არ სწავლობს, ის წესიერი ბიჭიც არ არის. თუ ბიჭი წესიერი არ არის, ის არც საიმედო კაცი იქნება. ასეთ ადამიანებს კი ადრე თუ გვიან ციხეში ამოაყოფინებენ თავს. მაშ, ალუბლიკო, თუ არ გინდა შენი სიცოცხლე ციხეში გაატარო, ბუზს ალარ შეხედო.

თუკი გაკვეთილების შემდეგ ალუბლიკო სახატავ რვეულს გადაშლიდა, ცოტას დაეხატავო, ერთბაშად იქ განჩდებოდა სინიორ ოხრახუშა. იგი ნელ-ნელა გაშლიდა თავის უჯრედებიან ცხვირსახოცს და მოჰყვებოდა:

— შავი დღე დაადგება იმ ბიჭებს, რომლებიც დროს კარგავენ ჯლაბნაში. რა გამოვლენ, როცა გაიზრდებიან? ბევრი, ბევრი გაზინზლილი, ჩამოკონკილი, გაჭირვებული მღებავები, რომლებიც მთელი დღეები ფერადებით თხუპნიან კედლებს და ბოლოს რასაც დასთესენ მასვე მოიმკიან — ციხეში ჩაჯდებიან. ალუბლიკო აბა დაფიქრდი, განა მოგენატრა ციხე?

ციხით დაშინებულ ბავშვს ალარ იცოდა რისთვის მოეკიდა ხელი.

საბედნიეროდ, ხანდახან ოხრახუშა თვალს წაატყუებდა, ზოგჯერ კი პირის პატივიც იცოდა — ერთ პატარა ბოთლ ჭაჭის არაყს მოულხენდა. აი ასეთ სანეტარო წუთებში ლაღად გრძნობდა თავს ალუბლიკო. თუმცა ოხრახუშა არც მაშინ ავიწყებდა თავს: ყველგან ეკიდა მისი დარიგებები და ამით დაიმედებული სინიორ ოხრახუშა ერთ ზედმეტ საათს კიდევ წაიძინებდა ხოლმე. ნებივრობდა ჩამობურული ხის ჩრდილქვეშ და დარწმუნებული იყო, მისი მოწაფე ერთ წუთსაც არ ჰკარგავდა უქმად, სეირნობდა პარკში და ითვისებდა ამ სასარგებლო დარიგებებს.

ალუბლიკო კი მიუახლოვდებოდა თუ არა განცხადებებს, აუცილებლად მოიხსნიდა სათვალეს, რომ არ დაენახა წარწერა და ხელი არ შეეშალა საკუთარი ფიქრების მიმდინარეობისათვის.

ასე დასეირნობდა საკუთარ ფიქრებში გართული ალუბ-

ლიკო პარკში, რომ უცებ ვიღაცის წრიპინა ხმა შემოესმა:

— სინიორ ალუბლიკო! სინიორ ალუბლიკო!

ბავშვი მიბრუნდა და ღობის იქითა მხარეს თვალი მოჰკრა თავის ტოლ, დაახლოებით თავისივე ხნის ცუდად ჩაცმულ, მხიარულსა და სასაცილო შესახედაობის პატარა ბიჭს. ბიჭუნას უკან ათიოდე წლის გოგონა მოსდევდა. მისი ნაწნავი ბოლოკის კუდს მოგაგონებდათ.

— გამარჯობათ სინიორებო, გამარჯობათ! არ ვიცი ვინა ხართ, მაგრამ თქვენი ნაცნობობა მეტად სასიამოვნოა, — თავაზიანად მიესალმა ალუბლიკო.

— აბა, რატომ არ მოხვალთ ახლოს?

— საბწუხაროდ, არ შემიძლია. აქ ჩამოკიდებულია განცხადება, რომელშიც წერია, რომ მე აკრძალული მაქვს სოფლის ბავშვებთან ლაპარაკი.

— ჩვენ სოფლის ბავშვები ვართ და აი, უკვე გელაპარაკებით კიდეც.

— მაშინ მოგიახლოვდებით!

ალუბლიკო იყო მეტად მორიდებული და ზრდილობიანი ბიჭუნა, მაგრამ გადამწყვეტ წუთებში თამამად შეეძლო მოქმედება, ერთს არ მოიხედავდა უკან. ჰოდა, ახლაც პირდაპირ ბალახებში გადააბიჯა და მიადგა ღობეს. არც კი მოჰგონებია, რომ აკრძალული ჰქონდა ბალახების გადათელვა.

— მე ბოლოკა ვარ, — გააცნო თავი გოგონამ, — ეს კი ჩიპოლინო გახლავთ.

— ძალიან სასიამოვნოა, სინიორინა. მიხარია, სინიორ ჩიპოლინო, რომ გაგიცანით. თქვენი სახელი გამიგონია.

— ვისგან გაიგეთ?

— კავალერი პომიდორი გახსენებდათ.

— რა თქმა უნდა, კარგს არაფერს იტყოდა.

— მართალი ხართ, კარგი არაფერი უთქვამს. სწორედ ამიტომ ვფიქრობდი, ალბათ ძალიან კარგი ბიჭია-მეთქი. და არც შევმცდარვარ.

ჩიპოლინოს გაეღიმა:

— სასიამოვნოა. აბა რაღას ვერიდებით ერთმანეთს. გეგონებათ, მოხუცი კარისკაცები ვიყოთ, ისე ვებოდიშებით ერთმანეთს და თქვენობით მივმართავთ. მოდით, პირდაპირ შენობით ვილაპარაკოთ.

ალუბლიკოს უცბად გაახსენდა სამზარეულოს კარებზე გაკრული წარწერა, რომელიც აფრთხილებდა: „არავის ელაპარაკოთ შენობით!“ ეს განცხადება მასწავლებელმა იმიტომ ჩამოჰკიდა, რომ ერთხელ ალუბლიკოსა და მარწყვას მეგობრულ საუბარს შეესწრო. ახლა ალუბლიკომ ამ წესის დარღვევაც გადაწყვიტა და მხიარულად უპასუხა ჩიპოლინოს:

— კარგით, მივმართოთ ერთმანეთს შენობით.

— გახსოვს, რას გეუბნებოდი, ჩიპოლინო? ხომ ხედავ რა კარგი ბიჭია ალუბლიკო.— უთხრა მეტისმეტად ნასიამოვნებმა ბოლოკამ ჩიპოლინოს.

— მადლობელი ვარ, სინიორინა,—თავი დაბლად დაუკრა ალუბლიკომ. უცებ სახეზე სიწითლემ გადაჰკრა და უბრალოდ დაუმატა:—გმადლობთ, ბოლოკოკო!

და სამივენი მხიარულად აკისკისდნენ. ალუბლიკო ჯერ ცალი ყბით იცინოდა, არ ავიწყდებოდა სინიორა ოხრახუშას დარიგება. სულ იმას ეჩიჩინებოდა ზრდილობიანი ბიჭები არასდროს ხმამაღლა არ იცინიანო, მაგრამ ჩიპოლინოსა და ბოლოკას სიცილი რომ გაიგონა, ისიც გულიანად აკისკისდა.

ამ დროს ორივე კეთილშობილი გრაფინია ვერანდაზე ჩაის მიირთმევდა. ხმამაღალი მხიარული სიცილი უჩვეულო იყო სასახლისათვის და უფროსმა გრაფინიამ ჩაილაპარაკა:

—რაღაც უცნაური ხმაური მესმის.

—მეც მესმის რაღაც ხმები. წვიმა თუ მოდის.—თავი დაუქნია უმცროსმა გრაფინიამ.

—უნდა მოგახსენოთ, ჩემო ძვირფასო დაიკო, რომ არავითარი წვიმა არ მოდის,—მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა უფროსმა გრაფინიამ.

— არა, წვიმა მოვა!—გადაჭრით თქვა უმცროსმა გრაფინიამ და ცას ახედა თავისი სიტყვის დასადასტურებლად.

მოკრიალებულ ცაზე ღრუბლის ერთი ფთილაც არ ჩანდა.

— შადრევანი თუ ჩუხჩუხებს, — კვლავ წამოიწყო უფროსმა გრაფინიამ.

— ჩვენი შადრევანი ასე როგორ იჩუხჩუხებს, მოგეხსენებათ, შიგ წვეთი წყალი არ არის.

— ალბათ მებაღემ შეაკეთა.

პომიდორსაც შემოესმა ხმაური და აღელდა.

„სასახლის ქვეშ პატიმრები არიან,—გაიფიქრა მან,—სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ცუდი არაფერი მოხდეს“.

პომიდორმა პარკს შემოუარა და უცებ სასახლის უკან, სწორედ სოფლისკენ მიმავალ გზასთან, მხიარულად მობაასე ბავშვებს წააწყდა.

ცას რომ პირი დაეღო და დედამიწისათვის ანგელოზები გამოეგზავნა, ასე ელდანაცემი არ იქნებოდა პომიდორი. ალუბლიკო ბალახს თელავდა, და მეგობრულად ელაპარაკებოდა ორ კონკიჟღარუნას!.. ეგ კიდევ არაფერი: ერთი შეხედვით იცნო ის ჩამოკონკილი ბიჭი, რომელმაც სულ ახლახან მწარედ ატირა.

პომიდორი გაცოფდა. სახეზე ალი მოედო: ახლომახლო მეხანძრეები რომ ყოფილიყვნენ, მაშინვე განგაშს ასტეხდნენ.

— სინიორ გრაფო!—დაიღრიალა პომიდორმა შეცვლილი ხმით.

ალუბლიკო შემობრუნდა და პომიდორი რომ დაინახა, გაფითრებული ლობეს აეკრა.

— მეგობრებო, — წაიჩურჩულა მან, — თავს უშველეთ, სანამ პომიდორი ჯერ კიდევ შორს არის. მე ვერაფერს გამიბედავს, სამაგიეროდ თქვენზე იყრის ჯავრს. მაშ ნახვამდის.

ჩიპოლინომ და ბოლოკამ თავქუდმოგლეჯით მოუსვეს. კარგა დიდხანს ესმოდათ პომიდორის გააფთრებული ყვირილი.

— ამჯერად, — ამოიოხრა ბოლოკამ, — ჩვენი ლაშქრობა უშედეგოდ დამთავრდა.

— ჩემი აზრით, ბედნიერი დღე გაგვითენდა. ახალი მეგობარი შევიძინეთ, ეს პატარა საქმეა? — გაიღიმა ჩიპოლინომ.

* * *

მარტოდ დარჩენილმა ახალმა მეგობარმა, ანუ ალუბლიკომ, კარგად იცოდა, რა შავ დღეს დააყენებდნენ სინიორ პომიდორი, ოხრახუშა, უფროსი გრაფინია, უმცროსი გრაფინია, ბარონი ფორთოხალი და ჰერცოგი მანდარინი.

გრაფინიების ორივე დიდგვაროვანი ნათესავი დიდი ხანია მიხვდა, რომ ვისაც არ უნდა დაეტუქსა ალუბლიკო ამით დიდად ასიამოვნებდა გრაფინიებს. ამიტომ იხელთებდნენ თუ არა დროს, მაშინვე ჩასცხებდნენ საწყალ ბიჭს. რა ხანია შეეჩვია ამას ალუბლიკო.

ახლა რაღაც ებჯინებოდა ალუბლიკოს ყელში, ძლივს იკავებდა ცრემლებს. მაგრამ სულაც არ აშინებდა მათი ყვირილი, საყვედურები და მუქარა. რამდენიც უნდა იწივლონ და იკივლონ გრაფინიებმა, მოჰყვეს მოსაწყენ დარიგებებს ოხრახუშა, რას დააკლებს მანდარინის უკბილო დაცინვები, მაგრამ ბავშვს მაინც თავი ყველაზე უბედური ეგონა. იგი პირველად შეხვდა მეგობრებს თავის სიცოცხლეში, ერთხელ ძლივს იჯერა გული ლაპარაკით და გულიანადაც იცინა. ახლა კი კვლავ მარტოა... იმ წუთიდან, როცა ჩიპოლინო და ბოლოკა სწრაფად დაეშვნენ ბორცვიდან, ალუბლიკომ სამუდამოდ დაკარგა ისინი. შეხვდება კი მათ ოდესმე? არაფერს დაიშურებდა, ოღონდ კვლავ ბავშვებთან ყოფილიყო იქ, თავისუფლებაში, სადაც არ

არის განცხადებები და არაფერს კრძალავენ, შეიძლება ბალახებში ნავარდი და ყვავილების კრეფა.

ბავშვმა პირველად იგრძნო გულში რაღაც უცნაური, აუტანელი ტკივილი. ჩვენ მას ტანჯვას ვეძახით. ალუბლიკო გრძნობდა, რომ არ შეეძლო ამ ტანჯვის ატანა—დაემხო მიწაზე და გულამოსკვნილი აქვითინდა.

კავალერმა პომიდორმა აიყვანა იგი, ბოხჩასავით ამოიჩარა იღლიაში და სასახლისაკენ გასწია.

თავი მერვე

როგორ განდევნეს სასახლიდან ექიმი წაბლია

ალუბლიკო მთელი საღამო ტიროდა. ჰერცოგი მანდარინი დამშვიდების მაგიერ, კიდევ უფრო აბრაზებდა მას.

— ჩვენი ახალგაზრდა გრაფი სულ ცრემლებად დაიღვრება,—ამბობდა ის.—ბოლოს და ბოლოს მისგან აღარაფერი დარჩება კურკის მეტი.

ბარონი ფორთოხალი, როგორც ზოგიერთი მსუქანი ადამიანი, ცოტა გულკეთილიც იყო. რომ ენუგეშებინა ბავშვი, ტორტის პატარა ნაჭერი შესთავაზა. მართალია, სულ ერთი ციცქნა, მაგრამ ხომ იცით, რა ღორმუცელაც იყო. ჰოდა, მოდი და ნუ დააფასებ მის გულკეთილობას.

გრაფინიები კი არ აწყნარებდნენ ალუბლიკოს, პირიქით, დასცინოდნენ კიდეც.

— ალუბალას შეუძლია გაფუჭებული შადრევნის მაგივრობა გასწიოს!—თქვა უფროსმა გრაფინიამ.

— ცრემლების შადრევანი!—ხითხითებდა უმცროსი გრაფინია.

— ხვალ შენ,— დაემუქრა სინიორ ალუბლიკოს ოხრახუშა,—საშიათასჯერ დაგაწერინებ:

„მე არ უნდა ვიტირო მაგიდასთან, რადგან ამით უფროსებს საჭმლის მონელებაში ხელს ვუშლი“.

როცა დარწმუნდნენ, ალუბლიკო ტირილს აღარ გაათავებდა, ადგნენ და ჩააწვინეს ლოგინში.

მარწყვა ცდილობდა დაეწყნარებინა საწყალი ბიჭი, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა და გულნატკენი თვითონაც აქვითინდა.

— რა გაბლავლებს, შე საძაგელო გომბიო. გაჩერდი თორემ გაგაგდებ აქედან,—დაემუქრა უფროსი გრაფინია.

ამდენმა მღელვარებამ ალუბლიკო ავად გახადა. ისეთი კანკალი დააწყებინა, საწოლიც კი ირწეოდა. ხველება რომ აუტყდებოდა, ფანჯრის მინებს სულ ზანზარი გაჰქონდა.

— ჩიპოლინო! ჩიპოლინო! ბოლოკა, ბოლოკა! — ბოდავდა ბავშვი.

სინიორ პომიდორმა განაცხადა, ალბათ იმ საშიშმა ბოროტმოქმედმა ისე დააშინა ბავშვი, რომ ავად გახდა. ის საძაგელი სასახლის მიდამოებში დახეტიალობს ახლაც. ხვალვე ვუბრძანებ, რომ დააპატიმრონ,—ავადმყოფის დასამშვიდებლად დაუმატა მან.

— ოჰ, გეევედრებით, არ. დააპატიმროთ! — გულამოსკვნილი ტიროდა ალუბლიკო.—მე დამაპატიმრეთ სჯობია. მე ჩამაგდეთ ყველაზე ბნელსა და ღრმა ჯურღმულში, ოღონდ ჩიპოლინოს ნუ ახლებთ ხელს. ის ისეთი კარგი ბიჭია, ისეთი რომ... ის არის ჩემი ერთადერთი, ნამდვილი მეგობარი.

შეშინებულმა ოხრახუშამ ცხვირი მოიწმინდა:

— ნამდვილად ბოდავს. მძიმე ავადმყოფია.

სახელგანთქმულ ექიმთან აფრინეს კაცი.

ჯერ მოვიდა ბუზიხოცია და გამოუწერა ავადმყოფს წამალი— გამხმარი ბუზებისაგან დამზადებული მიქსტურა. სულ არ არგო ამ წამალმა. ახლა მოიწვიეს ექიმი შოთხვი, როცა მან ბუზიხოციას გამოწერილი წამალი ნახა, თქვა, ამ დაავადების დროს სახიფათოა გამხმარი ბუზები. ძალზე არგებს ავადმყოფს იაპონური შოთხვის წვენით გაჟღენთილ ზეწარში გახვევაო.

ერთი კი არა, თორმეტიოდე ზეწარი ამოავლეს შოთხვის წვენში და გამოხვიეს ბავშვი, მაგრამ უკეთესობა მაინც არ დაეტყო!

— ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ შემოვუფენთ ნედლ ოქროფხალას,— ურჩია ექიმმა ოქროფხალამ.

— ეკლებიანად?— იკითხა შეშინებულმა მარწყვამ.

— სწორედ ეკლებიანად, თორემ ისე არას არგებს.

ალუბლიკოს ახლა ნედლი ოქროფხალებით დაუწყეს მკურნალობა. ოქროფხალას პირდაპირ ბოსტნიდან მოარბენინებდნენ. ისე იჩხვლიტებოდა ოქროფხალას ეკლები, რომ ბავშვი ბლაოდა და ხტოდა, გეგონებოდათ, ათკეც ტყავს აძრობენო.

— ხომ ხედავთ?— ხელებს ისრესდა ექიმი ოქროფხალა,— ძლიერი რეაქცია გამოიწვია. განაგრძეთ ამ მეთოდით მკურნალობა.

— ყველაფერი ეს სისულელეა და მეტი არაფერი!— წამოიძახა ცნობილმა პროფესორმა სინიორ სალათო-ისპანახომ.— რომელმა ვირმა გამოუწერა ოქროფხალა? აბა სცადეთ ქორფა სალათა.

მარწყვამ უჩუმრად გაუგზავნა კაცი ექიმ წაბლიას, რომელიც ტყეში უშველებელი წაბლის ხის ქვეშ ცხოვრობდა. წაბლიას ღარიბების მკურნალს ეძახდნენ, იმიტომ რომ თავის ავადმყოფებს ცოტა წამალს უწერდა და იმასაც თავისი ფულით ყიდულობდა.

როცა ექიმი წაბლია სასახლის ჭიშკარს მიადგა, მსახურებს შეშვებაც არ უნდოდათ მისი. ეს რა ექიმია, ფეხით მოჩანჩალდა, კარეტაში ვერ ჩამჯდარაო.

— უკარეტო ექიმი აუცილებლად ვილაც თალლითი იქნება, ვიგინდარა, — თქვეს მსახურებმა და ექიმისათვის ის იყო ცხვირწინ უნდა მიეჯახუნებინათ კარი, რომ ბედად სინიორ ოხრახუშა წამოადგათ თავზე.

ოხრახუშა, თუ გახსოვთ, ყოველთვის სადღაციდან ამოჰყოფდა ხოლმე თავს მოულოდნელად. ახლა კი სწორედ იღბალზე გამოჩნდა და მაშინვე უბრძანა მსახურებს შეეშვათ ექიმი სასახლეში. ექიმმა ავადმყოფი ყურადღებით გასინჯა, ენა უნახა, პულსი გაუსინჯა, რამდენიმე შეკითხვაც მისცა ჩუმად, მერე გადაიბანა ხელები და სევდიანად და სერიოზულად განაცხადა:

მაჯაც კარგი, სახის ფერიც...
გულიც მრთელი... რაა ბოლოს?
ბავშვს არ სტკივა არაფერი
—მარტოობა ღუპავს მხოლოდ.

— გადაკვრით რაებს ლაპარაკობ? — უხეშად შეაწყვეტინა პომიდორმა.

— გადაკვრით კი არ ვლაპარაკობ, პირდაპირ სიმართლეს გეუბნებით, ამ ბავშვს არაფერი არ სტკივა, უბრალოდ მელანქოლია შეყრია.

— მელანქოლია რა დაავადებაა? — იკითხა უფროსმა გრაფინიამ.

უფროს გრაფინიას უყვარდა მკურნალობა. როგორც კი, ყურს მოკრავდა რაღაც ახალ უცხო დაავადებას, ეჩვენებოდა რომ ამ სენით თვითონაც იყო დაავადებული. ასეთ მდიდარ ქალს აბა ექიმის ან წამლის ფული რას შეაშინებდა.

— მელანქოლია დაავადება არ არის, გრაფინია, ეს გახლავთ მწუხარება, დარდი. ალუბლიკოს ჭირდება ამხანაგების წრე, მეგობრები. რატომ ბავშვებთან არ ათამაშებთ?

ოჰ, სჯობდა ეს არ ეთქვა ექიმს! პირში ეცნენ, საყვედურებით აავსეს, შეურაცხყოფაც არ დააკლეს.

— ახლავე გაეთრიე აქედან!—უბრძანა სინიორ პომიდორმა, — თორემ შინამოსამსახურეებს ვუბრძანებ და სულ კინწისკვრით გაგაგდებენ სასახლიდან.

— გრცხვენოდეთ! — დაუმატა უმცროსმა გრაფინიამ, — გრცხვენოდეთ, რომ ასე ბოროტად გამოიყენეთ ჩვენი სტუმართმოყვარეობა, ნდობა და მოტყუილებით შემოიჭერით ჩვენ სახლში. მონდომება თქვი თორემ სულ ადვილად მიგცემთ პასუხისგებაში, თვითნებურად, ძალად რომ შემოიჭერით კერძო სამფლობელოში. განა სიმართლეს არ ვამბობ, ადვოკატო?

და მიუბრუნდა სინიორ მუხუდოს, რომელიც ყოველთვის იქ გაჩნდებოდა ხოლმე, სადაც მისი დახმარება იყო საჭირო.

— რასაკვირველია, სინიორა გრაფინია! ეს არის უმძიმესი სისხლის სამართლის დანაშაული.

ადვოკატმა თავის უბის წიგნაკში მაშინვე ჩაინიშნა: „გრაფინია ალუბლებისათვის ექიმ წაბლიას მიერ კერძო სამფლობელოში ძალად შემოჭრის საქმეზე კონსულტაციისათვის ათი ათასი ლირი“.

თაგვების მთავარსარდალი იძულებულია უკანდახევა ანიშნოს ჯარს

V ს.

ცხადია, გაინტერესებთ, რა დღეში არიან ნათლიმამა გოგრა, პროფესორი მსხალა, ხელოსანი ყურძენა, ნათლიდედა გოგრიკო და სოფლის სხვა მცხოვრებლები. ისინი ხომ პომიდორის ბრძანებით დააპატიმრეს და ჩაყარეს სასახლის ქვეშ საკანში.

კიდევ კარგი, პროფესორმა მსხალამ თან წამოიღო სანთლის ნამწვი. იცოდა, რომ მიწისქვეშეთში თაგვები ბლომად იყო და თვალში თითსაც ვერ მიიტანდი, ისე ბნელოდა. თაგვები რომ დაეფრთხო, პროფესორი მსხალა ვიოლინოს აკვნესებდა. თაგვებს არ უყვართ სერიოზული მუსიკა. ახლაც ვიოლინოს გამგმირავი ხმა რომ შემოესმათ, მაშინვე მოკურცხლეს, თან წყევლა-კრულვას უთვლიდნენ იმ საძაგელ საკრავს, რომელიც ასე ძლიერ მიაგავდა კატის კნავილს.

ბოლოს და ბოლოს ამ მუსიკამ მოთმინებიდან გამოიყვანა არა მარტო თაგვები, ხელოსანი ყურძენაც. პროფესორი მსხალა სევდიანი კაცი გახლდათ და მხოლოდ ხალვლიან მელოდიებს უკრავდა კაცს აატირებდა პირდაპირ. ამიტომაც პატიმრებმა სთხოვეს პროფესორს, ჩვენი მწუხარებაც გვეყოფა და შენ რალას აკვნესებ მაგ ვიოლინოსო.

მაგრამ სიჩუმე ჩამოვარდა თუ არა, თაგვები მაშინვე გად-

მოვიდნენ შეტევაზე, სამი კოლონა მოიწევდა წინ. მთავარსარდალი — გენერალი თაგვი კუდაგრძელა ხელმძღვანელობდა ამ შეტევას.

— პირველი კოლონა შევა მარცხნიდან და მაშინვე დაეუფლება სანთელს. ვაი მას, ვინც სანთლის შესანსვლას მოინდომებს. თქვენი გენერალი მე ვარ და მე უნდა დავადგა პირველმა კბილი. მეორე კოლონა მარჯვნიდან შევა და მაშინვე ეცემა ვიოლინოს. ვიოლინო ნახევარი მსხლისგან არის გაკეთებული და ალბათ ძალიან გემრიელიცაა. მესამე კოლონა კი პირდაპირ დაეტაკება და გაანადგურებს მტერს.

კოლონათა მეთაურებმა განუმარტეს დავალება რიგით

თაგვებს. გენერალი თაგვი კუდაგრძელა გამობრძანდა ტანკით. მართალი რომ გითხრათ, ეს ტანკი კი არა, თიხის ნატეხი იყო, რომელიც ათ ძალ-ღონით სავსე თაგვს ჰქონდა კუდზე გამობმული. მებუკეებმა ამცნეს იერიშის დაწყება და... რამდენიმე წუთის შემდეგ დამთავრდა კიდეც ბრძოლა.

ვერ შესძლეს ვიოლინოს შესანსვლა თაგვებმა — პროფესორმა მაღლა, თავსზევით ასწია ის. სანთელი კი გაქრა, თითქოსდა ქარმა აიტაცაო. ჩვენი მეგობრები დარჩნენ სიბნელეში.

კიდევ დაიკარგა ერთი ნივთი, რა ნივთია ეს? ამას ჯერ არ გეტყვით...

ნათლიმამა გოგრა დადარდიანებული იყო.

— ოჰ, ჩემი გულისთვის ჩაცვივდით ამ დღეში,—ამბობდა იგი.

— შენი რა ბრალია,—წაილუღლუღა ყურძენამ.

— რომ არ დამეჩემებია, საკუთარი კერა მეც უნდა მქონდეს-მეთქი, ეს უბედურებაც არ დაგვატყდებოდა თავს.

— დაწყნარდით, გეთაყვა! — წამოიძახა ნათლიდედა გოგრიკომ. — ციხეში თქვენ ხომ არ ჩაგვსვით!

— ნეტა ბებერს რად მინდოდა სახლი?.. — წუხდა გოგრა. — დავიძინებდი პარკში სკამძელის ქვეშ და ის იქნებოდა— იქ მაინც არავის შევუშლიდი ხელს. მეგობრებო, გთხოვთ, დაუძახეთ მედილეგეებს და უთხარით, რომ მე, ნათლიმამა გოგრამ ჩემი საკუთარი სახლი ვაჩუქე კავალერ პომიდორს. ვეტყვი კიდეც, სად გადავმალე ის.

— შენ ერთ სიტყვასაც არ ეტყვი იმათ! — გაჯავრდა ხელოსანი ყურძენა.

პროფესორმა მსხალამ ნაღვლიანად ჩამოჰკრა ვიოლინოს სიმებს ხელი და წასჩურჩულა:

— თუ მედილეგეებს გაუმხელ სად არის გადამალული შენი სახლი, მაშინ ნათლია მოცვასაც ჩააგდებ და..

— შშშ! — ასივლდა ნათლიდედა გოგრიკო. — არ ახსენოთ სახელი აქ კედლებსაც ყურები აქვთ გამობმული.

მაშინვე გაკმინდეს ხმა, შეშიხებულები აქეთ-იქით აცეცებდნენ თვალებს. ისე ბნელოდა, რომ ვერ გაარჩიეს, მართლა ჰქონდა კედლებს ყურები თუ არა.

დიახ, კედლებს მართლა ჰქონდა ყურები გამობმული. ნამდვილად, ყურები კი არა, ერთი ყური. მრგვალი ხვრელით მილი გადიოდა პირდაპირ პომიდორის ოთახში — ეს იყო რალაც საიდუმლო ტელეფონის მსგავსი. რაც არ უნდა ეთქვათ ჯურღმულში, პომიდორს ყველაფერი ესმოდა თავის ოთახში. კიდევ კარგი, ამ დროს იგი ალუბლიკოს ლოგინთან ფუსფუსებდა და არაფერი გაუგონია.

სიჩუმე ჩამოწვა და კვლავ გაისმა ბუკის გაბმული ხმა — თაგვები ახალი იერიშისათვის ემზადებოდნენ, მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, დაუფლებოდნენ პროფესორის ვიოლინოს.

მოიერიშენი რომ დაეშინებინა, მოემზადა მსხალა კონცერტისათვის: ვიოლინო მიიდო ნიკაპს ქვემოთ, და ხემიც შთაგონებით მოიქნია. ყველა სულგანაბული ელოდა. ლოდინი კარგა დიდხანს დასჭირდათ. ბოლოს პატიმრებმა მოითქვეს სული, მაგრამ ინსტრუმენტი კვლავ სდუმდა.

— რა მოხდა, ველარ უკრავთ? — დაინტერესდა ხელოსანი ყურძენა.

— თაგვებს შეუჭამიათ ნახევარი ხემი! — წამოიძახა აცრემლებულმა მსხალამ.

ხემი მართლა შემოეღრღნათ თაგვებს, სულ რამდენიმე სანტიმეტრილა დარჩენილიყო. უხემოდ აბა რას დაუკრავდა. თაგვები კი ამ დროს მრისხანე მეომრული ყიჟინით უკვე შეტევაზე გადასულიყვნენ.

— ოჰ, ყველაფერი ჩემი ბრალია! — ოხრავდა ნათლიმამა გოგრა.

— გეყოფა ამდენი ოხვრა, ისა სჯობია დაგვეხმარო, — უთხრა ხელოსანმა ყურძენამ. — თუ შენ ოხვრა და კვნესა ასე კარგად შეგიძლია, ალბათ კნავილსაც გვარიანად მოახერხებ.

— კნავილს?— იწყინა ნათლიმამა გოგრამ.—მაოცებს მეტად, დარბაისელი კაცი მგონიხარ და ასეთ დროს ხუმრობა სად გაგონილა.

ხელოსან ყურძენას არაფერი უპასუხია. უცებ ისე აკნავლდა, რომ თაგვების არმია შედგა.

— მი-აუ! მიაუ!— გააბა ხელოსანმა ყურძენამ.

— მიაუ! მიაუ! — საცოდავად აჰყვა პროფესორი, თან დასტიროდა სამარცხვინოდ დალუპულ თავის ხემს.

— მთელი საკუჭნაოების და სარდაფების დამპყრობლის, პაპაჩემის თაგვა მესამის სულსა ვფიცავ, რომ მათ საიდანღაც კატა მოუყვანიათ!—წამოიძახა გენერალმა თაგვმა კუდაგრძელამ და სასწრაფოდ დაამუხრუჭა თავისი ტანკი.

— გენერალო, ღალატია!—მიიჭრა ერთ-ერთი კოლონის უფროსი ღრიალით,—ჩემი კოლონა შეეჯახა თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარ სხვენის კატების დივიზიას.

შეშინებულებს მოეჩვენათ მხოლოდ, თორემ კატა არც კი დაუნახავთ. შიშს კი, როგორც ამბობენ, დიდი თვალები აქვს.

გენერალმა კუდაგრძელა თაგვმა კუდი დაისრისა თათით. ასე იქცეოდა ყოველთვის, როცა დარდი შემოაწვებოდა ხოლმე. ბოლოს და ბოლოს დაელია კუდი ამდენი სრესით.

სალდათი თაგუხები თავის მეთაურს ჩუმ-ჩუმად უკუდო გენერალსაც კი ეძახდნენ.

— ჩემი წინაპრის, მთელი ბელლების იმპერატორ კუდაგრძელა თაგვა პირველის სულსა ვფიცავარ, რომ მოღალატეები დაისჯებიან ამ ცბიერებისთვის! ახლა კი უკან დახევის ნიშანი მიეცით.

ბრძანების განმეორება არ დასჭირებიათ მეთაურებს, ბუკის ხმამ უკან დახევა აუწყა ჯარს. თვითონ უკუდო გენერლის მეთაურობით მთელი არმია გაეცალა იმ მიდამოებს. გენერალი დაუზოგავად უტყლაშუნებდა თაგვებს, რომლებიც მის ტანკს მიათრევდნენ.

ასე ვაჟკაცურად მოიგერიეს ჩვენმა მეგობრებმა მოწინააღმდეგეები.

ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ, რომ უცებ ვილაცის წრიპინა ხმა შემოესმათ:

— ნათლიმამა გოგრა! ნათლიმამა გოგრა!

— პროფესორო, თქვენ მეძახით?

— არა, მე არ გეძახით.

— მომეჩვენა, თითქოს ვილაცა მეძახდა.

— ნათლიდედა გოგრიკო! ნათლიდედა გოგრიკო!—კვლავ გაისმა იგივე ხმა.

გოგრიკო მიუბრუნდა ხელოსან ყურძენას:

— თქვენ წრიპინებთ ასე?

— რას ამბობთ, არც მიფიქრია. ვზივარ ჩემთვის და ვიფხან კეფას, ერთი აზრი ამეკვიატა და ვერ ვიშორებ.

— ნათლიდედა გოგრიკო, ხმა გამეცით.—კვლავ გაისმა იგივე ხმა.—მე მარწყვა ვარ, მარწყვა.

— სადა ხარ, რომ ვერა გხედავ?

— კავალერი პომიდორის ოთახიდან მისი საიდუმლო ტელეფონით გელაპარაკებით. გესმით ჩემი ხმა?

— როგორ არა, გვესმის!

— მეც მშვენივრად მესმის თქვენი ხმა. პომიდორი მალე

დაბრუნდება. მთხოვეს, რამდენიმე სიტყვა გადმომეცა თქვენთვის.

— ვინ გთხოვათ?

— თქვენმა მეგობარმა ჩიპოლინომ შემოგითვალათ, არ ინაღვლოთ და გქონდეთ ჩემი იმედიო. ეცდება გაგანთავისუფლოთ. მხოლოდ სინიორ პომიდორს არ უთხრათ, სად გადამალეთ ნათლია გოგრას სახლი. არ დანებდეთ. ჩიპოლინო ყველაფერს მოაგვარებს.

— არავის არაფერს არ ვეტყვით. დაგელოდებით, აბა რას ვიზამთ. — ყველას მაგიერ უპასუხა ხელოსანმა ყურძენამ,— მხოლოდ უთხარი ჩიპოლინოს, ცოტა იჩქაროს, თაგვებმა ალყა შემოგვარტყეს და არ ვიცით, როდემდე გავუძლებთ. იქნებ როგორმე სანთელი და ასანთი მოგვაწოდოთ. გვქონდა სანთლის ნამწვი და ისიც თაგვებმა შეგვიჭამეს.

— ცოტა ხანს დამიცადეთ, ახლავე დავბრუნდები.

— რა თქმა უნდა, დაგიცდით, სხვაგან სად წავალთ!

მართლაც ცოტა ხნის შემდეგ კვლავ შემოესმათ მარწყვას ხმა:

— აბა დაიჭირეთ სანთელი.

გაისმა ფაჩუნი და ნათლიმამა გოგრას პირდაპირ ცხვირში მოხვდა რალაცა.

— აქ არის, აქ! — მხიარულად წამოიყვირა მოხუცმა.

პატარა პაკეტში ქონის სანთელი და ასანთი იდო.

— გმადლობთ, მარწყვა, გმადლობთ! — შეჰყვირეს ერთხმად.

— მაშ ნახვამდის, პომიდორი მოდის და თავს უნდა ვუშველო.

მართლაც ამ დროს თავის ოთახში შემოვიდა სინიორ პომიდორი. საიდუმლო ტელეფონთან მოფუსფუსე მარწყვა რომ დაინახა, ძლიერ აღშფოთდა.

— რას აკეთებ მანდ?

— აი ამ ხაფანგს ვწმენდავ.

— აბა რომელს, მაჩვენე.

— აი ამას... განა ეს სათაგური არ არის?

პომიდორმა თავისუფლად ამოისუნთქა. „მადლობა ღმერთს, — გაიფიქრა მან, — ამ სულელ გოგოს ხაფანგი ჰგონია ჩემი საიდუმლო ტელეფონი“.

გამხიარულებულმა პომიდორმა მარწყვას კანფეტის ქაღალდი აჩუქა.

— აჰა, დაიჭი, — უთხრა დიდსულოვანი ადამიანივით, — გალოკე ეს ქაღალდი. იცი რა ტკბილია. ერთი წლის წინ შიგ რომიანი კარამელი იყო გახვეული.

— შვიდი წელია გემსახურებით და უკვე მესამეჯერ მასაჩუქრებთ კანფეტის ქაღალდით, თქვენო უმაღლესობავ. — თავი დაუკრა და მადლობა გადაუხადა მარწყვამ.

— ხომ ხედავ, მაშ მე კეთილი ბატონი ვყოფილვარ. კარგად მოიქეცი და ბედნიერი იქნები! — ამოიქშინა პომიდორმა.

— ბედნიერება თავისუფლებაშია მხოლოდ. — უპასუხა მარწყვამ, თავი დაუკრა და მიხედა თავის საქმეებს.

პომიდორმა ხელები მოისრისა და გულში გაივლო: „მოდი მივუჯდები ამ ჩემს საიდუმლო ტელეფონს და პატიმრების ყბედობას მოვისმენ, ალბათ ბევრ საინტერესო ამბავსაც მოვკრავ ყურს, იქნებ გავიგო, სად გადამალეს ის დაწყევლილი სახლი“.

პატიმრებმა, რომლებიც დროზე გააფრთხილა მარწყვამ, პომიდორი სასმენ ხვრელს უახლოვდებაო, გადაწყვიტეს ესიამოვნებინათ მისთვის და კავალერის ლანძღვა-გინებას მოჰყვნენ.

„მე თქვენ გიჩვენებთ!“ — კინაღამ წამოიყვირა სინიორ პომიდორმა, მაგრამ არ უნდოდა თავი გაეცა. ჰოდა, გულის გამხეთქი სიტყვები რომ არ გაეგონა, ადგა და დასაძინებლად დაწვა. დაწოლამდე ერთი მაგრად დაუცო ჩვარი თავის გაკეთებულ ტელეფონს, რომელსაც ყურმილის ნაცვლად ჩვეულებრივი ძაბრი ჰქონდა წამოცმული. სწორედ ასეთი ძაბრით ასხამენ ღვინოს ბოთლებში.

საკანში ხელოსანმა ყურძენამ აანთო ახალი სანთელი. ყველამ ზევით აიხედა და ჭერის კუთხეში საიდუმლო ტელეფონის ხვრელი რომ დაინახეს, სიცილი აუტყდათ—წარმოიდგინეს სინიორ პომიდორი სიბრაზისაგან გულზე როგორ სკდებოდა, როცა ისმენდა პატიმრების ლაპარაკს.

ეს მხიარულება დიდხანს არ გაგრძელებულა. მზვერავმა თაგვმა საკანში სინათლე დაინახა თუ არა, საქმეს დაყნოსა და დრო რომ არ დაეკარგა, სასწრაფოდ წარსდგა მოხსენებით გენერალ კუდას წინაშე:

— თქვენო ბრწყინვალებავ,—მხიარულად მოახსენა მან,— ხვადები წასულან, ადამიანებს კი ახალი სანთელი უშოვიათ.

— რაო, რა თქვი? სანთელიო?

კუდამ ნერწყვი გადაყლაპა. ჩაილოკა ულვაშები—ძველი სანთლის გემო და სუნი ჯერ კიდევ ზედ შერჩენოდა.

— ჯარს შეკრება აუწყეთ საყვირებით,—ბრძანა მაშინვე გენერალმა.

განლაგდა თუ არა ჯარი, გენერალმა კუდაგრძელამ ანუ კუდამ მგზნებარე სიტყვით მიმართა მეომრებს:

— მამაცო მეომრებო! ჩვენი მიწისქვეშეთი საფრთხეშია. იერიში მიიტანეთ მტერზე და წაართვით ქონის სანთელი. შეჭმით, რა თქმა უნდა, მე შევჭამ, მანამდე კი რიგრიგობით გაგალოკინებთ. მაშ, ასე, წინ გასწით, მლრლნელებო!

თაგვები სიხარულისაგან აწრიპინდნენ, კუდები აიპრიხეს და გააფთრებით გადავიდნენ შეტევაზე.

ხელოსანი ყურძენა ახლა უკვე საზრიანად მოქცეულიყო—კედლის ორ აგურს შორის დარჩენილ პატარა შეჭრილ ადგილას, იატაკიდან კარგა მაღლა, შეედგა სანთელი. ტყუილად ცდილობდნენ თაგვები სწორ, სრიალა კედელზე აცოცებას—ვერა და ვერ მიაღწიეს სანთლამდე. ყველაზე გულადმა თაგვებმა ცოტა მაინც მოლრლნეს პროფესორ მსხალას ვიოლინოს. მაგრამ მალე ამ გულადებმაც შინისაკენ მოუსვეს,

რადგან გენერალი კუდა ამ წარუმატებლობამ საშინლად განარისხა. მან თავისი მებრძოლები მწკრივზე განალაგა და ბრძანა, ყოველი მეათე სიმხდალისა და ძარცვა-გლეჯისათვის სასტიკად დაესაჯათ.

* * *

იმ ღამეს მოულოდნელი ამბავი მოხდა.

ჩიპოლინო, მარწყვა და ბოლოკა შეიყარნენ ბალში, მესერთან, რომ ფხიზელი თვალით განესაჯათ ვითარება. ისე გატაცებით ბჭობდნენ, რომ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდნენ. არც ძაღლ მასტინოსათვის მოუკრავთ თვალი, რომელიც ამ დროს ბაღს უვლიდა გარს. ბავშვებს წააწყდა ძაღლი თუ არა, გამხეცებული ეცა. გოგონებზე არ გაისვარა ხელი, სამაგიეროდ წამოაქცია ჩიპოლინო, დააფრინდა გულზე და იმდენი იყეფა, ვიდრე პომიდორმა არ მიირბინა და ხელი არ სტაცა.

წარმოიდგინეთ, რა კმაყოფილი დარჩა პომიდორი!

— რომ დაგიმტკიცო, ჩემი კეთილგანწყობილება შენდამი,—დაცინვით უთხრა ჩიპოლინოს, — ავდგები, ჩაგსვამ ყველაზე ბნელ საკანში. აბა შენისთანა არამზადა ციხის რა ღირსია.

— წყალობა მიყავით! — არც კი შემკრთალა, უპასუხა ჩიპოლინომ.

განა შეეძლო სხვაგვარად ეპასუხა? იქნებ, თქვენის აზრით, სჯობდა თვალცრემლიანს პატიება ეთხოვა?

არა, ჩიპოლინო იმ პატიოსანი ხახვის ოჯახის შვილი იყო, რომელიც ყველას აატირებს, თვითონ კი ერთ ცრემლსაც არ გადმოაგდებს.

V.
თავი მეათე

ჩიპოლინო და თხუნელა გადადიან ერთი ციხიდან მეორეში

1.

ჩიპოლინოს შუალამისას გამოეღვიძა. მოეჩვენა, თითქოს ვილაცა აკაკუნებდა კარზე. ვინ უნდა იყოს,—გაიფიქრა მან,—იქნება მესიზმრა?

ამ ფიქრებში გართულს კვლავ შემოესმა ხმაური. ისმოდა რაღაც ყრუ თანაბარი ჩახაჩუხი, თითქოს ვილაცა ახლომახლო, წერაქვს ურტყამდა.

„ვილაცას მიწისქვეშა გზა გაჰყავს“, — გადაწყვიტა ჩიპოლინომ და ყური მიადო იმ კედელს, საიდანაც ხმაური ისმოდა.

უცებ ერთ-ერთი კედლიდან მიწა გადმოიყარა, მერე აგური გადმოვარდა და ბოლოს ვილაცამ ისკუპა კიდეც.

— ეშმაკმა დალახვროს, ნეტა სადა ვარ,—გაისმა ყრუ ხმა.

— ჩემს საკანში, — უპასუხა ჩიპოლინომ. — ეს გახლავთ გრაფინია ალუბლების სასახლის ყველაზე ბნელი ჯურღმული, მაპატიეთ, რომ ვერა გხედავთ, თორემ საკადრისად მოგესალმებოდით

— თქვენ ვინა ხართ? მაპატიეთ, მაგრამ მე შეჩვეული ვარ სიბნელეს. აქ კი ისეთი სინათლეა, რომ ვერაფერს ვარჩევ.

— ოჰო! მაშ თქვენ თხუნელა ბრძანდებით?

— დიახ, თხუნელა გახლავართ. უკვე დიდი ხანია გზის გაყვანა მინდოდა აქეთკენ, მაგრამ ვერ გამოვნახე საამისო დრო. მიწის ქვეშ ჩემი დერეფნები ათობით კილომეტრზეა გაჭიმული. ხომ ვერ დავტოვებ უყურადღებოდ. სულ მუდამ დასუფთავება, შეკეთება სჭირდება. ხშირად გამოეთნავს ხოლმე წყალი, ამიტომაც არის, რომ სურდო ვერ მოვიშორე. ამ ჭიებმა ხომ თავი მომაბეზრეს. სად არ ძვრებიან — სხვისი შრომის დაფასება სულ არ იციან. ამიტომ ვდებდი ამ საქმეს, ამ კვირიდან იმ კვირას. დღეს დილას ავდექი თუ არა, ვუთხარი ჩემს თავს: „სინიორ თხუნელა, თუ თქვენ მართლა ცნობისმოყვარე ბრძანდებით და გინდათ ქვეყანა ნახოთ, მაშ ახალი დერეფნის გაყვანის დრო დადგა“. ჰოდა, მოვკიდე კიდეც საქმეს ხელი.

ჩიპოლინომ სიტყვა შეაწყვეტინა და საჭიროდ სცნო თავი გაეცნო მისთვის:

— მე ჩიპოლინოს ანუ „ხახვის ბოლქვს“ მეძახიან. კავალერი პომიდორის ტყვე გახლავართ.

— თავს ნუ იწუხებთ ახსნა-განმარტებით, — უპასუხა თხუნელამ.—სუნი მეცა თუ არა, მაშინვე გიცანით. გულწრფელად მებრალებით, რომ იძულებული ხართ ამ გაკაშკაშებულ საკანში იჯდეთ. ალბათ ნაძდვილი წამებაა.

— მე კი აქ კარგა სიბნელე მგონია...

— ხუმრობთ ნამდვილად! დიახ, ძალიან მეცოდებით! ხალხი ბოროტია და რას იზამთ. მე ასე ვფიქრობ, თუ გინდა სიბნელეში ამყოფო ვინმე, ადექი და მართლა სიბნელეში ჩააგდე. თვალებს მაინც დაასვენებს კაცი.

რა ჭკუა აქვს თხუნელასთან დღე და ღამეზე კამათს. თხუნელა ისეა შეჩვეული თავის ბნელ დერეფნებს, რომ, რალა თქმა უნდა, ამ საკითხზე სრულიად თავისებური შეხედულება ექნებაო,— მიხვდა ჩიპოლინო.

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ სინათლე მეც გულს მიკლავს. — ვითომდა ამოიოხრა ჩიპოლინომ.

— ხომ ხედავთ! აბა მე რას გეუბნებით!

ჩიპოლინოს სიტყვებმა თხუნელას გული მოულბო.

— ცოტა ამაზე პატარა რომ იყოთ...—დაიწყო მან.

— განა მე დიდი ვარ? გარწმუნებთ, თავისუფლად გავძვრები თხუნელას ყველანაირ ხვრელში, ესე იგი სოროში.

— შეიძლება, შეიძლება, ყმაწვილო! ოღონდ სიკეთე ჰქენით და ჩემს დერეფნებს ნუ უწოდებთ ხვრელსა და სოროს. იქნება მართლაც მოვახერხო და აქედან გაგიყვანოთ.

— თავისუფლად გავძვრები თქვენს ახლახან გაყვანილ დერეფანში,—უთხრა ჩიპოლინომ.—მხოლოდ თქვენ წინ გამიძეხით, ვაითუ, გზა ამებნას. გამიგონია, თხუნელას დერეფნებს ასავალ-დასავალს ვერ გაუგებს კაცი.

— შეიძლება,—უპასუხა თხუნელამ.—მომბეზრდა სულ ერთი და იგივე გზით სიარული. გინდათ, გავიყვანო ახალი გასასვლელი?

— რომელ მხარეს?— მკვირცხლად ჰკითხა ჩიპოლინომ.

— რომელ მხარესაც გინდა,—უპასუხა თხუნელამ.— ოღონდ კი სიბნელე იყოს. ღმერთმა დასწყევლოს ასეთი გაჭახჭახებული გამოქვაბული!

ჩიპოლინოს მაშინვე მოაგონდა ის ჯურღმული, სადაც გოგრა, ხელოსანი ყურძენა, გოგრიკო და სხვა მისი მეგობრები იტანჯებოდნენ. როგორ გაოცდებიან, მიწისქვეშა გასასვლელით რომ თავს წამოადგება.

— მოდით, გავთხაროთ მარჯვნივ,—ურჩია თხუნელას.

— საითაც გინდათ, ჩემთვის სულ ერთია, თუ თქვენ ასე გირჩევნიათ, დე მარჯვნივ იყოს.

თხუნელამ მაშინვე შეყო თავი კედელში. ისე სწრაფად თხრიდა, რომ ჩიპოლინოს თავიდან ფეხებამდე სველი მიწა ეყრებოდა.

ბავშვს მიწა სასულეშიც გადასცდა, ერთი თხუთმეტი წუთი სული ვერ მოითქვა, ახველა და ახველა. მერე ცხვირის ცემინება აუტყდა. რომ დაწყნარდა, თხუნელას სულწასული ძახილი შემოესმა:

— ახალგაზრდავ, მომყვებით თუ არა უკან?

ჩიპოლინო შეეძვრა თხუნელას გათხრილ დერეფანში. დერეფანი ისეთი განიერი იყო, რომ სულ თავისუფლად შეეძლო წინ ევლო. თხუნელა ისეთი სისწრაფით მუშაობდა, რომ უკვე რამდენიმე მეტრი გაეთხარა.

— მე აქა ვარ, აქ, სინიორ თხუნელა! — ბურტყუნებდა ჩიპოლინო, იფურთხებოდა და ხელებს იფარებდა პირზე, რომ არ ჩავარდნოდა მიწის გოროხები, რომელსაც წამდაუწუმ ისროდა თხუნელა თათებით.

ვიდრე თხუნელას აედევნებოდა, ჩიპოლინომ მოასწრო საკნის ხვრელის ამოვსება.

„პომიდორი რომ გაიგებს ჩემს გაქცევას, — ფიქრობდა იგი, — ვერ უნდა მიხვდეს საითკენ წავედი“.

— ხომ კარგადა ხართ? — ჰკითხა მუშაობაში გართულმა თხუნელამ.

— გმადლობთ, დიდებულად, — უპასუხა ჩიპოლინომ. — რა უკუნი სიბნელეა!

— ხომ გითხარით, უცებ თავს უკეთ იგრძნობთ-მეთქი. თუმცა მეჩქარება და ჯობს განვაგრძოთ გზა, მაგრამ თუ გინდათ, შევისვენოთ ცოტა ხანს, მიუჩვეველი რომ ხართ იქნებ გიჭირთ ასე სწრაფად სიარული ჩემს დერეფანში.



— არა, არა, გზა განვაგრძოთ!—უპასუხა ჩიპოლინომ. ასე სწრაფად თუ ვიარეთ, სულ მალე შევხვდები მიწის ქვეშ ჩემს მეგობრებსო,—ვარაუდობდა იგი.

— ძალიან კარგი,—და თხუნელა უფრო აჩქარდა.

ჩიპოლინო ძლივს ეწეოდა მას.

* * *

აგერ თხუთმეტმა წუთმა განვლო ჩიპოლინოს გაქცევიდან, რომ მისი საკნის კარი გაიღო და მხიარული სტვენით შემოვიდა სიბნელეში სინიორ პომიდორი. ღვარძლით ალსავსე წინასწარ სიამოვნებას განიცდიდა ეს მამაცი კავალერი. მიწისქვეშეთში ისე მსუბუქად ჩამოირბინა, გეგონებოდათ, წონაში ერთი ოცი კილოგრამი მაინც დაიკლო.

„ჩიპოლინო ჩემს ხელშია,—ფიქრობდა თვითკმაყოფილი პომიდორი,—ყველაფერს ვათქმევინებ, მერე კი თავს ყულფში გავაყოფინებ, დიახ! ყურძენას და იმ ლენჩებს სულაც გავანთავისუფლებ, რა საშიში ისინი არიან! აი იმ საკნის კარიც. სწორედ აქ ზის ჩემი პატიმარი... ოჰ, როგორ მსიამოვნებს ამ პატარა საძაგელზე ფიქრი. ალბათ სულ ცრემლებად დაიღვარა ამ ხანში, ფეხებში ჩამივარდება და, შემიბრალეო, მთხოვს. თუგინდ დავიფიცებ წინასწარ, რომ ფეხებს ამილოკავს. მერე რა, ეგდოს ძირს, გადარჩენის იმედსაც მივცემ, მერე კი განაჩენს გამოვუცხადებ: „ჩამოხრჩობა“.

უშველებელი გასაღებით გააღო კარი, აანთო ჯიბის პატარა ფარანი და მიიხედ-მოიხედა, პატიმრის კვალი არსად ჩანდა, საკანში ადამიანის ჭაჭანება არ იყო.

არ უჯეროდა თვალებს. გვერდში მდგომ მედილეგეებს არ გამოეპარვიათ, რომ გააფთრებულ პომიდორს სიბრაზისაგან ათასმა ფერმა გადაჰკრა სახეზე: ჯერ გაწითლდა, მერე გაყვითლდა, გალურჯდა და ბოლოს სულ მთლად გაშავდა.

— სად უნდა იყოს? ჩიპოლინო, შე საძაგელო, სად იმალები?

რა საკითხავია, მართლაც ამ პატარა საკანში აბა სად და-

იმალებოდა, როცა იქ ტიტველი გლუვი კედლების, სკამისა და წყლის დოქის მეტი არაფერი იყო.

სკამის ქვეშ შეიხედა, წყლის დოქში ჩაიხედა, ჭერსაც ახედა, იატაკი და კედლები დაკვირვებით გასინჯა, მაგრამ სულ ტყუილად: ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, არავინ იცოდა. ერთი სიტყვით, ტყვე თითქოს აორთქლებულიყო.

— ვინ გაუშვა?—მიუბრუნდა განრისხებული ლიმნიებს.

— არაფერი არ ვიცით, სინიორ კავალერო! გასაღები ხომ თქვენა გქონდათ.—გაბედა შეპასუხება დაცვის უფროსმა.

პომიდორმა კეფა მოიქექა, გასაღები მართლაც მას ჰქონდა.

საიდუმლოება რომ ამოეცნო, გადაწყვიტა, სკამზე ჩამომჯდარიყო. მჯდომარე უფრო კარგად ფიქრობს კაცი. ისიც იჯდა, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი ვერ მოიფიქრა.

დაუქროლა ქარმა და კარი მიაჯახუნა.

— ახლავე კარი გააღეთ, თქვე უსაქმურებო, თქვენა!— დაიღრიალა პომიდორმა.

— თქვენო მოწყალებავ, ეს შეუძლებელია. ხომ გაიგონეთ საკეტის ჩხაკუნი?

პომიდორი შეეცადა კარი თავისი გასაღებით გაეღო. მაგრამ ამაოდ. საკეტი მხოლოდ გარედან იღებოდა.

ბოლოს და ბოლოს პომიდორი მიხვდა, რომ თვითონვე გაება მახეში და სიბრაზისაგან კინაღამ გასკდა.

იგი კვლავ გაშავდა, გალურჯდა, გამწვანდა, გაყვითლდა და მოჰყვა მუქარას. თუ ახლავე არ გაგინთავისუფლებივართ, სულ ყველას ამოგხოცავთო.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ და დინამიტის აუფეთქებლად კარს ველარ გააღებდნენ. ასეც მოიქცნენ: შეზანზარდა ყველაფერი. სინიორ პომიდორი თავდაყირა ავარდა მაღლა და ძირს ჩამოვარდნილი თავიდან ფეხებამდე მიწაში ჩაეფლო. ლიმნიები ეცნენ, თხარეს, თხარეს მიწა და როგორც იქნა, მტვერში ამოგანგლული ძლივს ამოათრიეს. ისე იყო გათხუპნული, გეგონებოდათ, კვლიდან ახლად ამოღებული კარტოფილიაო

ბოლოს ზევით აიყვანეს, დაბერტყეს და გულდაგულ გაუსინჯეს თავი, ცხვირ-პირი და ხელ-ფეხი.

თავი მთელი შერჩენოდა. ცხვირი კი მაგრად დანაყოდა. იარაზე სალბუნი დაადეს და სასწრაფოდ ჩააწვინეს ლოგინში. სირცხვილისაგან იწვოდა, ასე დასახიჩრებული ვილას ვენახოო.

ჩიპოლინო და თხუნელა უკვე კარგა შორს იყვნენ, როცა აფეთქების ხმა შემოესმათ.

— რა უნდა იყოს?—იკითხა ბიჭუნამ.

— ნუ სწუხხართ, ალბათ, სამხედრო მანევრებია. პრინცლიმონოს უდიდესი მთავარსარდალი ჰგონია თავი და ვერ მოისვენებს, სანამ არ გააჩალებს ომს, თუ გინდ იგი მოჩვენებითი იყოს.

თხუნელა კვლავ გამალებით თხრიდა და თან სიბნელის მოტრფიალე დღის სინათლეს სწყევლიდა. მართლა ძალიან სძულდა სინათლე.

— ერთხელ,—უთხრა მან ჩიპოლინოს,—შემთხვევით ცალი თვალი შევავლე სანთელს, გეფიცებით, თავქუდმოგლეჯილი მოვქუსლე როცა გავიგე, რაც იყო იგი.

— აბა რას იზამთ, ზოგიერთი სინათლე თვალს ჭრის კაცს,—ამოიოხრა ჩიპოლინომ.

— არა. ანთებული კი არ იყო, ჩამქრალს შევხედე. თორემ ანთებულისთვის რომ შემეხედა, რა დამემართებოდა, ვინ იცის!

ჩიპოლინო გაოცებული იყო, როგორ უნდა ემოქმედა ჩამქრალ სანთელს მხედველობაზე—ვერ გაეგო. უცებ თხუნელა შედგა.

— რალაცა ხმები მესმის!—თქვა მან.

ჩიპოლინომაც ცქვიტა ყურები. შემოესმა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკი, თუმცა ხმებს ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა.

— ხომ გესმის? სადაც ლაპარაკია, იქ ხალხიცაა. ხალხს კი რა გააჩერებს უსინათლოდ. მოდი, სხვა მხარეს წავიდეთ.

კვლავ მიუგდო ყური ჩიპოლინომ და ახლა უკვე გარკვე-

ვით გაიგონა ხელოსან ყურძენას ნაცნობი ხმა, თუმცა ის ვერ გაარჩია, რას ლაპარაკობდა.

ბიჭს უნდოდა ერთი მაგრად ეყვირა, რომ გაეგონათ და ეცნოთ მისი ხმა მეგობრებს, მაგრამ, არა, აჩქარება არ ღირს,— ფიქრობდა თავისთვის ჩიპოლინო.—თხუნელას ჯერ არ გავაგებინებ, რომ ესენი ჩემი მეგობრები არიან, თორემ, ვინ იცის, გაჯიუტდეს, მაშინ ხომ ჩამეშალა მთელი გეგმები. არა, ჯერ როგორმე ეს მიწისქვეშა გზა უნდა გავაყვანინო.

— სინიორ თხუნელა,— ფრთხილად დაიწყო ჩიპოლინომ,— გამიგონია ერთ მეტად ბნელ გამოქვაბულზე, ჩემი აზრით, სწორედ ამ მიდამოებში უნდა იყოს იგი.

— ვითომ ჩემს დერეფნებზე ბნელი?—ჰკითხა დაეჭვებულმა თხუნელამ.

— დიახ, თქვენ დერეფნებზე უფრო ბნელი!—მტკიცედ უპასუხა ჩიპოლინომ.—ალბათ ეს ხალხიც, ხმა რომ გვესმის, გადაღლილი თვალების დასასვენებლად მოვიდნენ გამოქვაბულში.

— ჰმ...—წაიბურტყუნა თხუნელამ.—რაღაც ვეჭვობ. მაგრამ თუ ასე ძალიან გინდათ ამ გამოქვაბულის ნახვა, იყოს ნება თქვენი, იქითკენ წავიდეთ. რასაკვირველია, თქვენს ვაჟკაცობაზე მომინდვია!

— გთხოვთ, სინიორ თხუნელა! იცოდეთ, დიდად დამავალებთ!—სთხოვა ჩიპოლინომ.

— თქვენ კი ახალ გამოქვაბულს ნახავთ. ხომ გაგიგონიათ, სწავლა სიკვდილამდეო. ასე არ არის?

— კარგი,—დაეთანხმა თხუნელა.—არც თქვენთვის იქნება კარგი, მე რომ თვალი მომჭრას კაშკაშა სინათლემ.

მალე ლაპარაკი სულ ახლოს გაისმა.

ნათლიმამა გოგრას ოხვრაც კი გაიგონა ჩიპოლინომ:

— ოჰ, ყველაფერი ჩემი ბრალია... ოჰ, ჩიპოლინო რომ მოვიდოდეს და გვიხსნიდეს ამ ტანჯვისაგან!

— თქვენი სახელი ახსენეს მგონი,—უთხრა თხუნელამ.

— ჩემი სახელი?—გაიოცა ჩიპოლინომ, თითქოს სულაც

(არ გაუგონიათ. — არა მგონია რაზე ლაპარაკობენ არაფერი არ მესმის.

ახლა ხელოსან ყურძენას ხმა შემოესმა:

— ეჭვი სულ არ მეპარება, რახან დაგვპირდა ჩიპოლინო, მოვა და გაგვათავისუფლებს.

— გაიგონეთ, არა? სწორედ თქვენზე ლაპარაკობენ! ვერ დამარწმუნებთ, ვერა, არაფერი არ გამიგონიათ. ახლა მაინც სთქვით, რა განჭრახვა გქონდათ აქ რომ მოგყავდით.—თავისას არ იშლიდა თხუნელა.

— სინიორ თხუნელა, — გამოტყდა ჩიპოლინო, — იქნებ უკეთესიც იყო თავიდანვე გადამეშალა თქვენთვის გული, მაგრამ ახლა მაინც გეტყვით სიმართლეს. ეს ხმები თქვენ რომ გესმით, გრაფინია ალუბლების სასახლის ჯურღმულიდან მოისმის. იქ სულს ხდიან ჩემს მეგობრებს, რომლებსაც დავპირდი, გაგათავისუფლებ-თქო.

— და თქვენ ჩემი დახმარების იმედი გქონდათ?

— რა თქმა უნდა. თქვენ უკვე გაიყვანეთ გრძელი დერეფანი, ჩემო კეთილო თხუნელა, და თუ კიდევ ცოტას წაიმუშავებთ, მე გავათავისუფლებ ჩემს მეგობრებს.

თხუნელა ცოტა ხანს დაფიქრდა და ბოლოს თქვა:

— კარგი, მე თანახმა ვარ. კაცმა რომ თქვას, ჩემთვის სულ ერთია, რომელ მხარეს გავთხრი მიწას. ჰოდა, ეგრე იყოს, თქვენი მეგობრებისთვისაც გავთხრი დერეფანს.

რა სიამოვნებით დაკოცნიდა ამ ბებერ თხუნელას ჩიპოლინო, მაგრამ ბიჭს სახე ისე ჰქონდა მიწით ამოთხუპნული, რომ თვითონაც არ იცოდა, სადა ჰქონდა პირი.

— სულითა და გულით გიხდით მადლობას, სინიორ თხუნელა! სიკვდილამდე არ დავივიწყებ თქვენს სიკეთეს.

— კარგი ერთი... — წაიბურტყუნა გულაჩუყებულმა თხუნელამ. — ლაყბობაში დროს ნუ ვკარგავთ. ერთი მალე მივალწიოთ თქვენს მეგობრებამდე.

თქვა და მუშაობა განაგრძო. სულ მალე მიწისქვეშეთის კედელიც შეანგრია. საუბედუროდ, თხუნელა საკანში შეძვრა

თუ არა, ყურძენამ ასანთს გაჰკრა, რომ გაეგო რა დრო იყო.

ჩვენს საწყალ თხუნელაზე ისე იმოქმედა ამ სინათლემ, რომ იგი მაშინვე გასასვლელს მიაწყდა და სიბნელეში შთაინთქა.

— ნახვამდის, სინიორ ჩიპოლინო! — დაიყვირა გამომშვიდობებისას, — კარგი ახალგაზრდა ხართ და მეც გულწრფელად მინდოდა დაგხმარებოდით. მაგრამ თქვენ ვალდებული იყავით გაგეფრთხილებინეთ, რომ ასეთი თვალისმომჭრელი სინათლით შემოგვხვდებოდნენ. არ უნდა მოგეტყუებინეთ, არა.

და ისე სწრაფად გაიქცა, რომ ახლადგაყვანილი დერეფნის ჭერი ჩამოწვა, კედლებმა დაიწია და დერეფანი მთლად მიწით ამოივსო. თხუნელას ხმა აღარ ესმოდა ჩიპოლინოს იგი ნაღვლიანად გამოეთხოვა ახალ მეგობარს და თავისთვის წაიბურტყუნა: „ნახვამდის, კეთილო მოხუცო, ქვეყანა დიდია, იქნებ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს სადმე და მოტყუილებისათვის შენდობას მაშინ გთხოვთ“.

ასე გამოეთხოვა თავის თანამგზავრს ჩიპოლინო. როგორც კი შეეძლო ცხვირსახოცით სახე გაიწმინდა და თითქოს დღესასწაულზე მიიჩქარისო, მხიარული, უდარდელი შეევარდა თავის მეგობრებთან.

— გამარჯობათ, მეგობრებო! — საყვირივით გაისმა მისი წკრიალა ხმა მიწისქვეშეთში.

წარმოიდგინეთ როგორ გაიხარეს პატიმრებმა. ეცნენ ჩიპოლინოს, გულში ჩაიკრეს, კოცნეს და კოცნეს, სულ მოაშორეს მთელი ჭუჭყი. ზოგი ხელს ხვევდა, ზოგი ჩქმეტდა, ზოგიც მხარზე უტყაპუნებდა ხელს...

— ნელა, ნელა! — ამშვიდებდა მეგობრებს ჩიპოლინო. — თორემ, ნაკუწ-ნაკუწად მაქცევთ.

ძლივს დამშვიდნენ მეგობრები. მაგრამ მათი სიხარული სასოწარკვეთილებამ შესცვალა, როცა ჩიპოლინო თავის პატიმრობის ამბავს მოჰყვა.

— ჩემო ძმაო, მაშ შენც ტყვე ყოფილხარ! — მიმართა ყურძენამ.

— ჰო, ასეა! — უპასუხა ჩიპოლინომ.

— მცველი რომ შემოვა, ხომ გნახავს?

— აუცილებელი კი არ არის! — მიუგო ჩიპოლინომ, — ღვთის წყალობით, დიდი არა ვარ, შევძვრები აგერ მსხლის ვიოლინოში და დავიმალები.

— ვაიმე, მაშ ვილამ უნდა გაგვიყვანოს ამ ჯურღმულიდან? — წაიჩურჩულა ნათლიდედა გოგრიკომ.

— სულ ჩემი ბრალია, ჩემი! — ღრმად ამოიოხრა ნათლიმამა გოგრამ, — ჩემი გულისთვის მოხდა ეს.

ჩიპოლინოს უნდოდა გაემხნევებინა დაღონებული მეგობრები, მაგრამ რას გახდებოდა, როცა თვითონაც გული უწუხდა.

თავი მეთერთმეტე

აქედან ნათელი ხდება, რომ კავალერ პომიდორს ჩვეულებად ჰქონდა ფინდებით დაეძინა

რა თქმა უნდა, პომიდორს არავისთვის არ გაუმხელია ჩიპოლინოს გაპარვა, ლიმნიებსაც, რომლებიც მას ახლდნენ, ხმა ჩააწყვეტინა, თუ ვინმე გკითხავთ, უთხარით, დამნაშავე საერთო საკანში გადავიყვანეთ-თქო. გადაყვლეფილი ცხვირი რომ არავის ენახა, კავალერი პომიდორი ლოგინს არ შორდებოდა. არც მნახველებს იკარებდა ახლოს. მარწყვა თვალს არ აშორებდა, მაგრამ ვერ გაიგო, მიწისქვეშეთის გასაღები სად ჰქონდა შენახული. ბოლოს გადაწყვიტა, ალუბლიკოს მოლაპარაკებოდა, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოიკეთა და კვლავ მწარედ ტიროდა. მარწყვამ როგორც კი უამბო ახალი ამბები, ალუბლიკომ ცრემლები მოიწმინდა და სწრაფად წამოხტა თეხზე.

— მაშ ჩიპოლინო ციხეშია? ახლავე უნდა გავათავისუფლოთ. ჩქარა მომაწოდე ჩემი სათვალე.

— რას აპირებ?

— გავათავისუფლებ ჩიპოლინოსა და მის მეგობრებს, — მტკიცედ განაცხადა ალუბლიკომ.

— მერე როგორ უნდა გამოართვა გასაღები პომიდორს?

— მოვპარავ. შენ მხოლოდ ახლავე გამოაცხვე კარგი შოკოლადის ტორტი და მოაყარე ძილის წამალი, ჩემს მამიდებს

ბაგის მეტი რა აქვთ. შოკოლადი ძალიან უყვარს სინიორ პომიდორს. როგორც კი დაიძინებს, იცოდე, მაშინვე მაცნობე. მე მანამდე გავიქცევი და საქმეს დავხედავ.

მარწყვა თვალებს არ უჯერებდა: ამ სუსტ და ნაზ ბიჭუნას საიდან აქვს ამდენი გამბედაობა და სიმტკიცეო.

— როგორ შეიცვალა! ღმერთო ჩემო, როგორ შეიცვალა!—ჩურჩულებდა იგი.

ამასვე ამბობდა ყველა, ვინც კი თვალი მოჰკრა ამ დღეს ალუბლიკოს. გრაფინიები, სინიორ ოხრახუშა და ჰერცოგი მანდარინი გაოცებულნი შეჰყურებდნენ მას.

— უკვე მოიკეთა,—წამოიძახა უფროსმა გრაფინიამ მის გაბრწყინებულ თვალებსა და აწითლებულ ლოყებს რომ შეხედა.

— ხომ გეუბნებოდით, ავად არ არის-მეთქი!—დაუმატა ჰერცოგმა.—იგონებდა.

უმცროსმა გრაფინიამ მაშინვე კვერი დაუკრა თავის ჭირვეულ ნათესავს, ეშინოდა, ისევ კარადაზე არ აცოცებულიყო და არ დაეწყო მუქარა, თავს მოვიკლავ, თუკი რამეთი არ დამასაჩუქრებთო.

ამასობაში ალუბლიკომ ერთ ლიმნიას წამოაცდენინა, რომ ჩიპოლინომ მოახერხა ციხიდან გაქცევა. ალუბლიკოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. თუმცა გადაწყვიტა, სანამ დანარჩენ ტყვეებსაც არ გაათავისუფლებდა, არ მოესვენა.

— ჩიპოლინოს მეგობრები—ჩემი მეგობრებიც არიან!—თქვა და საქმეს შეუდგა.

მედილეგეებთან საუბარში ალუბლიკომ გაიგო, რომ სინიორ პომიდორს ჯურღმულის გასაღები წინდის შიგნით დაკერებულ განსაკუთრებულ ჯიბეში ჰქონდა დამალული.

„ცუდადაა საქმე,—ფიქრობდა ალუბლიკო. — ყველამ იცის, რომ პომიდორი ძილის დროს წინდებს არ იხდის. მაშ ისე ღრმად უნდა დაიძინოს, რომ გასაღების ამოღება ვერ გაიგოს“.

ალუბლიკომ მარწყუნიას სთხოვა, ტოტზე ორი დოზა დასაძინებელი ფხვნილი მოეყარა.

დალამდა თუ არა, მსახურმა კავალერ პომიდორს შშვენიერი მარმალად-შოკოლადიანი ტორტი მიართვა. გამხიარულებულ ბატონს ერთ ლუკმადაც არ ეყო იგი.

— შენი ბატონი არ დაგიკარგავს ამაგს!—დაპირდა მსახურს.—მოვკეთდები თუ არა, შარშან რომ შოკოლადი შევჭამე, იმის ქაღალდით დაგასაჩუქრებ აუცილებლად. რომ იცოდე, რა ტკბილი და სურნელოვანია ის ქაღალდი.

მარწყვამ მადლობის ნიშნად მდაბლად დაუკრა თავი. ვიდრე ის წელში გაიმართებოდა, პომიდორმა უკვე ხვრინვა ამოუშვა. ისე ხვრინავდა, რომ გეგონებოდათ, კონტრაბასებისა და ფლეიტების მთელი ორკესტრი უკრავსო.

მარწყვა მაშინვე ალუბლიკოსთან გაქანდა. ხელიხელ ჩაკიდებულნი, თითისწვერებზე შემდგარნი პომიდორის დასაძინებელ ოთახისაკენ გაეშურნენ.

გვერდზე ჩაუარეს მანდარინის ოთახს. ჰერცოგი შუალამემდე ხტომაში ვარჯიშობდა: უმცროსი გრაფინიასთვის რამე რომ დაეტყუებინა, თავს არ იზოგავდა, თავბრუდამხვევ ნახტომებს აკეთებდა. ეს კი კარგ წვრთნას მოითხოვდა.

ორივემ შეიხედა რიგრიგობით გასაღების ჭუჭრუტანაში და დაინახეს, რომ ჰერცოგი ცოფიანი კატასავით ხტოდა კარადიდან ჭაღზე, საწოლის ზურგიდან სარკეზე. სწრაფად მიცოცავდა ფარდაზე. სულ ცოტა ხანში ნამდვილი აკრობატი გახდა.

კავალერი პომიდორის ოთახი გაკაშკაშებული იყო: მარწყვამ წასვლის დროს განზრახ არ დახურა დარაბები და მთვავარის შუქი პირდაპირ ფანჯარაში ილვრებოდა.

პომიდორი ისევ ხმამაღლა ხვრინავდა. სიზმარსაც კი ხედავდა: თითქოს მარწყვამ კიდევ მოუტანა დაახლოებით ველოსიპედის ბორბლის ოდენა შოკოლადის ტორტი.

ის იყო უნდა ჩაესანსლა, რომ ოთახში შემოვიდა ბარონი ფორთოხალი და ნახევარი ტორტი მოსთხოვა. კავალერმა დაშნაც კი იშიშვლა—იცავდა თავის უფლებას. ბოლოს და ბოლოს ბარონმა უკან დაიხია, თან დაუზოგავად უტყლაშუნებდა საცოდავ მეძველმანეს, რომელსაც ურიკის სიმძიმისაგან



ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა. სინიორ პომიდორი მიუბრუნდა თუ არა ტორტს, ახლა ჰერცოგი მანდარინი დაადგა თავს, იგი უშველებელ ჩინარს მოქცეოდა წვერზე და ღრიალებდა: „ახლავე მომეცით ნახევარი ტორტი, თორემ თავდაყირა წამოვალ ძირსო!“

ერთი სიტყვით, მშფოთვარე სიზმრებს ხედავდა პომიდორი, ნაცნობი თუ უცნობი, ყველა ცდილობდა ეს ავბედითი ტორტი, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, წაერთმია. ბოლოს ამ დაწყევლილმა ტორტმა სულ გაუცრუა იმედები. შოკოლადის ტორტი მუყაოდ იქცა, პომიდორი აბა რას იფიქრებდა, ჩაასო კბილები და მაგარი, წებოიანი, უგემური მუყაოთი აევსო პირი.

იმ დროს როცა პომიდორი ამ ამაფორიაქებულ სიზმრებს ხედავდა, მარწყვამ ფრთხილად გახადა წინდა, ალუბლიკომ კი ამოაცალა გასაღების ასხმულა.

— კარგი საქმე გავაკეთეთ!—წასჩურჩულა მარწყვამ.

— როგორ განრისხდება პომიდორი, რომ გამოიღვიძებს და ყველაფერს გაიგებს, — გადახედა თავის მძიხარე ბატონს მარწყვამ.

— გავიქცეთ ვიდრე სძინავს!

— საშიში სულაც არაფერია. იმდენი დასაძინებელი ფხვნილი წავაყარე ტორტს, რომ ერთი ათ კაცს მაინც ეყოფოდა.

ისინი ფეხაკრეფით გავიდნენ ოთახიდან, კარიც გამოიკეტეს და თავქუდმოგლეჯილნი დაეშვნენ კიბეებზე, სულს ძლივს ითქვამდნენ.

ალუბლიკო უცებ შეჩერდა და ჩაილაპარაკა:

— მცველებს რაღა მოვუხერხოთ?

მცველები მართლა სულ აღარ მოჰგონებიათ.

მარწყვა ასეთ მძიმე წუთებში პირში თითს ჩაიდებდა, ერთი კარგად მოწუწნიდა და ჭკვიანური აზრიც მაშინვე გაუჩხდებოდა ხოლმე.

— მოვიფიქრე.—თქვა ბოლოს.—სახლის რომელიმე მოსახვევიდან მოკრთავ ღრიალს, არიქა მიშველეთ, ავაზაკები თავს დამესხენ მეთქი. შენც მაშინვე აფრინე ციხის მცველები ჩემს დასახსნელად. როგორც კი მარტო დარჩები, დრო იხელთე, გასაღები ორჯერ გადაატრიალე და საკნის კარებიც გაიღება.

ასეც მოიქცნენ. ტყუილი ალჩუზე დაჯდა. მარწყუნია ისე სასოწარკვეთილი გაჰყვიროდა, „ყარაულო, ყარაულო“, რომ

მგონი ხეებიც კი ძირფესვიანად ლამობდნენ ამოვარდნას და საბრალო გოგონას მიშველებას. მედილიგეებს ერთი ალიაქოთი შეუდგათ. ისე გარბოდნენ ალუბალასკენ, გეგონებოდათ, მწევარი მხეცს მისდევსო.

— იჩქარეთ ღვთის გულისათვის! იქ ბანდიტები არიან!— მიჰყვიროდა ალუბლიკო.

მარტო რომ დარჩა, ალუბლიკომ გასაღები ორჯერ გადაატრიალა, მძიმე კარი გააღო და მიწისქვეშეთში შევიდა. რა გაოცებული დარჩა, როცა პატიმართა შორის თავისი მეგობარი ჩიპოლინოც დაინახა.

— შენც აქა ხარ, ჩიპოლინო? მაშ არ გაქცეულხარ?

— მერე გიამბობ ყველაფერს. ახლა ამისთვის დროს ნუ დავკარგავთ.

ლტოლვილები მართლაც უნდა აჩქარებულიყვნენ.

— აქეთკენ წამოდით,—ძლივს იბრუნებდა სულს ალუბლიკო, თან ტყისკენ მიმავალ ბილიკისაკენ იშვერდა ხელს.— ნუ გეშინიათ მედილეგეები ვერ დაგინახავენ, ისინი მეორე მხარეს გაიქცნენ.

ნათლიდედა გოგრიკო ძალზე მსუქანი გახლდათ. სად შეეძლო ასე სწრაფად სირბილი, ჰოდა, აიღეს და მართლა გოგრასავით დააგორეს გზაზე.

ჩიპოლინო ერთი წუთით ამხანაგებს ჩამორჩა და მათი სახელით დიდი მადლობა გადაუხადა ალუბლიკოს, რომელსაც ცრემლები, უბრწყინავდა თვალებში.

— ყოჩაღ!—უთხრა ჩიპოლინომ.—არა მჯეროდა, რომ ნამდვილად ავად იყავი და დაპატიმრებამდე რამდენიმეჯერ ვცადე მენთან შემოპარვა.

— გაიქეცი, სწრაფად გაიქეცი, თორემ დაგიჭერენ.

— ახლავე მოვუსვამ, მაგრამ ჩვენ ისევ მალე შევხვდებით ერთმანეთს. პირობას გაძლევ, სინიორ პომიდორს ასეთ საამო წუთებს ბევრს ვაგებებთ.

ორი ნახტომით თავისიანებთან გაჩნდა და ნათლიდედა გოგრიკოს დაგორებაში ხელიც წაახმარა მეგობრებს. ალუბლიკომ

კი სასახლისაკენ გასწია, რომ გასალები თავის ადგილზე, სინიორ პომიდორის მარჯვენა წინდაში ჩაედო.

გაინტერესებთ ხომ, რა დღეში იყვნენ ამ დროს ციხის მცველები, რომლებიც მარწყვას მისაშველებლად გაიქცნენ.

თვალცრემლიანმა ქალმა მათ მოსვლამდე წინსაფარი დაიხია, სახე ჩამოიკაწრა, ვითომდა მართლა დამესხნენ თავს ბანდიტებიო.

— საითკენ გაიქცნენ?—ჰკითხეს სირბილისაგან აქოშინებულმა ლიმნიებმა.

— აი აქეთკენ!—სოფლის ბილიკისაკენ გაიშვირა ხელი მარწყვამ.

მედილეგეებიც სწრაფად გაიქცნენ იქითკენ. ორჯერ-სამჯერ შემოურბინეს სოფელს, ქუჩაში ვერავინ ნახეს ერთი სოფლის კატის მეტი, რომელიც თუმც დიდ წინააღმდეგობას უწევდა, მაინც დააპატიმრეს და სასახლეში წაათრიეს.

— არ მესმის!—კნაოდა აღშფოთებული კატა. — მგონია თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ და რა უფლებით დამაპატიმრეთ? ესეც არ იყოს, თქვენ სწორედ იმ დროს მობრძანდით, როცა თაგვმა ბოლოს და ბოლოს თავისი ხვრელიდან გამობრძანება ინება. აგერ ორი საათია მას ვდარაჯობ.

— ციხეში თაგვების მეტი რა არის!—უპასუხა დაცვის უფროსმა.

ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდნენ ლიმნიები სასახლეში. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რა მოუვიდოდათ, დაცარიელებული ციხე რომ დაუხვდათ.

სასწრაფოდ ჩაკეტეს კატა საკანში, ხანჯლები და თოფები მიყარ-მოყარეს და პომიდორის მოსალოდნელი რისხვით დამფრთხალნი აქეთ-იქით გაიფანტნენ.

სინიორ პომიდორმა გაახილა თუ არა დილით თვალები, სარკეში ჩაიხედა.

„ცხვირი მომრჩენია,—უთხრა თავის თავს.—მოვიძრობ ამ სალბუნს, მიწისქვეშეთში ჩავალ და ტყვეებს დავკითხავ“.

გზაში სინიორ მუხუდო შემოხვდა, ისიც თან გაიყოლა, როგორც სისხლის სამართლის სამეფო კანონების ბრწყინვალე მცოდნე. თან წაიყვანა სინიორ ოხრახუშაც—პატიმართა ჩვენების ჩასაწერად.

სამივენი გაბღინძულები, როგორც სამართლის დამცველთ შეეფერებათ, დაწალიკებით ჩავიდნენ მიწისქვეშეთში. პომიდორმა მარჯვენა წინდიდან ამოათრია გასაღები და მძიმე კარი გააღო, გააღო და ისე სწრაფად გახტა უკან, რომ სინიორ ოხრახუშა ძირს დაანარცხა. საკნიდან საბრალო კვნესა მოისმოდა. „მიაუ, მიაუ!“—გულის გამგმირავად კნაოდა სოფლის კატა და საბრალოდ იკლაკნებოდა აუტანელი ტანჯვისაგან.



— აქ რა გინდათ? — ჰკითხა შიშისაგან აკანკალებულმა სინიორ პომიდორმა კატას.

— ოჰ, მუცელი მტკივა! — მწარედ წუწუნებდა კატა. — ამ-ბუ-ლა-ტო-რი-აში წამიყვანეთ, ანდა სასწრაფოდ გამომიგზავნეთ ექიმი.

თურმე კატა მთელი ღამე თაგვებზე ნადირობდა, გაძღომა ველარ გაიგო და ახლა ორასამდე კუდი პირში ჰქონდა ამოჩრილი.

კავალერმა მაშინვე თავისუფლება უბოძა სოფლის კატას და უფლებაც მისცა — თაგვებზე სანადიროდ ციხის კარი თქვენთვის მუდამ ღია იქნებაო.

გამოთხოვებისას კატას უთხრა

— თუ იმდენ კეთილშობილებას გამოიჩენთ, რომ თქვენი შეჭმული თაგვების კუდებს საბუთად შეინახავთ, თქვენს მიერ ჩადენილი კეთილი საქმეების დასამტკიცებლად, სასახლის ადმინისტრაცია მცირე პენსიას დაგინიშნავთ. ყოველ კუდზე გარკვეულ თანხას მოგართმევთ.

ამის შემდეგ პომიდორმა დაუყოვნებლივ აფრინა დეპეშა სამეფო საქმეების გამგებელ პრინც ლიმონოსთან. დეპეშაში ნათქვამი იყო:

„გრაფინია ალუბლების სასახლეში უწესრიგობაა. კეთილინებეთ და ლიმნიების ბატალიონი მოგვაშველეთ. თქვენი უმაღლესობის პირადი დასწრება სასურველია. პომიდორი“.

თავი მეთოთრმეტე

პრასა როგორც დააჯილდოვეს ისევე დასაჯეს

მეორე დილას პრინცი ლიმონო ორმოც კარისკაც ლიმონოებითა და ლიმნიების მთელი ბატალიონით სოფელს შეესია. ალბათ გახსოვთ, პრინც ლიმონოს სასახლეში ყველას ქუდებზე ზანზალაკები ეკიდათ. როგორც კი კარისკაცები და ჯარი გზაზე გამოჩნდებოდა, ზანზალაკების ისეთი წკრიალი ატყდებოდა, რომ ძროხები ბალახს თავს ანებებდნენ, ეგონათ, ახალი ნახირი მორეკესო.

პრასა სარკის წინ ულვაშებს ივარცხნიდა, როცა ზანზალაკების წკრიალი შემოესმა. მივიდა ფანჯარასთან და გადაიხედა. მოჰკრეს თუ არა თვალი, ლიმნიები შეიჭრნენ სახლში, დააპატიმრეს იგი და ციხეში მიაბრძანეს. პრასას ერთი ულვაში ზევით აფშეკოდა, მეორე კი ქვემოთ ჰქონდა ჩამოჯინდრული.

— ნება მომეცით, მარცხენა ულვაში მაინც დავივარცხნო!— გზაში სთხოვდა მცველებს.

— გაჩუმდით, თორემ ჯერ მარცხენა ულვაშს შეგაჭრით, მერე მარჯვენას და დასავარცხნიც აღარაფერი გექნებათ.

პრასამ ენა ჩაიგდო მუცელში. შეეშინდა, ეს ერთადერთი ავლადიდებაც არ დაეკარგა.

დააპატიმრეს ადვოკატი მუხუდოც. ბევრი იწივლა და იკივლა, სიტყვებს მუხუდოს მარცვლებივით აყრიდა და ცდილობდა მათ მოგვრიებას.

— თქვენ ცდებით! მე აქაური ადვოკატი ვარ. სინიორ პომიდორის სამსახურში ვიმყოფები. აშკარა გაუგებრობაა, ახლავე გამანთავისუფლეთ!

სულ ტყუილად ირჯებოდა—რამდენიც გინდა შეაყარე კედელს ცერცვი.

სალდათი-ლიმნიები პარკში განლაგდნენ. ერთ ხანს სინიორ ოხრახუშას განცხადებების კითხვით ერთობოდნენ. მერე რომ არ მოწყენოდათ, ბალახების და ყვავილების გადათელვა დაიწყეს, ოქროს თევზებს იჭერდნენ, ორანჟერეის მინებს ნიშანში ესროდნენ და სხვა რამეებსაც იგონებდნენ თავის გასართობად.

გრაფინიები ხან ერთ უფროსთან მივარდებოდნენ, ხან მეორესთან, სიბრაზისაგან სულ თმებს იგლეჯდნენ:

— გემუდარებით, სინიორებო, დააშოშმინეთ თქვენი ხალხი, თორემ მთელ პარკს გაგვინადგურებენ.

უფროსები ყურსაც არ იბერტყავდნენ.

— ჩვენს მამაც მეომრებს,—განაცხადეს მათ,—გმირული ბრძოლების შემდეგ გართობა ესაჭიროებათ. უნდა უმადლოდეთ, რომ თქვენს მშვიდობას იცავენ.

გრაფინიებმა ენის ბორძიკით, გაუბედავად წაიბურტყუნეს: პრასასა და ადვოკატ მუხუდოს დაპატიმრება ბევრი ვერაფერი გმირობაა.

— ძალიან კარგი! მაშ თქვენს დაპატიმრებასაც ვბრძანებთ. ხელფასს იმიტომაც იღებენ ჩვენი სალდათები, რომ ყველა უკმაყოფილო ციხეში ჩასვან.

მეტი რა გზა ჰქონდათ, უნდა გასცლოდნენ იქაურობას და საჩივლელად პრინც ლიმონოს მისდგომოდნენ. პრინცმა თავისი ორმოცი კარისკაცით სასახლის საუკეთესო ოთახები დაიკავა. უცერემონიოდ გამოასახლეს იქიდან კავალერი პომიდორი, ბარონი ფორთოხალი, ჰერცოგი მანდარინი, სინიორ ოხრახუშა და თვით გრაფინიები.

ბარონი ფორთოხალი ძლიერ შეშფოთდა:

— აგერ ნახავთ,—ჩურჩულებდა იგი,—ეს ლიმონოები და ლიმნიები მთელ სურსათს თუ არ გაანადგურებენ და ჩვენც შიმშილით სულს არ ამოგვხდიან. მანამ სურსათი კიდევ ეგულებათ, ფეხს არ მოიცვლიან, გათავდება თუ არა ეს სურსათი, აიკრავენ გუდა-ნაბადს, ჩვენ კი ბედის ანაბარად დაგვყრიან. ოჰ, რა დიდი უბედურებაა. ნამდვილი კატასტროფა მოხდა!

მთავარმა ბრძანა პრასა მოეყვანათ და დაეკითხათ.

სინიორ ოხრახუშამ თავისი უჯრედებიანი ცხვირსახოცით ერთი კარგად მოიწმინდა ცხვირი და სამართალში მიცემულთა ჩვენების ჩასაწერად მოემზადა. კავალერი პომიდორი მბრძანებელს გვერდით მიუჯდა, რომ დროდადრო ყურში წაეჩურჩულებინა, როგორ ეწარმოებინა დაკითხვა.

უნდა მოგახსენოთ, რომ თუმცა პრინცი ლიმონო ოქროს ზანზალაკს ატარებდა, დიდი ვერაფერი გონების პატრონი გახლდათ, ამას გარდა ძალზე დაბნეული იყო. ახლაც ტაკვე შემოიყვანეს თუ არა, მაშინვე წამოიძახა:

— ოჰ, რა საუცხოო ულვაშები აქვს! გეფიცებით, ჩემს საბრძანებლოში ჯერ ასეთი ლამაზი, გრძელი და ასე დავარცხნილი ულვაშები არ მინახავს!

პრასას მეტი რა საქმე ჰქონდა, იჯდა თავის საკანში და ივარცხნიდა და იგრეხდა ულვაშებს.

— გმადლობთ, თქვენო უმაღლესობავ.—უთხრა მორიდებითა და თავაზიანად პრასამ.

— ამიტომ,—განაგრძო მთავარმა,—მსურს დავაჯილდოო იგი ვერცხლის ულვაშის ორდენით. აქ გამოცხადდით, ჩემო ლიმონოებო!

კარისკაცები სწრაფად გამოეჭიმნენ.

— მომიტანეთ ვერცხლის ულვაშის ორდენის კავალერის გვირგვინი!

გვირგვინი მოართვეს. ფუმფულა ულვაშები გვირგვინს გარს შემოგრაგნოდა. ულვაშები სუფთა ვერცხლით იყო ნაკეთები.

პრასა სულ დაიბნა. ეგონა, დაკითხვაზე მოჰყავდათ და აგერ ასეთი მაღალი ჯილდოს ღირსი გახადეს.

მორჩილად დახარა თავი მთავრის წინ და პრინცმა საკუთარი ხელით დაადგა თავზე გვირგვინი, მერე ხელები მოხვია და ორივე ულვაში დაუკოცნა—ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა. ამ დაბნეულ პრინცს ეგონა, საქმე გავაკეთეო, წამოდგა და წასასვლელად გაემზადა.

მაშინ კი პომიდორმა ველარ მოითმინა, დაიხარა და ყურში წასჩურჩულა.

— თქვენო უმაღლესობავ, მოწიწებით მოგაგონებთ, რომ თქვენ კავალერის ხარისხი მიანიჭეთ გამოუსწორებელ დამნაშავეს.

— მას შემდეგ, რაც კავალერის ხარისხი მივანიჭე,—მედიდურად წარმოთქვა პრინცმა ლიმონომ,—იგი დამნაშავე აღარ არის. თუ გსურთ, მაინც დავკითხოთ.

პრინცი მიუბრუნდა პრასას: იცით თუ არა თქვენ, სად გაიქცნენ ტუსაღები? პრასამ უპასუხა, არაფერი ვიციო. მაშინ ის მაინც გვითხარით, სად გადამალეს ნათლიმამა გოგრას სახლი? პრასამ ამაზეც უარი განაცხადა.

— თქვენო უმაღლესობავ, ეს კაცი ცრუობს! ჩემი წინადადებაა, ვაწამოთ, არ გავუშვათ, ვიდრე არ იტყვის სიმართლეს, სრულ სიმართლეს, ჭეშმარიტ სიმართლეს!

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი!—კვერი დაუკრა პრინცმა ლიმონომ და ხელები მოიფშვნიტა.

სულ არ ახსოვდა, რომ რამდენიმე წუთის წინ ორდენით დააჯილდოვა ის კაცი, რომლის წამებას ახლა ასე სიხარულით შეხვდა. ძალიან უყვარდა ხოლმე სასტიკი წამების ყურება.

— რით დავიწყოთ წამება?—იკითხა ჯალათმა, რომელიც პრინცთან გამოცხადდა იარაღში ჩამჯდარი: ორთითები, ნაჯახი, მაშები, ერთი კოლოფი ასანთიც თან წამოელო.

ასანთი კოცონის დასანთებად დასჭირდებოდა.

— დააგლიჯეთ ულვაშები!—ბრძანა მთავარმა.—ალბათ ამ ქვეყანაზე მისი ფასი არაფერი აქვს.

ჯალათმა ხელი წაავლო ულვაშებში, ქაჩა და ქაჩა, მაგრამ

თეთრეულის სიმძიმეს ისეთი მაგარი და გამძლე გაეხადა, რომ ჯალათი სულ ტყუილად წვალობდა, ტყუილად ღვრიდა ოფლს: ულვაშები ვერა და ვერ დააგლიჯა. პრასა კი სულ არ გრძნობდა ტკივილს. ბოლოს ძალაგამოცლილი ჯალათი უგონოდ დაეცა იატაკზე. პრასა კი საიდუმლო საკანში შეაგდეს და მისი არსებობა სულ დაივიწყეს. ჭამდა პრასა უმ თაგვებს. ამასობაში ულვაშები ისე დაუგრძელდა, რომ სულ სამკეცად დაეხვა.

პრასას შემდეგ სინიორ მუხუდოს გამოუძახეს დაკითხვაზე. იგი ფეხებში ჩაუვარდა მთავარს, კოცნიდა და დამამცირებლად ევედრებოდა:

— შემიბრალეთ, თქენო უმაღლესობავ, უდანაშაულო ვრა.

— ცუდია, ძალიან ცუდი სინიორ ადვოკატო! თქვენ რომ დამნაშავე იყოთ, ახლავე გაგათავისუფლებდით. მაგრამ თუკი ბრალი არაფერში გიდევთ, მაშინ თქვენი საქმე ცუდად შეტრიალდება. მოიცათ, მოიცათ... ვერ გვეტყვით, ტუსაღები სად არიან?

— არ ვიცი, თქვენო უმაღლესობავ!—უპასუხა მთლად აკანკალებულმა ადვოკატმა. მართლაც რას ეტყოდა, რაც არ იცოდა!

— აი, ხედავთ, არაფერი არ გცოდნიათ. მაშ როგორღა გაგათავისუფლოთ!—წამოიძახა პრინცმა.

სინიორ მუხუდომ მუდარით გადახედა სინიორ პომიდორს, პომიდორმა, ვითომც ღრმა ფიქრებში ვარ ჩაფლულიო, ჭერს მიაპყრო მზერა.

სინიორ მუხუდომ ყველაფრის იმედი დაკარგა, როცა დაინახა, რომ მისი ბატონი და მფარველი, რომელსაც ასე ერთგულად ემსახურებოდა, უსინდისოდ გვერდზე გაუდგა და სასოწარკვეთილება სიშმაგედ შეეცვალა.

— არ შეგიძლიათ ეს მაინც მითხრათ, სად გადამალეს ავაზაკი გოგრას სახლი?—ჰკითხა პრინცმა.

ადვოკატმა ეს კი იცოდა. ერთხელ მიაყურადა ჩიპოლინოსა და თავისი თანასოფლელების ლაპარაკს და ყველაფერი გაიგო.

„თუ საიდუმლო გავამხილე, გამათავისუფლებენ. მაგრამ მერე რა? ახლა კარგად ვხედავ, რაც არიან ჩემი ყოფილი მეგობრები და მფარველები! როცა ჩემი ცოდნა და გამოცდილება სხვის მოსატყუებლად სჭირდებოდათ, სადილ-ვახშამზეც მპატიჟობდნენ, ახლა უბედურებაში რომ ვარ, ხელი მკრეს. არა, არაფერში აღარ დავეხმარები მათ. რაც მოსახდენია, მოხდეს, ჩემგან ვერაფერს ვერ გაიგებენ!“.

— არა, პრინცო, არაფერი არ ვიცი!—ხმამაღლა განაცხადა მან.

— ცრუობ, მუხუდოვ!—დაიღრიალა პომიდორმა, — მშვენივრად იცი ყველაფერი, მაგრამ არ გინდა თქვა.

ახლა კი გადმოანთხია ბოლმა სინიორ მუხუდომ. თითის-წვერებზე შემდგარმა, აქაოდა უფრო მაღალი გამოვჩნდეო, ზიზღით გადახედა პომიდორს და დაიღრიალა:

— დიახ, ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, სადაც არის გადამალული, მაგრამ არასოდეს არ გეტყვით.

პრინცი ლიმონი მოიღუშა.

— კარგად დაფიქრდით!—უპასუხა მან.—თუ არ გაამხელთ ამ საიდუმლოებას, მაშინ იძულებული ვიქნებით ჩამოგახრჩოთ.

სიხიორ მუხუდოს შიშისაგან ბუხლები აუცახცახდა. ორივე ხელი კისერზე შემოიჭდო, თითქოს თავს იცავს ყულფისგანო, მაგრამ მისი გადაწყვეტილება ურყევი იყო.

— ჩამომახრჩვეთ!—განაცხადა ამაყად.—ახლავე ჩამომახრჩვეთ! — თქვა და ბწვანე მუხუდო მთლად გადაფითრდა და მოცელილივით ძირს გაიშხლართა.

სიხიორ ოხრახუშამ ოქმში ჩაწერა:

„სირცხვილისა და სინდისის ქენჯნისაგან დამნაშავემ გონება დაკარგა.“

კვლავ მოიხოცა ცხვირი უჯრედებიანი ცხვირსახოცით და წიგნი დახურა. დამნაშავეთა დაკითხვა დამთავრდა.

თავი მეცამეტე

როგორ შეუნარჩუნა სინიორ მუხუდომ სიცოცხლე კავალერ პომიდორს, თუმცა თვითონ არ უწყოდა რას სჩადიოდა

სინიორ მუხუდო გონს რომ მოვიდა, ირგვლივ უკუნი სიბნელე იყო. ადვოკატს ასე ეგონა, უკვე ჩამომახრჩვესო.

„მოკვდი,—ფიქრობდა იგი,—და ჯოჯოხეთში ვარ. გაოცებული ვარ პირდაპირ, რატომაა აქ ასე ცოტა ცეცხლი? უფრო სწორად რომ ვთქვათ, მგონი სულაც არ არის. საოცარია, ჯოჯოხეთში რომ ჯოჯოხეთური ალები არ იყოს, განა შეიძლება?“

ამ ფიქრებში გართულს გასალების ჩხაკუნი შემოესმა. გასაქცევი არსად ჰქონდა, ისევ კუთხეში მიიკუჭა და შეშინებული კარს მიაჩერდა: ეგონა, მცველი ლიმნია და ჯალათი შემოჰყოფდნენ თავს.

ლიმნიებმა მართლაც შემოალეს კარი, მაგრამ თან ახლდათ იცით ვინ? თქვენ ვინა გგონიათ?—მისი ბრწყინვალება, ხელფეხგაკრული კავალერი პომიდორი.

სინიორ მუხუდოს უნდოდა მუშტები დაეშინა მისთვის, მაგრამ გონს მოვიდა და გაიფიქრა, „ამას რას ჩავდივარ, ისიც ხომ ჩემსავით ტყვეა“.

კავალერი მაშინვე სასახლეში მიიყვანეს, მან ყველაფერი უამბო პრინცს და შენდობაც მიიღო.

პრინცი მეტად კმაყოფილი დარჩა, მაშინვე უბრძანა ლიმნიებს, ხვალ დილითვე, როგორც კი დასჯიან სინიორ მუხუდოს, შეესიეთ ტყეს და ნათლიმამა გოგრას სახლი აქ მომიტანეთო.

თავი მეთოთხმეტე

როგორ აჭიდა სინიორ მუხუდო ეშაფოტზე

სოფლის მოედანზე აღმართეს სახრჩობელა. სიკვდილმისჯილი უნდა ასულიყო ფიცარნაგზე, რომელსაც ჩასაშვები კარი ჰქონდა სწორედ სახრჩობელას ქვეშ. ამ კარს ახდიდნენ და სინიორ მუხუდოს, ყულფით კისერზე, შიგ ჩააგდებდნენ.

აგერ გამოცხადდნენ კიდეც სიკვდილმისჯილის წასაყვანად, გამოცდილი ადვოკატი ყოველნაირად ცდილობდა დროს გაჭიანურებას. კანონის ძალით ჯერ წვერის გაპარსვა მოითხოვა, მერე თავის დაბანა, თურმე ხელ-ფეხზე ფრჩხილები წამოზრდოდა და სიკვდილის წინ მოისურვა მისი დაჭრა.

ჯალათს არაფრად ეჭაშნიკებოდა დროის უქმად კარგვა და ჯერ წინააღმდეგობა გაუწია. ძველი ჩვეულებისდა მიხედვით, სიკვდილმისჯილს უკანასკნელი სურვილი უნდა შეუსრულდეს, და, ამიტომ საკანში მიუტანეს ერთი დოქი ცხელი წყალი, ტაშტი, მაკრატელი და სამართებელი. ადვოკატი ზოზინით შეუდგა უკანასკნელად მორთვა-მოკაზმვას. დიდხანს იპარსავდა წვერს, იბანდა, ჭუჭყს იშორებდა. მთელი ორი საათი მარტო ფრჩხილებს იჭრიდა. მაგრამ ადრე თუ გვიან, მაინც სახრჩობელასკენ გაემართა.

ფიცარნაგზე ფეხი რომ შედგა, ძრწოლამ აიტანა. მხოლოდ ახლა, ეშაფოტის კიბეზე ასვლისას, წარმოიდგინა ნათლად, რაც მოელოდა. ასეთი პატარა, მწვანე, ჩაპუტკუნებული, კარგად თავდაბანილი, ფრჩხილებდაჭრილი რად უნდა მომკვდარიყო, რად!

გაისმა დოლების ავისმომასწავებელი ბრახუნი. ჯალათმა თავზე ყულფი ჩამოაცვა, ცამეტამდის დათვალა და ხელი დააჭირა ღილაკს. ჩასაშვები კარი აიხადა და სინიორ მუხუდო უკუნეთში ჩაინთქა. ესლა გაიფიქრა: „ახლა კი მართლა ვკვდებიო“.

უცებ ყრუ ბუბუნი შემოესმა:

— გადაჭერით, სასწრაფოდ გადაჭერით, სინიორ ჩიპოლინო. აქ ისეთი სინათლეა რომ თვალებს მჭრის.

ვილაცამ თოკი შეაჭრა, რომელიც სინიორ მუხუდოს კისერზე ჰქონდა შემოჭერილი.

— მოასმევინეთ საუცხოო კარტოფილის წვენი. ჩვენ, თხუნელებს, მუდამ თან დაგვაქვს ეს უებარი წამალი.—გაისმა იგივე ხმა.

რა მოხდა? რა ბედმა გადაარჩინა სინიორ მუხუდო?

თავი მეთხუთმეტე

აქ ახსნილია წინა თავში მომხდარი ამბავი

აი რა მოხდა: მარწყვამ სასახლის ამბები კარგად იცოდა. გაიქცა ტყეში და ბოლოკას ეთხრა, სინიორ მუხუდო შავ დღეში არისო. ბოლოკამ მაშინვე ჩიპოლინოს შეატყობინა ყველაფერი, რომელსაც ნათლიმამა გოგრას სახლის ახლოს გამოქვაბულში შეეფარებინა თავი თავის მეგობრებთან ერთად.

ჩიპოლინომ ყურადღებით მოუსმინა ბოლოკას, მერე ყურძენას მახათი გამოართვა, რომ კეფა მოექიქა. მდგომარეობა მძიმე იყო და ერთი კარგად უნდა მოექეექა თავი, რომ რამე გამოსავალი ეპოვა.

ერთ ხანს იფიქრა, იფიქრა, მერე მახათი პატრონს დაუბრუნა და მოკლედ მოჭრა:

— გმადლობთ, უკვე ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე.

და მაშინვე გაიქცა სადღაც. კითხვაც ვერ მოასწრეს, რა მოიფიქრეო.

ნათლიმამა გოგრა ამ ამბავსაც ღრმა ოხვრით შეხვდა.

— ეჰ, რაკი ჩიპოლინომ თქვა, მოვიფიქრეო, მაშ დამშვიდდით: საქმეს სულ მალე მოაგვარებს.

ჩიპოლინომ კარგა ხანს იხეტიალა მინდორსა და ველში, ვიდრე იპოვიდა რასაც ეძებდა. ბოლოს ამოთხრილი მიწის ბორცვაკებით დაფარულ მდელოს მიადგა. აქ თხუნელა მუ-

შაობდა და ყოველ წუთს ახალ-ახალი ბორცვაკი ამოყოფდა ხოლმე თავს სოკოსავით.

ჩიპოლინომ გადაწყვიტა, დაეცადა და როცა მის ფეხებთან მიწა ამოიბურცა, მუხლებზე დაეცა და ჩასძახა:

— სინიორ თხუნელა! სინიორ თხუნელა! ჩიპოლინო გეძახით.

— ეს თქვენა ხართ? — ცივად უპასუხა თხუნელამ. — უნდა გითხრათ, რომ თქვენთან პირველი შეხვედრის შემდეგ ნახევრად დავბრმავდი. ალბათ კვლავ მიწისქვეშეთში სამოგზაუროდ მეპატიჟებით, ახლა სულ დამეკარგება თვალში სინათლე და ის იქნება.

— რატომ ამბობთ ამას, სინიორ თხუნელა? რა დამავიწყებს თქვენს სიკეთეს. თქვენი წყალობით შევხვდი მეგობრებს. ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება და თავი შევაფარეთ დროებით უახლოეს გამოქვაბულს.

— მადლობას გწირავთ ამ ცნობისათვის, მაგრამ სულაც არ მაინტერესებს თქვენი ამბავი. ნახვამდის!

— სინიორ თხუნელა! სინიორ თხუნელა! — გასძახა ჩიპოლინომ. — ბოლომდე მომისმინეთ.

— სთქვით მერე, რალას უცდით. ოღონდ ნუ იფიქრებთ, რომ კვლავაც დაგეხმარებით.

— საქმე მე არ მეხება. ჩვენი სოფლის ადვოკატი მუხუდო ხვალ დილით უნდა ჩამოახრჩონ.

— ძალიან კარგსაც იზამენ თუ ჩამოახრჩობენ! — გაჯავრდა თხუნელა. — მარყუჟის მოქაჩვაშიც სიამოვნებით წავახმარდი ხელს. ვერ ვიტან ადვოკატებს და არც მუხუდო მეპიტნავება.

საწყალმა ბიჭმა რამდენი იწვალა, ვიდრე ჯიუტ თხუნელას დაიყოლიებდა. ჩიპოლინომ იცოდა, რომ თხუნელას ოქროს გული ჰქონდა და თუმცა ახლა უხეშობდა, მაგრამ არასოდეს უარს არ იტყოდა სამართლიანი საქმის დახმარებაზე.

ასეც მოხდა — ბოლოს და ბოლოს თხუნელა ცოტა მოლბა და მოკლედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა ჩიპოლინოს:

— გეყოფა ამდენი ლაყბობა, სინიორ ჩიპოლინო. ენას

ძვალი არა აქვსო, სწორედ თქვენზეა ნათქვამი. ისა სჯობია, მითხრათ, საით გავიყვანო დერეფანი.

— ჩრდილო... ჩრდილო-აღმოსავლეთით,—სწრაფად უპასუხა ჩიპოლინომ და სიხარულისაგან კინაღამ შეკუნტრუშდა.

თხუნელამ სასწრაფოდ გაიყვანა გრძელი, კარგა განიერი დერეფანი ეშაფოტის ქვეშ. ორივენი გაიტრუნენ და დაიწყეს ცდა, ნეტა რა მოხდებაო. ბოლოს, როგორც იქნა, ჩასაშვები კარი აიხადა და სინიორ მუხუდო კისერში მარყუჟწაჭერილი ძირს ჩამოვარდა. ჩიპოლინომ არც აცივა, არც აცხელა, მაშინვე თოკი შეაჭრა და კარტოფილის უებარი წვენი მოასმევინა. თხუნელას ეს წვენი მუდამ თან დაჰქონდა. ჩიპოლინომ ლოყებზეც შემოარტყა ფრთხილად ხელი. ამ მკურნალობას უქმად არ ჩაუვლია, მუხუდო გონს მოვიდა, თვალები გაახილა, მაგრამ დარეტიანებულმა ვერ დაიჯერა, რომ სიკვდილს გადაურჩა.

— სინიორ ჩიპოლინო!—წამოიძახა მან.—მაშ თქვენც მიცვალებული ხართ? რა ბედნიერებაა, რომ ჩვენ სამოთხეში შევხვდით ერთმანეთს.

— გამოფხიზლდით, ადვოკატო!—ჩაერია ლაპარაკში თხუნელა,—აქ არც სამოთხეა და არც ჯოჯოხეთი. მე პეტრე მოციქული ან ეშმაკი არ გეგონო, მოხუცი თხუნელა ვარ და ჩემს საქმეზე მივიჩქარი. მოდით, სასწრაფოდ გავეცალოთ აქაურობას. ჩიპოლინო, ეცადე, ხშირად აღარ შემომეყარო გზაზე: როგორც კი შენ შემხვდები, აუცილებლად მზე დამკრავს ხოლმე.

თუმცა ეშაფოტის ქვეშ უკუნეთი იყო, თხუნელას ისე განათებული ეჩვენა ეს ჯურღმული, რომ თვალებიც ასტკივდა და თავიც.

ბოლოს და ბოლოს სინიორ მუხუდო გონს მოვიდა და მიხვდა, რომ ჩიპოლინომ და თხუნელამ იხსნეს იგი სიკვდილისაგან. მადლობას მადლობაზე უხდიდა მათ. ჯერ ერთს გადაეხვია, მერე მეორეს. მერე ორივე უნდოდა გულში ჩაეკრა, მაგრამ მოკლე ხელები ჰქონდა და როგორ შემოხვევდა.

როგორც იქნა, დამშვიდდა სინიორ მუხუდო და სამივენი მიწისქვეშეთში ახლად გაყვანილ გზას დაადგნენ. ბოლოში რომ გავიდნენ, თხუნელამ კიდევ ერთი დერეფანი გაიყვანა იმ გამოქვაბულამდე, სადაც ხელოსანი ყურძენა, ნათლიმამა გოგრა, პროფესორი მსხალა და სხვა ლტოლვილები იმალებოდნენ.

ადვოკატსა და მის მხსნელებს დიდი სიხარულით შეხვდნენ ისინი. სულ გადაავიწყდათ, სინიორ მუხუდო ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მათი მტერი რომ იყო.

თავის ახლად შეძენილ მეგობრებთან გამოთხოვებისას თხუნელას ცრემლებიც კი გადმოსცვივდა.

— სინიორებო, — თქვა მან, — თქვენ რომ საღად აზროვნებდეთ, ჩემთან ერთად მიწისქვეშეთში დასახლდებოდით. იქ არ არის სახრჩობელა, ვერც პომიდორსა და პრინც ლიმონოს შეხვდებით თავის ლიმნიებით. სიმშვიდეა და სიბნელე და მთავარიც ეს არის ამ ქვეყანაზე. თუ კიდევ დაგჭირდეთ ბებერი თხუნელა, ამ ხვრელში წერილი ჩამოაგდეთ. დროდადრო შემოვივლი და თქვენს ამბებს გავიგებ. ახლა კი ყოველივე კარგს გისურვებთ, მეგობრებო!

მეგობრები გულთბილად გამოეთხოვნენ ბებერ თხუნელას. უცებ სინიორ მუხუდომ შუბლზე ისე ძლიერად იტკიცა ხელი, რომ ყირამალა გადატრიალდა.

— აჰ, რა დოყლაპია, რა პირაღია ვარ! ეს დაბნეულობა დამლუპავს და ის იქნება!

— ხომ არაფერი დაგავიწყდათ? — თავაზიანად ჰკითხა ნათლიდედა გოგრიკომ, ფეხზე წამოაყენა და მტვერიც ჩამოუბერტყა.

ადვოკატმა უამბო ლტოლვილებს, აი ესა და ეს ვუთხარი პომიდორს და დასძინა, იმან გვიღალატაო.

— სინიორებო! ახლა როცა ჩვენ მშვიდად ვმუსაიფობთ, მცველები ტყეში დათარეშობენ. მათ ნაბრძანები აქვთ, იპოვონ სახლი და სასახლის კართან მიიტანონ.

ჩიპოლინოს სიტყვა არ წამოსცდენია, სასწრაფოდ გაიქცა

ტყისაკენ. ერთი-ორი ისკუპა და პირდაპირ მუხის ძირას, ნათლიმამა მოცვასთან ამოყო თავი. სახლი ალარსად იყო.

ნათლიმამა მოცვა მუხის ფესვებში ჩამალულიყო და მწარედ ტიროდა:

— აჰ, ჩემო ძვირფასო სახლო! ჩემო დიდებულო, მყუდრო ბინავ!

— ლიმნიები იყვნენ? — ჰკითხა ჩიპოლინომ.

— დიახ, დიახ, ყველაფერი წაიღეს: სახლი, ნახევარი მაკრატელი, სამართებელი, განცხადება, ზარიც კი არ დამიტოვეს!

ჩიპოლინომ კეფა მოიქექა. ახლა ალბათ ორი სადგისიც არ ეყოფოდა, რომ რამე მოეფიქრებინა, თუმცა ერთიც არსად იყო... ბიჭმა ალერსით მოუთათუნა მოცვას მხარზე ხელი და თავის მეგობრებთან წაიყვანა გამოქვაბულში.

არავის არაფერი უკითხავს! ისედაც ყველა მიხვდა, რომ სახლს მათი დაუძინებელი მტერი, კავალერი პომიდორი გაიტაცებდა.

თავი მეთექვსმეტე

(მისტერ სტაფილუს და ძაღლი ეცი-არ გაუშვას) თავგადასავალი

(მისტერ სტაფილუ...

დაიცადეთ, ვინ არის მისტერ სტაფილუ? ამ პიროვნებაზე ჩვენ ჯერ არაფერი გვითქვამს. საიდან მოვიდა? ხეტავი რა უნდა? დიდია თუ პატარა, მსუქანი თუ გამხდარი?

ახლავე ყველაფერს გეტყვით.

პრინცი ლიმონო რომ დარწმუნდა, ლტოლვილები უგზოუკვლოდ გაქრენ, ბრძანა, მთელი არემარე გაეჩხრიკათ. მართლაც ლიმნიები ფოცხებით შეიარაღდნენ და მუყაითად გადასინჯეს მთელი ველ-მინდორი, ტყე და ჭალა, რომ ეპოვათ ჩვენი მეგობრები. სალდათები დღე და ღამეს ასწორებდნენ, მოაგროვეს უამრავი ქაღალდი, ფიჩხი და გველის ტყავი, მაგრამ ჩიპოლინოსი და მისი მეგობრების აჩრდილსაც კი ვერსად წააწყდნენ.

— თქვე დოყლაპიებო, თქვენა! — ბობოქრობდა მთავარი. — ფოცხები დაამტვრიეთ, ორთითები ტყეში დატოვეთ, ღირსი ხართ კბილები ჩაგამტვრიოთ კაცმა.

სალდათები შიშისაგან კანკალებდნენ, კბილებს აკაწკაწებდნენ. რამდენიმე წუთს გაისმოდა განუწყვეტელი: „კაკ-კუკ-კაკ-კუკ“ — თითქოს სეტყვამ წამოუშინაო.



— მე მგონი, სამძებრო საქმის სპეციალისტისათვის უნდა მიგვემართა. — ურჩია მთავარს ერთმა კარისკაცმა ლიმონომ.

— ეს სადაური ჩიტია?

— ჩვენებურად მას მაძებარს ეძახიან. მაგალითად, თუ თქვენმა უმაღლესობამ ღილი დაკარგა, უნდა მიმართოს სამძებრო ბიუროს. მაძებარი მაშინვე გიპოვით და ჩაგაბარებთ ღილს. ასევე მოხდება, თუ თქვენი უმაღლესობა დაკარგავს მთელ ბატალიონ სალდათებს, ან თუ მცველებს გაექცევიან პატიმრები, მაძებარი გაიკეთებს სპეციალურ სათვალეს და მაშინვე იპოვის დანაკარგს.

— თუ ასეა, ახლავე აფრინეთ კაცი მაძებართან.

— მე ვიცნობ ამ საქმის ერთ უცხოელ სპეციალისტს. ეს გახლავთ მისტერ სტაფილუ. — ურჩია კარისკაცმა.

მისტერ სტაფილუ... აი ვინ არის მისტერ სტაფილუ. ვიდრე სასახლეში არ მოსულა, მოგიყვებით, რა ფერის ულვაშები აქვს და როგორაა ჩაცმული. თუმცა ულვაშებზე ვერაფერს გეტყვით, უბრალო მიზეზის გამო, მწითურ, გამხმარ მისტერ სტაფილუს ულვაშები სულ არა აქვს, სამაგიეროდ მაძებარი ძაღლი ეცი-არ გაუშვა ჰყავს. ხელსაწყოებს ის დაათრევს. მისტერ სტაფილუ ისე არ გაუდგება გზას, თუ თან არ წაიღო თორმეტიოდე სათვალთვალო მილი და ბინოკლი, ასამდე კომპასი და ათი ფოტოაპარატი, ყველგან დაათრევს მიკროსკოპს, პეპლების საჭერ ბადეს და მთელ პარკ მარილს.

— მარილი რაღად გინდათ?—ჰკითხა მთავარმა.

— თქვენის ნებართვით, თქვენო უმაღლესობავ, მარილს წავაყრი კუდზე ჩვენს მიერ დევნილ ნადირსა და მერე დავიჭერ ამ ხელსაწყოთი, რომლებიც პეპლების საჭერ უშველებელ ბადეს უფრო ჰგავს.

— ვშიშობ, ამჯერად მარილი არ დაგჭირდებათ. როგორც ვიცი, გაქცეული პატიმრები უკუდოები არიან.—ამოიოხრა პრინცმა ლიმონომ.

— კარგა სერიოზული შემთხვევაა,—მკაცრად აღნიშნა მისტერ სტაფილუმ.—მაშ უკუდოები კუდით როგორ დავიჭირო? მარილი რაზე მოვაყარო? უკაცრავად ნუ ვიქნები, თქვენო უმაღლესობავ, და პატიმრები ციხიდან არ უნდა გაგეშვათ, ანდა გაქცევის წინ კუდები უნდა მიგებათ, რომ ჩემს ძაღლს დაეჭირა ისინი.

— კინოში მინახავს,—კიდევ ჩაერია საუბარში ის დარბაისელი კაცი, რომელმაც მაძებრის მოყვანა ურჩია მთავარს,—რომ ხანდახან ლტოლვილთ სულ უმარილოდ იჭერენ.

— მოძველებული მეთოდია,—გაბრაზდა მისტერ სტაფილუ, თან ორჭოფულად გადახედა კარისკაცს.

— ფაქტია, ფაქტი! ძა-ლიან მოძველებული მეთოდია,—გაიმეორა ძაღლმა.

ამ ძაღლს ერთი თვისება ჰქონდა: ხშირად იმეორებდა თავისი ბატონის სიტყვებს, მხოლოდ დაუმატებდა საკუთარ

მოსაზრებას. უმთავრესად ამ სიტყვებს იმეორებდა: „ძა-ლიან, ძა-ლიან“, „ფრიად, ფრიად“ ანდა „ფაქტია, ფაქტიაო“.

— თუმცა ლტოლვილების შეპყრობის მეორე მეთოდიც მაქვს, — განაცხადა მისტერ სტაფილუმ.

— ფაქტია, ფაქტი! ჩვენ უამრავი მეთოდები გვაქვს, — დაემოწმა ძაღლი და თავმომწონედ გააქიცინა კუდი.

— მარილის მაგივრად წიწაკას გამოვიყენებ.

— მართალია, სრული სიმართლეა! — დაემოწმა აღტაცებული ლიმონი. — შიგ თვალებში შეაყარეთ წიწაკა. დარწმუნებული ვარ, მაშინვე დაჰყრიან ფარ-ხმალს.

— მეც ასე ვფიქრობ, — ფრთხილად შენიშნა კავალერმა პომიდორმა. — მხოლოდ ჯერ პატიმრები უნდა ვიპოვოთ, მერე კი წიწაკა შევაყაროთ თვალებში. ასე არ არის?

— ეს უფრო ძნელი საქმეა, — თქვა მისტერ სტაფილუმ, — თუმცა ჩემი იარაღები აქ არა მაქვს? ავდგები და ვცდი.

მისტერ სტაფილუ განსწავლული მაძებარი გახლდათ. უინსტრუმენტოდ ნაბიჯს არა დგამდა. დასაძინებლად რომ მიდიოდა, თან სამი კომპასი მიჰქონდა: ყველაზე დიდი კომპასი კიბის მოსაძებნად სჭირდებოდა, უფრო პატარა საძინებელი ოთახის კარისათვის რომ მიეგნო, სულ პატარა კომპასს კი პირდაპირ საწოლთან უნდა მიეყვანა იგი.

ალუბლიკომ დერეფანში ვითომ შემთხვევით გაიარა, უნდოდა ცნობილი მაძებრისა და მისი ძაღლისთვის მოეკრა თვალი. იგი დიდად გაოცებული დარჩა როცა მისტერ სტაფილუ და მისი ძაღლი იატაკზე გაშხლართულები დაინახა, რომლებიც კომპასს დასცქეროდნენ.

— მაპატიეთ, პატივცემულო სინიორებო, — დაინტერესდა ალუბლიკო, — რატომ დაწოლილხართ იატაკზე? იქნებ ხალიჩაზე ლტოვილების კვალს ეძებთ და კომპასით გინდათ დაადგინოთ, საითკენ გაიქცნენ?

— არა, მე ჩემს საწოლს დავეძებ. უბრალო, შეუიარაღებელი თვალით საწოლს ყველა მიაგნებს. სპეციალისტმა მაძებარმა ძიება უნდა აწარმოოს მეცნიერულად, მოიშველიოს შესაბა-

მისი ტექნიკა. მოგეხსენებათ, კომპასის დამაგნიტებული ისარი ყოველთვის ჩრდილოეთისკენ არის მიმართული. კომპასის ეს თვისება საშუალებას მაძლევს პირდაპირ ჩემს საწოლს მივადგე.

სწორედ ამ კომპასის ბრალი იყო მაძებარი შემთხვევით სარკეს თავით რომ დაეჯახა. სტაფილუ შუბლმაგართა ჯიშს ეკუთვნოდა და სარკე ნამსხვრევებად იქცა. ყველაზე მეტად ძაღლი დაზარალდა — სარკის ნამსხვრევმა ნახევარი კუდი წააცალა. პატარა ნაგლეჯილა დარჩა.

— ეტყობა, ანგარიშში შევცდით, — თქვა მისტერ სტაფილუმ.

— ფაქტია, ფაქტი! ძა-ლიან, ძალიან დიდი შეცდომა მოგვივიდა, — დაემოწმა ძაღლი და ენა გაუსვ-გამოუსვა კუდის ნაგლეჯს.

— მაშ, — თქვა მაძებარმა, — სხვა გზა უნდა ვეძიოთ.

— ფაქტია, ფაქტი! სხვა გზა უნდა ვეძიოთ. — წამოიყეფა ძაღლმა. — იქნებ ამ გზამ სარკესთან არ მიგვიყვანოს.

მისტერ სტაფილუმ კომპასი გვერდზე გადადო, ხელში აიღო ერთი საუკეთესო საზღვაო ჭოგრიტი, თვალთან მიიტანა და მარცხნივ და მარჯვნივ დაუწყო ბრუნება.

— რამეს ხედავთ, ჩემო ბატონო? — ჰკითხა ძაღლმა.

— ვხედავ: დახურული ფანჯრის თითოეულ ჩარჩოში თოთხმეტ-თოთხმეტი ნაირფერი მინაა ჩადგმული და წითელი ფარდაა ჩამოფარებული.

— ძა-ლიან, ძალიან სერიოზული აღმოჩენაა! — წამოიძახა ძაღლმა. — თოთხმეტს თოთხმეტი მივუმატოთ და იქნება ოცდარვა. ამ მიმართულებით რომ წავიდეთ თავზე ორმოცდათექვსმეტი მინის ნამსხვრევი მაინც გადმოგვეყრება. აღარ ვიცი, შემრჩება თუ არა კიდევ კუდი.

მისტერ სტაფილუმ ჭოგრიტი ახლა სხვა მხარეს მიაბრუნა.

— ახლა რაღას ხედავთ, ბატონო? — ჰკითხა შეწუხებულმა ძაღლმა.

— ვხედავ მეტად საინტერესო კონსტრუქციის რაღაც ლითონის ნაგებობას. თქვენ წარმოიდგინეთ, სამი ფეხი ზევით ლითონის რგოლითაა შეერთებული. ამ ნაგებობას ეტყობა თავზე ემალის თეთრი სახურავი ადგია.

ძაღლი განცვიფრებული იყო თავისი ბატონის ამ აღმოჩენით.

— სინიორ, — მიმართა მან. — თუ არ ვცდები, ჩვენამდე ემალის სახურავი არსად არავის უნახავს. ასე არ არის?

— მართალია, — უპასუხა მისტერ სტაფილუმ ამაყად. — ნამდვილ მაძებარს შეუძლია ჩვეულებრივ გარემოში არაჩვეულებრივი საგნები აღმოაჩინოს.

ბატონი და მისი ძაღლი თეთრსახურავიანი ლითონის ნაგებობისაკენ გახოხდნენ. დაახლოებით ათი ნაბიჯის გავლის შემდეგ მიუახლოვდნენ და შიგ შეძვრენ, მაგრამ ისე მოუხერხებლად, რომ ემალის სახურავი გადმობრუნდა.

გამოფხიზლება ვერც კი მოასწრეს, ჯერ ვერ გაეგოთ, რა მოხდა, რომ ცივმა წვიმამ წამოუშინა.

მაძებარი და მისი ძაღლი ადგილზევე გაქვავდნენ, ეშინოდათ, კიდევ ახალ მოულოდნელობას არ გადაყოდნენ. განძრევასაც ვერ ბედავდნენ. ცივი წყალი კი წურწურით ჩამოსდიოდა მისტერ სტაფილუს სახეზე, ძაღლს დრუნჩზე და ორივეს ზურგს, მუცელსა და გვერდებს უსველებდა.

— ჩემის აზრით, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მისტერ სტაფილუმ, — ჩვენ პირსაბანზე მდგარი ემალის ტაშტი გადმოვაპირქვავეთ და მეტი არაფერი.

— ბე ვფიქრობ, — დაუმატა ძაღლმა, — ამ ტაშტში ძალიან, ძა-ლიან, ბევრი წყალი ესხა. ალბათ დილისთვის დასაბანად მოიმარაგეს.

ამ უეცარი შხაპის შემდეგ მისტერ სტაფილუ ფეხზე წამოდგა და ერთი მაგრად შეიბერტყა. ერთგულმა თანამგზავრმაც მას მიბაძა. მალე მაძებარი სულ უწვალებლად იქვე, ორ ნაბიჯზე მდგარ საწოლისაკენ გაემართა დიდის ამბით, თან ღრმააზროვან სიტყვებს იმეორებდა:

— რას იზამ! ჩვენი პროფესია რისკთან არის დაკავშირებული. მართალია, თავზე ცივი წყალი ბლომად გადმოგვესხა, სამაგიეროდ რასაც ვეძებდით, ის ვიპოვეთ — აღმოვაჩინეთ საწოლი.

— ფაქტია, ფაქტი! ბევრი წყალი დაიღვარა! — შენიშნა ძაღლმა.

ეს სალამო რაღაც კვიმატიანი იყო: გალუმპულ-გაყინულ-კუდმოკვნეტილი ძაღლი იატაკზე მიეგდო, თავი თავისი ბატონის სველ ფეხსაცმელებზე დადო და დაიძინა.

მისტერ სტაფილუ მთელი ღამე ხვრინავდა, მზის პირველი სხივი რომ შემოიჭრა ოთახში, მხოლოდ მაშინ გაახილა თვალი.

— ეცი-არ გაუშვა, სამუშაოს მიხედე! — გასძახა ძაღლს.

— ბატონო, მე უკვე მზადა ვარ, — წამოხტა ძაღლი და იქვე ჩაცუცქდა.

წინა სალამოს დასაბანი წყალი სულ დაღვარეს, მეორე დილას მისტერ სტაფილუმ პირი ვერაფრით დაიბანა. ძაღლმა ულვაშებზე ენა გაისვ-გამოისვა, თავის ბატონს სახე აულოკა და ასე გამოფხიზლებულებმა პარკს მიაშურეს, ძიებას შეუდგნენ.

ცნობილმა მაძებარმა აბგიდან პატარა პარკი ამოიღო, რომელშიც ოთხმოცდაათი პაწაწკინტელა დანომრილი კოჭი ეყარა, აი ლოტოს რომ თამაშობენ, სწორედ ისეთი.

მაძებარმა ძაღლს ერთი რომელიმე კოჭის ამოღება სთხოვა. ძაღლმა პარკში თათი ჩაჰყო და მეშვიდე ნომერი კოჭი ამოათრია.

— მაშ მარჯვნივ შვიდი ნაბიჯი უნდა გადავზომოთ, — დაასკვნა მისტერ სტაფილუმ.

მართლაც გადაზომეს მარჯვნივ შვიდი ნაბიჯი და პირდაპირ ჭინჭრებში ჩავარდნენ.

ძაღლს წაკვნეტილი კუდი ცეცხლივით აეწვა, თვით მისტერ სტაფილუს კი ცხვირი თურქულ წიწაკასავით გაუწითლდა.

— ალბათ კვლავ შევცდით, — ივარაუდა სწავლულმა მაძებარმა.

— ფაქტია, ფაქტი!—დაემოწმა დახალვლიანებული ძალლი.
— ახლა სხვა ნომერი ვცადოთ!
— ვცადოთ, — დაეთანხმა ძალლი.
ახლა ოცდარვა ნომერი ამოიღო ძალლმა. სტაფილუმ გადაწყვიტა, გადაედგა მარცხნივ ოცდარვა ნაბიჯი.
გადადგეს ოცდარვა ნაბიჯი მარცხნივ და ორივენი ოქროს თევზების აუზში ჩაცვივდნენ.
— მიშველეთ, ვიძირები! — აღრიალდა მისტერ სტაფილუ, რომელიც ფართხალებდა და აფრთხობდა თევზებს.
იქნება მართლა დამხრჩვალიყო, ერთგულ ძალლს დროზე საყელოში პირი რომ არ ეტაცა და ზევით არ ამოეთრია.
ბატონი და მსახური აუზის კიდეზე ჩამოსხდნენ. ერთი ტანსაცმელს იშრობდა, მეორე — ბალანს.
— მე აუზში კარგა სერიოზული რამ აღმოვაჩინე, — წარბიც არ შეხარა, ისე თქვა სტაფილუმ.
— ძა-ლიან, ძალიან სერიოზული! — დაემოწმა ძალლი. — ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ წყალი ძა-ლიან, ძალიან ასველებს ადამიანს.
— არა, მაგას არ ვამბობ. მე დავასკვენი, რომ ტყვეებმა, რომლებსაც ჩვენ ვეძებთ, ჩაყვინთეს ამ აუზში, გათხარეს მიწისქვეშა გზა და ასე გაუსხლტნენ მდევრებს.
მისტერ სტაფილუმ დაუძახა კავალერ პომიდორს და ურჩია, აუზი დავწრიტოთ, ძირი გამოვუთხაროთ და მიწისქვეშა გზა ვეძიოთო. სინიორ პომიდორი მტკიცე უარზე დადგა. მან განაცხადა, ჩემის აზრით, ლტოლვილები უფრო უბრალო და იოლ გზას აირჩევდნენო და სთხოვა მისტერ სტაფილუს, თავისი ძიება სხვა მხრივ წარემართა.
ცნობილმა მაძებარმა ღრმად ამოიოხრა და თავი ჩაქინდრა.
— ესეც შენ, ადამიანების მადლიერება! — თქვა მან. — წელზე ფეხს ვიდგამ, ოფლი ღვარად ჩამოდის, ცივ-ცივ აბაზანებს ზედიზედ ვღებულობ, აქაური ხელისუფლება კი დახმარების მაგიერ ყოველ ნაბიჯზე ხელს მიშლის.
საბედნიეროდ, ვითომდა შემთხვევით, აუზს გვერდზე ჩაუარა ალუბლიკომ. მაძებარმა შეაჩერა იგი და გამოჰკითხა,

ხომ არ იცით, ლტოლვილების მიერ ოქროს თევზების აუზის ქვეშ გათხრილი, საიდუმლო მიწისქვეშა დერეფნის გარდა პარკის სხვა გასასვლელიო.

— რა თქმა უნდა, ვიცი,—უპასუხა ალუბლიკომ. — აი ეს ჭიშკარი.

სტაფილუმ მხურვალე მადლობა გადაუხადა ბიჭუნას და ორივენი, ბატონი და მისი მსახური, კომპასის დახმარებით, რომელიც სულ თან დაჰქონდათ, ჭიშკრის ძებნას შეუდგნენ. ცივი აბაზანის შემდეგ ძაღლი კიდევ ვერ გამოკეთებულიყო, ბალანს იბერტყავდა, სრიტინებდა.

ალუბლიკო უკან აედევნა მათ, ვითომდა უბრალო ცნობისმოყვარეობა ამოძრავებდა. როგორც იქნა, მაძებარმა ჭიშკარი გამოაღო და ტყისაკენ ქნა პირი, ალუბლიკომ ორი თითი პირში ჩაიდო და ხმამაღლა დაუსტვინა.

მისტერ სტაფილუმ მაშინვე მისკენ მოიხედა:

— ვის ეძახით, ახალგაზრდავ? ალბათ ჩემს ძაღლს, არა?

— არა, არა, მისტერ სტაფილუ! ერთ ხაცნობ ბელურას ვანიშნე, ფანჯრის რაფაზე პურის ნამცეცები დაგიყარე-თქო.

— რა კეთილი ყოფილხარ, სინიორინო. — თავი დაუკრა მისტერ სტაფილუმ და გზა განაგრძო.

ადვილად მიხვდებით, რომ ალუბლიკოს მაშინვე ოდნავ ყრუ სტვენა შემოესმა საპასუხოდ. ტყის პირას, მაძებრის მარჯვნივ, ბუჩქნარის ტოტები შეირხა. ალუბლიკომ ღიმილი ვერ შეიკავა: მეგობრები ფხიზლობდნენ — თვითონაც დროზე ანიშნა მისტერ სტაფილუსა და მისი ძაღლის მიახლოება.

მაძებარს არ გამოჰპარვია ბუჩქები რომ შეირხა. სწრაფად გაწვა მიწაზე და გაიტრუნა. ძაღლმაც მას მიბაძა.

— ალყა შემოგვარტყეს! — წაიჩურჩულა მაძებარმა. ცხვირპირი მტვრით ავსებოდა და იფურთხებოდა.

— ფაქტია, ფაქტი!—აწკავწკავდა ძაღლი,—ალყა შემოგვარტყეს.

— ჩვენი ამოცანის შესრულება, — კვლავ წაიჩურჩულა მისტერ სტაფილუმ, — სულ უფრო სახიფათო და ძნელი ხდე-

ბა. თუმცა რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ლტოლვილები უნდა შევიპყროთ.

— უნდა შევიპყროთ! — ჩუმად გამოეხმაურა ძაღლი.

მაძებარი მთის ბინოკლით ყურადღებით უთვალთვალებდა ბუჩქებს.

— ბუჩქებში აღარავინ უნდა იყოს. ბოროტმოქმედებმა უკან დაიხიეს.

— რომელმა ბოროტმოქმედებმა? — ჰკითხა ძაღლმა.

— აი ბარდებში რომ იმალებოდნენ და ტოტებს აშრიალებდნენ. კვალს უნდა მივყვეთ. ეს კვალი უცილობლად მათ თავშესაფართან მიგვიყვანს.

ძაღლი პირდაპირ აღტაცებული იყო თავისი საზრიანი ბატონით.

მართლაც, ბუჩქებში მიმალული ხალხი უკან იხევდა, მოხერხებულად მიძვრებოდნენ ბარდებში. კაცმა რომ თქვას, არავინ არ ჩანდა, მხოლოდ ბუჩქები ირხეოდნენ ოდნავ. მისტერ სტაფილუ ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, რომ ლტოლვილები ამ ბუჩქებში იმალებოდნენ და მტკიცედ გადაწყვიტა, მათთვის მიეკვლია.

— ასიოდე მეტრის გავლის შემდეგ ბილიკმა მაძებარი და ძაღლი ტყეში შეიყვანა, რამდენიმე ნაბიჯი კიდევ და მუხის ჩრდილქვეშ შედგნენ, უნდა შეესვენათ და მდგომარეობისათვისაც თვალი გადაევლოთ.

მაძებარმა მიკროსკოპი ამოიღო ტომრიდან და ყურადღებით დააცქერდა მტვერს გზაზე.

— კვალი არ ჩანს, ბატონო? — მოუთმენლად იკითხა ძაღლმა.

— არა, სულ არ ჩანს.

კვლავ გაისმა გაბმული სტვენა. სტვენა ყრუ შეძახილმა შესცვალა:

— ჰო-ჰო-ჰოო!

ორივენი ისევ მიწაზე გაწვნენ.

ყვირილი ორ-სამჯერ განმეორდა. ეჭვი არ იყო, ეს საი-

დუმლოებით მოცული ხალხი ერთთმანეთს რაღაცას ანიშ-ნებდა.

— საფრთხეში ჩავცვივდით! — მშვიდად თქვა მისტერ სტაფილუმ და პეპლების საჭერი ბადის მსგავსი ხელსაწყო ამოიღო.

— ფაქტია, ფაქტი! — გეგონებოდათ ეხო გაეხმიანაო, გასძახა ძალლმა.

— დამნაშავეებმა უკან დასახევი გზა გადაგვიჭრეს, უნდათ გარს შემოგვიარონ და ზურგიდან დაგვცხონ. იცოდე, საწიწაკე ხელში გეჭიროს. გამოჩნდებიან თუ არა, წიწაკა თვალებში შევაყაროთ და ეს ბადე დავაფაროთ.

— ძალიან გაბედული გეგმაა, — დაყეფა ძალლმა, — გამიგონია, რომ ბოროტმოქმედებს ხანდახან თოფებიც აქვთ თან... ერთიც ვნახოთ, ტყვედჩავარდნის დროს ტყვია დაგვიშინონ.

— დასწყევლოს ღმერთმა მაგათი თავი! — უპასუხა მისტერ სტაფილუმ. — უნდა გამოგიტყდე, ეს სულ არ მიფიქრია.

ისინი კვლავ მიწაზე იყვნენ გართხმულნი, რომ რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ყრუ ძახილი გაისმა:

— მისტერ სტაფილუ, მისტერ სტაფილუ!

— ქალის ხმაა... — თქვა მაძებარმა და გაიხედ-გამოიხედა.

— აქ მოდით, მისტერ სტაფილუ, აქ, ჩემთან! — განაგრძობდა იგივე ხმა.

ძალლმა გაბედა და თავისი აზრი გამოთქვა:

— მე მგონი, — წამოიყეფა მან, — აქ რაღაც გამოუცნობი ამბავი ხდება.

— ეტყობა ქალს სერიოზული საფრთხე მოელის. ვინ იცის, იქნებ სულაც ბანდიტებმა შეიპყრეს და მძევლად უნდათ გაიხადონ. მე ვფიქრობ, რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, ტყვეობიდან უნდა ვიხსნათ იგი.

— ახვა საქმეებისათვის ახლა ჩვენ არ გვცალია! — მისტერ სტაფილუ გაჯავრებული იყო, მისმა ხელქვეითმა უადგილო ადგილას რომ გამოიდო თავი. — აქ ჩვენ იმიტომ მოვედით, რომ დავაპატიმრი თ, დავიჭიროთ და არა გავათავისუფლოთ ვინმა

ჩვენ ზუსტი, ნათელი გეგმა გვაქვს. ვინ მოგვცა უფლება, იმის საწინააღმდეგო საქმე ვაკეთოთ, რისთვისაც ხელფასს გვაძლევენ. ნუ დაგავიწყდებათ რომ „ეცი-არ გაუშვა“ გქვიათ, ჰოდა, თქვენს საქმეს მიხედეთ.

ბუჩქნარიდან კვლავ გაისმა შესაბრალისი ვედრება:

— მისტერ სტაფილუ! ღმერთი გიშველით, მომეხმარეთ, მომეხმარეთ!

მის ხმაში ისეთი სასოწარკვეთილება გამოსჭვიოდა, რომ ცნობილი მაძებარი შედრკა.

„ქალი მთხოვს დახმარებას, — გაიფიქრა მან, — უარი როგორ უნდა ვუთხრა. გული მაქვს ქვა ხომ არა!“

შეწუხებულმა ჟაკეტის ქვეშ ფრთხილად შეიყო ხელი და გულზე მოითათუნა. მოითათუნა და შვებით ამოისუნთქა: გული საგულეში ჰქონდა და უფრო ძალუმადაც სცემდა.

ის ხმა კი თანდათანობით ჩრდილოეთისაკენ მიიწევდა. იმ მხარეს, საიდანაც ხმა მოისმოდა, მოუსვენრად შრიალებდნენ ბუჩქები, მოისმოდა ნაბიჯების ხმა და ბრძოლის ყრუ ხმაური.

მისტერ სტაფილუ ფეხზე წამოიჭრა და ძალლთან ერთად ჩრდილოეთისაკენ გაქანდა, თან კომპასს თვალს არ აშორებდა.

უცებ უკანიდან თავშეკავებული სიცილი შემოესმა.

აღშფოთებული მაძებარი შედგა, თვალებით დაუწყო ძებნა უცნობ არსებას, რომელმაც გაბედა და ასე თავხედურად დასცინა ზურგს უკან. არავინ ჩანდა ბუჩქებში, სტაფილუმ თვალები დააბრიალა და აღშფოთებისგან აკანკალებულმა წამოიყვირა:

— იცინე, იცინე, ცბიერო, ბოროტმოქმედო! ვნახოთ, ბოლოს ვინ გაიცინებს!

„ბოროტმოქმედმა“ ისევ ჩაიფხუკუნა, მერე ხველა აუტყდა და სული ვეღარ მოითქვა.

ამ დროს ბოლოკომ ზურგზე ხელი მაგრად წაჭერა, რა დროს სიცილია. ჰო, მართლა ეს სასაცილო ბიჭუნა ლობიკო იყო, მეძველმანე ლობიოს შვილი. ხველებამ რომ გადა-

უარა, ცხვირსახოცი პირში ჩაიტენა და რომ არავის გაეგონა, გული იჯერა სიცილით.

— შენ გინდა ეს ნაამაგარი საქმე წყალში ჩაგვიყარო, ხომ! — წასჩურჩულა გაჯავრებულმა ბოლოკამ. — იცოდე, ფხუკუნი არ გამაგონო.

— როგორ არ გაიცინოს კაცმა, — ძლივს წამოილულლულა ლობიკომ, თან ცდილობდა არ გასცინებოდა.

— სიცილს ყოველთვის მოასწრებ, — წასჩურჩულა ბოლოკომ, — ახლა კი წინ გავწიოთ, მაძებარი არ დაგვეკარგოს მხედველობიდან.

მისტერ სტაფილუ და ძაღლი შეუჩერებლივ გარბოდნენ ჩრდილოეთისკენ, საიდანაც შორეული ნაბიჯების ხმა და ბრძოლის ხმაური მოისმოდა. ასე ეგონათ, ბუჩქებში მიმალული ავაზაკების მთელ ბანდას მივსდევთო. ნამდვილად კი ორი ცელქის — კარტოფილისა და ტომატას მეტი არავინ იყო. ისინი ვითომდა ჩხუბობენო, დროდადრო გოგონა შეჩერდებოდა და აწრიპინდებოდა:

— მიშველეთ, მიშველეთ, სინიორ მაძებარო! ბანდიტებმა გამიტაცეს! გეეედრებით, მიხსენით.

ალბათ მიხვდით! იმ ბავშვებს ბუჩქებში რომ მიძვრებოდნენ, ერთი მიზანი ჰქონდათ, რაც შეიძლება შორს გაეტყუებინათ მაძებარი და მისი ძაღლი იმ გამოქვაბულიდან, რომელსაც ჩიპოლინო და მისი მეგობრები აფარებდნენ თავს. მაგრამ ჯერ მოიცადეთ, ბავშვებს კიდევ ჰქონდათ მოფიქრებული ერთი რამ.

იმ დროს, როცა მაძებრის ძაღლი ის-ის იყო კანჭებში უნდა სწვდომოდა ერთ მათგანს, რალაც უცნაური ამბავი დაემართა.

— ოი, ზეცაო, სადღაც მივფრინავ, გემშვიდობებით, ძვირფასო ბატონო! — ძლივს წამოიყეფა ძაღლმა.

და მართლაც ავარდა ზევით. თოკის ყულფმა შეშინებული ძაღლი მუხის კენწეროსაკენ აისროლა და მაგრად მიაჯაჭვა მსხვილ როკს.

მაძებარი რამდენიმე ნაბიჯის უკან მიჰყვებოდა ძაღლს, უცებ მან ბუჩქებიდან თავი გამოყო და თავისი მოადგილე რომ ვერსად დაინახა, გასძახა:

— ეცი-არ გაუშვა, ეცი-არ გაუშვა!

პასუხი არსაიდან არ იყო.

— ალბათ ეს საძაგელი ისევ კურდღელს გამოუდგა. აგერ ათი წელია ამას ვეჩიჩინები და ძველ ჩვეულებას არ იქია, ვერ გადავაჩვიე.

პასუხი რომ ვერ გაიგონა, კვლავ გასძახა:

— ეცი-არ გაუშვა!

— აქ ვარ, ბატონო, აქ! — სადღაც ზემოდან შემოესმა შესაბრალისი ყრუ ხმა.

მაძებარმა თავი ასწია და მაღლა კენწეროსთან, მუხის ფოთლებს შორის ძაღლს მოჰკრა თვალი.

— რას აკეთებ მანდ? — განრისხდა ბატონი, — რა დროს ხეზე აბობღება იყო! იქნებ ბგონია ვთამაშობთ? ახლავე ძირს ჩამოდი, ბანდიტები ჩვენ კი არ დაგვიცდიან. კვალი თუ დავკარგეთ, იმ ტყვე ქალს ვიღა გაათავისუფლებს.

— ბატონო ნუ მიწყრებით! ახლავე ყველაფერს გეტყვით, — აწკმუტუნდა ძაღლი. საბრალო ამაოდ ცდილობდა თავის გათავისუფლებას.

— რა გაქვს სათქმელი! — განაგრძო განრისხებულმა მაძებარმა. — შენ რომ არ მომატყუილო, ისედაც მშვენივრად ვიცი, რომ არ გსურს ბანდიტებს სდიო. ციყვების დევნას რა სჯობია! იცოდე, უქმად არ ჩაგივლის! მთელ ევროპასა და ამერიკაში ცნობილი მაძებარი ვარ და ვერ ვიყოლიებ სამსახურში უქნარას, რომელიც ხეს დაინახავს თუ არა, ცთუნებას დაემორჩილება და მაშინვე ზედ ახტება. რაღა თქმა უნდა, შენი ადგილი სწორედ ეს არის. ნახვამდის! დღეიდან გათავისუფლებული ხარ.

— ბატონო, ჩემო ბატონო, ერთი სიტყვა მაინც მათქმევინეთ!

— რაც გინდა ისა სთქვი, მე მაინც არ მოგისმენ. უფრო სერიოზული საქმე მაქვს მონდობილი. ვალდებული ვარ ჩემ

4.

საქმეს მივხედო და ხელს ვერაფერი შემიშლის. შენ კი რამდენიც გენებოს იმდენი სდიე ციყვებს. გისურვებ, უფრო თავშესაქცევი თანამდებობა გეშოვნოს და ჩემზე კარგი ბატონიც შეგხვედროდეს. მე კი როგორმე ვიპოვი შენზე უფრო სერიოზულ მოადგილეს. ჯერ კიდევ გუშინ პარკში ერთ სათნო ძაღლს დავადგი თვალი, მასტინოს ეძახიან. სწორედ ასეთი მორიდებული, პატიოსანი და ღირსეული მოადგილე გამომადგება. ის, ღმერთო დაიფარე, არც იფიქრებს მუხაზე მუხლუხოების დევნას... მაშ ასე, გემშვიდობები ქარაფშუტა და ორგულო ძაღლო! ჩვენ ველარ შევხვდებით ერთმანეთს.

ასეთი შეურაცხყოფა არავის მიუყენებია, ამდენი საყვედურები არავის უთქვამს საწყალი ძაღლისთვის და საბრალო მწარედ ატირდა.

— ჩემო ბატონო, ფრთხილად იარეთ გზაზე, თორემ ჩემს ღლეში ჩავარდებით.

— სულელურ ხუმრობას თავი დაანებე, ბებერო მყეფარავ! ჩემს სიცოცხლეში ჯერ ხეზე არ ავსულვარ და ახლა ხომ არ დავიწყებ ჩემს მოვალეობას და შენ მოგბაძავ?

ვერ მოასწრო დაემთავრებინა თავისი ალმაშფოთებელი სიტყვა, რომ ტანზე რაღაც ისეთი ძალით შემოეჭდო, სუნთქვა შეეკრა. გაიგონა, ზამბარის ტკაცუნი და იგრძნო, რომ მაშინვე ზევით აისროლეს. იმავე მუხის ფოთლები გაიწ-გამოიწია, რომლის კენწეროზე მისი ძაღლი ეკიდა და მალე მაძებრის ცხვირწინ ეცი-არ გაუშვას წაკვნეტილი კუდი აქიცინდა. ორივე, ბატონიცა და მსახურიც, გამძლე თოკმა ხის ტანს მაგრად მიაჯაჭვა.

— ხომ გეუბნებოდით! — საცოდავად იმეორებდა ძაღლი და თან წაკვნეტილ კუდს აქიცინებდა. — თქვენ კი ყურიც არ მიგდეთ!

მისტერ სტაფილუ ძალას არ ზოგავდა, უნდოდა, ამ უხერხულ მდგომარეობაშიც ისე დაეჭირა თავი, როგორც მის ღირსებას ეკადრებოდა.

— შენ ჩემთვის არაფერი, სულ არაფერი არ გითქვამს! — გამოსცრა კბილებში. — ტყუილ უბედობას კი არ უნდა მოყოლოდი, შენი მოვალეობა იყო დროზე გაგეფრთხილებინე, მახე თუ იყო დაგებული.

ძაღლმა ენაზე იკბინა, რომ ამ უსამართლო საყვედურზე არაფერი ეპასუხა. მშვენივრად იცოდა, რასაც განიცდიდა ახლა მისი ბატონი და არ უნდოდა კამათი დაეწყო მისთვის.

— მაშ ჩვენ მახეში გავებით! — თქვა ჩაფიქრებულმა ბატონმა. — ახლა უნდა მოვიფიქროთ, როგორ გავითავისუფლოთ თავი.

— ეს არც ისე ადვილი საქმეა! — შემოესმათ ვილაცის წრიპინი ქვევიდან.

„რა ხაცხობი ხმაა! — გულში გაივლო მისტერ სტაფილუმ. — ჰო, მართლა, სწორედ ის ტყვე ქალია, შველას რომ მთხოვდა."

ძირს ჩაიხედა, ეგონა, დაინახავდა პირში დანაგარჭობილ საზარელ ბანდიტებს და ტყვე სეფექალს. მაგრამ რას ხედავს, სიცილისაგან ვაგუდული ბავშვები მიწაზე კოტრიალებენ.

ესენი იყვნენ ბოლოკა, კარტოფილა, ლობიკო და ტომატა. ერთმანეთს ეხეოდნენ, კისკისებდნენ, ცეკვავდნენ მუხის ქვეშ და ახლად მოგონილ სიმღერას მღეროდნენ:

დუ დუ, დუ-დუ!.. ვიყოთ ლაღნი,
ვიცინოთ და, სხვა რა გვინდა.
აქ, გვერდი-გვერდ, ორი ძაღლი
მუხის ხეზე დაეკიდა.

— სინიორებო, — წარბი შეიკრა მაძებარმა, — კეთილ ინებეთ და მითხარით, ვინა ხართ და ასე რამ გაგახარათ.

— ჩვენ სინიორები კი არა და, — უპასუხა ლობიკომ, — ბანდიტები ვართ.

— მე კი საწყალი ტყვე ქალი გახლავართ.

— ახლავე ძირს ჩამომიყვანეთ, თორემ იძულებული ვიქნები ყველაზე მკაცრ ზომებს მივმართო, გესმით თუ არა?

— ფაქტია, ფაქტი! ძა-ლიან მკაცრ ზომებს, — წამოიყეფა ძაღლმა, თან წაკვნეტილ კუდს აქნევდა გააფთრებული.

— თითსაც ვერ გაანძრევთ ვიდრე ამ დღეში ხართ. — ასძახა ბოლოკამ.

— ჩვენ ვეცდებით კარგა დიდხანს ისიამოვნოთ მაგ ხეზე, — დაუმატა ტომატამ.

მისტერ სტაფილუს ხმა არ ამოუღია — არ იცოდა, რა ეპასუხა. გრძნობდა, რომ საქმე სერიოზული იყო.

— ჩვენი მდგომარეობა ნათელია, მაგრამ ხსნა არა ჩანს, — წაუჩურჩულა ძაღლს ყურში.

— ფაქტია, ფაქტი! მდგომარეობა ძალზე ნათელია, მაგრამ გამოსავალი არსაიდან არ ჩანს! — დაემოწმა შეწუხებული ძაღლი.

— ჩვენ ტყვედ ჩავუვარდით ბავშვების ბანდას, — განაგრძო

მაძებარმა. — ამაზე დიდი შეურაცხყოფა რალა იქნება ჩემთვის. როგორც ჩანს, ბავშვებმა ლტოლვილებთან შეკრეს პირი და კვალს რომ ავცდენოდით, მახეში გაგვაბეს.

— ფაქტია, ფაქტი! პირი აქვთ შეკრული! — დაემოწმა ძაღლი. — მაგრამ მე გაოცებული ვარ, ეს რა მოხერხებულად დაგვიგეს მახე.

ერთგული ძაღლი უფრო მეტად გაოცდებოდა, რომ გაეგო, ალუბლიკომ დადგა ეს მახე საკუთარი ხელით. რა სათავგადასავლო წიგნები არ გადაიკითხა მან, რა სანადირო ხერხები არ შეისწავლა. ჰოდა, ჩიპოლინოს დაუხმარებლად მოიფიქრა, როგორ გაება მახეში მაძებარი.

როგორც ხედავთ, გაუმართლდა კიდეც. ახლა ბუჩქიდან ჩუმჩუმად უთვალთვალებდა მახეში გაბმულებს და ძალიანაც კმაყოფილი იყო თავისი ნახელავით.

„დროებით ორი საშიში მტერი თავიდან მოვიცილეთ“, — გაიფიქრა მან და ხელების სრესით სასახლისაკენ გაემართა.

ბოლოკა კი თავისი ამხანაგებით გამოქვაბულისაკენ გაეშურა, რომ ჩიპოლინოსთვის ცხელ-ცხელი ამბები მიეტანა! გამოქვაბულში კაცის ჭაჭანება არ იყო. ნაკვერჩხალიც ჩაფერფლილიყო. ალბათ ორი დღე მაინც იქნებოდა ცეცხლი არ დაენთოთ.

თავი მეჩვიდმეტე

ჩიპოლინო დაუმეგობარდა ერთ სიმპათიურ დათვს

როგორც წიგნებში წერენ ხოლმე, მოდით ერთი-ორი დღით უკან დავიხიოთ, თორემ ვერ გავიგებთ, რა მოხდა გამოქვაბულში.

ნათლიმამა გოგრა და ნათლიმამა მოცვა ვერა და ვერ შეეგუენ სახლის დაკარგვას. ისე შეიყვარეს ეს ას თვრამეტი აგური, რომ ეგონათ, აგური კი არა, ას თვრამეტი ვაჟიშვილი ხელიდან გამოეცალათ. უბედურებამ დააახლოვა ისინი ერთმანეთს და ახლა უკვე გულითადი მეგობრები იყვნენ. ბოლოს და ბოლოს ნათლიმამა გოგრა დაპირდა კიდეც მოცვას:

— თუ როგორმე სახლი დავიბრუნეთ, ორივენი ჩავსახლდეთ შიგაო.

ნათლიმამა მოცვამ ეს სიტყვები რომ გაიგონა, გული აუჩუყდა. ორივენი, ნათლიმამა მოცვაც და ნათლიმამა გოგრაც ლაპარაკში ჩემი სახლიო კი არა, ჩვენი სახლიო, ასე ამბობდნენ, თუმცა ნათლიმამა მოცვას ამ სახლმა დააკარგვინა ძვირფასი მაკრატლის ნახევარი, პეპერასაგან შთამომავლობით მიღებული დაჟანგული სამართებელი და სხვა საგანძური.

ერთხელ ეს განუყრელი მეგობრები კინაღამ არ წაეკიდნენ ერთმანეთს, არა მე უფრო მეტად მიყვარს სახლი და არა

მეო. ნათლიმამა გოგრას სჯეროდა, მოცვა ისე ვერ შეიყვარებდა ამ სახლს როგორც თვითონ.

— მთელი ჩემი სიცოცხლე ვმუშაობდი, ეს სახლი რომ ამეგო. აგურს აგურზე ვადებდი. — უთხრა ნათლიმამა გოგრამ.

— მართალია, თქვენ ააგეთ, მაგრამ თითქმის სულ არ გიცხოვრიათ შიგ, მე კი მთელი კვირა გავატარე, — უპასუხა ნათლიმამა მოცვამ.

ასე ერთს წაიკინკლავებდნენ და გაათავებდნენ ხოლმე. საღამო ხანს გამოქვაბულის მგლებისაგან დაცვა უფრო საჭირო იყო, ვიდრე კინკლაობა.

ამ ტყეში ბინადრობდნენ მგლები, დათვები და სხვა გარეული ცხოველები. ლტოლვილები ყოველ ღამე გამოქვაბულს ირგვლივ უშველებელ კოცონს დაუნთებდნენ ხოლმე, რომ ნადირი ახლოს არ მოეშვათ. თან იმისი შიშიც ჰქონდათ, სასახლიდან ეს ცეცხლი არავის დაენახა. მაშ რა უნდა ექნათ, მგლების საჯიჯგნი ხომ არ გახდებოდნენ.

მგლები გამოქვაბულთან სულ ახლოს მივიდოდნენ და ჩამრგვალებულ, გაპუტკუნებულ ნათლიდედა გოგრიკოს თვალებით ჭამდნენ. ალბათ ეგონათ ყველაზე გემრიელი ის იქნებოდა.

— რას მიყურებთ ასე! — უყვიროდა ნათლიდედა გოგრიკო, — სულ ერთია, ნახევარ თითსაც არ გაგასინჯებთ.

დამშეული მგლები საცოდავად ყმუოდნენ:

— ნათლიდედა გოგრიკო, — ემუდარებოდნენ ისინი და კოცონს შორს უვლიდნენ, რომ ცეცხლი არ მოსდებოდათ. — ერთი თითი მაიხ მოგვეცი, რა იქაება. ათი ხელებზე გაქვთ, ათიც ფეხებზე. ოცი თითიდან კაცმა ერთი ვეო უნდა გაიმეტოს?

— რაც გარეულ ცხოველებს შეეფერება, ჩანს, არითმეტიკა არც ისე ცუდად იცით, — გასძახებდა ხოლმე ნათლიდედა გოგრიკო. — მაგრამ იცოდეთ, არც ეს გიშველით.

მგლები ერთს კიდევ წაიბუზღუნებდნენ, იქაურობას მოშორდებოდნენ და გულის დასამშვიდებლად კურდღლებს და-

ეს რომ გაიგო, დათვი მოლბა.

— დიდი ხანია იქ არის?

— უჰ, უკვე რამდენი თვეა... მთელი სიცოცხლე ციხეში უნდა იჯდეს. სიკვდილის შემდეგაც ვერ ელირსება იქიდან გამოსვლას. ციხის სასაფლაოზე გაუთხრიან სამარეს.

— ჩემს მშობლებსაც ბედმა მთელი სიცოცხლე გალიაში ჯდომა არგუნა, და შეიძლება სიკვდილმაც ვერ იხსნას ტყვეობიდან — მთავრის ბაღში გაუთხარონ სამარე, — ღრმად ამოიოხრა დათვმა. — თუ გინდათ, მართლაც ვიყოთ მეგობრები. კაცმა რომ თქვას, რა გვაქვს გასაყოფი. პაპაჩემის მამა, სახელგანთქმული მურა დათვი იტყოდა ხოლმე, მოხუცებისაგან გამიგონია, რომ ოდესღაც, უხსოვარ დროს, ტყეში მშვიდობა სუფევდაო. ადამიანები და დათვები განუყრელი მეგობრები იყვნენ. ცუდს არავის უკეთებდნენო.

— ეს დროც შეიძლება დაგვიბრუნდეს ოდესმე, — უთხრა ჩიპოლინომ, — ჩვენ ყველანი მეგობრულად ვიცხოვრებთ. ადამიანები და დათვები ერთმანეთს თავაზიანად მიმართავენ და შეხვედრისას ქუდსაც კი მოუხდიან ერთმანეთს.

დათვი ყოყმანობდა.

— მაშ მეც ცილინდრი უნდა ვიყიდო, — თქვა მან.

ჩიპოლინოს გაეცინა:

— ასე იტყვიან ხოლმე, თორემ შეგიძლიათ თქვენებურად მიესალმოთ, თავი დაუკრათ, ან კიდევ თავაზიანად დაუქნიოთ თათი.

დათვმა თავი დაუკრა და თათი დაუქნია ჩიპოლინოს.

ყურძენა ისე გააოცა დათვის საქციელმა, რომ სასწრაფოდ მახათით კეფა მოიქექა:

— თავის დღეში არ მინახავს ასეთი თავაზიანი დათვი! — თქვა დაბნეულმა.

სინიორ მუხუდომ, როგორც ადვოკატს სჩვევია, უნდობლად შეხედა ამ ამბავს.

— დათვთან მეგობრობა მაინცა და მაინც ჭკუაში არ მიჯდება, — გააფრთხილა ჩიპოლინო. — დათვს თვალთმაქცობაც კარგად შეუძლია. იცოდე, ძალიან ცბიერი ცხოველია.

ჩიპოლინოს არ მოეწონა ადვოკატის ლაპარაკი. მან ისე შეიყვანა დათვი გამოქვაბულში, რომ ტყავი არ გატრუსვია.

დათვმა ერთხელ კიდევ დააქნია თათი და ჩიპოლინომ თავისიანებს გააცნო თავისი კეთილი ნაცნობი.

პროფესორმა მსხალამ, რომელმაც სწორედ მაშინ დაამთავრა ვიოლინოს შეკეთება, დათვის პატივსაცემად კონცერტი გამართა.

თვითონ დათვმა თავისი ახალი მეგობრებისთვის სიამოვნებით იცეკვა, და ამნაირად გამოქვაბულის ბინადრებმა და ტყის სტუმარმა იმ საღამოს დიდად ისიამოვნეს.

ბოლოს დათვი გამოეთხოვა მასპინძლებს და დასაძინებლად წავიდა. ჩიპოლინომ გააცილა იგი.

ჩიპოლინო თავის ნწუხარებას არავის უმხელდა, გულზე კი ლოდი აწვა. დატანჯული მოხუცი მამის დარდი ულრღნი-

და ამ საღამოსაც გულს, და თავისი ვარამი დათვსაც გაუზიარა.

— ნეტავი რა დღეში არიან ახლა ჩვენი მშობლები! — უთხრა ჩიპოლინომ თავის ბანჯგვლიან თანამგზავრს, გამოქვაბულიდან რომ გამოვიდნენ.

— ჩემს მშობლებზე ცოტა რამ გავიგე, — უპასუხა დათვმა, — თუმცა ქალაქში ჯერ არასდროს არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი მოკეთე სკვინჩა ხშირად მაგებინებს მათ ამბავს. მითხრა, ჯერ თვალი არ მოუხუჭავთ, დღე და ღამე თავისუფლებაზე ოცნებობენო. მე კი არც ვიცი, რა არის თავისუფლება. ისა სჯობდა, ჩემზე ეფიქრათ, ბოლოს და ბოლოს მათი შვილი არა ვარ?

— არავის მონა-მორჩილი რომ არ იქნები, ეს გახლავს თავისუფლება. — უპასუხა ჩიპოლინომ.

— ჩვენი მთავარი არც ისე ცუდი კაცია. სკვინჩამ მითხრა, შენს მშობლებს უამრავი საჭმელი აქვთო. თურმე ხანდახან ერთობიან კიდეც — ისინი თვალს აყოლებენ გალიის წინ გამვლელ-გამომვლელს. მთავარმა მათი გალია ისეთ ადგილას დადგა, სადაც დღესასწაულზე უამრავი ხალხი სეირნობს ხოლმე, ისინი კი მაინც ტყეში დაბრუნებაზე ოცნებობენ. სკვინჩამ მითხრა, სულ ტყუილად ოცნებობენ თავისუფლებაზე, რადგან გალია რკინისაა და ხარიხაც მაგარი აქვსო.

ჩიპოლინომ ამოიოხრა:

— ეჰ, ტყვეობიდან თავის დაღწევა არც ისე ადვილი საქმეა. ციხეში მამაჩემი რომ ვნახე, კედლები კარგა დაკვირვებით დავათვალიერე, ხელითაც მოვსინჯე. შენგრევა ან ხვრელის გაყვანა შეუძლებელია. მაგრამ მე მაინც დავპირდი მამაჩემს, გაგათავისუფლებ-მეთქი. დღეს არა ხვალ, უსათუოდ შევასრულებ ჩემს სიტყვას.

— დიდი მამაცი ჭაბუკი ყოფილხარ, — უთხრა დათვმა, — ჩემი მშობლების გათავისუფლება მეც მინდა, მაგრამ ქალაქში ჯერ არ ვყოფილვარ და ვაითუ გზა ამერიოს.



— ყური დამიგდე, რა გითხრა, — უცბად მიუბრუნდა ჩიპოლინო,—მთელი ღამე წინა გვაქვს მოდი შემისვი მხარზე და შუალამემდე ქალაქში ვიქნებით.

— რა გინდა ქალაქში? — ხმა აუკანკალდა დათვს

— შენი მშობლები მოვინახულოთ. მამაჩემის ნახვაა ძნელი საქმე, თორემ იმათ ნახვას რა უნდა.

დათვმა მეორეჯერ აღარ გაამეორებინა, მსუბუქად დაიხარა, ჩიპოლინოც სწრაფად შეაჯდა ზურგზე და მგზავრებმა ქალაქისაკენ გასწიეს. გზას ჩიპოლინო უჩვენებდა:

— მარჯვნივ! — უბრძანებდა ხოლმე დათვს, — მარცხნივ! პირდაპირ! ისევ მარცხნივ შეუხვიე!.. აი უკვე ქალაქის ალაყაფის კარს მივადექით. ზოოლოგიური ბაღი აი იმ მხარესაა. ფეხს ავუჩქაროთ, შემთხვევითმა მგზავრმა თვალი არ მოგვკრას, არც შენი ბურდღუნი გამაგონოს იცოდე.

თავი მეთვრამეტე

ეს რამსიგრძე ენა ჰქონია სელაპს!

ზოოლოგიურ ბაღში ჩამიჩუმი არ ისმოდა. დარაჯს თავქვეშ სპილოს ხორთუმი ამოედო და ღრმად ეძინა. ისე მაგრად ხვრინავდა, რომ ვერც კი გაიგო, ჩიპოლინომ და დათვმა სპილოს სადგომის კარზე ჩუმად როგორ დააკაკუნეს.

სპილომ ფრთხილად გადაადებინა თავი დარაჯს თივაზე. მერე ხორთუმი წაიგრძელა, ადგილიდან არც კი დაძრულა, ისე გააღო კარი და წაიბურდღუნა:

— შემობრძანდით.

მეგობრები სადგომში შევიდნენ, თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ.

— საღამო მშვიდობისა, სინიორ სპილო. — უთხრა ჩიპოლინომ. — გვაპატიეთ, რომ ასე გვიან შეგაწუხეთ.

— მერე რა! — უპასუხა სპილომ, — მე ჯერ თვალიც არ მომიხუჭავს. ვცდილობდი გამეგო, რა სიზმარს ხედავს ჩემი დარაჯი. კაცის ავ-კარგს სიზმრით გამოიცნობ.

ეს სპილო ინდოეთის ძველი ფილოსოფოსი იყო და ასეთი ახირებული აზრებით ჰქონდა თავი გამოტენილი.

— გთხოვთ დაგვეხმაროთ, — განაგრძო ჩიპოლინომ, — ვიცით, რა ბრძენთა ბრძენიც ბრძანდებით და გვირჩიეთ, რო-



გორ გავათავისუფლოთ ამ ჩემი მეგობრის, დათვის მშობლები?

— რატომ არა,—ჩაიბურღლუნა დაფიქრებულმა ბებერმა სპილომ, რჩევა მე არ გამიჭირდებოდა, მაგრამ რად გინდათ? ტყე გალიაზე უკეთესი არ არის და არც გალიაა ტყეზე ნაკლები... არ ვიცი, მართალი ვარ თუ არა. ასე მგონია, ყველა თავის ადგილზე უნდა დარჩეს!.. თუმცა თქვენ თუ ძალიან გინდათ,— დაუმატა მან უცბად,—შემიძლია გითხრათ, რომ დათვების გალიის გასაღები აი ამ მძინარე კაცს, ჩემს დარაჯს, უდევს

ჯიბეში. ვეცდები ისე ამოვუღო, რომ ძილი არ დავუფრთხო. მაგარი ძილი კი იცის! ვიმედოვნებ, ვერაფერს გაიგებს.

მართალი რომ ვთქვათ, ჩიპოლინო და დათვი ძლიერ ეჭვობდნენ, ეს რთული ოპერაცია კარგად თუ დამთავრდებოდა არ ეგონათ. თუმცა სპილო ისე ფრთხილად და მოხერხებულად ამოძრავებდა თავის მორჩილ და მოქნილ ხორთუმს, რომ დარაჯმა მართლაც ვერაფერი გაიგო.

— აჰა, ესეც გასაღები!—თქვა და ჯიბიდან ამოაცოცა ხორთუმის წვერი, რომელზედაც გასაღები ეკიდა.—მხოლოდ არ დაგავიწყდეთ, აუცილებლად უკან დამიბრუნეთ.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ,— უპასუხა ჩიპოლინომ,—და ჩვენგან მიიღეთ გულწრფელი მადლობა. მართლა, ჩვენთან ერთად ხომ არ წამოხვალთ?

— ოდესმე გაქცევის სურვილი რომ მქონოდა, თქვენს მობრძანებას ან შველას როდი დავუცდიდი. გზა დამილოცნია!

სპილომ დარაჯის თავი კვლავ ხორთუმზე დაიდო, თან ფრთხილად დაარწია, რომ უფრო ღრმად ჩასძინებოდა და უდროო დროს არ დაეჭყიტა თვალები.

ჩიპოლინო და დათვი გამოძვრნენ სპილოს სადგომიდან და დათვების გალიისაკენ გაქანდნენ. ცდილობდნენ ფრთხილად ევლოთ, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯიც არ ჰქონდათ გადადგმული, რომ ვიღაცის ხმა შემოესმათ:

— ეი, ეი, სინიორ!

— სუუუ...—წაიჩურჩულა შეშინებულმა ჩიპოლინომ.— ნეტავი ვინ მეძახის?

— სუ...—გაიმეორა ხრინწიანმა ხმამ.—ნეტავი ვინ მეძახის?

— ხმაური არ ატეხო, თორემ დარაჯს გააღვიძებ.

ვილაცამ კვლავ გაიმეორა:

— არ ატეხო დარაჯი, თორემ ხმაურს გააღვიძებ!.. ოჰ, რა სულელი ვარ, რა სულელი!—დაუმატა მაშინვე,—ამერდამერია ყველაფერი.

— ეს ხომ თუთიყუშია!—წასჩურჩულა ჩიპოლინომ დათვს.— რასაც კი გაიგონებს, ყველაფერს იმეორებს. თუმცა არაფერი არ ესმის, გაგონილ სიტყვებს წალმა-უკულმა ატრიალებს მხოლოდ. ისიც უნდა გითხრა, კეთილია და ცუდი არავისთვის უნდა.

— ვერ გვეტყვი, სინიორ თუთიყუშო, სადა დგას დათვების გალია?—თავაზიანად მიესალმა დათვი.

თუთიყუშმა გაიმეორა:

— ვერ გვეტყვი, სინიორ დათვო, სადა დგას თუთიყუშების გალია? სულელი ვარ, ისევ ავურიე.

კაცი მისგან ვერაფერს გაიგებდა და მეგობრებმა ჩუმად გასწიეს წინ. ხარიხას იქიდან ახლა მაიმუნი გამოეხმაურა:

— სინიორებო, ყური დამიგდეთ, რა გითხრათ!

— შენთვის სადა გვცალია,—უპასუხა დათვმა. —ძალიან გვეჩქარება.

— მხოლოდ ერთი-ორი წუთი დამითმეთ. აგერ ორი დღეა, ამ კაკალს ჩავკირკიტებ და ვერაფერი მოვუხერხე. გთხოვთ, გამომიხრათ.

— ცოტა ხანი კიდევ მოიცადეთ, რომ დავბრუნდებით, მოგეხმარებით,—უთხრა ჩიპოლინომ.

— ეჰ, თქვენ ამას ახლა ამბობთ!—უპასუხა მაიმუნმა და თავი გააქნია.—თუმცა მეც ისე გითხარით, საუბარი რომ გამება, თორემ რად მინდა ან ეს, ან მთელი ქვეყნის კაკლები. ეჰ, რა კარგი იქნებოდა ჩემს მშობლიურ ტყეში რომ ვიყო,

ტოტიდან ტოტზე ვხტოდე უდარდელად და ქოქოსის კაკალს შიგ თავში ვურტყამდე უსაქმურ მოგზაურებს. ვერ გამიგია, რად უნდათ ქოქოსის კაკალი, ტყეში მაიმუნი თუ არ ეყოლებათ, ვინ ჩასცხებს თავში მგზავრს? არა, გეკითხებით, რად უნდათ მოგზაურები, ქოქოსის კაკლის მსროლელი თუ არ იქნება. დამავიწყდა კიდეც, უკანასკნელად როდის ჩავარტყი ქოქოსის კაკალი ვილაც უცხო მგზავრს შიგ მოტვლეპილ წითელ თავში... იცით, როგორ მსიამოვნებდა მგზავრს პირდაპირ კინკრიხოში რომ დავუმიზნებდი. მახსოვს, ერთხელ...

ჩიპოლინო და დათვი უკვე შორს იყვნენ და აღარ ესმოდათ მაიმუნის ლაპარაკი.

— მაიმუნები, — უთხრა ჩიპოლინომ დათვს, — ძალიან ქარაფშუტები არიან და ლაყბობა უყვართ. დაიწყებენ ლაპარაკს

ერთზე, გადადიან მეორეზე. თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ მათ ყბედობას. თუმცა კი მებრალება ის საცოდავი. ძილი რატომ არ ეკარება? განა იმიტომ, რომ კაკალი ვერ გამოხრა? არა, არა. დარდობს თავის სამშობლოზი, შორეულ სამხრეთზე, მცხუნვარე მზეზე, ქოქოსის პალმებზე, ბანანებზე და ძილიც იმიტომ არ ეკარება.

არც ლომს ეძინა. გვერდზე გახედა გამვლელებს, თავიც არ მოუბრუნებია, რომ გაეგო, სად მიდიოდნენ. ამ კეთილშობილ ზვიად ცხოველს სულაც არ ადარდებდა, ვინ საით მიდიოდა, ან რისთვის მიდიოდა.

როგორც იქნა, ჩიპოლინო და დათვი მიადგნენ დათვების გალიას.

საცოდავმა მოხუცებმა მაშინვე იცნეს თავიანთი ბანჯგვლიანი შვილი, თათები გამოიშვირეს მისკენ და გალიიდან კოცნიდნენ.

ამასობაში ჩიპოლინომ კარი გააღო და დათვებს მიუბრუნდა:

— რა დროს ტირილია! გალიის კარი ღიაა და თუ დარაჯის გაღვიძებამდე არ ვუშველეთ თავს, თავისუფლებაზე ტყუილად ნულარ იოცნებებთ.

როგორც იქნა, ტყვეები გამობაჯბაჯდნენ გარეთ და თავისი თათმოჩორთილი შვილი გულში ჩაიკრეს, ახლა რკინის ხარიხა ხელს აღარ უშლიდათ. მსხვილ-მსხვილი ცრემლები ბანჯგვლიან ლოყებზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდათ.

ჩიპოლინო ძალიან აღელდა.

„საწყალო მამაჩემო, — ნატრობდა ის, — მეც ასე დაგკოცნი იმ ბედნიერ დღეს, როცა ციხის კარებს გაგიღებ!“

— წასვლის დროა! — უთხრა მან დათვებს ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით. — დაგვიანება დაგვღუპავს.

ახლა მოხუცებმა თეთრი დათვების ოჯახთან გამოთხოვება ისურვეს, რომლებიც გუბურას პირას ცხოვრობდნენ, მერე

ჟირაფთან შეიხედეს, თუმცა მას ისე მაგრად ეძინა, ვერაფერი გაიგო. ყველას ეძინა, მაგრამ დათვების წასვლის ამბავი მაინც ელვის სისწრაფით მოედო მთელ ზოოლოგიურ ბაღს და გაალვიძა მისი ბინადარნი. მართალია, დათვები ყველას ძალიან უყვარდა, მაგრამ მტრები მაინც ბევრი გამოუჩნდათ: სელაპი თეთრი დათვების უახლოეს ნათესავად თვლიდა მათ და ეჯავრებოდა ისინი.

სელაპმა გაიგო, დათვები გალიიდან გაიქცნენო და ისე აღრიალდა, რომ ტკბილი სიზმრები დაუფრთხო დარაჯს.

— რა მოხდა? — ჰკითხა დარაჯმა სპილოს მთქნარებით.

— მართალი გითხრათ, არ ვიცი...—უპასუხა ფიქრებში წასულმა მოხუცმა ფილოსოფოსმა.—მაინც რა უნდა მომხდარიყო? ქვეყანაზე ახალი უკვე აღარაფერია და ამალამ რა მოხდებოდა. მხოლოდ კინოშია ხოლმე ახალ-ახალი ამბები რომ ხდება ყოველ ათ წუთში.



— შეიძლება შენ მართალი ხარ, — დაემოწმა დარაჯი, — მაგრამ მაინც უნდა დავხედო აქაურობას.

სპილოს სადგომიდან გამოვიდა თუ არა, დარაჯი პირდაპირ ლტოლვილებს შეეჯახა.

— არიქა, მოგვეშველეთ! — იყვირა მან.

გაიღვიძეს მისმა ხელქვეითებმა და ზოოლოგიურ ბაღს ალყა შემოარტყეს. გაქცევაზე ვიღა იფიქრებდა.

ჩიპოლინო და სამივე დათვი, საუბედუროდ, სწორედ იმ გუბურაში ჩახტნენ, სადაც სელაპი ცხოვრობდა. ჩახტნენ და გაინაბნენ, მხოლოდ თავებიღა მოუჩანდათ.

— ჰა-ჰა-ჰა! — ვიღაცის ბოროტი სიცილი უეცრად უკნიდან შემოესმათ.

ეს გახლდათ სელაპი.

— იმედი მაქვს, სინიორებო, სიცილის ნებას მომცემთ. დღეს მშვენიერ ხასიათზე ვარ.

— სინიორ სელაპო, — სთხოვა სიცივისაგან აკანკალებულმა ჩიპოლინომ, — მე ვიცი თქვენი მხიარულების მიზეზი. განა შეიძლება დაგვცინოთ მაშინ, როცა განსაცდელში ვართ?

— სწორედ ეს მახარებს! ახლავე დავუძახებ დარაჯს და ვთხოვ, დაიჭირეთ და წყლიდან ამოათრიეთ-თქო. მაშ აქ რა გინდათ, მოცურავეები ხომ არა ხართ?

სელაპმა მაშინვე მეორე ნაპირისაკენ გასწია, რომ დარაჯისა და მისი ხელქვეითებისათვის ეხმო. და მაშინვე ორის მაგიერ სამი დათვი ამოათრიეს წყლიდან. ამ ამბავმა მეტად გააოცა დარაჯი, მაგრამ კიდევ უფრო მეტად გაოცდა, როცა დათვებთან ერთად რაღაც უცნაური ჯიშის არსება ამოიყვანა წყლიდან. იგი ადამიანივით ლაპარაკობდა:

— სინიორ დარაჯო, როგორც ხედავთ, აშკარა გაუგებრობა მოხდა. მე დათვი არა ვარ!

— ამას მეც ვხედავ. ერთი ეს მითხარი, რას აკეთებდი გუბურაში?

— ვბანაობდი.

— მაშ ჯერ დაგაჯარიმებ. განა არ იცი, რომ საზოგადოებრივ ადგილებში ბანაობა სასტიკად აკრძალულია?

— ფული თან არა მაქვს, მაგრამ თუ თავაზიანობას გამოიჩენთ...

— მე საერთოდ თავაზიანი არა ვარ. ჯარიმას ვიდრე არ გადაიხდი, მაიმუნებთან ჩაგსვამ გალიაში. ღამეს იქ გაათევ, დილას კი ვნახოთ...

მაიმუნმა სიხარულით მიიღო სტუმარი. გონზე მოსვლაც არ აცალა, მოჰყვა და მოჰყვა ყბედობას. როგორც ყოველთვის, ახლაც აბნეულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ სიტყვებს ისროდა.

— ჰო, იმას გეუბნებოდი, — თქვა და გაქან-გამოქანდა, — წითელი, თავმოტვლეპილი მოგზაური-მეთქი. თუკი მე ვამბობ, წითელი თავმოტვლეპილი თავი ჰქონდა-მეთქი, ეს ასეც იყო. მე ტყუილს არასოდეს არ ვამბობ, თუ არ დამჭირდა. თუმცა იცით, ტყუილებიც მიყვარს... დიახ, დიახ... ტყუილი რალაც გემრიელია... ხანდახან...

— მომისმინეთ, რა გითხრათ, — სთხოვა ჩიპოლინომ, — მოდით ხვალ დილას გადამიშალეთ გული. ახლა კი ძალიან მეძინება.

— გინდათ, იავნანას გიმღერებთ? იავ-ნანა...

— გმადლობთ, არ მინდა. ისედაც კარგად დამეძინება.

— საბანი გადაგაფაროთ?

— სადა გაქვს მერე საბანი?

— რა თქმა უნდა, საბანი არა გვაქვს, — ჩაიბურდღუნა მაიმუნმა, — თავაზიანობამ მათქმევინა ეს, თორემ, თუ გინდათ, სიამოვნებით უხეშადაც მოგმართავთ. — თქვა და ნაწყენმა ზურგი შეაქცია, სიტყვა აღარ წამოცდენია.

ჩიპოლინომ დრო იხელთა და მაშინვე დაიძინა. მაიმუნი

ტყუილად ელოდა, აი ახლა მთხოვს ჩემსკენ შემობრუნდი და აი, ახლაო. ბოლოს ვეღარ მოითმინა, რისხვა შეცოდებამ შეცვალა, სწრაფად მოტრიალდა, რომ საუბარი განეგრძო, მაგრამ ჩიპოლინოს უკვე ღრმად ეძინა.

უფრო მეტად განაწყენებული მაიმუნი კუთხეში მიიკუნტა და მძინარე მეზობელს დაუწყო თვალთვალი.

ჩიპოლინომ მაიმუნის გალიაში მთელი ორი დღე გაატარა. დედებსა და ძიძებს ბავშვები მოჰყავდათ ზოოლოგიურ ბაღში. პატარებს ჯერ არსად არ ენახათ და აღტაცებული შეჰყურებდნენ ტანსაცმელში გამოწყობილ მაიმუნს.

მხოლოდ მესამე დღეს მოახერხა საწყალმა ჩიპოლინომ ალუბლიკოსთან წერილის გაგზავნა. მეზობელმა მაიმუნმა მეტისმეტად მოაბეზრა თავი. ალუბლიკო პირველსავე მატარებლით ჩამოვიდა ქალაქში, ჯარიმა გადაიხადა და გაათავისუფლა მეგობარი ტყვეობიდან.

დარაჯმა ფული გადაითვალა, თავის ტყვეს ბოურვალედ გამოეთხო-

ვა და სთხოვა ზოოლოგიურ ბაღში ხშირ-ხშირად შემოიარეთო.

— კარგი, შემოვიარ!—უთხრა ჩიპოლინომ და სადგურისაკენ გაქანდა.

გზაზე ჩიპოლინომ ალუბლიკოსაგან შეიტყო გამოქვაბულში მიტოვებული თავისი მეგობრების უკვალოდ დაკარგვის ამბავი და ძალიან შეწუხდა.

— არ მესმის, — თქვა ჩიპოლინომ და მხრები აიჩეჩა, — უშიშარ ადგილზე მეგულებოდნენ და ნეტავი რატომ მიატოვეს გამოქვაბული?

თავი მეცხრამეტე

მხიარული მატარებლით მოგზაურობა

გამოვიდნენ თუ არა ზოოლოგიურ ბაღიდან, ჩიპოლინო და ალუბლიკო მატარებელში ჩასხდნენ.

ამ უცნაურ მატარებელზე მე თქვენთვის არაფერი მითქვამს. იგი მხოლოდ ერთი ვაგონისაგან შედგებოდა და ყველა საჯდომი ფანჯარასთან ჰქონდა. საითაც არ უნდა გაგეხედათ, მშვენივრად მოჩანდა მინდვრები, ტყეები, მთები, სადგურები, შემხვედრი მატარებელი. რომ იცოდეთ, როგორ მოსწონთ ეს ბავშვებს. მიუჯექი ფანჯარას და იყურე რამდენიც გინდა.

მსუქნებს რომ კარგად ემგზავრათ და სხვაც არ შეეწუხებინათ, მუცელს კედელში შეჭრილ თაროზე ჩამოსდებდნენ ხოლმე.

ჩიპოლინო და ალუბლიკო მატარებელში სხდებოდნენ, რომ უცებ მეძველმანე ლობიოს ხმა შემოესმათ:

— თამამად, თამამად, სინიორ ბარონ! ცოტა კიდევ დაატანეთ ძალა თავს და ჩვენ უკვე ვაგონში ვიქნებით!

თურმე ბარონი ფორთოხალიც ამ მატარებელში უნდა ჩამჯდარიყო. ამოდენა მუცლის პატრონს ასვლა გაუჭირდებოდა, აბა რა იქნებოდა. საწყალმა მეძველმანემ ვერა და ვერ შეაგდო ბარონი ვაგონში. მას ორი მებარგული მიეხმარა, სამ-



მაც-ვერაფერი მოუხერხა. ბოლოს, სადგურის უფროსმა მო-ირბინა და ორივე ხელით მიაწვა. თურმე სადგურის უფროსს პირში სასტვენი ჰქონდა გაჩრილი და უნებურად არ დაუს-ტვინა!

მემანქანეს ეგონა, გამგზავრების ნიშანიაო და ოწინარი მოაბრუნა. მოაბრუნა და მატარებელიც დაიძრა.

— შესდექ, შესდექ! — იყვირა სადგურის უფროსმა უჩვეულო ხმით.

— მიშველეთ! — აღრიალდა შიშისაგან ალმურმოდებული ბარონი ფორთოხალიც. ეშველა კი: მატარებელი დაიძრა თუ არა, ისე ძლიერად უბიძგა, რომ ფორთოხალი ვაგონში შეაგდო. ბარონმა შვებით ამოისუნთქა, მუცელი თაროზე შესდო, ბოხჩა გახსნა და შებრაწული მთელი ბატკანი ამოათრია.

ჩიპოლინომ და ალუბლიკომ ისარგებლეს ამ არეულობით და შეუმჩნევლად შეიპარნენ ვაგონში.

ბარონი ფორთოხალი ისე იყო გართული ჭამით, რომ ყურადღება არ მიუქცევია ბიჭებისათვის. ლობიომ კი მაშინვე შეამჩნია ისინი. ალუბლიკომ თითი მიიდო პირზე, ხმა არ ამოიღოო. მეძველმანემაც ანიშნა, ყველაფერს მივხვდი და არაფერს ვიტყვიო. მოდი ჯერჯერობით დავტოვოთ ჩვენი ორი მეგობარი, რომლებიც მშვენივრად ძოეწყვეხენ ვაგონში, შემწვარი ცხვრის სუნით გაბრუებულ ბარონ ფორთოხლის ცხვირწინ და ვნახოთ, რა ხდება სხვაგან.

* * *

სწორედ იმ დროს, როცა მატარებელმა ჩაუქროლა ჩვენს ნაცნობ ტყეს, რომელიღაც ხისმჭრელმა ჩამოიყვანა მაძებარი და მისი ძაღლი მუხიდან. ისინი თითქმის ორი დღე ზედ ეკიდნენ.

მაძებარმა და მისმა ძაღლმა ერთი გაიარ-გამოიარეს და სასწრაფოდ ძიებას შეუდგნენ.

ხისმჭრელმა გაოცებით გახედა მათ და ის იყო მუხის ჩეხვას უნდა შედგომოდა, რომ ოფიცერ ლიმონოს მეთაურობით თავს წამოადგა ლიბნიების მთელი ოცეული.

— სწორდი! — გასცა ბრძანება ოფიცერმა. — ხელები დაუშვით!

ხისმჭრელმა ნაჯახი დააგდო და ხელები გაჭიმა.

— არ შეხვედრიხარ აქ ძაღლსა და მის პატრონს?

სასახლე შფოთავდა მისტერ სტაფილუსა და მისი ძაღლის უკვალოდ დაკარგვის გამო და გადაწყვიტეს, საძებნელად პოლიციელების მთელი ოცეული გაეგზავნათ, ხისმჭრელი, სხვა ლარიბებივით, არც ისე ძალიან ენდობოდა პოლიციელებს. კაცი და ძაღლი, რომლებიც მუხიდან ჩამოიყვანა, რაღაც უცნაურად იქცეოდნენ: როგორც კი გაათავისუფლა. ისინი სასწრაფოდ მიწაზე გაწვნენ, ყური მიუგდეს შორეულ ხმებს და შეშლილებივით მოჰკურცხლეს. ხისმჭრელს მართლა შეშლილები ეგონა ისინი, მაგრამ პოლიციელებს ალბათ მათი დაპატიმრება უნდოდათ და როგორ გაუმხელდა.

— კაცი და ძაღლი ახლახან აქ იყვნენ და აი იქითკენ გაეშურნენ, — მიუთითა მან სულ საწინააღმდეგო მხარეს.

— ძალიან კარგი! — წამოიძახა ოფიცერმა, — მაშ ახლავე დავეწევით... სწორდი! — ხისმჭრელი ისევ გაიჯგიმა, მერე შუბლზე ოფლი მოიწმინდა და თავის საქმეს მიუბრუნდა, თან თვალს არ აშორებდა ლიმონოსა და ლიმნიებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო შორდებოდნენ იმათ, ვის კვალსაც დაეძებდნენ.

თხუთმეტ წუთსაც არ გაუვლია, რომ კვლავ შემოესმა აჩქარებული ნაბიჯების ხმა, მალე გამოჩნდნენ აქოშინებული და ქანცგაწყვეტილი ხელოსანი ყურძენა, ნათლიმამა გოგრა, ნათლიმამა მოცვა, ადვოკატი მუხუდო, მევიოლინე მსხალა და ნათლიდედა გოგრიკო. სული მოითქვეს თუ არა, ხისმჭრელს ჰკითხეს, ხომ არ გინახავს ბიჭუნა, რომელსაც ჩიპოლინოს ეძახიანო?

— მე არ ვიცნობ თქვენს ჩიპოლინოს, — უპასუხა დაბნეულმა ხისმჭრელმა. — აქ ბიჭი სულაც არ მინახავს დღეს.

— ჩიპოლინო თუ გამოჩნდეს სადმე, უთხარი, ორი დღეა შენ დაგეძებენ-თქო, — უთხრა ხელოსანმა ყურძენამ. იგი ალბათ ამ ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო.

ამ ჯგუფმაც ისევე სწრაფად გაქუსლა, როგორც წინამ.

ერთი საათიც არ იქნებოდა გასული მას შემდეგ, მოჭრილი ხე წაქცევაზე იყო, რომ ალუბლიკო და ჩიპოლინო ულ-

რანი ტყიდან გამოძვრნენ. ალუბლიკოს გადაწყვეტილი ჰქონდა, ვიდრე ჩიპოლინოს დაკარგულ მეგობრებს არ ანახვინებდა, სახლში არ დაბრუნებულიყო. ხისმჭრელმა რომ გაიგო, ერთერთს ჩიპოლინო ერქვა, სიტყვა-სიტყვით გადასცა ყურძენას დანაბარები. მხოლოდ ახლა მიხვდნენ ბიჭები, ლტოლვილებმა გამოქვაბული იმიტომ მიატოვეს, რომ ჩიპოლინო ეპოვათ.

აი, ასე გაირკვა მათი დაკარგვის საიდუმლოება.

ბიჭები გამოეთხოვნენ ხისმჭრელს, იგი კვლავ მარტო დარჩა, მაგრამ დალამებამდე, უჰ, რამდენი ვინმე შეხვდებოდა კიდევ და რამდენი თავგადასავალი გადახდებოდა თავს.

ჯერ იყო და ბოლოკა და მისი მეგობრები გამოჩნდნენ. ისინიც ჩიპოლინოს ეძებდნენ, მერე თვით სინიორ პომიდორი და სინიორ ოხრახუშა მოჩანჩალდნენ — ალუბლიკოს დაეძებდნენ. დარწმუნებული იყვნენ, რომ იგი იმ ლტოლვილებმა გაიტაცეს, რომლებმაც ტყეს შეაფარეს თავი.

ბოლოს, მზის ჩასვლის წინ, ხისმჭრელს ზანზალაკების წკარუნი შემოესმა. ეგონა, დილას რომ დამკითხეს, სწორედ ის პოლიციელები უკან ბრუნდებიანო. მაგრამ ამჯერად ტყეს თვით პრინცი ლიმონი ეწვია.

პრინცი ლიმონი სწუხდა მისი ერთგული მცველები ამდენი ხანი რომ არსად ჩანდნენ და შესახვედრად თვითონვე წამოსულიყო. კარეტაში გვერდს უმშვენებდნენ გრაფინია ალუბლები. ისინი მეტად ნასიამოვნები იყვნენ თვით პრინცლიმონოს რომ ახლდნენ და მხიარულად, მოურიდებლად მასლაათობდნენ, თითქოს და სანადიროდ მიდიანო.

ხისმჭრელი შეეცადა ხეს ამოფარებოდა, იცოდა, ლარიბები არ უნდა ჩვენებოდნენ პრინც ლიმონოს, თორემ მის უმაღლესობას ღვიძლი და კუჭი ატკივდებოდა. მაგრამ ერთმა ბებერმა სახედაღარულმა კარისკაცმა ლიმონმა, რომელიც მის უმაღლესობას კარეტაში მარჯვნივ ეჯდა, შენიშნა თუ არა ხისმჭრელი, მიაძახა:

— ეი, შენ გეუბნები, დაკონკილო!

— რა სურს თქვენს ბრწყინვალებას? — წაილულლულა ხისმჭრელმა.

— პოლიციელების ოცეული ხომ არ გინახავს?

ხისმჭრელმა, მოგეხსენებათ, ამ დღეს ვილა არა ნახა, პოლიციელების ოცეულიც და რამდენი სხვა ხალხიც, მაგრამ პრინც ლიმონოს რომ ელაპარაკები, ისა სჯობია უთხრა, არც არავინ მინახავს და არც არაფერი გამიგონია-თქო.

ჰოდა, ხისმჭრელმაც ასე უპასუხა: „ცოდნით არაფერი ვიცი, ნახვით არავინ მინახავსო“. რომ ეპასუხა: „დიახ, ვნახეო“, ნაირ-ნაირ კითხვებს დააყრიდნენ და ბოლოს, შეიძლება, სულაც უმიზეზოდ ციხეში ჩაესვათ, წადი მერე და ეძიე სამართალი.

პრინცი თავისი ამალით სწორედ იმ მხარეს გაეშურა, საითაც პოლიციელების ოცეული.

ამ სიარულში უცბად შემოალამდათ. ბევრი რომ არ გა-

გონოთ! პრინცი ლიმონო თავის სალდათ-ლიმნიებს წყვილ-წყვილად გადააბამდა ერთმანეთს და ზარბაზნიდან შუშხუნას მაგიერ ისროდა. რატომღაც ეს სანახაობა მეტად ართობდა.

ბოლოს და ბოლოს სინიორ პომიდორმა გაბედა, მიუახლოვდა პრინცს და ყურში ჩასჩურჩულა:

— თქვენო უმაღლესობავ, მაპატიეთ, მაგრამ ასე მთელ თქვენ არმიას გაანადგურებთ.

პრინცმა ბრძანა, შეეწყვიტათ ეს გართობა და გულდაწყვეტილმა ამოიოხრა:

— ოჰ, როგორ მენანება!

— აჰა, — თქვა ფანჯარაში თავგამოყოფილმა ნათლიმამა გოგრამ. — ფეიერვერკი დამთავრდა.

პრინცმა გადათვალა დარჩენილი სალდათები, უნდოდა გაეგო, შეძლებდა თუ არა განეგრძო ლტოლვილების დევნა. გამოირკვა, რომ საამისოდ სალდათები კიდევ დარჩენილიყვნენ. მაგრამ ოპერაცია მაინც დილისთვის გადადო.

მანამდე კი პრინცმა გრაფინიებისთვის ტყეში მშვენიერი კარავი დაადგმევინა. ჩააწვინეს ისინი რბილ ქვეშაგებში, მაგრამ ამდენი მღელვარებისა და ცნობისმოყვარეობისაგან გრაფინიებმა დიდხანს თვალი ვერ მოხუჭეს.

ნერვების დასაწყნარებლად სინიორ პომიდორმა შუალამისას ტყეში გაისეირნ-გამოისეირნა (ჰო, მართლა, მე ხომ თქვენთვის არ მითქვამს, რომ სინიორ პომიდორს ფეიერვერკის შემდეგ ბოლმისა და ჯავრისაგან კრუნჩხვა დააწყებინა!)

„რა სისულელეა, — ფიქრობდა იგი, — ამდენი ჯან-ღონით სავსე სალდათის დაღუპვა“.

სინიორ პომიდორი მაღალ ბორცვზე ავიდა, ეგონა, შენიშნავდა სადმე კოცონს, რომელსაც ლტოლვილები შესვენების დროს გააჩაღებდნენ. კოცონი ვერსად დაინახა, მაგრამ განცვიფრდა, სასახლის ფანჯრები სინათლისაგან ასე გაჩახჩახებული რომ იყო.

„ალბათ ბარონი და ჰერცოგი ერთობიან უჩვენოდ სასახლეში, — გაიფიქრა განრისხებულმა, — კმარა! ლტოლვილებს

რომ დავიჭერთ და ჩიპოლინოსაც კისერს მოვუგრეხთ, აუცილებლად ეს ორი მუქთახორა თავიდან უნდა მოვიშოროთ“.

პომიდორი სასახლეს თვალს არ აშორებდა და გულზე ცეცხლი უფრო ედებოდა.

„უსაქმურები, — ფიქრობდა განრისხებული, — ყაჩაღები, ცივ ქვაზე დასვამენ ამ მოხუც გრაფინიებს და მეც ცარიელი ბოთლების, ბატკნისა და წიწილის ძვლების მეტს არაფერს დამიტოვებენ.“

ნელ-ნელა სასახლის ფანჯრებში შუქი ჩაქრა, მხოლოდ ერთი ფანჯარა იყო კვლავ განათებული.

— ერთი იმას დამიხედეთ, ჰერცოგ მანდარინს არ შეუძლია სიბნელეში ძილი! — ჩაიბურდღუნა ზიზღით პომიდორმა.— წარმოგიდგენიათ, სიბნელისა ეშინია! მაინც რას აკეთებს? ჭკუა სულ დაკარგა: აანთებს, ჩააქრობს, აანთებს, ჩააქრობს შუქს. მოუძებნია ამასაც გასართობი. სულ მოშლის ამომრთველს და ის იქნება. ერთი მოკლე ჩართვა და მშვიდობით, მთელი სასახლე ცეცხლის ალში გაეხვევა. თავი დაანებე! ახლავე თავი დაანებე, გესმის, რას გეუბნები!

სინიორ პომიდორი ვერც კი მიხვდა, რომ მთელი ძალით ღრიალებდა.

მერე ერთ ხანს მიჩუმდა და ფიქრებს მიეცა.

„ვინ იცის, იქნებ სულაც საიდუმლო ნიშანია? — გაიფიქრა მან,—ამ სულელურ თამაშს ბოლო რომ არ მოელო.—კარგი, ვთქვათ ნიშანია, მაგრამ რის ნიშანია? ვის ანიშნებენ? ოქროს არ დავიშურებდი, რომ გამეგო, რას ანიშნებენ. სამჯერ აანთებენ, ჩააქრობენ, აანთებენ, ჩააქრობენ. მერე კიდევ... აანთებენ და აყოვნებენ, ჩააქრობენ და ასე სამჯერ. მერე თავიდან იწყებენ სწრაფად ანთება-ჩაქრობას, ისევ შეჩერდებიან... და ასე გრძელდება, ბოლო არ უჩანს ამ თამაშს. ჰო, ახლა მივხვდი, ნამდვილად ჰერცოგი რადიოს უსმენს და მუსიკას აყოლებს—აანთებს და ჩააქრობს, აანთებს და ჩააქრობს. სანაძლეოს დავდებ, ასეა, ნამდვილად ასეა. აი, შეხეთ, რით ერთობა ეს უსაქმური“.

სინიორ პომიდორი ბანაკში დაბრუნდა და ერთ, მისი აზრით, ყოვლისმცოდნე კარისკაცს ჰკითხა, სანიშნო ანბანი ხომ არ იცით.

— რა თქმა უნდა, ვიცი, — უპასუხა ლიმონმა. — მე სწორედ სიგნალიზაციის დოქტორი და პროფესორი გახლავართ. სპეციალური ფაკულტეტიც დავამთავრე.

— მაშ ვერ მეტყვი, რას ნიშნავს აი ეს. — და აუხსნა, რას ანიშნებდა სასახლის ფანჯრიდან ჰერცოგი.

— ს...ო...ს...ჰო, ეს უბედურების ნიშანია, ვილაც განსაცდელშია და შველას ითხოვს!

„შველას ითხოვს? — გაიფიქრა აფორიაქებულმა პომიდორმა. — მაშ ეს თამაში არ არის! ჰერცოგი რაღაცას გვანიშნებს. ეტყობა, საფრთხეშია ჩავარდნილი ასეთ ნიშანს რომ იძლევა".

ბევრი აღარ უფიქრია, კავალერი სასწრაფოდ გაეშურა სასახლისკენ.

პარკში ფეხი შეედგა თუ არა, მასტინოს დაუსტვინა, სასწრაფოდ ჩემთან გაჩნდით. სინიორ პომიდორს ეგონა, ძაღლი თავისი მყუდრო სახლიდან გამოხტებოდა და შეეგებებოდა, მაგრამ დახეთ, ყურებჩამოყრილი ძაღლი ძველი თავშესაფრიდან არ გამოძვრა?

— რა მოხდა? — ჰკითხა კავალერმა პომიდორმა.

— მე პატივსა ვცემ კანონებს, — უკმაყოფილოდ უპასუხა ძაღლმა. — კანონიერმა მემკვიდრეებმა წარმომიდგინეს უტყუარი საბუთები და მეტი რა გზა მქონდა, სახლი დავუთმე.

— რომელ კანონიერ მემკვიდრეებზე ლაპარაკობ?

— ვილაც გოგრა და ვილაც მოცვა.

— სად არიან ახლა ისინი?

— სძინავთ თავიანთ სახლში — მე ასე მგონია. თუმცა ვერ გამიგია, როგორ შეიძლება ასე უხერხულ მდგომარეობაში ძილი. ალბათ, სასახლეში ველარ დაეტიენ...

— სასახლეში ვილას სძინავს?

— ოჰ, მილეთი ხალხია! რა ჯურის კაცი გინდა იქ არ

არის: მეწალეებია, მუსიკოსებია, ბოლოკებია, ხახვებია. რა ვიცი, ათასნაირი ნაყარნუყარი ხალხია.

— მაშ ჩიპოლინოც იქ არის?

— ჰო, ერთს ჩიპოლინო უნდა ერქვას. მე მგონია, ჰერცოგი შეურაცხყოფილია ასეთი ხალხის სტუმრობით და თავის ოთახში ჩაიკეტა, მთელი სალამოა გარეთ არ გამოუხედავს.

„დაუტყვევებიათ და ის არის, — გადაწყვიტა პომიდორმა. — სულ უარესი და უარესი ამბები მესმის.“

— ბარონი ფორთოხალიც ჩაკეტილია, — განაგრძო ძაღლმა. — მაგრამ რატომღაც თავის ოთახში კი არა, სარდაფში. კარგა ხანია სარდაფიდან საცობების ბათქაბუთქი მესმის.

— ეშმაკმა დალახვროს ის ლოთი! — წაიბურდღუნა თავისთვის სინიორ პომიდორმა.

— ვერ გამიგია, — განაგრძო მასტინომ. — რას აკეთებს ჩვენი ალუბლიკო. დაივიწყა გრაფის შთამომავალი რომ არის? ამ მდაბიო წარმოშობის ხალხს რატომ უამხანაგდება?

სინიორა პომიდორმა სწრაფად ტყისაკენ მოქუსლა, გააღვიძა პრინცი, ორივე გრაფინია და ეს თავზარდამცემი ამბავი აუწყა. გრაფინიები მაშინვე აპირებდნენ სასახლეში დაბრუნებას, მაგრამ პრინცმა ურჩია, არ აჩქარებულიყვნენ.

— წუხანდელი გართობის შემდეგ, — თქვა მან, — იმდენი სალდათი აღარა გვყავს, რომ ამ შუალამისას თავდასხმა მოვაწყოთ. მოვიცადოთ გათენებამდე, ეს უფრო გონივრული იქნება.

პრინცმა იხმო სინიორ ოხრახუშა, როგორც არითმეტიკის უბადლო მცოდნე და უბრძანა, ერთხელ კიდევ გადაეთვალა მის ბრწყინვალებას, რა საბრძოლო ძალები შერჩა.

სინიორ ოხრახუშამ აიღო ცარცის ნაჭერი, გრიფელის დაფა და კარვები შემოიარა. თითო ჯვარს სალდათს უსვამდა, ორ-ორს გენერალს. აღმოჩნდა, რომ პრინცის განკარგულებაში იყო თვრამეტი ლიმნია-სალდათი და ორმოცი ლიმონი-გენერალი, სულ ორმოცდათვრამეტი კაცი, თუ არ ჩავთვლით სინიორ პომიდორს, სინიორ ოხრახუშს, თვით პრინც ლიმო-



ნოს, ორ გრაფინიას, მაძებარს, მის ძალლსა და რამდენიმე ცხენს.

კავალერ პომიდორს ცხენები არაფრად ეპრიანებოდა. სინიორი ოხრახუშა კი დიდის ამბით უმტკიცებდა, ციხე-სიმაგრის აღებისას კავალერია დიდ როლს თამაშობს, ხანდახან აუცილებელიცაა. სტრატეგიის საკითხებზე კარგა ხნის კამათის შემდეგ, პრინცმა ლიმონომ სინიორ ოხრახუშას დებულებები სცნო მართებულად და მასვე დაავალა კავალერიის ხელმძღვანელობა.

საბრძოლო გეგმა მისტერ სტაფილუს თანდასწრებით შეიმუშავეს. ამ შემთხვევის გამო მისტერ სტაფილუს სასწრაფოდ მიანიჭეს საგარეო სამხედრო საქმეთა მრჩევლის ხარისხი.

სამხედრო მრჩეველი მაშინვე შეუდგა თავისი მოვალეობის აღსრულებას. პირველ ყოვლისა, ყველა გენერალსა და სალდათს ურჩია, სახე ნახშირით ან მჭვარტლით გაეთხუპნათ, რომ მოწინააღმდეგეები შეეშინებინათ. პრინცს ეს ღონისძიება ჭკუაში დაუჯდა და მაშინვე ბრძანა, ღვინის ბოთლებისათვის საცობები დაეძროთ, მერე გენერლები ჩაამწკრივა და საკუთარი ხელით შეუღება ყველას სახე დამწვარი საცობით.

გენერლები დიდად ნასიამოვნები იყვნენ, რომ ასე დააფასეს.

უკვე მზის ამოსვლისას ყველა გენერალსა და სალდათს სახე შავადა ჰქონდა მოთხუპნული. პრინცი არც ამით დაკმაყოფილდა. დამწვარი საცობები ჯერ კიდევ ბლომადა ჰქონდა და ბრძანა, თვით გრაფინიებმა და სინიორ პომიდორმაც გაიშავონ სახეებიო.

გრაფინიებმა ვერ გაბედეს პრინცთან შეკამათება და თვალცრემლიანნი დაემორჩილნენ მის ბრძანებას.

შეტევა ზუსტად დილის შვიდ საათზე დაიწყო.



თავი ოცდამეორე

როგორ დალუპა გარონმა მისდაუნებურად ოცი გენერალი

სტრატეგიული გეგმის პირველი ნაწილი შიმდეგში მდგომარეობდა: მაძიბრის ძაღლს უნდა ისარგებლა თავისი ახლო მეგობრული ურთიერთობით გრაფის ძაღლ მასტინოსთან და დაეყაბულებინა იგი, გაეღო ჭიშკარი. ამ ჭიშკრით პარკში სინიორ ოხრახუშას მეთაურობით კავალერის ესკადრონი შეიჭრებოდა.

ეს გეგმა ჩაეფუშათ: რა გაღება უნდოდა ისედაც მოფრიალებულ ჭიშკარს, კარებთან გამოჭიმული მასტინო კუდით ესალმიბოდა შემოსულთ.

შეშინებული მაძიბრის ძაღლი უკან დაბრუნდა და ეს უცნაური ამბავი მეთაურებს შეატყობინა.

— სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი, — მოიმარჯია მისტერ სტაფილუმ საგარეო სამხედრო საქმეთა მრჩევლებში საყოველთაოდ გავრცელებული გამოთქმა.

— ფაქტია, ფაქტი! სწორედ აქ მარხია! — ბხარი დაუჭირა ეცი-არ გაუშვამ.

— რომელ ძაღლზე ლაპარაკობთ, სად მარხია ძაღლი? — იკითხა პრინცმა.

— თქვენო უმაღლესობავ, აქ საქმე ძაღლს არ ეხება. ბოროტმოქმედებმა კარი ღია იმიტომ დატოვეს, რომ ჩვენს გასაბმელად მახე აქვთ დაგებული.

— მაშინ უკანა კარიდან შევიდეთ პარკში! — წამოაყენა წინადადება პრინცმა.

— უკანა კარიც ღიაა!

ლიმონოს არმიის გენერლები საგონებელში ჩავარდნენ, არ იცოდნენ, რა ელონათ. თვითონ პრინცს კი საშინლად მოგბეზრდა ეს ომი.

— ძალიან გაგრძელდა ბრძოლა, — შესჩივლა მან კავალერ პომიდორს. — რა რთული და გაჭიანურებული ომია! წინასწარ რომ მცოდნოდა, არც დავიწყებდი.

საქმის დაჩქარებისათვის პრინცმა გადაწყვიტა, პირადად მიეღო მონაწილეობა ოპერაციებში. ჩაამწკრივა თავისი ორმოცი გენერალი და ბრძანა:

— სწო-რდი!

ორმოცი გენერალი ადგ^ლზევე გაქვავდა.

— წი-ინ იარ! ერთი-ორი, ერთი-ორი...

გმირული არმია შეიჭრა პარკში და სასახლისაკენ გაემართა, რომელიც, თქვენც იცით, ერთ პატარა ბორცვზე მდებარეობდა. მაღლობზე ასვლამ პრინცი მთლად მოთენთა, სულს ველარ ითქვამდა, გაოფლიანდა და უკან დაბრუნება გადაწყვიტა, მეთაურობა პირველი კლასის ლიმონოს დაევალა.

— განაგრძეთ შეტევა,—უთხრა მან, — მე მივდივარ საერთო შეტევის გეგმის შესამუშავებლად. ჩემი პირადი ჩარევის შედეგად თავდაცვის პირველი ხაზი უკვე დაკავებულია. თქვენ გავალებთ სასახლის აღებას.

პირველი კლასის ლიმონმა მეთაურობა მიიღო. ხუთი მეტრი გაიარეს თუ არა, მან ხუთწუთიანი შესვენება გამოაცხადა. სასახლემდე სულ ასი ნაბიჯი თუ იქნებოდა. მეთაურმა ის იყო გასცა გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლის ბრძანება, რომ უცებ საშინელი ბრახუნი გაისმა, ბორცვის მწვერვალიდან გენერლებისკენ მოისწრაფოდა ჭეშმარიტად არნახული სიდიდის ჭურვი. გენერლებმა აღარ დაუცადეს პირველი კლასის ლიმონოს ბრძანებას, პირი იბრუნეს და მთელი სისწრაფით დაეშვნენ ძირს. მაგრამ აბა რას გაუსწრებდნენ ამ საიდუმლო ჭურვს. იგი რამდენიმე წუთში თავზე ჩამოენგრათ, დაეცათ, ოციოდე გენერალი მწიფე ქლიავივით გაჭყლიტა და ჭიშკრისკენ გაქანდა. გზაში შეტევისათვის გამზადებული სინიორ ოხრახუშას კავალერია მიფანტ-მოფანტა და გრაფინია ალუბლების კარეტა თავდაყირა გადაატრიალა.

ბოლოს და ბოლოს როცა შეჩერდა, ყველამ დაინახა, რომ ეს მაგნიტის ნალმი ან დინამიტიანი კასრი კი არა, საცოდავი ბარონი ფორთოხალი მოგორავდა.

— ძვირფასო ნათესავო, ეს თქვენა ხართ? — გამოჰყო დაყირავებული კარეტიდან თავი უფროსმა გრაფინიამ.

გრაფინია მთლად მტვერში ამოგანგლულიყო, სახე მჭვარტლით მაგრად მოეთხუპნა, ისედაც გაწეწილ თმას ქარი უფრიალებდა.

— მე თქვენ არ გიცნობთ, სინიორა, აფრიკაში არასოდეს არა ვყოფილვარ,—წაიბურტყუნა ბარონმა.



— ეს მე ვარ, უფროსი გრაფინია!

— ღმერთო დამიფარე, რა ჭკუაზე იყავით სახეს ასე რომ ითხუპნიდით?

— სტრატეგიული მოსაზრებით გავაკეთეთ ეს, ბარონ... უკეთესია ის გვითხრათ, როგორ დაგვატყდით თავს ასე ერთბაშად?

— მე თქვენს საშველად ვამოვეშურე. მართალია, უცნაური საშუალებით, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. მთელი ღამე სარდაფიდან ამოსვლას მოვუნდი. იქ ჩამკეტეს იმ ავაზაკებმა. წარმოგიდგენიათ, სარდაფის კარი სულ კბილებით გამოვღრღენი.

— რა თქმა უნდა, ერთ ექვსიოდე კასრს მაინც გამოულრღნიდით ძირს თავისუფლად! — წაიბურტყუნა ჯერ ისევ შიშისაგან აკანკალებულმა პომიდორმა.

— ამოვძვერი სარდაფიდან, ჩამოვგორდი ბორცვზე და, მგონი, გზაში გავსრისე ზანგების მთელი ათეული, რომლებიც, ეჭვი არ არის, თქვენი სასახლე რომ ხელში ჩაიგდეს, იმ ყაჩაღების დასახმარებლად მოდიოდნენ.

როცა უფროსმა გრაფინიამ აუწყა, რომ ზანგები კი არა და ორმოკი გენერალი დაასრისა მიწას, საწყალი ბარონი ძალიან შეწუხდა, თუმცა გულში მაინც ყოყლოჩინობდა, აქაოდა ასეთი ძლიერი და მძიმე ვარო.

პრინცი ლიმონი ამ დროს თავის კარავ-

ში, აბაზანაში ნებივრობდა. მეწინავე ნაწილის დალუპვა რომ გაიგო, ჯერ ეგონა, ალბათ მტერი მოულოდნელად დაესხა თავს და გაანადგურა ჩემი მეომრებიო. მაგრამ როცა მის უმალლესობას მოახსენეს, რომ ამ უბედურების მიზეზი მისი მოკავშირე ბარონი ფორთოხალი იყო, რომელსაც ბოროტი განზრახვა სულაც არა ჰქონდაო, საშინლად აღშფოთდა:

— მე არავითარი მოკავშირე არა მყავს, ომს ვაწარმოებ საკუთარი თავისთვის და სრულიად დამოუკიდებლად. — თქვა განრისხებულმა და შეკრიბა დარჩენილი ჯარი—გენერლები, სალდათები და დამხმარე შემადგენლობა, სულ ოცდაათი კაცი, და სიტყვით მიმართა. თავისი სიტყვა მან ასე დაამთავრა:

— ღმერთო, მიხსენი მეგობრებისაგან, მტრისგან კი, როგორც იქნება, თვითონ დავიფარავ თავს.

ლიმონი, მართალი იყო. პრინცების მეგობრები ყოველთვის მტერზე უფრო საშიშნი არიან. პრინცებს მეტი რაღა რჩებათ, თავს ინუგეშებენ მოძველებული, გაცვეთილი, უთავბოლო ანდაზებით.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ლიმონი დამშვიდდა და ბრძანა, ახალი შეტევა დაეწყოთ. ათიოდე კაცმა ბორცვზე აირბინა, თან პიროტყვებივით ღრიალებდნენ, იქნება ღმეოთი შეგვეწიოს და ლტოლვილი ქალები და ბავშვები მაინც დავაშინოთო. მოწინააღმდეგენი თავაზიანად შეხვდნენ მათ. უნდა ითქვას, მეტის მეტად თავაზიანადაც. ჩიპოლინომ სახანძრო ტუმბოები სარდაფის ყველაზე დიდმუცლიან ღვინის კასრებს მიუმარჯვა და როგორც კი ლიმნიები სათოფე მანძილზე მიუახლოვდნენ, ბრძანა:

— ღვინო! ესროლე მტერს!

უნდოდა ებრძანებინა „ცეცხლიო“, მაგრამ აბა, ხელში ტუმბოების მეტი არაფერი ჰქონდა და ესეც ცეცხლის ჩასაქრობი იარაღი იყო და არა გასაჩაღებელი.

მიუშვეს არომატული, მათრობელა წითელი სითხის მძლავრი ნაკადი ალყაშემორტყმულებს. ღვინო ესხმებოდათ თვალებში, პირში, ცხვირში და ყურებში. აუცილებლად გაიგუ-

დებოდნენ და უგრძნობლად დათვრებოდნენ, ლიმნიებს რომ დროზე არ აექციათ ზურგი. ვინ სირბილით, ვინ ხოხვით ბრუნ-დებოდა უკან, ღვინო კი ტუმბოებით პირდაპირ ზურგში სცემდათ.

როგორც კი ლიმნიებმა ბორცვის ძირას ჩააღწიეს, ორივე გრაფინია საშინლად აღშფოთდა. ერთი ლიმნიაც არ იყო ფხიზელი.

ახლა წარმოიდგინეთ, როგორ განრისხდებოდა თვით პრინცი ლიმონი:

— თავი მოგვეჭრა! ჯოხები უნდა ჩაგცხოთ კაცმა! ვინ გაიგონა, წითელი ღვინის სმა უზმოზე? წესიერი ხალხი ასე არ იქცევა. ხედავთ, კიდევ ათი კაცი გამოვიდა მწყობრიდან.

ამის თქმა იყო და ათი მებრძოლი ერთიმეორეზე მიწვა მისი უმაღლესობის ფეხებთან და ხვრინვა ამოუშვა.

მდგომარეობა სულ უფრო და უფრო საგანგაშო, საშიში ხდებოდა.

სინიორ პომიდორი სიმწრით თმებს იგლეჯდა და მისტერ სტაფილუს ეეედრებოდა:

— გვირჩიეთ რამე! ღმერთმა დაგლახვროთ, თქვენ ხომ საგარეო სამხედრო საქმეთა მრჩეველი ბრძანდებით!

სასახლეში კი, როგორც თქვენ მოგეხსენებათ, ამ დროს მხიარულება იყო. მტრის კარგა ნახევარი მწყობრიდან გამო-სული იყო. მალე, სულ მალე იქ, დაბლა, ჭიშკრის ორ წითელ ბოძს შორის თეთრ დროშას ააფრიალებდნენ.



თავი ოცდაშვიდმეტი

ჩიპოლინომ გაიცნო ობობა-ფოსტალიონი

არა, ვერ მოიატყუებთ, ჭიშკრის ბოძებს შუა თეთრი დროშა არ ააფრიალეს. ბრძოლის ველს ლიმნიების მთელი დივიზია შეესია, რომელიც სასწრაფოდ გადმოისროლეს დიდაქალაქიდან. ჩვენს მეგობრებს ისღა დარჩენოდათ, რომ ან დანებებოდნენ, ან არა და გაცლოდნენ იქაურობას.

ჩიპოლინო სარდაფიდან ცდილობდა გაქცევას. მაგრამ მიწისქვეშა გასასვლელი პირდაპირ ტყეში რომ გადიოდა, პრინცის ჯარს ჰქონდა დაკავებული.

ვინ ასწავლა ლიმნიებს ეს საიდუმლო გასასვლელი? მის არსებობაზე ხომ ეჭვიც არა ჰქონდათ?!

არც ამას დაგიმალავთ: მოღალატე სინიორ მუხუდო აღმოჩნდა.

როცა ჩიპოლინოსა და მის მეგობრებს საქმე ცუდად წაუვიდათ, მუხუდო მაშინვე მტრის ბანაკზე გადავიდა, შეეშინდა, მეორეჯერაც არ ჩამომკიდონ სახრჩობელაზეო.

სინიორ პომიდორი ისე აღფრთოვანა ჩიპოლინოს შეპყრობამ, რომ დანარჩენებისათვის ხელიც არ უხლია, ყველა თავიანთ სახლში გაუშვა. ალუბლიკო კი სხვენზე ჩაკეტეს.

ჩიპოლინო ციხეში გაგზავნეს, მთელი ასეული მიაცილებდა მას. მიიყვანეს და მიწისქვეშა საკანში ჩასვეს.

მედილეგე ლიმონიკო დღეში ორჯერ შემოუტანდა პურის შეჭამანდსა და წყალს დაკბილული ჯამით. ჩიპოლინო ვერა ხედავდა, რა მოჰქონდათ, მაგრამ მაინც ჭამდა — ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ძალიან შიოდა, მეორეც, მის საკანში ყოველთვის ბნელოდა.

დანარჩენ დროს კი იწვა თავის საწოლზე და ფიქრობდა: „ნეტავი მამაჩემი მაჩვენა. ის მაინც აცოდინა, რომ მეც აქ, მასთან ერთად ვზივარ ციხეშიო“.

დღე და ღამე განუწყვეტლივ გაისმოდა ქუსლების ბრაიბრუხი — ბადრაგი ბოლოთასა სცემდა ჩიპოლინოს საკნის წინ.

— მაგ თქვენს ქუსლებს რეზინები მაინც დააკარით, — უყვიროდა ჩიპოლინო, — კაცს თვალს არ მოახუჭინებთ!

მედილეგე ყურსაც არ იბერტყავდა მის ყვირილზე.

ერთი კვირის შემდეგ მოაკითხეს.

— სად მიგყევაოთ? — იკითხა ჩიპოლინომ.

„ალბათ ჩამოსახრჩობად მიმათრევენო“, — გადაწყვიტა მან, მაგრამ, არა, სასეირნოდ გაიყვანეს ეზოში. როცა გრძელ ციხის დერეფანს გაუყენეს, ჩიპოლინო ბრაზობდა თავის ფეხებზე. „სიხი უკვე სიარულს გადაჩვეოდნენ. სულ სიბნელეში ყოფნის შემდეგ სინათლეზე რომ გავიდა, დახამებულ თვალებზე ცრემლი ვერარ შეიშრო.

ციხის ეზო მრგვალი იყო. პატიმრებს ერთნაირი — თეთრი და შავზოლებიანი ტუსაღის ტანსაცმელი ეცვათ, ერთიმეორეს ახლო-ახლო მისდევდნენ და წრეს აკეთებდნენ.

ლაპარაკი სასტიკად იყო აკრძალული. წრის შუაგულში ერთი ლიმონიკო იდგა და ბარაბანს უბრახუნებდა:

— ერთი, ორი!.. — ყვიროდა იგი.



ჩიპოლინოც წრეში ჩადგა, მის წინ ერთი წელში მოხრილი ჭალარათმიანი მოხუცი ძლივს მოათრევდა ფეხებს. დროდადრო ყრუდ ახველებდა, მხრები უთრთოდა.

„ეს საცოდავი, — გაიფიქრა ჩიპოლინომ. — მოხუცი რომ არ იყოს, მამაჩემი მეგონებოდა!“

მოხუცმა კვლავ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისეთი ხველა აუვარდა, მწყობრიდან გამოვიდა და რომ არ წაქცეულიყო, კედელს მიეყრდნო. ჩიპოლინო მისაშველებლად მივარდა და მხოლოდ მაშინ დაინახა ნოჯებით დაღარული სახე. მოხუცმა პატიმარმაც ბიჭს მიმქრალი თვალებით გადახედა და უცბად მხრებში სტაცა ხელი:

— ჩიპოლინო, ჩემო ბიჭო!

— მამა, როგორ მოხუცებულხარ!..

თვალცრემლიანი მამა-შვილი ერთმანეთს გადაეხვია.

— ნუ სტირი, ჩემო სიცოცხლე! — წაუჩურჩულა მოხუცმა. — გამხნევდი!

— არა ვტირი, მამა. მხოლოდ გული მტკივა, ასე დასუსტებულსა და დაავადებულს რომ გხედავ. ხომ დაგპირდი, გაგათავისუფლებ-მეთქი.

— ხუ დარდობ ჩვენც გაგვითენდება ბედნიერი დღე.

ლიმონიკომ, რომელიც აქამდე ნელა აბრახუნებდა, ახლა ძლიერ დასცხო თავის ბარაბანს:

— ეი, თქვენ ორს გეუბნებით! ვერ ხედავთ, რომ მთელი მწყობრი ამირიეთ? წინ იარ!

მოხუცი ჩიპოლინე სასწრაფოდ მოშორდა შვილს და თავისი ადგილი დაიკავა პატიმართა მწკრივში. პატიმრებმა ორჯერ კიდევ შემოუარეს ეზოს და საკნებისაკენ მიმავალ დერეფანს ბიაშურეს.

— ბარათს გამოგიგზავნი, — წასჩურჩულა გამოთხოვებისას მოხუცმა ჩიპოლინემ.

— როგორ?

— აი ნახავ. გამხნევდი, ჩიპოლინო!

— კარგად იყავი, მამაჩემო!

მოხუცი თავის საკანში შევიდა. ჩიპოლინოს საკანი ორი სართულით დაბლა, მიწის ქვეშ იყო. ახლა რაც მამა ნახა, თავისი საკანი არც ისე ბნელი ეჩვენა. კაცმა რომ თქვას, სინათლე მაინც აღწევდა დერეფანში გამავალი პატარა სარკმლიდან. თუმცა ისეთი მქრქალი, რომ ძლივს მოჩანდა დერეფანში წინ და უკან მოსიარულე ლიმნიების ლაპლაპა ხიშტები.

მეორე დღეს ჩიპოლინო იჯდა და დროს მოსაკლავად ითვლიდა, რამდენჯერ გაიელვებდა ფანჯარაში გუშაგის ხიშტი. უცებ ვიღაცის ძლივს გასაგონი ხმა შეეოესმა:

— ვინ მეძახის? — იკითხა გაოცებულმა.

— კედელს შეხედე.

— თვალები დაჭყეტილი მაქვს, მაგრამ მაინც ვერაფერს ვხედავ.

— ამოიხედე, ფანჯარასთან ვარ,

— ახლა კი გხედავ! ობობახარ. მანდ რას აკეთებ? ტყუილად დაეძებ აქ ბუზებს.

— დიახ, მე კოჭლი ობობა ვარ. აბლაბუდა ზედა სართულის საკანში მაქვს. როცა მომშივდება, მივადგები ამ ჩემს აბლაბუდას და ვიცი, ყოველთვის დამიხვდება შიგ რაღაც პირის ჩასატკბარუნებელი.

რომელიღაც ლიმონიკომ კარზე მაგრად დააბრახუნა.

— ეი, ხმა გაიკმინდე! ვის ელაპარაკები?

— ლოცვას ვამბობ, რომელიც დედაჩემმა მასწავლა. — უპასუხა ჩიპოლინომ.

— ჩუმად ილოცე, — უბრძანა მედილეგემ. — ფეხს გვირევ.

ეს გამოთაყვანებული ლიმნიები, როგორც კი ცოტა ხმაურს გაიგონებდნენ, მაშინვე ფეხს აურევდნენ ხოლმე.

კოჭლი ობობა ძირს დაეშვა და თავისი წრიპინა ხმით წაიჩურჩულა:

— მამაშენის ბარათი მოგიტანე.

ობობამ ჩამოუშვა აბლაბუდით გადახლართული პატარა ბარათი. ჩიპოლინომ მაშინვე გამოსტაცა და სწრაფად ჩაიკითხა. აი რა ეწერა ბარათში:

„ძვირფასო ჩიპოლინო, მე ყველაფერი ვიცი. გული არ გაიტეხო, თუ საქმეები ისე არ მიდის როგორც შენ გინდა. შენ ადგილზე რომ ვიყო, მეც ეგრე მოვიქცეოდი. ციხეში ჯდომა, მართლაც, რა სასიამოვნოა, მაგრამ იმედი მაქვს, შენ აქ ბევრ რამეს ისწავლი. დროც საკმარისი გექნება უკვე ნანახსა და განცდილს დაუკვირდე. ამ ბარათის მოტანი ჩვენი ციხის ფოსტალიონია. სანდო კაცია და გამოატანე პატარა ბარათი. გულში გიხუტებ. შენი მამა ჩიპოლონე“.

— ბოლომდე ჩაიკითხე? — ჰკითხა კოჭლმა ობობამ.

— ჰო, ჩავიკითხე.

— მაშ კარგი. ახლა ბარათი პირში ჩაიდე, დაღეჭე და გადაყლაპე. იცოდე, მცველმა არ უნდა ნახოს.

— კარგი, ისე მოვიქცევი, როგორც მითხარი, — უპასუხა ჩიპოლინომ და ბარათი დაღეჭა.

— აბა, ჯერჯეროობით, — უთხრა კოჭლმა ობობამ, — ნახვამდის.

— სად მიდიხარ?

— წერილები უნდა დავარიგო.

მხოლოდ ახლა შენიშნა ჩიპოლინომ, რომ ობობას კისერზე აბლაბუდას ისეთი ჩანთა ეკიდა, როგორსაც ფოსტალიონები ატარებენ ხოლმე. ჩანთა წერილებით იყო გატენილი.

— საკნებში არიგებ წერილებს?

— უკვე ხუთი წელია ამ საქმიანობას ვეწევი: ყოველ დილით ჩამოვუვლი საკნებს, შევაგროვებ წერილებს და მერე დავარიგებ. მცველს ჯერ არ დავუჭერივარ, არც ერთი წერილი არ უნახავს. ამგვარად, პატიმრებს შეუძლიათ კავშირი გააბან ერთმანეთთან და შიშიც არ ჰქონდეთ, რომ ვინმეს ხელში ჩაუვარდება მათი წერილი.

— სად შოულობენ ქაღალდს?

— ისინი ქაღალდზე კი არა, პერანგის ჩანახევზე წერენ.

— ჰო, ახლა კი მივხვდი, რატომ ჰქონდა ბარათს რაღაც უცნაური გემო, — უპასუხა ჩიპოლინომ.

— პატიმრის შეჭამანდში, — განაგრძო ობობამ, — დანაყილ აგურს შეაზელენ და აი ესეც შენი მელანი.

— აგურს სადღა შოულობენ?

— ციხის კედლები აგურით არის ნაშენი.

— ყველაფერი გასაგებია, — უპასუხა ჩიპოლინომ, — თუ შეიძლება ხვალ ჩემთან შემოიარე, წერილს გაგატან.

— აუცილებლად შემოვივლი, — დაპირდა ფოსტალიონი და ოდნავ კოჭლობით გაუდგა გზას.

— ფეხი იტკინე? — ჰკითხა ჩიპოლინომ.

— არა, რევმატიზმები მაწუხებს. წარმოიდგინეთ ახლა, რა საწამლავია ჩემთვის სინესტეში ცხოვრება. ეჰ, მოვხუცდი და სოფელში უნდა დავსახლდე. ჩემი ძმა სიმინდის ყანაში ცხოვრობს. დილას ადგება, ღეროებს შორის გააბამს ქსელს და მთელი დღე ნებივრობს მზეზე და სუფთა ჰაერზე. რამდენჯერ მიმიპატიჟა, მაგრამ, რა ვქნა, ჩემს სამუშაოს როგორ ვუღალატო. ხელს რომ მოკიდებ საქმეს, ბოლომდისაც უნდა მიიტანო. ესეც არ იყოს, პრინც ლიმონოსთან ჩემი ანგარიშები მაქვს. სასახლის ლაქიამ მამა მომიკლა: საცოდავი მოხუცი სამზარეულოს კედელზე მიაჭყლიტა, კედელს დღესაც ატყვია ოდნავ მისი კვალი. ხანდახან მივდივარ ხოლმე სამზარეულოში და ამ დაუვიწყარ ადგილს შევყურებ, თან ჩემს თავს ვეუბნები: „ერთი დრო არვის შერჩენია, დადგება დღე და პრინც ლიმონოსაც ისე მიაჭყლეტენ კედელს, რომ კვალიც არ დარჩება“. მართალს არ ვამბობ?

— ჯერ ასეთი კეთილშობილი ობობა არსად შემხვედრია, — წამოიძახა აღფრთოვანებულმა ჩიპოლინომ.

— ვისაც რა შეუძლია იმას აკეთებს, — თქვა მორიდებით პატარა ფოსტალიონმა, კოჭლობით ფანჯრამდე მიღოღდა, დე-

რეფანში გადაძვრა და რომელიღაც ლიმონიკოს პირდაპირ ცხვირწინ გაუარა. სწორედ ამ დროს ის ლიმონიკო სათვალთვალოში იჭვრიტებოდა, ყველაფერი წესრიგშია თუ არაო.

საკნიდან გამოვიდა კოჭლი ობობა, ქსელით დაბლა დაეშვა და საქმეების მოსაგვარებლად გაეშურა.

თავი ოცდამეოთხე

ჩიპოლინო კარგავს ყოველგვარ იმედს



იმავე დღეს ჩიპოლინომ თავის პერანგს ჩააცია ნაჭერი და რამდენიმე ნაწილად გაყო. „ესეც შენი საფოსტო ქაღალდი, — გაიფიქრა კმაყოფილმა. — ახლა მელონის მოტანამდე მოვიცდი."

ჩიპოლინოს პირი არ დაუკარგია საუზმისათვის. კოვზით ცოტა აგური ჩამოფხიკა კედელზე, ჩაყარა წყალში და კარგად მოურია, მერე იმავე კოვზის ტარით რამდენიმე წერილი დაწერა.

„ძვირფასო მამა! — წერდა ჩიპოლინო პირველ წერილში. — გახსოვს, რას დაგპირდი? ის დროც ახლოვდება. ყველაფერი კარგად მოვიფიქრე. გკოცნის შენი შვილი ჩიპოლინო".

მეორე წერილი თხუნელას მისწერა:

„ჩემო ძვირფასო მოხუცო თხუნელა! რა დამავიწყებს შენს თავს ტყვეობაში მეტი რა საქმე მაქვს. ვზივარ და სულ ძველ მეგობრებს ვიგონებ. ბევრი ვიფიქრე, ვიფიქრე და ბოლოს ის მოვიფიქრე, რომ მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი და მამაჩემის შველა. ვიცი, ეს არ არის ადვილი საქმე, მაგრამ ერთი ასამდე თხუნელასათვის რომ მოგაყრევინა თავი, საერთო ძალით რა სიძნელეს არ დაძლევთ, ველი სწრაფ პასუხს, ანუ ველი შენს გამოჩენას. მაშ ნახვამდის. შენი ძველი მეგობარი ჩიპოლინო."

„პოსტსკრიპტუმი: იცოდე, აქ თვალები არ გეტკინება, ამ ჯურღმულში უფრო სიბნელეა, ვიდრე სამელნეში“.

აი მესამე წერილი:

„ძვირფასო ალუბლიკო! კარგა ხანია შენი ამბავი არ გამიგია, იმედი მაქვს, მარცხმა შენზე არ იმოქმედა. პირობას გაძლევ, მალე გავუსწორდებით პომიდორს მთლიანად. ახლა ბევრ ისეთ რამეს დავუფიქრდი, რისთვისაც წინათ არ მეცალა. შენს დახმარებას ველი, თხუნელასათვის გადასაცემ წერილს გიგზავნი. დათქმულ ადგილას დადე. მალე კიდევ მიიღებ ჩემს წერილს. სალამი გადაეცი ყველას. ჩიპოლინო.“

წერილები ბალიშქვეშ ამოდო, მელნის ნარჩენი საწოლქვეშ, ხვრელში ჩაასხა, ცარიელი ჯამი ლიმონიკოს გაუწოდა და დასაძინებლად მიწვა.

მეორე დილას იმავე ფოსტალიონმა კვლავ მამის წერილი მოუტანა. მოხუცი ჩიპოლონე სწერდა: „შენს ამბავზე მეტად რა გამახარებს, შვილო, მაგრამ გირჩევ, პერანგს გაუფრთხილდი, უაზროდ ნუ დახევ“.

ჩიპოლინომ თითქმის ნახევარი ჩაახია კიდევ პერანგს, ეს ნახევარი მიწაზე გაშალა, თითი მელანში ჩაყო და შეუდგა წერას.

— რას შვრები, — შეაჩერა ფოსტალიონმა. — თითო წერილს ამოდენა ნაჭერი თუ შეალიე, ერთი კვირის მერე რალაზე უნდა დაწერო.

— ნუ დარდობ, — უპასუხა ჩიპოლინომ. — ერთი კვირის შემდეგ აქ ალარც ვიქნები.

— შვილო ჩემო, ვაითუ ცდები!..

— შეიძლება. შენიშვნების მაგიერ ის არა სჯობია დამეხმარო?

— რვავე ფეხი შენ შემოგევლოს. მაინც რა გაქვს გადაწყვეტილი?

— ციხის ზუსტი გეგმა უნდა დავხატო, გეგმაში დაწვრილებით იქნება აღნიშნული ყველა სართული, შიდა კედელი, ეზო და სხვა მიდამოები,

— ეს ადვილი საქმეა. ციხის ყოველ კუთხე-კუნჭულს კარგად ვიცნობ.

კოჭლი ფოსტალიონის დახმარებით ჩიპოლინომ ციხის გეგმა დახატა და ჯვრით აღნიშნა ეზო.

— რატომ დასვი აქ ჯვარი? — ჰკითხა ობობამ.

— მერე გეტყვი, — უპასუხა ეშმაკურად. — ახლა კი ამ წერილებს გაგატან, ერთი მამაჩემს გადაეცი. აი ეს ორი წერილი და გეგმა კი ჩემს მეგობარს მიუტანე.

— ციხის გარეთ?

— ჰო. ახალგაზრდა გრაფ ალუბლიკოს მიუტანე.

— შორს ცხოვრობს ეს შენი მეგობარი?

— გრაფინიების სასახლეში, აი ბორცვზე რომ დგას.

— ჰო, ვიცი. ჩემი ალალი ბიძაშვილიც იქ ცხოვრობს. იმ სასახლის სხვენში მსახურობს. სულ მეპატიჟება, მაგრამ ვერ იქნა, თავისუფალი დრო ვერ გამოვნახე. ამბობენ, იქ მიხედ-მოხედვას არაფერი სჯობიაო. ავიღებ და წავალ, მაგრამ წერილებს ვიღა დაარიგებს?

— თუმცა კოჭლობ, მაგრამ გზაში აქეთ-იქით ორი დღის მეტი არ დაგეკარგება. მე ვფიქრობ, ორი დღე წერილები რომ არ დაარიგო არაფერი დაშავდება.

— ერთ დღესაც ვერ ვუღალატებდი ჩემს საქმეს, — თქვა მუყაითმა ფოსტალიონმა, — მაგრამ თუ ეს წერილი სასწრაფოდ უნდა მივუტანო...

— ძალიან სასწრაფოდ! — სიტყვა გააწყვეტინა ჩიპოლინომ, — ძალიან სერიოზული საქმეა. ამაზეა დამოკიდებული პატიმართა ბედი.

— ყველა პატიმრისა?

— დიახ, ყველა პატიმრისა.

— მაშ დავარიგებ თუ არა დღევანდელ წერილებს, დაუყოვნებლივ გზას გავუდგები.

— ჩემო ძვირფასო მეგობარო, არ ვიცი, როგორ გადაგიხადო მადლობა.

— მადლობისათვის კი არ ვირჯები, — უპასუხა კოჭლმა

ფოსტალიონმა. — იქნებ ციხე დაიცალოს და, ბოლოს და ბოლოს, მეც მეღირსოს სოფელში გადასახლება.

წერილი ჩანთაში ჩაიდო, ჩანთა კისერზე გადაიკიდა და კოჭლობით სარკმელისაკენ გასწია.

— ნახვამდის, — წაიჩურჩულა ჩიპოლინომ და თვალი გააყოლა მეტი სიფრთხილისათვის ჭერზე აღოღებულ კოჭლობას. — კეთილ მგზავრობას გისურვებთ, მეგობარო!

მას შემდეგ რაც ობობა სარკმელს გასცდა, ჩიპოლინო ყოველ საათსა და ყოველ წუთს ითვლიდა. დრო ზანტად მიიზლაზნებოდა: ერთი საათი, ორი, სამი, ოთხი...

დღე რომ მიიწურა, ჩიპოლინომ გაიფიქრა, „ახლა კი მიუახლოვდებოდა ობობა სასახლესო. გაიგნებს კი გზას? რა თქმა უნდა, გაიგნებს. სასახლის მიდამოებში ობობის მეტი რა არის, თუ ისიც გაიგეს, რომ სასახლის სხვენის ცნობილი ობობა ბიძაშვილად ეკუთვნის, ალბათ ვინმე კარებამდისაც კი მიჰყვება“.

ჩიპოლინომ წარმოიდგინა კიდეც, როგორ მიბობლავს პატარა, ბებერი, მთლად ჭალარა, კოჭლი ობობა სხვენზე. თავისი ბიძაშვილისაგან გაიგო, სადაც არის ალუბლიკოს ოთახი და ახლა, კედლებს ძირს დაუყვა და პირდაპირ ალუბლიკოს საწოლთან ამოყო თავი, ფრთხილად გააღვიძა ბავშვი და წერილები გადასცა.

ჩიპოლინომ მოსვენება დაკარგა. ყოველ საათს, ყოველ წუთს ობობას გამოჩენას ელოდა. აგერ გავიდა ორი დღე, სამი, კოჭლი ობობა მაინც არსად გამოჩნდა. პატიმრები წერილების მიუღებლობამ სულ ააფორიაქა. წასვლის წინ ფოსტალიონს არავინ გაუფრთხილებია, საიდუმლო დავალების შესასრულებლად რომ მიდიოდა, უბრალოდ, ორი დღის შვებულება ავიღეო, თქვა. მაშ რატომ არა ბრუნდება? იქნებ გადაწყვიტა, სამუდამოდ მიატოვოს ციხე და სოფელში დასახლდეს. სულ ამაზე არ ოცნებობდა? აღარ იცოდნენ, რა ეფიქრათ, თუმცა ჩიპოლინოსავით არავინ წუხდა.

მეოთხე დღეს პატიმრები სასეირნოდ გაიყვანეს. ჩიპოლინო თვალებით მამას დაეძებდა. მოხუცი ჩიპოლონე ეზოში არ ჩანდა, არც არავინ იცოდა მისი ამბავი. ციხის ეზოს რამდენჯერმე რომ შემოუარა, ჩიპოლინო თავის საკანში დაბრუნდა და სასოწარკვეთილი პირდაპირ საწოლზე მიეგდო. საბრალოს ყოველგვარი იმედი გაუქრა.

თავი ოცდამეხუთე

კოჰლი ოგოგას და შვიდნახევარა ოგოგას თავგადასავალი

რა დაემართა ობობა ფოსტალიონს?

ახლავე ყველაფერს გეტყვით.

თავი დააღწია თუ არა ციხის კედლებს, ჭუჩას გაუყვა, ობობა ცდილობდა ტროტუარის ახლოს ევლო, ეშინოდა, ამ ფურგონების, კარეტებისა და ეტლების მსხვერპლი არ გამხდარიყო. ამის გაფიქრება იყო და კინალამ ველოსიპედის ქვეშ არ ჩავარდა, გვერდზე რომ არ გამხტარიყო, ფილაქანს იქვე დაასრესდა.

„ღმერთო მიშველე! — გაიფიქრა შეშინებულმა. — ჯერ მგზავრობა არ დამიწყია და კინალამ არ დავამთავრე?“

ბედად იქვე ახლოს მილში ჩასაშვები კარი ახდილი დაუხვდა. ადგა და შიგ ჩაძვრა. ჩაძვრა თუ არა, ვილაცამ სახელი დაუძახა, მოიხედა და ხელში შერჩა თავისი შორეული ნათესავი შვიდნახევარა. მას შვიდნახევარი ფეხი ჰქონდა და ამიტომაც შეარქვეს ეს სახელი. წინათ იგი გრაფის სასახლის სამზარეულოში ცხოვრობდა და მერვე ფეხის ნახევარი უბე-

ლური შემთხვევის გამო, იატაკის ჯაგრისთან დატაკებისას დაკარგა.

კოჭლი ობობა ზრდილობიანად მიესალმა ძველ ნაცნობს. შვიდნახევარა ობობა აეტორლიალა, რა არ მოიგონა, ცისა, ბრისა, თავისი მერვე ფეხის დაკარგვის ამბავი ხომ, არ იქნა და ველარ მოათავა.

წამდაუწუმ შეჩერდებოდა, და ისევ თავიდან დაწვრილებით დაიწყებდა ბოროტ ჯაგრისთან თავის ავბედითი შეხვედრის ამბავს. კოჭლი ობობა მაშინვე ხელს წაავლებდა და წინ წაათრევდა.

— სად მიიჩქარი ასე? — ჰკითხა ბოლოს შვიდნახევარამ.

— ჩემს ბიძაშვილთან მივდივარ, — ორჭოფულად უპასუხა კოჭლმა ობობამ.

ციხეში საიდუმლოების შენახვა ისწავლა და სიტყვა არ დასცდენია, ჩიპოლინოს წერილები ალუბლიკოსა და თხუნელასთან რომ მიჰქონდა.

— შენს ბიძაშვილთან მიდიხარ? — კითხვა შეუბრუნა შვიდნახევარამ, — სასახლეში რომ ცხოვრობს იმასთან ხომ არა? სულ მეპატიჟება, ერთი კვირით მაინც მეწვიე სხვენზეო. იცი რა, მოდი მეც თან გამოგყვები, სასწრაფო საქმეც არაფერი მაქვს ისეთი.

ალარ იცოდა კოჭლმა ობობამ, გახარებოდა თუ წყენოდა ასეთი მგზავრი რომ იშოვა. მერე იფიქრა, ორნი უფრო მხიარულად ვიმგზავრებთ. ვინ იცის, რა უბედურება დამატყდება თავს და დამეხმარებაო.

— წამოდი მერე, — თავაზიანად უპასუხა კოჭლმა ობობამ, — მხოლოდ არ შეგიძლია ცოტა ფეხს რომ აუჩქარო? იცი რა, სერიოზული დავალება მაქვს შესასრულებელი და დროზე მინდა მივიდე.

— ისევ ციხის ფოსტალიონი ხარ? — ჰკითხა შვიდნახევარამ.

თამამი მუმლიც კი თვალს არ აშორებდა მოკამათეებს. ბელურა აქამდე ვითომ ქუჩის მოძრაობას აწესრიგებდა, ახლა თავშეყრილები დაინახა თუ არა, მიფრინდა, რომ გაეფანტა ისინი და უცებ შვიდნახევარას მოჰკრა თვალი.

— ჭივ-ჭივ! გვარიანი ლუკმა ვუშოვნე ჩემს ბარტყებს,— დასჭყივლა ბელურამ. კიდევ კარგი, რომელიღაც მუმლმა დროზე ატეხა აურზაური:

— თუ შეგიძლიათ თავს უშველეთ! პოლიცია გამოჩნდა

თვალსა და ხელს შუა გაქრნენ ხოჭოები, ჭიამაიები. იფიქრებდით, მიწამ პირი უყოო. შვიდნახევარამ და კოჭლმა ობობამ კალიას სოროს შეაფარეს თავი. კალიამ სწრაფად მიკეტა შესასვლელი კარი და ზღურბლთან დადგა.

შვიდნახევარა შიშისაგან სულ კანკალებდა. კოჭლი ობობა ნანობდა, უბედი მგზავრი რას ავიკიდეო. აგერ პირველ შემხვედრთან წაბოიწყო კაბათი და პოლიციის ყურადღებაც მიიპყრო.

„უკვე შემამჩნიეს, — ფიქრობდა ბებერი ფოსტალიონი, — ბელურამ, რა თქმა უნდა, ჩამწერა თავის წიგნაკში. ამ წიგნაკში ერთხელ მაინც თუ მოხვდი, სიკეთეს ნულარ ელი“.

ახლა შვიდნახევარა მიუბრუნდა:

— მისმინე, ნათლიმამავ, რა გითხრა, ჩვენი მოგზაურობა უფრო და უფრო საშიში ხდება. ხომ არ აჯობებდა ერთმანეთს დავშორებოდით?

— პირდაპირ მაოცებს შენი საქციელი! — წამოიძახა შვიდნახევარამ. — შენ არ იყავი რომ ჩაბჩიჩინებდი, წამოდი, წამოდიო? ახლა ამ უბედურებაში გინდა მიმატოვო. აი შენისთანა მეგობარსაც რა ვუთხარი!

— თვითონ შენ არ ისურვე ჩემთან ერთად წამოსვლა? კარგი, კარგი ერთი, ეს რა სალაპარაკოა. სასახლეში მიმეჩქარება, სერიოზული დავალება მაქვს შესასრულებელი და ამ სოროში მთელი დღე რა გამაძლებინებს, თუმცა სტუმართმოყვარე კალიას დიდი მადლობელი ვარ.

— კარგი, კარგი, წამოგყვები, აბა რას ვიზამ! — დაეთანხმა შვიდნახევარა, — რახან დავპირდი შენს ბიძაშვილს, გინახულებ-მეთქი, შევასრულებ კიდეც ჩემს სიტყვას:

— აბა გავწიოთ! — უთხრა კოჭლმა ფოსტალიონმა.

— ერთი წუთი მობიცადეთ, სინიორებო! გავიჭვრიტავ გარეთ, გავიგებ, პოლიცია სად არის. — ურჩია ფრთხილმა კალიამ.

ბელურა თავის პოსტს არ შორდებოდა, ძირ-ძირს დაფრინავდა და ბალახს უთვალთვალებდა.

შეწუხებულმა შვიდნახევარამ ამოიოხრა და განაცხადა, ასეთ ვითარებაში ფეხსაც არ მოვიცვლიო.

— მაშ მე მარტო წავალ! — მტკიცედ თქვა კოჭლმა ობობამ.

— რას ამბობ, თავის დაღუპვის ნებას როგორ მოგცემ,— აღშფოთდა შვიდნახევარა.

— კარგად ვიცნობდი ცხონებულ მამაშენს. ჯერ მარტო მისი ხსოვნის გულისთვის აღვუდგები წინ შენ სურვილს, ვიცი, ნამდვილი დაღუპვა გელის.

მეტი რა გზა ჰქონდა, უნდა დამჯდარიყო და ელოდა. ბელურა დაუღალავი მუშაკი გახლდათ, სულაც არ აპირებდა წასვლას და მგზავრებმაც მთელი დღე ამ მომქანცველ ლოდინში გაატარეს. მზის ჩასვლისას პოლიციამ ყაზარმისკენ გასწია — სასაფლაოზე კვიპაროსებში—და ჩვენმა მგზავრებმაც გადაწყვიტეს კვლავ გასდგომოდნენ გზას.

მთელი დღე რომ დაკარგა, კოჭლი ფოსტალიონი გულნატკენი იყო.

დაკარგულ დროს ერთ ღამეში აინაზღაურებდნენ და კარგა მანძილსაც გაივლიდნენ, მაგრამ უცბად შვიდნახევარამ განაცხადა, ძალიან დავიღალე და დასვენება მინდაო.

— შეუძლებელია! — წინ აღუდგა კოჭლი ობობა. — ყოვლად შეუძლებელია. კიდევ რაღა გამაჩერებს.

— მაშ გინდა დამაგდო ღამე ამ შუა გზაზე, არა? ასე ექცევი მამაშენის ძველ მეგობარს? ნეტა კი ის საცოდავი მოხუცი ცოცხალი იყოს, რომ ერთი კარგა გაგჯოროს, ნათესავს რომ ასე გულგრილად ექცევი.

მეტი რა გზა ჰქონდა, კოჭლი ფოსტალიონი ახლაც დამორჩილდა ბედს. მოძებნეს ერთი მყუდრო ადგილი რომელიღაც ეკლესიის წყალსადენი მილის უკან და იქ მოისვენეს.

რაღა თქმა უნდა, ობობას მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, კოჭლი ობობა განრისხებული შეჰყურებდა თავის თანამგზავრს, ასე უდარდელად რომ ხვრინავდა.

„ეს მშიშარა და ყბედი რომ არ ამკიდებოდა, უკვე მისული ვიქნებოდი, და ვინ იცის, იქნებ უკანაც გამოვბრუნებულიყავი.“ — ფიქრობდა იგი.

აღმოსავლეთი განათდა თუ არა, კოჭლმა ობობამ მაშინვე გააღვიძა შვიდნახევარა.

— გზას დავადგეთ! — უბრძანა მან.

მაინც დასჭირდა მოცდა, ვიდრე შვიდნახევარა თავის თავს წესრიგში მოიყვანდა. მოხუცმა უქნარამ ერთი კარგად გაიწმინდა შვიდნახევარი ფეხი და მხოლოდ მერე განაცხადა, ახლა უკვე შეძიძლია გზას გავუდგეო.

დილამ მშვიდობიანად ჩაიარა.

შუადღე იქნებოდა, როცა მგზავრები ერთ ფართო, კარგად გათელილ მოედანს მიადგნენ. მინდორი ისე იყო დასერილი უცნაური კვლებით, რომ კაცი ვერ გაიგებდა, რას ევლო ზედ.

— უცნაური ადგილია! — თქვა შვიდნახევარამ. — ასე გეგონება მთელმა არმიამ გაიარა ამ მოედანზეო.

მოედნის ბოლოში ერთი დაბალი შენობა იდგა, შენობიდან რაღაც ხმამაღალი შემაძრწუნებელი ხმები მოისმოდა.

— კაცმა რომ თქვას, ცნობისმოყვარე სულ არა ვარ, — წაიბურტყუნა შვიდნახევარამ, — მაგრამ ახლა ამ ჩემ ნახევარ ფეხსაც არ დავიშურებდი, ოღონდ გამეგო, სად ვიმყოფები, ან ვინ ცხოვრობს ამ შენობაში.

კოჭლ ობობას არაფრის გაგონება არ უნდოდა. ჯიქურ მიიწევდა წინ, გვერდზეც არ იხედებოდა. დაიღალა და მერე როგორ, მთელი ღამის უძინარი იყო, სიცხისაგან თავიც ასტკივდა. ასე ეგონა, სასახლემდე ვერასდროს მიაღწევდა. თითქოსდა რაც უფრო წინ მიდიოდნენ, სასახლეს კი არ უახლოვდებოდნენ, უფრო შორდებოდნენ. ვინ იცის, გზაც აებნათ. აქამდე შორიდან მაინც უნდა გამოჩენილიყო სასახლის მაღალი კოშკები. თქმა არ უნდა, გზა აებნათ და ეგ არის. ორივე დაბერდა, სათვალეს კი არც ერთი არ ხმარობს! სათვალიანი

ობობა ჯერ არავის უნახავს, ვინ იცის, იქნებ სასახლეს გვერდზედაც კი ჩაუარეს და ვერ შეამჩნიეს.

კოჭლი ობობა მძიმე ფიქრებში იყო ჩაფლული, როცა პატარა მწვანე მუხლუხომ ისარივით ჩაუქროლა გვერდზე:

— თავს უშველეთ, თუ შეგიძლიათ! —ყვიროდა იგი.

— დავიღუპეთ,—წაიჩურჩულა თავზარდაცემულმა შვიდნახევარამ. მას ერთხელ და ორჯერ კი არ სმენია ამ უშველებელი გაუმაძღარი ქათმების ამბავი.

ყველაფერი დაივიწყა, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, შვიდ გრძელსა და წვრილ ფეხს სწრაფად ძიაბიჯებდა, დასახიჩრებულ მერვე ფეხზე კი ხტოდა.

მისი კოჭლი თანამგზავრი ასე მარდი როდი იყო, ჯერ ერთი, ისე იყო თავის ფიქრებში ჩაფლული, რომ ამ ქვეყნისა არაფერი ესმოდა. მეორეც, არასოდეს ეხახა და არც გაეგონა ქათმების ამბავი. მაგრამ როცა ერთი უცნობი, საზარელი ქათამი ნისკარტით სწვდა, არ დაიბნა, ძხნეობა მოიკრიბა, წერილებიანი ჩანთა აძხანაგს გადაუგდო და უკახასკნელად მიაძახა:

— მიუტანე!..

ვერც კი მოასწრო ეთქვა, ვისთვის მიეტანა, ქათამმა უცებ ჩასანსლა იგი.

საბრალო კოჭლი ფოსტალიონი! ის ვერასოდეს ველარ წაიღ-წამოიღებს საკნიდან საკანში წერილებს, ველარ ილაზღანდარებს პატიმრებთან ამ მთისას, იმ ბარისას. ველარ აბობღდება კოჭლობით ციხის ნესტიან ჩაშავებულ კედლებზე...

ამხანაგის დაღუპვამ იხსნა შვიდნახევარა: გაძვრა ბადეში, რომლითაც საქათმე და მისი მოედანი იყო შემოღობილი და ვიღრე ქათამი ახლა მას მოუტრიალდებოდა, უკვე სამშვიდობოს იყო. მერე კი დიდხანს ეგდო გულწასული.

სულმობრუნებულმა ველარ მოისაზრა, სად იყო. მზე უკვე

ჩაღიოდა, სჩანს იგი რამდენიმე საათი უგონოდ ეგდო მიწაზე.

ვინს რომ მოვიდა სულ რაღაც ორ ნაბიჯზე ქათმის საზარელ სახეს არ მოკრა თვალი? ქათამი ობობას შეჰყურებდა. ამაოდ ცდილობდა ნისკარტი მავთულის მჭიდრო ბადეში გაეყო.

ამ საძაგელმა ნისკარტმა მაშინვე კოჭლი ფოსტალიონის დალუპვა მოაგონა. შვიდნახევარამ ამოიოხრა—მეგობრის მწარე ხვედრით შეურვებულმა. უნდა გასცლოდა იქაურობას, დააპირა კიდეც წამოდგომა, მაგრამ იგრძნო, მერვე დამახინჯებული ფეხი რაღაც სიმძიმისაგან დაწეწკოდა. ჰო, ეს ხომ საფოსტო ჩანთამ უყო, სიკვდილის წინ კოჭლმა ობობამ რომ ესროლა.

„ჩემმა მამაცმა მეგობარმა დამიბარა, ეს წერილები ვილაცას წაულდეო, — გაიფიქრა შვიდნახევარამ, — ვის წავულო, სად, რომ არ ვიცი? მე მგონი, ისევ ის აჯობებს წერილებიან ჩანთას თხრილში გადავუძახო და ჩემს ჩასადენ მილს დავუბრუნდე. იქ არც ბელურაა სადმე და არც ქათამი. მართალია, დახუთული ჰაერია, სამაგიეროდ შიში რა არის, არ ვიცი. ეჰ, ცნობისმოყვარეობა, ვიცი, არ მომასვენებს და მოდი ამ ჩანთაში ჩავყოფ ცხვირს.

გადაიკითხა წერილები და ატირდა. ერთი და ორი ცრემლი როდი მოიწმინდა რომ კითხვა განეგრძო.

— რა დავალება ჰქონდა შესასრულებელი, ამაზე სიტყვაც არ წამოსცდენია. მე კი, აბა რა ვიცოდი, ჩემი გაუთავებელი ყბედობით შევაგვიანე გზაში. თურმე რა სასწრაფო საქმე ჰქონია! არა, არა! ახლა უკვე ყველაფერი დღესავით ნათელია ჩემთვის: ჩემი მიზეზით დაიღუპა კოჭლი ფოსტალიონი და მე მოვალე ვარ, შევასრულო უკანასკნელი სურვილი. მოვკვდები და მეგობრის სახელს კი არ შევარცხვენ.

შვიდნახევარა გზას გაუდგა, თვალიც არ მოხუჭავს, რომ დრო არ დაეკარგა. გათენების ხანს მშვიდობიანად მიაღწია კიდეც სასახლემდე. ადვილად იპოვა სხვენის გზა. სიხარულით

შემოეგება ნათესავი. შვიდნახევარამ უამბო ყველაფერი, რაც თავს გადახდა და მერე სასწრაფოდ გადასცეს წერილი ალუბლიკოს, რომელიც ჯერ ისევ სხვენში იყო ჩაკეტილი. აჯანყებაში მონაწილეობისათვის აი ასე დასაჯეს. სასახლეში მცხოვრებმა ობობამ შვიდნახევარას შესთავაზა, ეს ზაფხული ჩემთან გაატარეო. ბებერი ყბედიც სიამოვნებით დაეთანხმა — უკან დაბრუნება სულ არ უნდოდა.

თავი ოცდამეექვსე

(ამ თავში მოგითხრობთ არითმეტიკაში უვიცი ლიმონიკოს ამბავს

ერთ დილას ლიმონიკომ საკანში საჭმელი შეუტანა ჩიპოლინოს, ჯამი მიწაზე დადო, პატიმარს მკაცრად გადახედა და წაილუღლუღა:

—შენი ბებერი ცუდად არის. მძიმე ავადმყოფია.

ჩიპოლინოს უნდოდა დაწვრილებით გაეგო მამის ამბავი, მაგრამ ლიმონიკო თავს არიდებდა მასთან საუბარს, მხოლოდ ეს ამოლერღა: მოხუცი ჩიპოლონე ისე სუსტადაა, საკნიდან გამოსვლის თავიც არა აქვსო.

— იცოდე, არავისთან წამოგცდეს ჩემი ნათქვამი!— დაუმატა ლიმონიკომ. — თორემ ადგილს დავკარგავ და მერე ოჯახი რით ვარჩინო.

ჩიპოლინო დაპირდა, ხმას არ ამოვიღებო. რომც არ დაპირებოდა, მაინც არ გასცემდა ამ ხანში შესულ ლიმონიკოს, ფორმაში გამოწყობილ ოჯახის კაცს. ცხადი იყო, ლიმონიკოს უკეთესი ადგილი ვერსად ეშოვა და ბავშვები რომ ერჩინა, მედილეგედ დაეწყო მუშაობა.

იმ დღეს პატიმრებს უნდა გაესეირნათ. ტუსაღები გამოვიდნენ ეზოში და წრეში ჩადგნენ. ლიმონიკომ დასცხო დოლს:

— ერ-თი! ორი, ერ-თი, ორი! — გაიძახოდა იგი.

„ერ-თი, ორი! — იმეორებდა თავისთვის ჩიპოლინო. — ჩემი ფოსტალიონი უკვალოდ გაჰქრა, თითქოს ცამ ჩაყლაპაო. (ათი დღეა, გაემგზავრა და დაბრუნების იმედი დამეკარგა. წერილი რომ გადაეცა, აქამდე თხუნელა გამოჩნდებოდა. ერ-თი, ორი!.. მამაჩემი ავადაა, ახლა გაქცევაზე ფიქრი სისულელეა. როგორ გავიყვანო ავადმყოფი ციხიდან? როგორ ვუმკურნალო? ვინ იცის, რამდენი ხანი მოგვიხდება დამალვა ტყეში თუ ჭაობში. ლია ცის ქვეშ უწამლოდ და უექიმოდ როგორ გასძლებს... ეჰ, ჩემო ჩიპოლინო, ტყუილად ნულარ იფიქრებ თავისუფლებაზე, მრავალ წელს მოგიწევს ციხეში ყურყუტი, ვინ იცის, შენი დღე და მოსწრება ციხის კედლებს ვერ გასცდე. მოკვდები და აქვე ჩაგაგდებენ მიწაში“. — გაიფიქრა და ციხის სასაფლაოს გადახედა, გალავნის პატარა სარკმლიდან რომ მოჩანდა. გალავანი გარს ერტყა ციხის ეზოს.

იმდღევანდელმა სეირნობამ ჩვეულებრივზე უფრო ულიმლამოდ ჩაიარა. წელში მოხრილი პატიმრები ერთნაირ ზოლიან შარვლებსა და ქურთუკებში გამოხვეულნი ეზოში დაბორიალებდნენ. როგორც ჩვეულებრივ, არავინ ცდილობდა, ერთმანეთისათვის ერთი ორი სიტყვა მაინც ეთქვა.

მხოლოდ თავისუფლებაზე ფიქრობდნენ. ამ დღეს იგი კიდევ უფრო შორეული ჩანდა. წვიმიან დღეს ღრუბლებში მიმალულ მზეზე უფრო შორეული. თითქოს განგებ ცივმა წვიმამაც წამოჟინჟღლა. პატიმრებს სიცივისაგან მხრები უკანკალებდათ და მაინც სეირნობდნენ ეზოში. ციხის კანონის მიხედვით, სეირნობა ყოველნაირ ამინდში უნდა შემდგარიყო.

უცებ ჩიპოლინოს ვიღაცის ხმა შემოესმა, ჩუ, იქნებ მოეჩვენა?

— ჩიპოლინო, — გაიმეორა უფრო მკაფიოდ ვიღაცის ნაცნობმა ყრუ ხმამ. — ფეხი შეანელე მეორე შემოვლისას.

„თხუნელა, — გულში გაივლო ჩიპოლინომ და სიხარულისაგან სისხლი მოაწვა სახეზე. — თხუნელა მოვიდა, აქ არის“.

მაგრამ რა უყოს საკანში გამოკეტილ მამას?

ჩიპოლინოს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, უნდოდა მალე

მისულიყო იმ ადგილამდე თხუნელას ხმა რომ შემოესმა. სიჩქარეში წინ მიმავალ პატიმარს ფეხი დაადგა ქუსლზე.

— რას უყურებ! სწორად დადგი ფეხი! — აბურდღუნდა პატიმარი.

— ნუ ბრაზობ, — წასჩურჩულა ჩიპოლინომ. — ყვილას აცნობე, რომ ერთ თხუთმეტ წუთში ციხეში აღარ ვიქნებით.

— რას ამბობ, გასულელდი! — გაოცდა პატიმარი.

— რასაც გეუბნები ის გააკეთე. გადაეცი, ყველანი მზად იყვნენ. სეირნობის დამთავრებამდე თავისუფალი ვიქნებით.

პატიმარმა გადაწყვიტა, რაც იყოს იყოს, გადავცემ წინმყოფებს ამ ამბავსო.

ჯერ წრე შემოვლილი არა ჰქონდათ, პატიმრები უკვე წელში გამართული მტკიცედ და მხნედ მიაბიჯებდნენ. ლიმონიკომაც კი შეამჩნია ეს, უფრო მაგრად დასცხო დოლს და დაუწყო შექება:

— აი ეს კარგია! — შესძახა მან. — ასე უნდა! გულმკერდი წინ წამოსწიეთ, მუცელი არ დამანახოთ. მხრებში გაიშალეთ... ერ-თი, ორი! ერ-თი, ორი!

ეს უკვე პატიმართა სეირნობას კი არ ჰგავდა, სწორედ რომ სამხედრო ვარჯიშს მოგაგონებდათ.

ჩიპოლინომ იმ ადგილას, სადაც თხუნელას ხმა შემოესმა, ნაბიჯი შეანელა და ყური მიუგდო.

— მიწისქვეშა გზა მზად არის, — გაიგონა მიწისქვეშეთიდან თხუნელას ლაპარაკი. — ერთი ნაბიჯი მარცხნივ გადადგი და მიწაც გამოგეცლება ფეხქვეშ. ზევიდან სულ თხელი ფენაა დარჩენილი.

— კარგი, მაგრამ მოვიცადოთ მეორე შემოვლამდე, — ჩუმად უპასუხა ჩიპოლინომ.

თხუნელამ კიდევ რაღაცა თქვა, მაგრამ ჩიპოლინომ ჩაიარა და აღარ გაუგონია.

ჩიპოლინომ კვლავ დაადგა ფეხი ქუსლზე მის წინ მდგარ პატიმარს.

— შემდეგ შემოვლაზე ფეხს რომ გკრავ, მარცხნივ გადა-

დგი ნაბიჯი და ერთი შეხტი კიდეც. მხოლოდ ეცადე, მაგრად დაჰკრა ფეხი მიწას.

პატიმარს რაღაცის კითხვა უნდოდა მაგრამ სწორედ ამ დროს მედოლემ მათკენ მოიხედა.

მისი ყურადღება სხვა რამეზე უნდა გადაეტანათ. წრეს ჩამოუარა ყრუ ჩურჩულმა, მერე ერთმა პატიმარმა ხმამაღლა წამოიყვირა:

— ოი!

— რა მოხდა?—აღრიალდა ლიმონიკო და მისკენ მიბრუნდა.

— მაზოლზე ფეხი დამადგეს!—საცოდავად წამოიძახა პატიმარმა.

მაშინ როცა ლიმონიკო სულ საწინააღმდეგო მხარეს განრისხებული იცქირებოდა, ჩიპოლინო იმ ადგილს უახლოვდებოდა, სადაც თხუნელებისაგან გათხრილი მიწისქვეშა დერეფნის შესავალი იყო. წინ მიმავალს ფეხი ჰკრა. პატიმარი გახტა მარცხნივ, მერე ერთი შეხტა და გაქრა კიდეც. მიწაზე კარგა განიერი ხვრელი დარჩა, კაციც კი ჩავარდებოდა შიგ. ჩიპოლინომ წრეში მდგარ პატიმრებს ბრძანება გადასცა:

— ყოველ შემოვლაზე ერთ რომელიმეს ვკრავ ფეხს და სწორედ ის უნდა გაქრეს.

ასეც მოხდა. ყოველ შემოვლაზე ერთი რომელიმე მარცხნივ გახტებოდა და ხვრელში უკვალოდ ქრებოდა. ლიმონიკოს რომ ვერ შეემჩნია ეს, წრის საწინააღმდეგო მხარეს ყვირილს ატეხავდა ვინმე:

— ოი, ოი!

— რა მოხდა ასეთი?—ჰკითხავდა განრისხებული ლიმონიკო.

— მაზოლზე ფეხი დამადგეს!—გაისმოდა ერთი და იგივე პასუხი.

— დღეს ამის მეტი არაფერი გაგიკეთებიათ, ადგამთ და ადგამთ ერთმანეთს მაზოლზე ფეხს. წინ იყურეთ, ბრმებივით რას დააბოტებთ.

ხუთი-ექვსი შემოვლის შემდეგ შეფიქრიანებული ლიმონიკო გადახედავდა მის ირგვლივ მოსეირნე პატიმრებს.

„საოცარია, — ფიქრობდა თავისთვის. — თუგინდ დავიფიცებ, რომ ხალხი მაკლდება“.

ბოლოს გადაწყვიტა, „ეჰ, მომეჩვენა ალბათ, სად ეშმაკებში წავლენ, ჭიშკარი ჩაკეტილია, გალავანი მაღალია.“

— არა, არა, — ბურტყუნებდა ის, — ღმერთმანი ხალხი მაკლდება.

რომ დარწმუნებულიყო, ვცდებიო, პატიმრების თვლა დაიწყო, მაგრამ ისინი წრეში ჩამდგარიყვნენ და არ იქნა, ვერ დაიხსომა, ვისგან იწყებდა თვლას. ზოგი ორჯერ მიათვალა. ანგარიში არა და არ გამოდიოდა: პატიმრები დაკლების ნაცვლად, მატულობდნენ.

„ეს როგორ შეიძლება? ერთი ორად ხომ არ მრავლდებიან. რა ხათაბალაა ეს არითმეტიკა!“

თქვენ ალბათ უკვე მიხვდით, ლიმონიკო მეცნიერების ამ დარგში გვარიანად მოიკოჭლებდა. ხელახლა დაიწყო ანგარიში. პატიმრების რიცხვი ხან მცირდებოდა, ხან იზრდებოდა. ბოლოს გადაწყვიტა, რომ თავგზა არ აბნეოდა, თავი მიენებებინა თვლისათვის, და ისევ გადახედა წრეს. გადახედა და აღშფოთებულმა თვალები მოიფშვნიტა: ეს განა დასაჯერებელია? პატიმრების რიცხვმა თითქმის ორჯერ იკლო.

ზეცას მიაპყრო თვალები, იქნებ რომელიმე პატიმარი ღრუბლებს ამოეფარაო. ამის ფიქრში იყო და ამ დროს კიდევ ერთი კაცი ჩახტა მიწის ქვეშ და გაქრა.

სულ ოცდარვა პატიმარიღა დარჩა. მათ შორის იყო ჩიპოლინოც, რომელსაც მამაზე ფიქრი თავიდან არ შორდებოდა. როგორც კი რომელიმე პატიმარი მის წინ მიწისქვეშეთს შეაფარებდა თავს, ბიჭს გული უკვდებოდა: „ოჰ, ეს რომ მამაჩემი იყოს.“

მოხუცი ჩიპოლონე თავის საკახში იყო გამოკეტილი. მის გათავისუფლებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

ბოლოს და ბოლოს ჩიპოლინომ გადაწყვიტა, ხელს შე-

ვუწყობ ყველა პატიმარს გაქცევაში, მე კი მამასთან ერთად დავრჩები ციხეში. მართლაც, რად უნდა თავისუფლება, თუ კი გვერდით მამა არ ეყოლება?

დარჩა მხოლოდ თხუთმეტი პატიმარი... ეი უკვე ათი, ცხრა, რვა, შვიდი...

განცვიფრებული ლიმონიკო თავისდაუნებურად უბრაგუნებდა და უბრაგუნებდა დოლზე.

„რომელმა ეშმაკმა მოიცალა ჩემთვის! — ფიქრობდა აღშფოთებული. — თითო შემოელაზე თითო კაცი მაკლდება. ბითხარით, ხალხნო, რა ექნა? სეირნობის ბოლომდე კიდევ შვიდი წუთი დარჩა, — კანონი კანონია. რა მეშველება სეირნობის დამთავრებამდე რომ ყველა გაქრეს... ნეტავი სულ რამდენია? ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... რა ბევრი გავაგრძელო, ხუთი კაცი დარჩა და ეგ არის“...

ჩიპოლინოს გული ტკიოდა, შეეცადა თხუნელასათვის ხმა მიეწვდინა, მაგრამ პასუხი არსაიდან იყო. უნდოდა თავისი გულითადი მეგობრისათვის ეთქვა, რა გაჭირვება ადგა თავს და რატომ ვერ მიდიოდა.

ბოლოს გულმოსულმა ლიმონიკომ გადაწყვიტა, ამ ჯადოსნობისათვის ბოლო მოელო. სწორედ მისი ბრალია, თვალსა და ხელშუა რომ გაუქრა ამდენი პატიმარი.

— სდექ, ფეხი არ მოიცვალო! — დაიღრიალა მან.

ჩიპოლინო და ოთხიოდე პატიმარი შეჩერდნენ და ერთმანეთს გადახედეს.

— ახლავე გაიქეცით, — დაიყვირა ჩიპოლინომ, — ვიდრე ლიმონიკო აურზაურს ატეხდეს.

პატიმრებს მეორეჯერ არ დასჭირვებიათ თხოვნა, ერთიმეორის მიყოლებით ჩახტნენ ხვრელში და გაუჩინარდნენ. ჩიპოლინომ სევდიანი თვალი გააყოლა მათ, მაგრამ უცბად იგრძნო, ვილაცამ ფეხებში წააფლო ხელი. მეგობრები მიუხვდნენ, რომ ჩიპოლინომ ციხეში დარჩენა გადაწყვიტა და მაშინვე მიწისქვეშა გალერიაში ჩაათრიეს ძალით.

— სისულელეს თავი დაანებე, — უთხრეს. — პატიმარი

უფრო ადვილად დაეხმარები მამაშენს თუ თავისუფალი. გავიქცეთ, თავს ვუშველოთ, მანამ კიდევ დროა.

— ნურც მე დამტოვებთ! — უკვე შემოესმათ ლიმონიკოს ყვირილი. ბოლოს და ბოლოს ისიც მოვიდა გონს. — მეც წამიყვანეთ თან. არ მიმატოვოთ აქ თორემ, პატიმრები რატომ გაგექცაო, პრინცი ყულფში გამაყოფინებს თავს.

— კარგით ისეც წავიყვანოთ, — დაეთანხმა ჩიპოლინო. — ამ ლიმონიკოს მადლიერი უნდა ვიყოთ, ასე ადვილად რომ მოვახერხეთ გაქცევა.

— იჩქარეთ, იჩქარეთ, — შემოესმა უკნიდან ვილაცის ყრუ ხმა. — აქ აუტანელი სინათლეა. სულაც არ მინდა ბზემ დამსიცხოს და მოვკვდე ან დავბრმავდე.

— ჩემო კეთილო, მოხუცო თხუნელა, — მიმართა ჩიპოლინომ. — შენ თვითონ იფიქრე, როგორ უნდა გავიქცე, როცა ავადმყოფი მამა საკანშია ჩაკეტილი. — თხუნელამ კეფა მოიქექა.

— მე ვიცი სადაცაა მისი საკანი, — უპასუხა თხუნელამ. — შენ რომ ციხის გეგმა გამომიგზავნე, კარგად შევისწავლე. გვაქვს კი ამის დრო? ადრევე რატომ არ გამაფრთხილე.

მოწოდების ძახილი გაისმა და იქვე გაჩხდა ასიოდე თხუნელა.

— მეგობრებო, აი ციხის იმ კუთხემდე კიდევ ერთი დერეფანი უნდა გავიყვანოთ. — მიმართა მოხუცმა თხუნელამ. — გავიყვანოთ, ხომ?

— რად უნდა ამას კითხვა. თხუთმეტ წუთში ყველაფერს მოვილევთ.

თხუნელები არ დაფიქრებულან, მაშინვე მუშაობას შეუდგნენ, რაღდენიმე წუთში მიადგნენ კიდევ ერთ ვიწრო საკანს, რომელშიც მოხუცი ჩიპოლონე იჯდა. პირველად ჩიპოლინო შევიდა საკანში. მამამისი საწოლზე იწვა და ბოდავდა.

ჩაიყვანეს თუ არა მოხუცი ჩიპოლონე მიწისქვეშა გალერეაში, საკანში შემოცვივდნენ ლიმონიკოები. აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ვერ გაეგოთ, სად უნდა გამქრალიყვნენ პატიმრები.

ბოლოს და ბოლოს მედილეგეები ყველაფერს მიხვდნენ. იცოდნენ, პრინცი ლიმოხო როგორ დასჯიდა მათ. შეშინებულებმა დაყარეს იარაღი და თხუნელას გათხრილ დერეფანს მიაყუდნენ.

ლიმონიკოები ჯერ მინდორში გავიდნენ, მერე გლეხების სახლებს შეაფარეს თავი, გაიხადეს ლიმონიკოს ფორმები და საბუძვო ტანსაცმელი გადაიცვეს.

თურმე ქუდზე დამაგრებული ზანზალაკებიც სადღაც გა-

დაუყრიათ. მოდით შევაგროვოთ ეს ზანზალაკები და ბავშვებს დავურიგოთ, რამდენიც უნდათ აწკარუნონ.

სად წავიდა ჩიპოლინო? რა დაემართა მას?

მოხუც თხუნელასა და ჩიპოლინოს ეგონათ, ციხიდან გამოქცეულებს ლიმონიკოები დაგვედევნენო და თავიანთვის სხვა გზა გაითხარეს. ამიტომ ვერ დაეწივნენ ლიმონიკოები მათ.

სად არიან ახლა ისინი?

ნუ აჩქარდებით, ყველაფერს გაიგებთ.

თავი ოცდამეშვიდე

დაბრკოლებების გადალახვა



პრინცმა დიდი ზეიმი გამართა.

— ჩემი ხელქვეითებისათვის გართობა წამალია, — გადაწყვიტა მან, — მაშინ ველარ იფიქრებენ თავიანთ ჭირ-ვარამზე.

პრინცმა გამართა დოღი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ყველა კარის კაცი—პირველი, მეორე და მესამე კლასის ლიმონი. რაღა თქმა უნდა, არა როგორც ცხენები, არამედ როგორც მხედრები.

ეს ჩვეულებრივი შეჯიბრება არ გეგონოთ. ცხენებს უნდა გაეწიათ მუხრუჭებიანი ეტლები.

თვით პრინცმა დაათვალიერა მუხრუჭები შეჯიბრების დაწყებამდე, რომ დარწმუნებულიყო მის ვარგისიანობაში.

მუხრუჭები მართლა ისე ამუხრუჭებდნენ თვლებს, რომ ბორბლები ველარ ბრუნავდნენ, ცხენებს ასმაგად უჭირდათ ეტლის ადგილიდან დაძვრა.

აჰა, პრინცმა ანიშნა კიდეც. ცხენებმა ფლოქვები მიწას დასცხეს, კუნთები დაძაბეს, პირიდან დორბლი ჩამოუვიდათ, მაგრამ ეტლი მაინც ვერ დასძრეს ადგილიდან. მაშინ მხედარ-

მა ლიმონებმა გრძელი შოლტები დაატრიალეს, ამან უშველა საქმეს, ეტლებმა რამდენიმე სანტიმეტრით წინ წაიწიეს. გახარებულმა პრინცმა ლიმონომ ტაში შემოჰკრა, გამოვიდა მოედანზე, ცხენებს შოლტი ვადაუჭირა და გადაუჭირა, ეტყობა, ეს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მას.

— კეთილ ინებეთ, თქვენო კეთილშობილებავ და ჩვენს ცხენებსაც ვადაჰკარით მათრახი,—ყვიროდნენ ლიმონები, რომ ბატონისათვის ესიამოვნებინათ.

ლიმონოც მთელი ძალით უტყლაშუნებდა მათრახს. არც ეტლზე შემდგარი მხედრები აკლებდნენ ცხენებს ამ სიკეთეს. ყოველი დარტყმის შემდეგ ცხენებს ზურგზე თეთრი გრძელი ზოლები აჩნდებოდათ. პრინცი სულაც არ გრძნობდა უხერხულობას, თავიც კი მოსწონდა, რომ ასეთი გასართობი მოიგონა.

— თუკი ხელს არაფერი შეუშლის, რომელ ცხენს გაუჭირდება გაქცევა,—თქვა მან.—საქმე ისაა, მაშინ გაიქცე, როცა გიჭერენ. აი სწორედ ამის ნახვა მინდა მე.

ასეთი ტკივილებითა და ამდენი ძაბვით გაოგნებულ საცოდავ ცხენებს მუხლი ეკვეთებოდათ.

აღშფოთდნენ მაყურებლები, მაგრამ იძულებული იყვნენ მორჩილად მჯდარიყვნენ და ეყურებინათ ამ ველური შეჯიბრებისთვის, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, წამებისთვის, რაკი პრინცმა ლიმონომ ხალხის გართობა ინება, უნდა გართობილიყვნენ კიდეც ძალით.

პრინცი ლიმონო უცებ ადგილზევე გაქვავდა, შემართული შოლტი ხელში გაუშეშდა, თვალები გადმოეკარკლა, მუხლები აუკანკალდა, სახე კიდევ მეტად ჩაუყვითლდა, ყვითელი ქუდის ქვეშ თმები ყალყზე დაუდგა, ოქროსფერი ზანზალაკი ჯერ შეტოკდა და მერე სასოწარმკვეთად აჟღარუნდა.

პრინცმა საკუთარი თვალით ნახა, როგორ გაუსკდა ფეხქვეშ მიწა. დიახ, მიწა გაუსკდა.

მიწაზე ჯერ ერთ ადგილას გაჩნდა ნაპრალი, მერე მეორე

ადგილზე. მერე მოედანზე პატარა-გორაკი წამოიზარდა, სწორედ ისეთი, თხუნელები რომ სტოვებენ მინდვრად. უცებ გორაკის მწვერვალზე ხვრელი გაჩნდა. ეს ხვრელი გაფართოვდა, გაფართოვდა და იქიდან ვიღაცამ ჯერ თავი ამოყო, მერე მხრები და ბოლოს რაღაცა ცოცხალი არსება ცქვიტად ამოხ-

ტა ზევით, თან ნიდაყვებს და მუხლებს იშველიებდა. ეს გახლდათ ჩიპოლინო.

სოროდან შეშფოთებული თხუნელას ხმა მოისმა:

— უკან დაბრუნდი, ჩიპოლინო, გზა აგვერია! გესმის, უკან დაბრუნდი-მეთქი.

ჩიპოლინოს აღარაფერი ესმოდა. პირდაპირ მის წინ გაფითრებული, გაოფლილი, შოლტაღმართული პრინცი იდგა გაქვავებულივით. ჩიპოლინო ისე იყო აღშფოთებული, რომ სულ კახკალებდა.

იგი დაუფიქრებლად ეცა მთავარს, ხელიდან შოლტი გამოგლიჯა, ვიდრე ლიმონო გონს მოვიდოდა, შოლტი ჰაერში გაიქნია, თითქოს ცდისო, და მერე კი ერთი მაგრად გადაკრა ზურგზე. გაოგნებულმა პრინცმა თავის არიდებაც ვერ მოახერხა.

— ოი-ოი! — დაიღრიალა მან.

ჩიპოლინომ უფრო მაგრად გადაუჭირა მათრახი.

ახლა კი იკადრა ლიმონომ მობრუნება და მოკურცხვლა.

ეს ნიშანი გახლდათ. მიწის ქვეშიდან ჩიპოლინოს სხვა გაქცეული პატიმრები მიჰყვნენ. ხალხი მხიარული შეძახილებით მიეგება მათ. მამები შვილებს შეხვდნენ, ცოლები — ქმრებს.

თვალის დახამხამებაში პოლიციელების რკალი გაირღვა, ხალხის ტალღა მოედანს მოედო და ხელში აიტაცა გათავისუფლებული ტყვეები.

მდევარი კარისკაცები თავიანთი ეტლებით გაქცევას ცდილობდნენ, მაგრამ ბორბლები ვერ დასძრეს ადგილიდან, თუმცა მათრახს უტყლაშუნებდნენ და უტყლაშუნებდნენ ცხენებს. ჰოდა, კარისკაცები დაიჭირეს და ხელ-ფეხი შეუკოჭეს.

პრინცმა მაინც მოასწრო კარეტაში შეხტომა. ეს კარეტა მონაწილეობას არ იღებდა ჯირითში და დაუმუხრუჭებელიც იყო. პრინცმა დროზე უშვა თავს. მაგრამ თავის სასახლეს კი არ შეაფარა თავი, მინდვრისაკენ მოკურცხლა, თან ცხენებს

გაცოფებული შეძახილებით ამხნევებდა. თვინიერმა ცხენებმა მოქუსლეს და მერე როგორ. ბოლოს და ბოლოს კარეტა გადატრიალდა და მთავარიც პირდაპირ თავით ჩაერჭო ფხვიერ ჩონჩორიკში. ამ ჩონჩორიკით მინდვრები უნდა გაენოყიერებიათ. „აი სწორედ აქ არის შენი ადგილი!“—იტყოდა ალბათ ჩიპოლინო, რომ დაეხახა.

თავი ოცდამერვე

სინიორ პომიდორმა ამინდზეც გადასახადი დააწესა

ქალაქში რომ ეს ამბები ხდებოდა, გრაფინია ალუბლების სასახლის დარბაზში, რომელიც დროდადრო სასამართლო დარბაზის მოვალეობასაც ასრულებდა, სინიორ პომიდორმა სოფლის მცხოვრებლებს თავი მოუყარა, უნდოდა, სერიოზული გადაწყვეტილება ეუწყებინა.

სასამართლოს თავმჯდომარე, რასაკვირველია, ისევე პომიდორი იყო, ადვოკატი გახლდათ სინიორ მუხუდო, ხოლო მდივანი—სინიორ ოხრახუშა. ოხრახუშა მარცხენა ხელით ოქმში იწერდა ორივე მხარეთა სიტყვებს და სასამართლოს გადაწყვეტილებას, მარჯვენა ხელში კი თავისი უჯრედებიანი ცხვირსახოცი ეჭირა და თითქმის წამდაუწუმ ცხვირს იწმენდდა.

ხალხი ტყუილად როდი ღელავდა, კარგად იცოდნენ, სასამართლო ტრიბუნალის ყოველი სხდომა, მათ მხოლოდ უსიამოვნებას უქადდა.

ტრიბუნალის წინა სხდომამ დაადგინა, რომ არა მარტო მიწა შეადგენს გრაფინია ალუბლების საკუთრებას, სოფლის ჰაერიც მათია. მაშ ვინც კი სუნთქავს ჰაერით, ყველამ უნდა გადაიხადოს იჯარა. ყოველ თვეში ერთხელ ჩამოივლიდა კავალერი პომიდორი სოფლის სახლებს და აიძულებდა გლეხებს ღრმად ესუნთქათ. თან რიგრიგობით უზომავდა ჩასუნთქვა-

ამოსუნთქვის დროს მკერდის სიდიდეს. მერე გამოიანგარიშებდა და ბოლოს და ბოლოს დაადგენდა, თითოეულ მოქალაქეს რა თანხა უნდა გადაეხადა. ნათლიმამა გოგრას, თუ გახსოვთ, ოხვრა კარგად ეხერხებოდა და გადასახადსაც ყველაზე მეტს იხდიდა. ნეტავი სასახლის მფლობელნი ახლა რაღას მოითხოვდნენ სოფლის მცხოვრებლებისაგან?

კავალერმა პომიდორმა პირველმა ითხოვა სიტყვა და, აჰა, სრულ სიჩუმეში გაისმა მისი ხმა:

— ამ უკანასკნელ ხანებში სასახლის შემოსავალი მნიშვნელოვნად შემცირდა. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი საწყალი გრაფინიები, ორივე ქვრივია და ობოლი, ცხოვრობენ მხოლოდ საკუთარი მიწების შემოსავლით. საკუთარ თავს ვინ დაეძებს, იძულებულნი არიან, შიმშილით რომ არ დაიხოცნონ, არჩინონ თავიანთი ნათესავებიც—ჰერცოგი მანდარინი და ბარონი ფორთოხალი...

ხელოსანმა ყურძენამ მალულად გადახედა ბარონს, ბარონი კუთხეში მიმჯდარიყო, მოკრძალებით დაეხარა თვალები და შემწვარი კურდღლითა და ბელურების გარნირით იკლავდა შიმშილს.

— რას აცეცებ აქეთ-იქით მაგ თვალებს!—მკაცრად უყვირა სინიორ პომიდორმა:—თავების ცანცარს თუ მოჰყვებით, ვბრძანებ, ახლავე დასცალონ სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველო

ხელოსანმა ყურძენამ მზერა მაშინვე თავისი ფეხსაცმლის წვერებზე გადაიტანა.

— კეთილშობილმა გრაფინიებმა, ჩვენმა პატივცემულმა დიასახლისებმა, როგორც წესია, სასამართლოს ღერბიან ქაღალდზე დაწერილი თხოვნა წარუდგინეს, რომ ერთ-ერთი თავიანთი ხელშეუვალი უფლების აღიარება მოიპოვონ. ადვოკატო, წაიკითხეთ ეს საბუთი!

სინიორ მუხუდო ფეხზე წამოდგა, ჩაახველა, ჰაერი ღრმად შეისუნთქა და ნელა, დამაჯერებლად დაიწყო კითხვა:

— „ქვემორე ხელისმომწერნი, გრაფინია უფროსი და გრაფინია უმცროსი, ალუბლების საპატიო გვარის შთამომავალნი, ამტკიცებენ, რომ თავისი მამულის ჰაერის მფლობელნი აღიარებულ უნდა იქნან იმ ნალექების მფლობელებადაც, რაც მთელი ერთი წლის განმავლობაში მოდის. ამიტომ სასამართლოს თხოვენ დაამტკიცოს, რომ სოფლის ყოველი მცხოვრები ვალდებულია, იჯარა გადაიხადოს ასი ლირის რაოდენობით ჟუჟუნა წვიმაზე, ორასი ლირი ჭექა-ქუხილიან კოკისპირულ წვიმაზე, სამასი ლირი თოვლზე და ოთხასი ლირი სეტყვაზე“. ხელს აწერენ: „გრაფინია ალუბალი უფროსი და გრაფინია ალუბალი უმცროსი“.

სინიორ მუხუდო დაჯდა.

თავმჯდომარემ იკითხა:

— თქვენ თქვით, თხოვნა ღერბიან ქაღალდზეა დაწერილი, არა?

— დიახ, სინიორ თავმჯდომარეე,—უპასუხა სინიორ მუხუდომ და კვლავ ფეხზე წამოიჭრა,—ღერბიან ქაღალდზეა დაწერილი.

— ორივე გრაფინიების ხელმოწერის ჭეშმარიტება დადგენილია?

— დიახ, დადგენილია.

— ძალიან კარგი,—განაცხადა სინიორ პომიდორმა.—თუ თხოვნა მართლაც ღერბიან ქაღალდზეა დაწერილი და ხელ-

მოწერაც გრაფინიებს ეკუთვნით, მაშინ ყველაფერი ნათელია, სასამართლო გავა სათათბიროდ.

კავალერი ფეხზე წამოდგა, გაეხვია თავის შავ მოსასხამში, რომელიც დროდადრო მხრიდან ჩამოუცურდებოდა ხოლმე, და მეზობელ ოთახში შევიდა გადაწყვეტილების გამოსატანად.

მევიოლინე მსხალამ მუჯლუგუნი წაჰკრა თავის მეზობელ პრასას და წასჩურჩულა:

— როგორა გგონია, სამართლიანია სეტყვაზე გადასახადს რომ გვაწერენ? მესმის კიდევ გადასახადი წვიმაზე და თოვლზე, რომლებსაც სარგებლობა მაინც მოაქვთ ნათესებისთვის. სეტყვა ხომ ისედაც უბედურებაა და ყველაზე დიდ გადასახადს კი მასზე მოითხოვენ.

პრასამ არაფერი უპასუხა. ჩაფიქრებული გრძელ ულვაშებზე ისვამდა ხელს.

ხელოსანი ყურძენა დაბნეული იფათურებდა ჯიბეებში ხელებს, კეფის მოსაფხანად სადგისს ეძებდა. მერე გაახსენდა, სხდომათა დარბაზში შესვლისას სოფლის მცხოვრებლებს გარეთ ატოვებინებდნენ ცივ და ცეცხლსასროლ იარაღს. ცეცხლსასროლი იარაღი არავის არ აღმოაჩნდა. სადგისი კი ცივ იარაღად მიიჩნიეს და ჩამოართვეს.

სასამართლოს განაჩენის მოლოდინში სინიორ ოხრახუშა თვალს არ აშორებდა დამსწრეებს და თან თავის წიგნაკში იწერდა:

„მსხალა ჩურჩულებდა. პრასა ულვაშებზე ისვამდა ხელს. ნათლიდედა გოგრიკო ცმუტავდა. ნათლიმამა გოგრამ კი ორჯერ ღრმად ამოიოხრა“.

სწორედ ასევე წერს დაფაზე თავისი ამხანაგების სახელებს მოწაფე, რომელსაც მასწავლებელმა დაავალა, კლასს თვალყური ადევნეო, სანამ თვითონ დერეფანში ვინმეს ესაუბრება.

„სანიმუშოებში“ სინიორ ოხრახუშამ ჩაწერა:

„ჰერცოგი მ. საუკეთესოდ იქცევა. ბარონ ფ. ძალიან კარ-

გად უჭირავს თავი, ადგილიდან არ იძვრის, იცავს სიწყნარეს და ჭამს ოცდამეთოთხმეტე ბელურას.

„ეჰ,—ფიქრობდა ხელოსანი ყურძენა და კეფას სადგისის მაგიერ ფრჩხილებით იქექავდა,—ჩვენი ჩიპოლინო აქ რომ იყოს, ასეთი სისაძაგლეც არ მოხდებოდა! რაც ის ბიჭი ციხეში ჩაგდეს, ჩვენ მონებივით გვეჭცევიან. ვერც კი გავნძრეულვართ, სინიორ ოხრახუშა მაშინვე იმ წყეულ წიგნაკში ჩაგვწერს.“

ვისაც კი სინიორ ოხრახუშა „დამნაშავეთა“ სიაში შეიტანდა, ჯარიმა უნდა გადაეხადა. ხელოსანი ყურძენა თითქმის ყოველდღე იხდიდა ჯარიმას, ზოგჯერ დღეში ორჯერაც. ბოლოს, სასამართლო ანუ სინიორ პომიდორი დაბრუნდა სხდომათა დარბაზში.

— ადექით! — ბრძანა სინიორ ოხრახუშამ, თვითონ არც კი განძრეულა.

— სმენა იყოს და გაგონება! ახლა მე გამოვაცხადებ სასამართლოს გადაწყვეტილებას, — თქვა კავალერმა. — „მოისმინა რა გრაფინია ალუბლების თხოვნა, სასამართლომ დაადგინა: მიჩნეულ იქნას, რომ ზემოხსენებულ გრაფინიებს უფლება აქვთ გადაახდევინონ სოფლის მცხოვრებლებს საიჯარო გადასახადი წვიმაზე, თოვლზე, სეტყვაზე, აგრეთვე ყოველგვარ ამინდზე და უამინდობაზე. ამიტომ სასამართლო ადგენს: სოფლის ყოველი მცხოვრები, რომელიც ალუბლების საკუთრებას შეადგენს, ვალდებული არის შეიტანოს ამინდის გადასახადი, მხოლოდ გრაფინიების მიერ დაწესებულ თანხაზე ორჯერ მეტი.

დარბაზში აბუზღუნდნენ.

— ჩუმად! — იყვირა კავალერმა პომიდორმა. — თორემ ვუბრძანებ, ახლავე დაგაცლევინონ შენობა. მისმინეთ, ჯერ არ დამთავრებია: „სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოხსენებული მოქალაქენი ვალდებულნი არიან აგრეთვე გადაიხადონ საიჯარო გადასახადი ცვარზე, თრთვილზე, ნისლზე და სინესტის სხვა სახეობებზე. დადგენილება ძალაში შედის დღეიდან“.

შეშინებულებმა ფანჯარაში გაიხედეს, ეგონათ, მოკრიალებულ ცას დაინახავდნენ, მაგრამ შავი, ჭექა-ქუხილის მაუწ-

ყებელი ღრუბელი წინ მოიწევდა. ფანჯრის მინაზე სეტყვის კაკუნიც გაისმა.

„ვაი ჩემი ბრალი! — გულში გაივლო ხელოსანმა ყურძენამ და კეფა მოიფხანა. — ადექი და გადაიხადე რვაასი ლირა. ოჰ, ეს წყეული ღრუბლები“.

სინიორ პომიდორმა ფანჯარაში გაიხედა და ისედაც ლაჟლაჟა, ფართო სახე სიხარულისაგან გაებადრა.

— თქვენო უმაღლესობავ, — მიმართა მას სინიორ მუხუდომ, — მოგილოცავთ! ბედი გწყალობთ: ვერცხლისწყალი ბარომეტრში ძირს ეცემა, ღვართქაფი იქნება.

ადვოკატს ყველამ ზიზღით გადახედა. სინიორ ოხრახუშამ სწრაფად გადაავლო თვალი დამსწრეებს და წიგნაკში სასწრაფოდ შეიტანა ისინი, ვის თვალებშიც საყვედური ამოიკითხა.

და როცა მართლა ატყდა ჭექა-ქუხილი, ელვა გაიკლაკნა, წვიმამ და სეტყვამ წამოუშინა, გახარებულმა სინიორ მუხუდომ თვალი ჩაუკრა პომიდორს, ხელოსანი ყურძენა კი გაცოფებული ძლივსღა სუნთქავდა და კვლავ დაჟინებით ჩასცეცებოდა თავის წაღებს, ღმერთი არ გაუწყრეთ, ხელახლა არ დამაჯარიმონო.

სოფლის მცხოვრებლები კოკისპირულ წვიმას ისე გაჰყურებდნენ ფანჯრიდან, როგორც ნამდვილ უბედურებას. ჭექა-ქუხილი ზარბაზნის გრუხუნზე უფრო საშინლად ეჩვენებოდათ, ელვა კი პირდაპირ გულში ისრებივით ესობოდათ.

სინიორ ოხრახუშამ მელნის ფანქარი ნერწყვით დაასველა და გაფაციცებით დაიწყო გამოანგარიშება, ღვთის წყალობით რამდენს მოიგებდენ სასახლის მფლობელები. კარგა გვარიანი თანხა გამოვიდა, ჯარიმებმა ხომ კიდევ უფრო გაადიდა მოგება.

ნათლიდედა გოგრიკომ ცრემლები გადმოყარა, პრასას ცოლმაც მას მიბაძა, ქმარს მხარზე ჩამოადო თავი და მისი გრძელი ულვაშებით იწმენდდა თვალებს.

კავალერი პომიდორი საშინლად განრისხდა, ფეხები დაბაკუნა და ყველანი დარბაზიდან გარეკა.

გლეხები ამ სეტყვასა და თავსხმაში სოფლისაკენ მიმავალ

გზას გაუყვნენ. ისინი სულაც არ ჩქარობდნენ, სეტყვა სახეში სცემდა, წვიმა ტანსაცმელში ატანდა, მაგრამ თითქოს ვერც კი გრძნობდნენ. როცა კაცს დიდი დარდი აქვს, წვრილ-წვრილ უსიამოვნებებს ველარც კი ამჩნევს.

სოფელში რომ შესულიყვნენ, რკინიგზა უნდა გადაეკვეთათ. გლეხები შეჩერდნენ დაკეტილ შლაგბაუმთან. წუთი და მატარებელიც ჩაივლიდა. დადექი შლაგბაუმთან და უცქირე მატარებელს, ამაზე კარგი რაღაა. აგერ ქოშინით გიახლოვდება კვამლში გახვეული უშველებელი შავი ორთქლმავალი. ჯიხურიდან მემანქანე მოჩანს. ვაგონების ფანჯრებიდან იყურებიან მგზავრები — ბაზრობიდან ბრუნდებიან მოსასხამებში გახვეული გლეხები, მათი ცოლები, ბავშვები.

აგერ შავ თავშლიანი გლეხი ქალი. ბოლო ვაგონში კი...

— წმინდაო, ზეცავ! — წამოიძახა ნათლიდედა გოგრიკომ,— შეხედეთ ბოლო ვაგონს.

— მგონი... — გაუბედავად თქვა ნათლიმამა გოგრამ, — მგონი იმ ვაგონში დათვები სხედან...

მართლაც, ფანჯარას სამი დათვი მოდგომოდა და მიდამოს ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ.

— არნახული ამბავია! — გააზვიადა პრასამ.

გაოცებულს ულვაშები აებუძგა.

უცებ ამ სამიდან ერთმა დათვმა თავი და თათი დაუქნია მათ, თითქოსდა სალამს უძღვნის შლაგბაუმთან მდგარ ამ გაწუწულ ხალხსო.

— რას იკრიჭება.— წაიბურტყუნა ხელოსანმა ყურძენამ. — აი შენ რა გითხარი, დათვო, შენც აბუჩად გვიგდებ, არა?

დათვი კვლავ იქნევდა თავს. როცა მატარებელმა ჩაიარა, ფანჯარაში გადმოეყუდა და ისე ძლიერად დაიქნია თათი, რომ კინალამ ძირს გაადინა ბრაგვანი. კიდევ კარგი, იმ ორმა დათვმა დროზე სტაცა ხელი და უკან ჩაათრია.

ჩვენი მეგობრები სწორედ მაშინ მოვიდნენ სადგურში, როცა მატარებელი გაჩერდა. დათუნიები ნელ-ნელა გადმო-

ბობღდნენ ვაგონიდან, სამიდან ყველაზე ხნიერმა კონტროლიორს ¡ ბილეთები წარუდგინა.

— ესენი ცირკის აკრობატი დათვები უნდა იყვნენ. —თქვა ხელოსანმა ყურძენამ. – წარმოდგენებს გამართავენ. უკან ალბათ ხის სალამურიანი მოხუცი მომთვინიერებელიც მოჰყვებათ.

მომთვინიერებელიც მალე გამოჩნდა, მაგრამ მოხუცი კი არ გახლდათ, მწვანე ბერეტიანი ბიჭუნა იყო. ლურჯ შარვალზე მუხლთან ჭრელი საკერებელი ედო. სოფლის მცხოვრებლებმა მაშინვე იცნეს ბიჭის ცოცხალი, მხიარული სახე.

—ჩიპოლინო!—იყვირა უცებ ყურძენამ და მისკენ გაქანდა.

დიახ! ეს ჩიპოლინო გახლდათ, სოფელში დაბრუნების წინ, მან ზოოლოგიურ ბაღში შეირბინა და დათვები გაათავისუფლა. დარაჯს ისე მაგრად ეძინა, რომ დათვები კი არა, სპილო რომ დათანხმებულიყო, ჩიპოლინო იმასაც გამოაპარებდა ზოოლოგიურ ბაღიდან.

მოხუცმა სპილომ არ დაიჯერა, რომ თავისუფლება ელირსებოდა და ისევ გალიაში დარჩა მოგონებების დასაწერად...

ხვევნა-კოცნას, გამოკითხვებსა და ამბების მრყოლას ბოლო არ უჩანდა! წარმოიდგინეთ, ყველაფერი ეს კოკისპირულ

წვიმაში ხდებოდა. როცა გახარებული ხარ ვერც კი ამჩნევ წვრილმან უსიამოვნებებს, გაცივებასაც არ ერიდები.

მეგიოლინე ბსხალას ახალგაზრდა დათვისთვის ჩაევლო ხელი თათში და არ უშვებდა.

— გახსოვთ, ერთხელ მე ვიოლინოს ვუკრავდი და თქვენ კი ბუქნავდით და ბუქნავდით? — შეეკითხა მსხალა და მხიარულად ჩაუკრა თვალი.

დათვს მშვენივრად ახსოვდა ეს ამბავი და ახლა მუსიკისთვის არ დაუცდია, ცეკვა დაიწყო. გამხიარულებულმა ბავშვებმა ტაში ააყოლეს.

რა თქმა უნდა, ალუბლიკოსთან კაცი აფრინეს, ჩიპოლინო დაგვიბრუხდაო. წარმოიდგინეთ, რა მხურვალედ გადაეხვივნენ მეგობრები ერთმანეთს შეხვედრისას!

— აბა, ახლა კი საქმეზე ვილაპარაკოთ, — თქვა ჩიპოლინომ. — ჩემი ჩანაფიქრი უნდა გაგაცნოთ.

მანამ ჩიპოლინო მეგობრებს თავის ჩანაფიქრს უყვება, მოდით წავიდეთ და გავიგოთ, რა დღეშია პრინცი ლიმონი.

თავი ოცდამეცხრე

ჭიქა-ქუხილს ბოლო არ უჩანს

პრინცი ლიმონო თავის დედაქალაქზე უფრო საიმედო ადგილას მოხვდა და სულ არ ჩქარობდა ნეხვიდან ამოძრომას. „აქ სიმყუდროვე, სიმშვიდე და სითბოა, — ფიქრობდა იგი და თან აპურჭყებდა, — რა მეჩქარება, ფეხს არ მოვიცვლი აქედან, სანამ ჩემი დარაჯები ქალაქში წესრიგს არ დაამყარებენ“.

ამ ქედმაღალმა, მკაცრმა, მაგრამ მშიშარა პრინცმა არც კი იცოდა, რომ მისი მცველები ხალხის მხარეზე გადავიდნენ, კარისკაცებს ციხეში ამოაყოფინეს თავი და მისი ქვეყანა თავისუფალ რესპუბლიკად გამოცხადდა.

წვიმამ ნეხვშიაც ჩააღწია. მბრძანებელს მეტი რა გზა ჰქონდა, გადაწყვეტილება უნდა შეეცვალა.

„სისველე მაწუხებს, მშრალი ადგილი უნდა მოვძებნო“.

შეტრიალ-შემოტრიალდა, ფეხები აასავსავა და ბოლოს და ბოლოს ამოძვრა ნეხვიდან.

და რას ხედავს, გრაფინიების სასახლიდან სულ ორი ნაბიჯით ყოფილა დაშორებული!

„რა ჭკუა უნდა მომკითხოს მე კაცმა! — გაიფიქრა და თვალებზე მიკრული სიბინძურე მოიშორა. — გავითხლაშე ამ ნეხვში და თავში აზრადაც არ მომსვლია, რომ აქედან ერთი ხელის გაშ-

ლაზე გრაფინიების სასახლეა. მერე რა სითბო და სიმყუდროვეა იქ.“

პრინცი ჭიშკრისაკენ გაეშურა, უცებ ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმა, თივის ზვინს ამოეფარა, ვილაცეების მხიარულმა ჯგუფმა გვერდზე ჩაუარა (თქვენ იცით, ვინც იყვნენ ისინი!). პრინცმა კიბეები აიარა და ზარს დააჭირა ხელი. კარი მარწყვამ გაუღო:

— ბოდიში, ბატონო, ჩვენი გრაფინიები მათხოვრებს მოწყალებას არ აძლევენ. — თქვა და ცხვირწინ მიუჯახუნა კარი.

პრინცმა კარს მუშტები დაუშინა:

— ახლავე გააღე! მე რა მათხოვარი ვარ! მე მბრძანებელი გახლავართ, პრინცი ლიმონო, გესმის?

მარწყვამ კვლავ კარი გამოაღო და თანაგრძნობით შეხედა პრინცს.

— საცოდავო, — ამოიოხრა, — ეტყობა, ამდენმა გაჭირვებამ ჭკუაზე შეგშალა.

— რომელ გაჭირვებაზე ლაპარაკობ? მე მდიდარი კაცი ვარ, ძალიან მდიდარი.

— კაცმა რომ შეგხედოს, ამას არაფრით არ იტყვის! — უპასუხა მარწყვამ და თავი გადააქნია.

— სალაპარაკო არაფერია! წადი, გრაფინიებს მოახსენე, ესა და ეს კაცი მოვიდა-თქო.

— რა ამბავია? — იკითხა სინიორ ოხრახუშამ გვერდზე ჩავლისას. თან გამალებით ცხვირს იწმენდდა უჯრედებიანი ცხვირსახოცით.

— აი, ეს მათხოვარი მარწმუნებს, პრინცი ვარო. ალბათ შეშლილია.

სიხიორ ოხრახუშამ მაშინვე იცნო თავისი მბრძანებელი, თუმცა მისი ცნობა არცთუ ისე ადვილი იყო.

— გადავიცვი, რომ უფრო ახლოს გავცნობოდი ხალხს,— თქვა პრინცმა ლიმონომ. ეტყობა, ცდილობდა, როგორმე გაემართლებინა თავისი უჩვეულო შესახედაობა.

— მობრძანდით, თქვენო უმაღლესობავ. ოჰ, რა ბედნიერი ვარ, თქვენ რომ გხედავთ! — წამოიძახა სინიორ ოხრახუშამ, თანაც ცდილობდა, პრინცის გათხუნულ ხელზე ეამბორა.

მბრძანებელი სასახლეში შევიდა, ბარწყვას მოისხანედ გადახედა. უცნაური სტუმარი რომ დაინახეს გრაფინიებმა, პირი დააღეს, მაგრამ იცნეს თუ არა, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, მოჰყვნენ ქება-დიდებას, თქვენსავით თავის ხელქვეითებზე არავინ არ ზრუნავსო.

— თქვენო უმაღლესობავ, სულ არ გალუმპულხართ, ასეთ საშინელ ამინდში არც ერთი პრინცი გარეთ ფეხს არ გადგამდა.

— მინდოდა გამეგო, როგორ ცხოვრობს ჩემი ხალხი,— უპასუხა პრინცმა და არც გაწითლებულა, თუმცა ლიმონები ხომ არასდროს არ წითლდებიან.

— თქვენო უმაღლესობავ, საინტერესოა, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?—ჰკითხა უფროსმა გრაფინიამ.

— ჩემი ხალხი სრული ბედნიერი და კმაყოფილია,—განაცხადა პრინცმა,—არც მეგულება სადმე ასეთი ბედნიერი ხალხი. სწორედ ახლა, გვერდზე ჩამიარა ძლიერ მხიარულმა ჯგუფმა... წვიმასაც არ შეუშინებია ისინი.

პრინცმა არც კი იცოდა, სიმართლეს რომ ამბობდა: ხალხი ამ დღეს მართლა ბედნიერი იყო, მაშ რა იქნებოდა, თავიდან მოიცილეს მრისხანე მბრძანებელი.

— თქვენო უმაღლესობავ, ცხენი ხომ არ შეგიკაზმოთ სასახლეში დასაბრუნებლად?—ჰკითხა სინიორ პომიდორმა.

— არა, არა, არავითარ შემთხვევაში!— უპასუხა აფორიაქე-

ბულმა პრინცმა. — მოვიცდი სანამ ეს საშინელი ამინდი არ შეიცვლება.

— თავს ნებას მივცემ და მოკრძალებით შევნიშნავ, — უპასუხა საგონებელში ჩავარდნილმა სინიორ პომიდორმა, — რა ხანია გამოიდარა. კვლავ მზე დაგვნათის.

— რაო, ბზე დაგვნათისო? — კითხვა შეუბრუნა აღშფოთებულმა პრინცმა, — მგონი, წინააღმდეგობას მიწევთ, არა?

— უბრალოდ, არ მესმის, რას ნიშნავს თქვენი უკმეხობა სინიორ, — ლაპარაკში ჩაერია ბარონი ფორთოხალი. — თუკი მის ბრწყინვალებას ჰგონია, რომ ჭექა-ქუხილია, რაღა ლაპარაკი უნდა, ასეც იქნება. ნუთუ არ გესმით წვიმის შხაპუნი?

ბარონს ყველამ კვერი დაუკრა.

— ეჰ, ალბათ არასდროს არ გადაიღებს! — თქვა უფროსმა გრაფინიამ და ფანჯარაში გადაიხედა. ყვავილების ფურცლებზე წვიმის მსხვილ-მსხვილი წვეთები ბრწყინავდა.

— ოი, რა საშინელი თავსხმაა! გესმით წვიმის თქრიალი? — აჰყვა უფროსს უმცროსი გრაფინია, — თუმცა კარგად ხედავდა, რა მხიარულად ესალმებოდა შადრევანში მოსრიალე ოქროს თევზებს ლრუბლებში მოჭყიტინე მზის სხივები.

— გესმით, რა გამაყრუებელი ქუხილია! — ჩაურთო სიტყვა ჰერცოგმა მანდარინმა და თითქოს შეშინებულმა ყურებში თითები ჩაირჭო და თვალები მოჭუტა.

— მარწყვა, მარწყვა! სადა ხარ! — წამოიკნავლა უფროსმა გრაფინიამ. — ახლავე ყველა დარაბა დახურე, ყველა!

მარწყვამ დარაბები დახურა და ოთახში ისეთი სიბნელე ჩამოწვა, რომ სარდაფი გეგონებოდათ.

მალე სანთლები აანთეს. უშველებელი ლანდები კედლებზე წამოიშალნენ. უფროსმა გრაფინიამ ამოიოხრა:

— ოჰ, რა საშინელი ჭექა-ქუხილია, ისიც ამ შუადამისას.

პრინცი ლიმონი მართლაც შიშმა აიტანა.

— რა შემზარავი ღამეა! — თქვა მან კბილების კაწკაწით.

დანარჩენებიც, თავაზიანობა ასე მოითხოვდა, ციებცხელებიანივით აკანკალდნენ.

სინიორ პომიდორი ფეხაკრეფით მიიპარა ფანჯარასთან, დარაბა ცოტათი გამოაღო და გაბედა მოეხსენებინა:

— შენდობას ვთხოვ თქვენს უმაღლესობას, მაგრამ ასე მგონია, გამოიდარებს-მეთქი,

— არა, არა, რას ამბობთ!—იყვირა პრინცმა. როგორც კი თვალი მოჰკრა გადატეხილ მზის სხივს, რომელიც ოთახში ცდილობდა შემოჭრას.

კავალერმა სასწრაფოდ მიაჯაჭუნა დარაბა და კვერი დაუკრა მის უმაღლესობას, დიახ, წვიმა წელიწადელივით ისე მოთქრიალებს, გეგონებათ, კოკიდან ასხამენო.

— თქვენო უმაღლესობავ, — დაიწყო გაუბედავად ბარონმა ფორთოხალმა, რომელსაც ძალიან უნდოდა მაგიდას დროზე მიჯდომოდა, — არ უნდა ვისადილოთ... თუმცა, ოჰ, მაპატიეთ, არ უნდა ვისაუზმოთ?

მის უმაღლესობას რა სადილის ან საუზმის დარდი ჰქონდა.

— ასეთ ამინდში, — უთხრა მან, — საერთოდ მადა ბეკარგება.

ბარონი ვერ მიმხვდარიყო, ნეტა ჭამას ამინდთან რა საქმე აქვსო. მაგრამ რაკი ყველა პრინცს დაეთანხმა, თვითონაც კვერი დაუკრა:

— მე მხოლოდ გირჩიეთ, თქვენო უმაღლესობავ, თორემ რა ჭამა, რის ჭამა, ამ ჭექა-ქუხილმა კრიჭა ისე შემიკრა, რომ ერთ წიწილასაც ვერ გადავყლაპავ!

ეს კი თქვა, მაგრამ ისე იყო დამშეული, რომ სიამოვნებით წყვილ სკამს დაკვნეტდა, ბარონის ჭინაალმდეგობისა რომ არ შეშინებოდა.

ბოლოს და ბოლოს ამდენი მღელვარებისაგან დაღლილ-დაქანცულ პრინცს სკამზე ღრმად მიეძინა, იქვე საბანი მიაფარეს და ფეხაკრეფით სასადილო ოთახში შელაგდნენ სავახშმოდ. ახლა მართლა ჩამობნელდა.

სინიორ პომიდორმა ერთი-ორი ლუკმა გადაყლაპა, მერე გრაფინიებს სთხოვა, ძილმა თავი წამართვა და ნება მომეცით სუფრა დავტოვოო.

მართლა კი არ ეძინებოდა, სინიორ პომიდორი ბალში ფეხაკრეფით ჩაიპარა და მეორე სოფლისაკენ გაეშურა.

„ნეტავი რა მოხდა? — ფიქრობდა გზაში. — პრინცი რაღაცამ ააფორიაქა. მართლაც ძალიან საეჭვო ამბავია. აოც გამიკვირდება რევოლუცია რომ მოხდეს“.

ეს გაიფიქრა და ზურგში ჭიანჭველები აუფუთფუთდნენ. ცდილობდა, აძაფოროიაქებელი ფიქრები თავიდან მოეშორებინა, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა. ეს სასტიკი სიტყვა სულ თვალწინ უტრიალებდა. მისი თითოეული ასოც კი ტანში აჟრჟოლებდა: რე-ვო-ლუ-ცია!?! რ-რო-მი, ე-ევ-რო-პა, ვ-ვენე-ცია და სხვა. რევოლუცია...

მოეჩვენა კიდეც, თითქოს ვილაცა უკან ფეხდაფეხ მოსდევდა. მესერთან მიიყუჟა და დაუცადა. მართლაც შორიდან გამოჩნდა სინიორ მუხუდო, რომელიც ისე ფრთხილად მოაბიჯებდა, რომ მისი შემყურე იფიქრებდა, ალბათ უმ კვერცხებზე აბიჯებსო.

ჯერ კიდევ საუზმის დროს სინიორ მუხუდო კავალერის საქციელმა დააეჭვა და როგორც კი იგი ოთახიდან გამოვიდა, მაშინვე უკან აედევნა.

„რაღაცას მიმალავენ, — ფიქრობდა სინიორ მუხუდო. — პომიდორი მხედველობიდან არ უნდა დავკარგო“.

ის იყო სინიორ პომიდორს თავშესაფარი უნდა მიეტოვებინა, რომ შორს მეორე ლანდი გამოჩნდა.

პომიდორი კიდევ უფრო აეკრა მესერს და დაიცადა, სანამ ეს ლანდიც ჩაივლიდა.

სინიორ მუხუდოს უკან სინიორ ოხრახუშა მოსდევდა. გამოძვრა თუ არა სასადილოდან სინიორ მუხუდო, სინიორ ოხრახუშამ გადაწყვიტა, უკან დადევნებოდა. ალუბლიკოს ალმზრდელის უზომოდ დიდმა და მგრძნობიარე ცხვირმა მაშინვე იგრძნო, რომ რაღაც სერიოზული რამ მოხდა და რა მოასვენებდა, სანამ ყველაფერს არ გაიგებდა.

სინიორ ოხრახუშას უკან ჰერცოგი მანდარინი მოსდევდა.

აბა სინიორ ოხრახუშა რას იფიქრებდა, რომ უკან ვინმე აედევნებოდა

— ბარონი ფორთოხალიც რომ დავინახო, ალბათ არც ის გამიკვირდება, — წაიბურდღუნა სინიორ პომიდორმა და სუნთქვა შეიკრა, რომ არავის შეემჩნია.

მართლაც, სულ მალე ბარონ ფორთოხლის ურიკა მორახრახდა. ჰერცოგი რომ ვერსად დაინახა, ბარონმა ივარაუდა, რომ ჩემი წარჩინებული ნათესავი ალბათ, სადმე ვახშამზე დაპატიჟესო და განიზრახა მხარი დამშვენებია მისთვის. საწყალი მეძველმანე ამ სიბნელეში გზაზე ვერაფერს ხედავდა და ხვნეშით ძლივს მიათრევდა ურიკას. ჭრიჭინა ურიკა, რომელზედაც ბარონს ლიპი დაედო, ხან ზევით ახტებოდა, ხან უფსკრულში გადაეშვებოდა ხოლმე. ამ დროს ბარონს სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ რომ არ დაეყვირა ანდა კვნესა არ ამოხდომოდა, კბილებს ერთმანეთზე აჭერდა.

ბარონი ამ უცნაური პროცესიის ბოლოში მოექცა.

„ცნობისმოყვარეობა არ მასვენებს, ნეტავი სად მიდიან?“—გაიფიქრა სინიორ პომიდორმა და მესერს მოშორდა.

მთელი ღამე ასე სდიეს ერთმანეთს; სინიორ მუხუდოს ტყუილად დაეჭყიტა თვალები, იქნებ სინიორ პომიდორი დავინახოო. იგი ახლა ყველაზე ბოლოს მოექცა და აბა მუხუდო რას დაინახავდა. სინიორ ოხრახუშა ფეხდაფეხ მისდევდა სინიორ მუხუდოს, ჰერცოგი სინიორ ოხრახუშას არ შორდებოდა, ბარონი თვალს არ აშორებდა ჰერცოგს, პომიდორი კი ცდილობდა ბარონის კვალს მიჰყოლოდა. თითოეულ მათგანს თავის წინამავლის უბრალო მოძრაობაც არ გამოჰპარვია. რა იცოდნენ, რომ ყოველ მათგანს ვილაცა უთვალთვალებდა.

მუხუდომ და ოხრახუშამ რამდენჯერმე ადგილები გადაინაცვლეს: სინიორ ოხრახუშა მოხერხებული შემოვლითი მანევრით მუხუდოს წინ მოექცა, ზოგჯერ კი მუხუდო ოხრახუშას მოუვლიდა ხოლმე წინ. აი ასე უთვალთვალეს ერთმანეთს. მთელი ღამე იარეს და იარეს, რაღა თქმა უნდა, ვერაფერი ვერ გაარკვიეს, ძალ-ღონე კი სულ გამოელიათ.



ეპილოგი

პომიდორმა უკვე მეორედ იტირა

სასახლის კოშკზე ვინც პირველად თავისუფლების დროშა დაინახა, გაიფიქრა, ეს ალუბლიკოს ახალი ოინებიაო. აღშფოთებულს მაშინვე უნდოდა ჩამოეგლიჯა ეს საზარელი დროშა, მერე კი ერთი მაგრად მიეტყიპა ახალგაზრდა გრაფი, რომელმაც ამჯერად „ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა“.

და აი, ამ სინიორს მრისხანებისგან სული ეხუთება, იგი ოთხ-ოთხ საფეხურზე ერთად ხტება და ისე არბის კიბეზე. ქშინავს, სულს ძლივს ითქვამს და ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო და უფრო წითლდება და სიბრაზისაგან იბერება. მე ვშიშობ, რომ, როცა კიბის თავამდე მიაღწევს, მოედანზე გასასვლელ კარებში უკვე ვეღარ გაეტევა. ამ სიწყნარეში ჩაქუჩის კაკუნივით მესმის მისი ნაბიჯების ტყაპატყუპი. მალე სულ მაღლა ავარდება. თქვენ როგორ ფიქრობთ, გაძვრება იგი კარებში?

აჰა, მიაღწია კიდეც მოედნამდე... აბა ვინ გამოიცნობს?

კარგი, მე თვითონ გეტყვით: ვინც ფიქრობდა, ისე გაიბერა, რომ კარებში ვერ გაეტევაო, აი გამარჯვებაც მისია. მართლაც, კავალერი პომიდორი (კიბეებზე სწორედ იგი არბოდა,— თუმცა ეს თქვენც იცოდით, ხომ?!) ისე გაიბერა ბოლმისაგან, რომ კარები მის ტანთან შედარებით ორჯერ უფრო ვიწრო აღმოჩნდა.

აი უკვე მაღლა დგას, ორი ნაბიჯიც არ იქნება იმ საზარელ დროშამდე, რომელსაც ქარი აფრიალებს. მაგრამ ვერ ჩამოგლეჯს. თუმცა რა ჩამოგლეჯა, რის ჩამოგლეჯა, ხელსაც ვერ ახლებს — დროშის ტართან ალუბლიკოს, რომელიც გამალებით იწმენდდა სათვალეს, მხარს უმშვენებდა ერთი ვიღაცა...

ვინ არის იგი თუ არა ჩიპოლინო, კავალერ პომიდორის დაუძინებელი, საძულველი მტერი! ეს ის ჩიპოლინოა, რომელმაც ერთხელ უკვე ცხარედ ატირა სინიორ პომიდორი.

— გამარჯობათ, სინიორ კავალერო,—მიმართა ჩიპოლინომ და თან მოწიწებით თავი დაუკრა.

ფრთხილად, ჩიპოლინო! ამ შენი უადგილო თავაზიანობით თავს საფრთხეში ნუ იგდებ. თავი რომ დახარე ხომ შეეძლო პომიდორს პირდაპირ თმებში გწვდომოდა, ასე არ მოხდა ერთხელ სოფელში?

განრისხებული სინიორ პომიდორი სულ არ ფიქრობდა სამაგიეროდ რა მოელოდა. ქოჩორში ხელი სტაცა ჩიპოლინოს და ისე მაგრად მოქაჩა, რომ ხახვის თმები ხელში ბლუჯად შერჩა. გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ თვალთ დაუბნელდა, მსხვილ-მსხვილი, სწორედ თხილის ოდენა ცრემლები სეტყვასავით წამოსცვივდა და ქვის იატაკზე წკაპაწკუპი გაადინა.

ახლა პომიდორი მარტო იმიტომ კი არ ტიროდა, რომ ჩიპოლინოს თმები დააგლიჯა, მან იგრძნო თავის უმწეობა და გაცოფებული ბღაოდა.

„რა არის ეს, დასასრულია, დასასრული?“—ფიქრობდა იგი, და აღელვებული სულს ვერ ითქვამდა, ცრემლები ყელში ებჯინებოდა.

ოჰ, რა გამიხარდება ცრემლებმა რომ დაახრჩოს, ანდა კიბეზე დაგორდეს, როგორც კი ხელს ჰკრავენ, მაგრამ ჩიპოლინომ, ამ კეთილშობილმა ბიჭუნამ, შეიცოდა იგი. შიშისაგან გაფითრებული პომიდორი მაშინვე კოშკიდან კიბეებზე დაეშვა, ოთხ-ოთხზე კი არა, სულ ექვს-ექვს საფეხურზე ხტოდა. ძირს რომ ჩამოვიდა, მაშინვე თავის ოთახში შეძვრა. აქ ხელს არავინ შეუშლის—რამდენიც უნდა იტიროს.

მერე იცით რა მოხდა, ბავშვებო? ოჰ, რომ იცოდეთ, რა მოხდა!..

როგორც იყო პრინცმა გაიღვიძა, ერთ ხანს სასახლის ოთახებში იბორიალა, მერე გარეთ გამოვიდა სუფთა ჰაერზე და უცებ იმანაც თვალი მოჰკრა კოშკზე დროშას. აღშფოთებულმა თვალები დახუჭა და თავქუდმოგლეჯილმა მოუსვა. ჯერ მარჯვნივ მოუხვია, მერე მარცხნივ, ბოლოს ჭიშკარი გამოიხურა და ისევ თავის საიმედო თავშესაფარს მიაშურა—ფხვიერი ნაკელის გროვაში ჩაძვრა. დაიმედებული იყო, რომ იქ ვერავინ მიაგნებდა მას.

ბარონ ფორთოხალმაც გაახილა თვალები და სუფთა ჰაერზე მოისურვა გამოსვლა. ხელი ჰკრა იქვე ურიკასთან მთვლემარე მსახურს. ნამძინარევმა, ჯერ ისევ თვალდახუჭულმა ლობიომ მძიმე ურიკა კარის ზღურბლზე გადმოაგორა.

სასახლის ეზოში ლობიო მზის გაჭახჭახებულმა სხივებმა გამოაფხიზლა, თვალები გაახილა, ზევით აიხედა და რას ხედავს, სასახლის კოშკზე დროშა არ ფრიალებს? თითქოს ელექტროდენმა დაუარაო თითებში...

— ურიკას ხელი არ გაუშვა! ხელი არ გაუშვა! — იყვირა შეშინებულმა ბარონმა ფორთოხალმა.

ბარონი ნეტა ვილას ახსოვდა! ლობიომ თითები გაშალა, თავის დანჯღოეულ ურიკას ხელი გაუშვა და ბარონი ზურგზე გადმოკოტრიალდა, მერე ქვევით ხეივნებში ჩამოგორდა ისევე სწრაფად, როგორც მაშინ, ორი ათეული გენერალი რომ მიწას დაასრისა და ბოლოს თვითონ ოქროს თევზებიან აუზში გაადინა ტყაპანი, წყალმა კისრამდე დაფარა იგი. არც ისე იოლი იყო მისი ამოთრევა.

ჰერცოგ მანდარინს ეზოდან ბარონის შემზარავი კივილი შემოესმა, იგი მაშინვე აუზთან გაჩნდა, შესკუპდა მარმარილოს პატარა ანგელოზზე, რომელსაც პირიდან შადრევანი გადმოსჩქეფდა და არაადამიანური ხმით აღრიალდა:

— ეი, თქვენ გეუბნებით, ახლავე ჩამოხსენით დროშა კოშკიდან, თორემ იცოდეთ, თავს დავიხრჩობ.

— ვნახოთ ერთი რა ბიჭიცა ხარ! — თქვა ლობიომ, ხელი ჰკრა და პირდაპირ წყალში გადააგდო.

ბოლოს, როცა ჰერცოგი აუზიდან ამოათრიეს, პირში ოქროს თევზი უფართხალებდა. საწყალ თევზს ეგონა, წყალქვეშა მღვიმეში შევცურეო, დამშეულ ხახაში კი აღმოჩნდა... მშვიდობა ნუ მოაკლოთ ღმერთმა ოქროსფარფლებს!

ამ დღიდან მოვლენები გაუგონარი სისწრაფით გარბოდნენ — ამბავს ამბავი ცვლიდა. ჩვენც ვიჩქაროთ. დღეები კალენდრის ფურცლებივით მიჰქრიან, კვირას კვირა მისდევს, ჩვენ კი ძლივს ვასწრებთ რამის ნახვას. ხანდახან კინოშიც ასე ხდება: მექანიკოსი სურათს მეტისმეტად სწრაფად უჩვენებს: სახლი, ადამიანები, მანქანები, ცხენები თვალწინ ელვის სისწრაფით გაგიელვებენ, ბოლოს, როცა ფირი ჩვეული სისწრაფით გასრიალდება, აღმოჩნდება, რომ ბევრი რამ უკან დარჩა და ეკრანზე ყველაფერი შეიცვალა...

პრინცმა და გრაფინიებმა მიატოვეს თავიანთი წინანდელი სამფლობელო. პრინცის საქციელი გასაგებია, მაგრამ გრაფინიები რატომღა წავიდნენ? ვინ ფიქრობდა ამ მოხუცებული ქალების წყენინებას, ვინ წაართმევდა მათ ლუკმა-პურს, ანდა ვინ გადაახდევიხებდა ჰაერის საფასურს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს რახან თვითონ წავიდნენ, მით უფრო უკეთესი. გზა მშვიდობისა!

ბარონი ჩამოდნა, სწორედ იმ წკეპლას დაემსგავსა, წინათ თავის მსახურს რომ შემოჰკრავდა ხოლმე.

პირველ ხანებში იშიმშილა და იშიმშილა. ადგილიდან ვერ იძვრებოდა, რადგან ურიკას წამლები აღარ ჰყავდა და საკუთარი ქონის მარაგით იკვებებოდა. ბარონი ყოველ დღე სანთელივით დნებოდა. ორ კვირაში მთელი წონის ხახევარი დაკარგა. ეს ნახევარი ცოტა არ გეგონოთ, ჩვეულებრივი ადამიანის წონაზე სამჯერ მეტია.

როცა ბარონმა შეძლო დაუხმარებლად თავისი თავის ტარება, სამოწყალოდ ქუჩაში მათხოვრობა დაიწყო, მაგრამ არავინ არაფერი გაიმეტა.

— ნეტავი შენ!— ეუბნებოდნენ გამვლელები.— ჯან-ღონით სავსე კაცი ხარ და მაიხოვრობ! წადი, ხელი გაანძრიე!

— არაფრის გაკეთება არ მეხერხება და რა ვქნა!

— გადი სადგურში და ჩემოდნები ზიდე.

ასეც მოიქცა, სიმძიმეების თრაქვამ იგი ტანწერწეტა გახადა. ერთი ძველი კოსტიუმიდან ექვსი ახალი კოსტიუმი შეიკერა. ერთი ძველი კოსტიუმი მაინც გადაინახა სამახსოვროდ. თუ ინახულებთ ბარონ ფონ-ოხალს, იგი საიდუმლოდ გაჩვენებთ ამ კოსტიუმს.

— ერთი შეხედეთ,— ოხვრით გეტყვით ის,— ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ აი რა სქელი ვიყავი!

— შეუძლებელია!— გაიკვირვებთ თქვენ.

— როგორ, განა არა გჯერათ?— მწარედ ჩაიცინებს ბარონი,— ხალხს ჰკითხეთ, ისინი გეტყვიან. ოჰ, რა დრო იყო!.. რაც მაშინ ერთ დღეს არა მყოფნიდა, ახლა სამ თვეს მყოფნის. ნახეთ, რამოდენა მუცელი მქონდა, როგორი მკერდი, როგორი გავა!

ჰერცოგს რაღა დაემართა? ლუკმაპურის საშოვნელად თითსაც არ ანძრევს, ბარონს კისერზე დააწვა. ისიც უარს ვერაფერზე ეუბნება, ეშინია ფარანზე არ გადმოეკიდოს და არ მოითხოვოს, გრაფინიებს შეატყობინეთ, თქვენმა ნათესავმა თავი მოიკლაო. ბარონს კიდევ შერჩა ცოტაოდენი გულკეთილობა, ერთს ამოიოხრებს და მერე უსიტყვოდ უნაწილებს ხოლმე ნათესავს თავის ულუფა სადილს თუ ვახშამს.

ნათლიმამა გოგრა უკვე ალარ ოხრავს: ახლა იგი სასახლის მთავარი მებაღეა და ყოფილი კავალერი პომიდორი მისი ხელქვეითია.

ალბათ გული გტკივათ, სინიორ პომიდორს თავისუფალს რომ ხედავთ, არა? მან სასჯელი ციხეში მოიხადა, მერე ისიც გაათავისუფლეს.

ახლა კომბოსტოს რგავს, ბალახის თიბვით ერთობა. ხანდახან ოხრახუშას რომ შეხვდება, ცოტას წაიწუწუნებს კიდეც,

ასეთი ყოფილა ჩემი ბედიო. ჰო, მართლა, ოხრახუშა ახლა სასახლის დარაჯია.

ციხე-დარბაზი ბავშვთა სასახლედ გადაკეთდა. იქ არის სამხატვრო ოთახი, თოჯინების თეატრი, არც ბურატინო დავიწყებიათ, არის კინო, მაგიდის ჩოგბურთი, უამრავი სხვადასხვა სათამაშო. აქ არის კიდევ ყველაზე საუკეთესო, ყველაზე საინტერესო და სასარგებლო, ბავშკების სათამაშო — სკოლა. ჩიპოლინო და ალუბლიკო ერთ მერხზე სხედან და სწავლობენ არითმეტიკას და გრამატიკას, გეოგრაფიას, ისტორიასა და სხვა საგნებს. ეს საგნები კაცმა კარგად უნდა იცოდეს, რომ თავი დაიცვას ყველა გაიძვერასა და მჩაგვრელისაგან და ისინი თავის სამშობლოს არ გააკაროს.

— აო დაივიწყო, მეგობარო! — ხშირად მოაგონებს ხოლმე მოხუცი ჩიპოლინო თავის შვილს ჩიპოლინოს: — ქვეყანაზე არაბზადების მეტი რა არის, შეიძლება ჩვენი განდევნილებიც კვლავ დაბრუნდნენ.

მე კი მწამს, რომ ისინი ვერასოდეს ველარ დაბრუნდებიან. ველარ დაბრუნდება ადვოკატი მუხუდოც. მან მოასწრო მიმალვა, რადგან კისერზე ცოდვების მეტი რა აწევს.

ხმები დადის, სადღაც უცხო ქვეყანაში თავის ხელობაზე მუშაობსო. რა თქმა უნდა, არც იქ აროს მისი ადგილი, მაგრამ არაუშავს. მაინც კარგია, რომ იგი გაქრა ამ ჩვენი ბოთხრობიდან უფრო ადრე, ვიდრე იგი დამთავრდება. ბართალი უნდა ვთქვა, ჭირივით შემძულდა ამ უჯიათო და ქარაფშუტა გაიძვერასთან ჯახირი.

ჰო, მართლა, დამავიწყდა თქვენთვის მეთქვა, სოფლის მამასახლისი ახლა ხელოსანი ყუოძენა გახლავთ. თავისი ღირსება რომ არ შეელახა, ძველი ჩვეულება სულ გადაივიწყა. ახლა მახათით კეფას როდი იფხანს. მხოლოდ ხანდახან, ძალიან სერიოზული ამბავი რომ შეემთხვევა, მახათის მაგიერ წაწვეტებული ფანქრით მოიქექავს კეფას. ისიც ძალიან იშვიათად.

ერთხელ დილით სოფლის მცხოვრებლებმა თავიანთი სახლის კედლებზე წარწერა ნახეს: „გაუმარჯოს ჩვენს მამასახლისს!“

ნათლიდედა გოგრიკომ სოფელში ხმა დაყარა, ეს მსხვილ-ასოები თვითონ ხელოსანმა ყურძენამ დაწერა ვაქსითო.

— ამისთანა მამასახლისსაც რა ვუთხარი! — ბუზღუნებ ნათლიმამა გოგრა. — ღამღამობით სახლებს ჩამოუვლის და თავ ქება-დიდებას თვითონვე წერსო...

მართალი არ გეგონოთ, ეს იყო აშკარა ცილისწამება. წარწერები პრასამ ვააკეთა, ხელით კი არა, თავისი უღელაშვ მელანში ჩაწო და ისე დაწერა, დიახ, დიახ, პრასას ნახელავ ეს საქმე. სიმართლის გამხელა იმიტომ მეადვილება, რო უულვაშოები ხართ და ასე არ მოიქცევით.

მაშ ასე, ახლა კი ჩვენი ისტორია მართლაც დასრულდ ქვეყანაზე სასახლეების მეტი რა არის, პრინცი ლიმონისა და სინიორ პომიდორის გარდა სხვა მუქთახორებსაც შეხვდები ამ ბატონებსაც ალბათ დღეს თუ არა ხვალ გარეკავენ და მათ ბალებში ბავშვები ინავარდებენ.

დაე, ეგრე იყოს!